გივი მრელაშვილი

ერთხელ რომ რაგბს ითამაშებ

Givi MRELASHVILI
Once you have played Rugby
Tbilisi | 2020

Гиви Георгиевич МРЕЛАШВИЛИ
Если в регби раз сыграешь
Тбилиси | 2020

გამომცემელი	საქართველოს რაგბის კავშირი
იდეის ავტორი	გიორგი ყუფარაძე
ფოტო	დავით თაქთაქიშვილის არქივი
	ეროვნული ფოტო-მატიანე
	იური ლობანოვის ბაზა
	ქეთო კვინიხიძე | გიორგი ჭანიშვილი
	გია ჭუმბურიძე | გუგლით ძებნა
მენეჯერი | მრჩეველი | გადამოწმება	ალექსანდრე ქურდობაძე
გადამოწმება	კობა დალაქიშვილი
დაკაბადონება | სწორება | გარეკანი	ზაალ გიგინეიშვილი
სტატისტიკა	http://matiane.Qaflan.net/

დინამოს ძველი სტადიონი |"რესპუბლიკის უძლიერესი გუნდების ამხანაგური შეხვედრა"
დინამო [ორფერ ფორმაში] 31:9 განთიადი | 1965 წლის 23 ივნისი

ISBN 978 - 9941 - 8 - 2589 - 7

გივი მრელაშვილი

ერთხელ რომ რაგბს ითამაშებ

მოგონებები ქართული რაგბის პირველ ნაბიჯებზე

თბილისი

2020

1 ერთხელ რომ რაგბს ითამაშებ

არა, ნურავინ ნუ მიწყენს, მაგრამ სპორტის სხვა სახეობათაგან განსხვავებით, რაგბს სხვა ეშხი და ლაზათი აქვს. თუნდაც ერთხელ რომ ითამაშო რაგბი, თავს ვეღარ დაანებებ, შემდეგ კი – იქნებ მოედანზე ვეღარც გახვიდე, მაგრამ ამ თამაშის ფანი სიცოცხლის ბოლომდე რჩები.

სურვილი მოგონებების დაწერისა ქართული რაგბის* პირველ ნაბიჯებზე ყოველთვის მქონდა, მაგრამ მის აღსრულებას, ასევე ყოველთვის, სახვალიოდ ვდებდი – ვითომ და შემდეგ უკეთესად დავწერ-მეთქი.

ჭეშმარიტი მიზეზი ჩემი ყოყმანისა იყო იმის შიში, რომ მსოფლიო კორიფეებთან დღეს ლამის ტოლ-სწორად მოასპარეზე ბორჯღალოსნების თამაშით განებივრებული გულშემატკივრისთვის ვაითუ უინტერესო აღმოჩენილიყო "პირველ ყოფილ" მორაგბეთა, "თემური წყობილების" ხანის, პრიმიტიული ცხოვრების ადათ-წესები.

მოგონებების დაწერა-არდაწერის ხანგრძლივი ყოყმანი "დაწერის" სასარგებლოდ ბოლოს მყარად გადაწონა იმ ჭეშმარიტმა მოსაზრებამ, რომ ქართული რაგბის დღევანდელი აღმავლობის ხანაში დანაშაული იქნებოდა ართქმა ამ თამაშის ჩვენთან დაბადებისა და პირველი, ქაოსური ნაბიჯების ამბისა; აგრეთვე არგახსენება წინა თაობებისა, რომლებმაც რაგბი დანერგეს და დიდი რუდუნების ფასად გაახარეს – რის გარეშეც ცნობილ ხელოვანთა მიერ ღვთიურ მოვლენად შეფასებული, დღევანდელი "ოქროს ხანა" არ დაგვიდგებოდა.

დანაშაული იქნებოდა აგრეთვე არშეხსენება იმ ჭეშმარიტებისა, რომ რაგბი საქართველოში ჰაერიდან არ მოსულა, და რომ ეს თამაში სუფთა ქართული წარმოშობისაა: ჩვენი წინაპრები მისით თავს ირთობდნენ საუკუნეთა განმავლობაში, თუმც სხვა სახელი – ლელობურთი ერქვა.

ამდენად, შეიძლება ითქვას, რომ ჩემი გადაწყვეტილება "მოგონებების" დაწერის სასარგებლოდ ვალდებულება უფროა, და ეს ნუ გაუკვირდება მკითხველს, რადგან იძულება და ვალდებულება, რაგბში ჩემი მოღვაწეობის მთელი პერიოდის განმავლობაში, ჩვეულებრივ ცხოვრების წესად იყო ქცეული.

თუმც, რაღა თქმა უნდა, დაწერის დამატებითი მოტივაცია გახდა მსოფლიო სარაგბო საზოგადოების ყურადღება ქართული რაგბის, კერძოდ კი – მისი ბიოგრაფიის მიმართ. ეს წარსული, მართალია, არაა არც გრძელი და არც შთამბეჭდავი; ზოგჯერ ღიმილის მომგვრელი და ბანალურიცაა, მაგრამ გაჭრილი ვაშლის ნაწილებივით წააგავს საყოველთაოდ აღიარებული სარაგბო ქვეყნების ანალოგებს – ეგ არის მხოლოდ, რომ განსხვავებაა ისტორიულ ეპოქებს შორის.

"მოგონებები" სუფთა ავტობიოგრაფიული ხასიათისაა – ყოველგვარი პრეტენზიის გარეშე რაიმე ფუნდამენტურ კვლევას, სტატისტიკასა თუ ანალიზზე. ჩემი მთავარი მიზანი ქართულ რაგბის პირველი ნაბიჯების მოკლე აღწერაა მხოლოდ.

გზადაგზა მაინც საჭიროდ ჩავთვალე, გამეხსენებინა პირველ შეჯიბრებებთან და მოგზაურობებთან დაკავშირებული საჩოთირო ეპიზოდებიც, რომლებიც ყოველთვის თან სდევს რაიმე ახლის დაწყებას და ზოგჯერ რაგბთან სულაც არანაირ კავშირში არაა. ეს გავაკეთე იმ მიზნით, რომ მკითხველმა უკეთ დაინახოს იმდროინდელი, რომანტიული პერიოდისა

---

* ორიოდე სიტყვით ავხსნი, რატომ ვხმარობ "რაგბს" და არა ძველებურ "რეგბს". ჩემი აზრით, "რეგბის" შეცვლა "რაგბით" არ იყო სწორი, მაგრამ დღეს მკითხველი უფრო რომ არ დავაბნიო, გადავწყვიტე, სხვათა შეცდომების გასწორება არ დავიწყო და ვიხმარო ხმარებაში უკვე კარგად დამკვიდრებული "რაგბი". "რეგბს" გამოვიყენებ მხოლოდ ციტირებისას.

და დღევანდელი, თითქმის პროფესიული სარაგბო ცხოვრების წესსა და მენტალობას შორის არსებული სხვაობა.

იმას, თუ რატომ დავუთმე ასეთ ეპიზოდებს ამდენი ადგილი – რამაც შეიძლება მკითხველს აჯაფსანდალის გემო აგრძნობინოს, ერთი ახსნა აქვს – მათი განცალკევება შეუძლებელი აღმოჩნდა.

ქათმისა და კვერცხის მარადი დილემისა არ იყოს, დღესაც მიჭირს პასუხის გაცემა, თუ რა იყო იმდროინდელი თაობის უზარმაზარი ენთუზიაზმის საწყისი: თვით თამაში რაგბი თუ ამ თამაშის თანმდევი ცხოვრებისეული, საყოფაცხოვრებო საზრუნავით დატვირთული პროცესი?

რაგბი თავისთავად აზარტული თამაშია: ლეგენდარული ბობი ჩარლტონი თვლიდა, რომ მობურთალისათვის იგი ამ მხრივ ფეხბურთსაც კი აღემატება.

ქართველებს მაშინ ძალზედ მოგვეწონა ეს თამაში, მაგრამ ჩვენ და გაუცნობიერებლად, რაგბი შეიძლება ყოფილიყო მხოლოდ საშუალება იმ თაობის ახალგაზრდებში მომძლავრებული სწრაფვისა დამოუკიდებელი აზროვნებისაკენ; საბაბი ფიზიოლოგიური შეუთავსებლობისა კომკავშირთან და საერთოდ, იმდროინდელ ცხოვრების წესსა და სტილთან.

ჩვენს ბიჭებში რაგბმა გააღვიძა საღათას ძილს მიცემული გრძნობა თავისუფლებისა და ასეთი გადაადგილების სიამოვნებისა – რომელსაც გრძნობ, მაგრამ არ იცი, რა არის – მოზარდ ასაკში მოძალებული სიყვარულის ჟინის მსგავსად.

იმ ქარტეხილების დროში აზრზე ვერ ვიყავით კარჩაკეტილობის გადამკიდე, რომ მსოფლიოს აბუნტებულ ახალგაზრდობას მაჰათმა განდისა და ჩე გავერას იდეები ამოძრავებდა, ჩვენი მორაგბეობა კი სუსტი, ულიმღამო, თითქოს და არაფრის მომტანი, მაგრამ მაინც ნიშანი იყო პროტესტისა.

უთუოდ ხელისუფლებაც ამიტომ უყურებდა რაგბს ალმაცერად, მაგრამ იძულებული კი გახდა, იგი ისევ შეეწყნარებინა ერთადერთი მიზნით – ორთქლის გამო-

დინამოს ძველი სტადიონი |"რესპუბლიკის უძლიერესი გუნდების ამხანაგური შეხვედრა"
დინამო [ორფერ ფორმაში] 31:9 განთიადი | 1965 წლის 23 ივნისი

საშვებად, და შეიძლება ითქვას, რომ ეს ორთქლი ჩვენ ვიყავით. აკი თქმულა, არაფერს სჯობს რამეო – თუნდაც, იგივე ორთქლი.

ამიტომ მკითხველს ნუ გაუკვირდება ჩემი მოსაზრება, რომ რაგბი შეიძლება განვიხილოთ ახალი ცხოვრებისა და ურთიერთობებისკენ იმდროინდელი ახალგაზრდობის სწრაფვის გზად, და არა უბრალოდ სპორტის მორიგი სახეობის დანერგვისათვის წამოწყებულ, თავგანწირულ ბრძოლად.

გავიმეორებ: იმდროინდელი ჩვენი ახალგაზრდობის მამოძრავებელი ძალა იყო სურვილი რაღაც ახლის შექმნისა; სურვილი ჩაკეტილი სივრციდან გარეთ გაღწევისა; სურვილი სამყაროს შემეცნებისა; სურვილი თავისუფალი მოგზაურობისა, და ეს სურვილები მათში ჩაისახა ამ შესანიშნავი თამაშის სახით. ამიტომ მით უფრო საქებია 1960-იანელთა თაობა, რომელმაც გატეხა ყამირი და რაგბი უბოძა ქართულ საზოგადოებას.

ქართულ რაგბში მე ალბათ იმ იშვიათ ეგზემპლარს წარმოვადგენ, რომელიც ერთბაშად 4 სხვადასხვა ამპლუაში მონაწილეობდა: როგორც მოთამაშე, მწვრთნელი, მსაჯი და მენეჯერი.

თვალი რომ გადავავლე ჩემს არქივს, ყველაზე უმადურსა და დაუფასებელ საქმიანობას – მენეჯერობას მასში თურმე ყველაზე დიდი ადგილი უკავია. შესაბამისად, ვეცდები რაგბის სამზარეულოს ამ ოთხივე კომპონენტს შევეხო შეძლების და გვარად.



ოთხ ამპლუაში ვირჯებოდი: მოთამაშედ, მწვრთნელად, მსაჯადა და მენეჯერად

ამ 4-სახოვნების მიზეზითა და არასარაგბო ეპიზოდების სიმრავლით მემუარები ეგებ ერთობაც აჭრელდეს, მაგრამ მე იმ უპრეტენზიო მკითხველის იმედი მაქვს, რომელიც თვლის, რომ ყველაზე ნიჭიერი, მაგრამ არა-თვითმხილველის მიერ შეთხზულ შესანიშნავ ისტორიებს სჯობს უშუალო მონაწილის უსისტემო მონათხრობი.

მეტწილად შევეხები იმ მოვლენებს, რომლებსაც წინსართავად სიტყვა "პირველი" უდგას – აი, როგორც ქვესათაურში მაქვს დაანონსებული: "მოგონებები ქართული რაგბის პირველ ნაბიჯებზე", წყაროებად კი გამოვიყენე ჩემივე ძველი ჩანაწერები, მეთოდური მასალები, პრესაში გასული სტატიები და სარაგბო წიგნებიც.

2 რაგბი ჩვენი ლელობურთია

ნახევარ საუკუნეზე მეტი ხნის წინ – 1963 წლის ნოემბერში ჟურნალმა "დროშამ" გამოაქვეყნა ჩემი სტატია რაგბზე "ფეხბურთის მრისხანე მეტოქე" ცნობილი ფოტო ხელოვანის, თარხან არჩვაძის ილუსტრაციებით.

ვწერდი ლელობურთისა და რაგბის მსგავსებაზე და დღესაც სრულიად რეალურად მიმაჩნია მაშინ გამოთქმული ჩემეული ვერსია, რომ რაგბი არის ჩოხა-ახალუხიანი ლელობურთი, რომელიც დიდი ხნის წინ ინგლისში გადაიხვეწა, იქიდან კი სმოკინგში გამოწყობილი დაგვიბრუნდა.

ინგლისელებმა ერთ, თითქოს და უმნიშვნელო, საკითხში ჭკუით გვაჯობეს:

ფუთიანი [16 კილოიანი], ნახერხით გატენილი ძროხის ბუშტი, რომლის სოფლიდან სოფელში გადატანაში ერთმანეთს ეპაექრებოდნენ – ემძიმათ და მას 10-ჯერ შეუმცირეს წონა, რაკი მიხვდნენ, რომ შეზღუდულ ფართზე, ანუ მოედანზე, მძიმე ბურთი თამაშს დინამიურობას დაუკარგავდა და სეირი უინტერესო გახდებოდა.

ეგ იყო და ეგ. თუ მხედველობაში არ მივიღებთ მათ მიერ შემოღებულ ზოგიერთ "უცნაურ" წესს, რაგბი და ლელობურთი არსით, ბოჭვებით, გდებებით, სულისკვეთებით – ტყუპის ცალები არიან. ამიტომაა, რომ ქართველებმა ასე იოლად ავითვისეთ ეს თამაში, სხვა ევროპულმა ერებმა კი – ინგლისელებთან ისტორიულად მჭიდროდ დაკავშირებული ფრანგების გამოკლებით – ეს ვერ შეძლეს.

ვისაც გადაჭარბებულად მოეჩვენება ჩემი ეს მოსაზრება, ვურჩევ, კარგად გაეცნოს ქართველთა სპორტულ ისტორიას – შუა საუკუნეებში, ლელობურთის გარდა, თავს ვირთობდით სხვა თამაშებითაც. თანამედროვე ფორმით ესენია კალათბურთი [ქართული ფარ-ბურთი], ბეისბოლი [რიკ-ტაფელა], გოლფი [საყე-ბურთი] და სხვა მრავალი.

ამ მიზეზითაც ტერმინი "ლელო", რაც მინდვრის ბოლოს აღნიშნავს, კანონიერი

რაგბი და ლელო ტყუპის ცალები არიან

შვილივით მოერგო ინგლისური თამაშის დომინანტურ მიზანს – მოედნის ბოლოში არსებულ ტერიტორიაზე ბურთის მიტანასა და დადებას.

რაც შეეხება სტატიის თამამ სათაურს, ერთმა ახლანდელმა ჟურნალისტმა შემაქო, აი, ჯერ კიდევ როდის იწინასწარმეტყველა რაგბის აღზევებაო. მადლობა შექებისთვის, მაგრამ სათაური მოვიგონე რაგბის რეკლამის მიზნით, ხოლო იმ პოპულარობაზე, როგორიც ამ თამაშს დღეს ჩვენში აქვს, ვერც ვიოცნებებდი:

მართლაც ხომ სასაცილო იქნება, დღეს ვამტკიცო, იმ პერიოდში იმიტომ ვწვალობდი, რომ შემდგომში რაგბი გაბრწყინებულიყო საქართველოშიო. არადა, ჯერაც მოსკოვში ყოფნისას, ღამის თერთმეტის ნახევარზე მოცემულ დარბაზში 2-საათიანი ვარჯიშის შემდეგ, 20 გრადუსიან ყინვაში სხვებთან ერთად გიჟივით მივრბოდი, რომ მიმესწრო მეტროსთვის, რომელიც პირველ საათზე იკეტებოდა.

ანაც თბილისში, 31-ე ქარხნის მიმდებარე სტადიონზე [ახლანდელ "შევარდენზე"] ვარჯიშის შემდეგ ჯერ ტრამვაით, შემდეგ კი ავტობუსით მივემართებოდი მაშინ ჯერ კიდევ აუთვისებელი დიღმის

ტერიტორიაზე, სადაც სხვა ენთუზიასტები მელოდებოდნენ, და სხვა ბევრ წვრილმან თუ სერიოზულ საქმეზეც 24 საათი დავრბოდი.

ზოგიერთი დიდი ხელოვანისგან განსხვავებით, თავს უფლებას ვერ მივცემ, მოვიტანო მაღალ ფარდოვანი შედარება, მაგრამ უბრალოდ კი აღვნიშნავ, რომ იმ მიზეზთა შორის, რის გამოც ჩვენმა ხალხმა ასე გულმხურვალედ მიიღო უცხო თამაში – მთავარი გახლავთ ის გარემოება, რომ რაგბსა და ლელობურთს ერთი ძირი და ფესვი აქვთ: რომ არც მეტი, არც ნაკლები, რაგბი ჩვენი ლელობურთია.

ჩემი უფროსობის დროს დროდადრო ვატარებდით კიდეც შეხვედრებს მორაგბეთა და ლელობურთელთა შორის. შემდეგ მეტადაც დავახლოვდით: 1977 წლის ოქტომბერში გავერთიანდით და ერთი ხანობა ასეც ვიწოდებოდით –"საქართველოს რაგბისა და ლელობურთის ფედერაცია".

იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ დადგება დრო, როცა ლელობურთი მოდერნიზებული სახით წარდგება ქართველი მაყურებლის წინაშე ისევე, როგორც ეს მოხდა ბევრ სხვა – მათ შორის, სარაგბო ქვეყანაშიც [ავსტრალია, ირლანდია, ამერიკა, კანადა] და რაგბთან და ფეხბურთთან ერთად ხალხში დიდი პოპულარობას მოიპოვებს. ამისი თქმის უფლებას მაძლევს დავით კილასონიას მიერ 2013-18 წლებში განეული მუშაობის პირველი შედეგები.

სწორედ ამას ვუმტკიცებდი უწმინდესსა და უნეტარესს – ილია მეორეს, როდესაც მან ჩვენი თხოვნით მიგვიღო და აკურთხა აფხაზეთში დაღუპულ მორაგბეთა მემორიალური ტურნირი.

კათალიკოსი დიდი ინტერესით, ყურადღებითა და რაც მთავარია, სიამოვნებით ისმენდა წინაპარ ლელობურთელთა შესახებ ჩემეულ ვერსიებს, რა მიზეზითაც დაგეგმილი 10-წუთიანი ვიზიტი თითქმის სრულ საათს გაგრძელდა.

კათალიკოსი ყურადღებით ისმენდა ლელობურთის შესახებ ჩემეულ ვერსიებს

3 როგორ მოვხვდი რაგბში

2009 წლის ოქტომბერში მოსკოველმა მორაგბეებმა ზეიმით აღნიშნეს საბჭოთა რაგბის აღორძინების – და არა დაფუძნების – 50 წლის თავი, რომლის სათავეცაა ნახევარი საუკუნით ადრე – 1959 წლის შემოდგომაზე, მოსკოვში ჩატარებული სტუდენტური ტურნირი.

ამასთან დაკავშირებით გამოიცა საღღესასწაულო ბუკლეტი. ამ ალმანახის ორგანიზატორებმა მეც – როგორც მონაწილეს – მთხოვეს, გამეხსენებინა ის წლები. შევასრულე მათი თხოვნა და გავუგზავნე მემუარი ნახევარი საუკუნის წინანდელ მოვლენაზე, რომელმაც დასაბამი მისცა რაგბის განვითარებას საბჭოთა იმპერიაში.

ალმანახში მოთხრობილი იყო საბჭოთა რაგბის იმ პერიოდის თითქმის ყველა თვალსაჩინო მოღვაწესა და მოთამაშეზე. ჩემთვის მეტად სასიამოვნო აღმოჩნდა ის ფაქტი, რომ ბუკლეტი ჩემი სტატიით იხსნებოდა. ქვემოთ წაიკითხავთ ამ წერილის თავისუფალ თარგმანს, რომელიც აგრეთვე ნათელს გახდის, თუ როგორ მოვხვდი რაგბში. ვიდრე ამას იზამდეთ, მინდა გითხრათ, რომ კალათბურთთან დამშვიდობება ჩემთვის მტკივნეული აღმოჩნდა:

მიუხედავად იმისა, რომ არ იყო სპორტის სახეობა, რომელშიც ძალა არ მეცადა, კალათბურთი ჩემი სისხლ-ხორცი იყო – IV კლასიდან მივდევდი ვახტანგ "ჩიფჩიფა" ჯაფარიძის მწვრთნელობით. ვმონაწილეობდი მოსწავლეთა სპარტაკიადაშიც – ოღონდაც, თელავის სახელით: არდადეგებზე ჩასულს იქაურმა ბიჭებმა – გივი მუნჯიშვილმა, გოდერძი შავაძემ, დემნა ყარაულაშვილმა მთხოვეს, გამეძლიერებინა მათი ქალაქის გუნდი.

მოგონება 1959 წლის ტურნირზე

იმხანად ვსწავლობდი მოსკოვის საინჟინრო-ეკონომიკურ ინსტიტუტში და მის გუნდში კალათბურთს ვთამაშობდი. ერთი წარუმატებელი მატჩის შემდეგ ჩემს მეგობარ გოგოსთან, რომელიც თამაშს გულშემატკივრის როლში ესწრებოდა, უკმაყოფილება გამოვთქვი მწვრთნელით და სურვილიც გავამხილე, კალათბურთს თავი უნდა დავანებოო.

გოგომ მომიგო, რომ იცის ანალოგიური შემთხვევა, როდესაც მისმა ერთმა ნაცნობმა ამავე მიზეზით მიატოვა ჰოკეი და წავიდა რეგბში, რომლისგანაც ახლა ჭკუა ეკეტებაო.

ჩემი თხოვნით გოგომ გამიგო ამ ახალგაზრდა კაცის კოორდინატები – იგი აღმოჩნდა იმდროინდელი რეგბის მომავალი ვარსკვლავი სერგეი სელიხოვკინი. დავუკავშირდი მას, მან კი ვარჯიშზე მიმიწვია ლეფორტოვოს პარკში [Лефортовский парк], არმიის სტადიონზე.

ივნისის შუა რიცხვებში მივედი პირველ ვარჯიშზე და გავიცანი როგორც ანატოლი სოროკინი – საბჭოთა რეგბის "მამა", ასევე რეგბის აღორძინების პიონერები: სელიხოვკინი, ანტონოვი, ძმები ნაგოროვები და სხვები. მალე თბილისში გავემგზავრე საზაფხულო არდადეგებზე, რეგბს კი გემო დაბრუნების შემდეგღა, აგვისტოს ბოლოს გავუგე.

ამას ხელი შეუწყო სოროკინსა და ჩემს შორის დამყარებულმა მეგობრულმა ურთიერთობამ. მან, შეიტყო რა ჩემი აქტიური მონაწილეობის შესახებ ინსტიტუტის თვითშემოქმედებაში, შემომთავაზა ჩავბმულიყავი მოსკოვში რეგბის დანერგვის ღონისძიებებში. შემდეგ ისე გამოვიდა, რომ ჩვენი – მოთამაშისა და მწვრთნელის ურთიერთობა – გადაიზარდა ნამდვილ, დიდ მამაკაცურ მეგობრობაში, რომელიც მის გარდაცვალებამდე გაგრძელდა.

ლეფორტოვოს პარკის სტადიონი იყო ერთადერთი ადგილი, სადაც რეგბისტები

ვსწავლობდი მოსკოვის
საინჟინრო-ეკონომიკურ ინსტიტუტში

[ახლანდელ ენაზე – მორაგბეები] ვარჯიშობდნენ. სოროკინი მიეკუთვნებოდა იმ თაობას, რომელიც ამ თამაშს მისდევდა ომამდეც და ომის შემდგომაც, 1950 წლამდე – ვიდრე ხელისუფლებამ რეგბი არ აკრძალა, როგორც სპორტის ბურჟუაზიული სახეობა.*

სახელმწიფომ რეგბისადმი დამოკიდებულება შეცვალა ხრუშჩოვის "დათბობის" პერიოდში. ამას დიდად შეუწყო ხელი 1957 წლის ზაფხულში, მოსკოვში ჩატარებულმა "დემოკრატიული ახალგაზრდობის" მსოფლიო ფესტივალმა, რომლის პროგრამით მოეწყო კიდეც რეგბის ტურნირი უცხოეთის გუნდების მონაწილეობით.

უნდა ითქვას, რომ მას შემდეგ გავიდა ნახევარ საუკუნეზე მეტი; ამ პერიოდში შევესწარი ბევრ გრანდიოზულ ღონისძიებას, მაგრამ მსგავსი იმ სანახაობისა და ადამიანთა თავყრილობისა, როგორიც მაშინ მოსკოვში იყო – აღარსად მინახავს.

მინდოდა დავსწრებოდი რეგბის მატჩს, მაგრამ როდესაც სტადიონზე მივედი ჩემს თანამგზავრებთან ერთად, ტრიბუნები ისე იყო გადავსებული, რომ გადავწყვიტეთ, სხვა ღონისძიებაზე წავსულიყავით. არადა, მაშინაც და შემდგომაც, რეგბი არ ყოფილა საზოგადოების საათანადო ყურადღების საგანი.

მაგალითად მოვიყვან ანეგდოტურ შემთხვევას, როდესაც აქტივისტები მივედით მსხვილ საწარმოში თხოვნით, რომ გაეხსნათ რეგბის სექცია. ერთ-ერთი უფროსი კი დაგვთანხმდა, მაგრამ უმალ შეგვეკითხა, ინსტრუმენტები რამდენი დაგვიჯდებაო. ჩვენ გაკვირვებით გადავხედეთ ერთმანეთს და მივხვდით, რომ ამ კაცმა იფიქრა, მოდაში შემოსული ვოკალურ-ინსტრუმენტული ანსამბლის ჩამოყალიბებას მთხოვენო – "რეგბი" ხომ "რეროსა" და "ორერას" მსგავსად ჟღერდა.

ერთხელაც, ლეფორტოვოს პარკში, სოროკინმა გვამცნო, რომ მოსკოვის გარდა, რეგბის გუნდები ჰყოლიათ მიკოლაივში [უკრაინა] და ვორონეჟში, რის გამოც სტუდენტურ საზოგადოება "ბურევესტნიკს" გადაეწყვიტა, ჩაეტარებინა 4 უმაღლესი სასწავლებლის ტურნირი.

ეს სასწავლებლები იყვნენ: ემვეტეუ [МВТУ] – მოსკოვის უმაღლესი ტექნიკური სასწავლებელი; მაი [МАИ] – მოსკოვის საავიაციო ინსტიტუტი; მიკოლაივის პედაგოგიური ინსტიტუტი და ვორონეჟის სატყეო ინსტიტუტი – ამ ორში გუნდები რუმინელი სტუდენტების თაოსნობით შეექმნათ.

იმ მოთამაშეებიდან, რომელსაც სოროკინი ავარჯიშებდა, უმეტესობა ბაუმა-

* მაშინ და მერეც კარგა ხანს ასე გვეგონა, მაგრამ XXI საუკუნეში კვლევით დადგინდა, რომ რეგბის დახურვის მიზეზი მისსავე წიაღში ყოფილა: ამოტოლა ქვეყანაში გუნდები აღარ დარჩა და თამაშიც, ახალი – ოლიმპიური კუთხით – ყოველმხრივ უპერსპექტივო და ზედმეტი ჩანდა. იხილეთ ლიტერატურა 134-ე გვერდზე: [6'] "უცნობი წარსული"; [28] "Нам нужен регби"

ემვეტეუ 11:11 მაი | 1959 წლის 4 ოქტომბერი

ნის სახელობის ემვეტეუს სტუდენტი იყო, რადგანაც სწორედ ამ ინსტიტუტის ფიზკულტურის კათედრას პირველს ჩამოეყალიბებინა რეგბის გუნდი. ბევრი იყო მაიელი და ჩემნაირიც – სხვა ინსტიტუტებიდან. ამიტომ გადაწყვიტეს, რომ ტურნირზე ემვეტეუს სახელით გამოსულიყო საკუთრივ ამ სასწავლებლის სტუდენტთა ნაკრები, მაის გუნდი კი დაკომლექტებულიყო როგორც ამ, ასევე სხვა ინსტიტუტების სტუდენტებით.

ტურნირი ჩატარდა მოსკოვში, ერთ წრედ – სამ ტურად, 1959 წლის 1-4 ოქტომბერს.

საწყის ორ ტურში [მეტროსტროის სტადიონზე] მოსკოვის გუნდები რიგრიგობით შეხვდნენ ვორონეჟსა და მიკოლაივს. იმის გამო, რომ ამათ რუმინელები ავარჯიშებდნენ, ტურნირის დაწყებამდე ვნერვიულობდით – ამ დროს რუმინეთი უკვე ეტოქებოდა ფრანგებს.

ჩვენი მღელვარება მალე გაქრა, რადგან ემვეტეუმაც და მაიმაც იოლად დაამარცხეს სტუმრები, ბოლოს კი აღელვება ჩემს მწვრთნელსა და მეგობარს მოუხდა, – დასკვნით მატჩში, როდესაც კვირას [ბურევესტნიკის სტადიონზე] ერთმანეთს შეხვდნენ ემვეტეუ და მაი.

ტურნირის დაწყებამდე ვარჯიშებზე ვიყოფოდით ორ გუნდად – ვემზადებოდით რა ტურნირისთვის, ვატარებდით სპარინგებს. სოროკინს სირცხვილი რომ არ ეჭამა ემვეტეუს ხელმძღვანელობის წინაშე, მეტ ყურადღებას თავის გუნდს აქცევდა. ყველაფერი გეგმის მიხედვით მიდიოდა: ემვეტეუ ზედიზედ ამარცხებდა მაის, მაგრამ ტურნირზე ამათივე ორთაბრძოლა სულ სხვა სცენარით წარიმართა.

მართალია, პირველი ლელო* ბაუმანელებმა გაიტანეს და 3:0 დაწინაურდნენ, მაგრამ შემდეგ, ბევრის გასაკვირად, ინიციატივას მაი დაეუფლა დიდი ხნით: უტევდა ორივე ფრთაზე, ათამაშებდა კლასიკურ მარაოებს, აკეთებდა ჯვრებს, იყენებდა ძალისმიერ ილეთებს და ანგარიშიც, თამაშის შესაბამისად, მათ სასარგებლოდ იცვლებოდა – 5:3, 8:3, 11:3

* მაშინდელი წესებით ჯარიმა, არეკნი და ლელოც 3 ქულად ფასობდა.

მაის უპირატესობა იმდენად აშკარა იყო, რომ სოროკინი ძალიანაც აღარ განიცდიდა მოვლენების ასეთ განვითარებას და თითქოს კიდეც შეეგუა ემვეტეუს მარცხს, რადგანაც მაიელებმა და არა მისმა ბაუმანელებმა გააკეთეს ის, რასაც ის ითხოვდა – ეთამაშათ არა ქულებისთვის, არამედ თავიანთი სიამოვნებისთვის.

და მაინც, თამაშის ბოლოს ფორტუნა ემვეტეუს მხარეს აღმოჩნდა – დამთავრებამდე 5 წუთით ადრე ბაუმანელებმა მეტად რთული პოზიციიდან გაიტანეს ჯარიმა 11:6, მერე კი ჩემმა "მფარველმა" სერგეი სელიხოვკინმა მოაწყო ფანტასტიკური ინდივიდუალური გარღვევა და გარდასახით შემდეგ დე-ფაქტო ფინალი ფრედ დასრულდა – 11:11

იმდროინდელი ზოგადი სპორტული დებულების თანახმად, ქულათა ტოლობაზე შედარდა არა გატანილ-გაშვებულის სხვაობა, არამედ შეფარდება – იგი ემვეტეუს უკეთესი აღმოაჩნდა და კიდეც გავიდა პირველ ადგილზე.

მოგება და წაგება ტყუპი ძმები არიან. იმ საღამოსვე შედგა პირველი რეგბული "მესამე ტაიმიც". ის ჩატარდა სუფთა, მყუდრო სამწვადე "ელბრუსში", რომელიც მოსკოვის ცენტრში, გორკის ქუჩის სიახლოვეს მდებარეობდა.

ბოლოს დავუმატებ: დღევანდელმა თაობამ არ უნდა დაივიწყოს, რომ ამ ორი გუნდის მეტოქეობამ დიდად შეუწყო ხელი რეგბის განვითარებას საბჭოთა კავშირში. იგი დაიწყო სწორედ ამ ტურნირზე და ამ მატჩით.

***

საიუბილეო ბუკლეტში ჩემს სტატიას ერთვის ამონაჭერი 1960 წლის იანვრის გაზეთ "სოვეტსკი სპორტიდან", რომელსაც შემდეგ ქვეთავში გაეცნობით.

მასში იტყობინებიან, რომ შარშან შემოდგომაზე ჩატარდა აღორძინებული რაგბის პირველი საქალაქთაშორისო მატჩი, და რომ "ბურევესტნიკთან" შეიქმნა "რეგბის სექციის ორგ-ბიურო" – რაგბის მმართველი პირველი ოფიციალური ორგანო.

РЕГБИ

НА СТАДИОНЕ «Метростой» проходит турнир по регби. В нем принимают участие команды вузов: Воронежского лесотехнического института, Николаевского педагогического, МВТУ имени Баумана и МАИ. Завтра — последний день соревнований. Встретятся команды московских вузов, а также Воронежского и Николаевского институтов. Воскресные игры проводятся на стадионе «Буревестник» с 14 ч.

СТУДЕНТОВ-РЕГБИСТОВ принимал вчера стадион «Буревестник». Эта осень явилась как бы вторым рождением регби в Москве. И заслуга в этом принадлежит студентам. Вчера закончился продолжавшийся несколько дней турнир четырех студенческих команд — Николаевского и Воронежского институтов, а также двух московских вузов — МВТУ имени Баумана и Авиационного института.

К последнему дню турнира москвичи пришли с одинаковым количеством очков. Их встреча должна была выявить победителя. Первая половина игры закончилась со счетом 5 : 3 в пользу студентов Авиационного института. После отдыха они сумели довести счет до 11 : 3, однако преимущества не удержали. Их соперники добились ничейного результата — 11 : 11 и по соотношению забитых и пропущенных мячей вышли победителями турнира.

Приз газеты «Московский комсомолец», присуждаемый лучшему игроку турнира, получил студент 5-го курса МВТУ имени Баумана С. Селиховкин.

1959 | სტუდენტური ტურნირი				
01/10	მაი	12: 3	ვორონეჟი	
	ემვეტეუ	12: 3	მიკოლაივი	
02/10	მაი	17: 9	მიკოლაივი	
	ემვეტეუ	9: 3	ვორონეჟი	
04/10	მიკოლაივი	6: 0	ვორონეჟი	
	ემვეტეუ	11:11	მაი	

#	მოსკოვი	ქ	მ-ნ*ფ	გატ:გაშ	/
1	ემვეტეუ	5	2-0*1	32:17	1.88
2	მაი	5	2-0*1	40:23	1.74
3	მიკოლაივი	2	1-2	18:29	0.62
4	ვორონეჟი	0	0-3	6:27	0.22

შარშან მოსკოვის მწვანე მინდვრებზე გაიელვა ოვალურმა ბურთმა. დედაქალაქელმა სტუდენტებმა ქალაქში პირველებმა დაიწყეს რეგბის – დაუმსახურებლად მივიწყებული შესანიშნავი თამაშის აღორძინება. შემოდგომაზე ჩატარდა პირველი საქალაქთაშორისო მატჩიც.

ახლა თუმც გაგანია სპორტული ზამთარია, სტუდენტი რეგბისტები უკვე ახალ სეზონზე ფიქრობენ.

ამას წინეებზე "ბურევესტნიკის" მოსკოვის საქალაქო საბჭოში შეიქმნა რეგბის სექციის ორგ-ბიურო. ამ საზოგადოებრივ ორგანიზაციაში შევიდნენ სტუდენტები: ნაგოროვი [ემვეტეუ], კოროლიოვი [მაი], მრელაშვილი [საინჟინრო-ეკონომიკური ინსტიტუტი], მიშჩენკო [ქიმიური მანქანათ-მშენებლობის ინსტიტუტი], ემვეტეუს რეგბის მწვრთნელი სოროკინი და სხვები. ორგ-ბიურომ გადაწყვიტა, უკვე თებერვალში ჩაატაროს რეგბის "საზოგადოებრივი ინსტრუქტორების" სემინარი.

მოსკოველ სტუდენტ-რეგბისტთა მომავალი სეზონი საინტერესო იქნება. მაისში ჩატარდება "სეზონის გახსნის პრიზის" გათამაშება, ხოლო მაის-ივნისში "ბურევესტნიკის" საქალაქო საბჭო გამართავს სტუდენტური გუნდების შეჯიბრებას.

მოსკოველმა სტუდენტებმა გადაწყვიტეს, შესთავაზონ მიკოლაიველ და ვორონეჟელ "მეგობარ მეტოქეებს", რათა მათი მატჩი ტრადიციული გახდეს. მორიგი შეჯიბრის ჩატარება მიკოლაივში იგეგმება.

მოსკოველი რეგბისტები მიიღებენ მონაწილეობას საკავშირო სტუდენტურ შეჯიბრებებში და პროფკავშირთა ჩემპიონატშიც.

***

თავის დროზე ძალიან გამიხარდა, როცა ეს ამონაჭერი ინსტიტუტის კედლის გაზეთში მოხვდა, ზემოდან დიდი, სტუდენტური, ფეტიშური წარწერით: "ვივა, მრელაშვილი" – რახან ჩემი გვარი და ინსტიტუტი იყო შიგ მოხსენიებული.

ДРУЗЬЯ ОВАЛЬНОГО МЯЧА

В ПРОШЛОМ году над зелеными полями московских стадионов замелькал овальный мяч. Столичные студенты первыми в городе возродили регби—незаслуженно забытую увлекательную игру. Осенью состоялся первый междугородний матч по регби.

Сейчас в разгаре спортивная зима, а студенты-регбисты уже думают о новом сезоне. Недавно при городском совете общества «Буревестник» создано оргбюро секции регби. В состав этого общественного органа вошли: студенты Нагоров (МВТУ), Королев (МАИ), Мрелашвили (инженерно-экономический институт), Мищенко (институт химического машиностроения), тренер МВТУ по регби Сорокин и другие. Оргбюро решило уже в феврале провести семинар инструкторов-общественников регби.

Сезон московских студентов-регбистов обещает быть интересным. В мае состоится розыгрыш приза открытия сезона, а в мае-июне городской совет «Буревестника» проводит первенство студенческих команд.

Московские студенты решили предложить своим друзьям-соперникам из Николаева и Воронежа сделать матч городов традиционным. Очередную встречу намечено провести в Николаеве.

Регбисты Москвы примут участие во всесоюзных студенческих соревнованиях, а также в чемпионате профсоюзов.

4 მეგობრობა სოროკინთან

ანატოლი სოროკინი, შემდგომში "საბჭოთა რაგბის მამად" წოდებული, ძველი თაობის იმ მცირე რიცხოვან ჯგუფს ედგა სათავეში, რომელიც 1950 წლიდან მოყოლებული – როდესაც სპორტის უფროსობამ რაგბი უჩუმრად დახურა – 8 წლის განმავლობაში იბრძოდა ამ თამაშისთვის "მოქალაქეობის" აღსადგენად.

სწორედ ამ ჯგუფის დამსახურება იყო, როცა ოფიციოზმა "რაგბის წყალში" ფრთხილად შესვლა მეორედაც გადაწყვიტა და დათანხმდა მოსკოვის 1957 წლის საერთაშორისო ფესტივალის პროგრამაში რაგბის შეტანას – აგერ, რა კეთილად ვიცვალეთ სახეო.

ამ უდიდეს, საბჭოთა ქვეყნისთვის მანამდე არნახული მასშტაბის ღონისძიებაში – მოსკოვს 131 ქვეყნიდან ეწვია 34 ათასი სტუმარი – რაგბის ჩართვა სოროკინის პირადი დამსახურება იყო, ისე კი, სიტყვამ მოიტანა და აქვე ვთქვათ, რომ მაშინვე შედგა კიდევ რამდენიმე არა-ოლიმპიური სახეობის: პინგ-პონგის, ბადმინტონის, 11-კაცა ხელბურთისა და [სპორტული] მშვილდოსნობის პრეზენტაციაც.

სტალინის გარდაცვალების [1953] შემდეგ, რეჟიმის შერბილების წყალობით, სოროკინს ინტენსიური მიმოწერა გაეჩაღებინა სამოყვარულო რაგბის საერთაშორისო ფედერაციის [ფირა | FIRA] ფრანგ პრეზიდენტთან – რენე კრაბოსთან, რომელიც კომუნისტიც იყო და ამ მოძღვრების "ადამიანური იერის" თაყვანის მცემელიც.

კრაბომ, სოროკინის ბევრი ჩიჩინის შემდეგ, ოფიციალური მოთხოვნა ხომ გაუგზავნა ფესტივალის ორგანიზატორებს პროგრამაში რაგბის შეტანის თაობაზე და იმის შიშით, რომ უარს მიიღებდა საბჭოთა ხელისუფლებისგან – პირადად ნიკიტა ხრუშჩოვსაც მისწერა.

მესიე კრაბო ფრანგულ რაგბს 10 წელი [1952-62] თავკაცობდა, მანამდე კი გამოჩენილი მოთამაშე იყო. თავად საფრანგეთი – რაგბის ზვიად სამშობლოსთან შერიგების შემდეგაც ცდას არ აკლებ-

და, ბრიტანეთის თანამეგობრობის გარეთ დარჩენილი ქვეყნების მეურვე და მფარველი ძველებურად ყოფილიყო. ასე რომ, მსოფლიოს სარაგბო ოჯახის ეს ნაწილი მის იდეებს გულმხურვალედ იზიარებდა.

ახლა ცოტას თუ მოეხსენება, რომ ეს წლები იყო პროფესიული და სამოყვარულო სპორტების უაღრესი დაპირისპირების პერიოდი. აქ მხოლოდ სპორტზე არ იყო დავა; ეს იყო ექო იმ დიდი პოლიტიკური ძვრებისა, როდესაც ევროპა სოციალისტურ წეს-წყობილებაზე გადასვლას ლამობდა, მასში კი სპორტი უნდა ყოფილიყო ადამიანთა გასართობი და არა – პროფესიული დასაქმების სფერო.

რენე კრაბო, როგორც კომუნისტი, ამ იდეების ერთგული მხარდამჭერი და ცხოვრებაში გამტარებელი იყო. მისი პოზიცია კარგად უწყოდა საბჭოთა ხელმძღვანელობამ. შეიძლება ითქვას, რომ კრაბოს პიროვნებამ გადამწყვეტი როლი ითამაშა როგორც მოსკოვის ფესტივალის პროგრამაში რაგბის შეტანაში, ასევე ამ თამაშის მიმართ ხელისუფლების პოზიციის რადიკალურ ცვლილებაში.

მიუხედავად იმისა, რომ ფესტივალის პროგრამა გადატვირთული იყო სხვადასხვა სპორტული თუ კულტურული ღონისძიებით, 4 უცხო ქვეყნის რაგბის ტურ-

ნირმა მაინც გამოიწვია მოსკოველთა ცხოველი დაინტერესება.

საფრანგეთმა პროფკავშირული გუნდი მოავლინა; უელსმა – სახელოვანი კლუბი "ჰლანეჰლი"; რუმინეთმა და ჩეხოსლოვაკიამ – მთლად ნაღდი ნაკრებები და ფესტივალის მატჩი ტესტადაც ჩაითვალეს, თამაშები კი მომცრო არენებზე რომ იმართებოდა, ტრიბუნებზე ნემსი არ ჩავარდებოდა და მოსეირეები ანძებზეც კი ადიოდნენ.

მოვლენების შემდგომმა მსვლელობამ დაგვანახა, რომ ფესტივალზე რაგბის ტრიუმფის მიუხედავად, საბჭოთა სპორტის უფროსობამ დანაპირები არ შეასრულა: არც რაგბის ოფიციალური ორგანო დაუფუძნებია იმავე წელს, და აღარც 1958 წელს გაუმართავს სემინარი და ტურნირი – იგრძნობოდა, რომ ხელისუფლება რაგბის სასიკეთოდ ნაბიჯის გადადგმას არა ჩქარობდა.

სახელმწიფომ, როგორც სჩვეოდა, ჯერ ნიადაგი მოსინჯა – სოროკინს შეპარვითა და ფრთხილად დართო ნება, მოსკოვის უმაღლეს ტექნიკურ სასწავლებელში [ემვეტეუ | MBTY] გაეწვრთნა მსურველები. ეს 1959 წლის დასაწყისშიღა მოხდა.

სოროკინს სტუდენტობამ ღირსეულად აუბა მხარი – ემვეტეუ მაშინაც ითვლებოდა და დღესაც ითვლება მეცნიერების სამჭედლოდ და ინოვაციურ ინსტიტუტად. აი, ამ დროს მივედი მეც გუნდში.

სოროკინმა პირველივე ვარჯიშის შემდეგ ისურვა ჩემთან ერთად გასეირნება; სეირნობა მასთან სახლში მისვლით გაგრძელდა და ღამის 12 საათის შემდეგღა, მისი მშობლების დაჟინებული თხოვნის შედეგად დასრულდა – ნუ დატანჯე ადამიანიო.

ამ ხნის განმავლობაში ვსაუბრობდით რაგბზე – თუ შეიძლება საუბარი ეწოდოს ორი ადამიანის დიალოგს, რომლის 90%

მოსეირეები ანძებზეც კი ადიოდნენ | მოსკოვის 1957 წლის ფესტივალი

მოდიოდა ერთ პიროვნებაზე – სოროკინზე. მას სიმპათიური გარეგნობა ჰქონდა, მაგრამ რაგბზე საუბრისას ჭროღა თვალები ისე გამალებით დაურბოდა აქეთ-იქით და ისეთი პატეთიკით ისროდა სიტყვებს, თითქოს საუბარი სახელმწიფო გადატრიალებას ან რევოლუციას შეეხებოდა და არა – ბურთის თამაშს.

სოროკინი ჩემზე 14 წლით უფროსი კი იყო, მაგრამ მე ადამიანებთან – მათ შორის, უფროსებთანაც – ურთიერთობის უკვე დიდი გამოცდილება მქონდა.

ის მოვაგროვე ჯერ კიდევ თბილისის პიონერთა სასახლეში, სადაც V კლასიდან დავდიოდი ლიტერატურულ წრეზე უმშვენიერეს პედაგოგ ნინო კაკაბაძესთან, და სადაც ჩემზე ბევრად უფროსებთან ვმეცადინეობდი.

მქონდა ვარანცოვ-პლეხანოვის ბირჟაზე დგომის ერთწლიანი უტყვეტი სტაჟი; გამოვლილი მქონდა თბილისური ეზოს სკოლაც, სადაც ვცხოვრობდი ატმოსფეროში, რომელშიც ასაკს არავითარი მნიშვნელობა არა ჰქონდა, და სადაც აივნის მეზობლებად 20 ოჯახი მყავდა:

მათ შორის იყვნენ ცნობილი და სახელოვანი პიროვნებები – ცისფერ ყანწელი კოლაუ ნადირაძე; პოეტი და მეცნიერი ზაქარია შერაზადიშვილი; მსახიობი ვახტანგ ნინუა; მოჭადრაკე ელისო "ცირუ" კაკაბაძე.

ამასთან ვთვლი, რომ ბედმა გამიღიმა, როცა მოსკოვში ოთახი დავიქირავე კომუნალურ ბინაში, სადაც ჩემს გარდა ცხოვრობდა 8 მარტოხელა მოხუცი ქალბატონი – "ბაბუშკები", რუსეთის ელიტარული ინტელიგენციის წარმომადგენლების ყოფილი მეუღლეები, რომელთაგან ზოგს ქმარი დაუხვრიტეს, და ზოგისამაც გადასახლებაში დალია სული.

ამ ქალბატონებთან ურთიერთობით ძალიან ბევრი რამ ვისწავლე – თან ისე, რომ რასაც მაშინ ყურადღებას არ ვაქცევდი, მხოლოდ გარკვეული დროის შემდეგ ვიგებდი და ვითავისებდი მცირე დოზებით, მთელი ცხოვრების მანძილზე.

გარდა ამისა, აქტიურად ვმონაწილეობდი ინსტიტუტის თვითშემოქმედებით ღონისძიებებში და ვიყავი სხვადასხვა კონცერტისა თუ "კაპუსტნიკის" [სახელდახელო შინაური წარმოდგენის] მოთავე.

გახლდით ფაკულტეტის პროფკომიც. ასე რომ, რაგბში მოვედი "ბებრულ" ასაკში – სოროკინთან შეხვედრისას უკვე კარგად მომზადებული ვიყავი. იმ 5 თუ 6 საათიანმა საუბარმა დასაბამი დაუდო სოროკინსა და ჩემს შორის დამყარებულ ურთიერთობას, რომელსაც კაცური მეგობრობა ეწოდება, და რომელიც გაგრძელდა სოროკინის გარდაცვალებამდე [მგონი, ეს უკვე ვთქვი მე-9 გვერდზე]

იმ დღეს, სახლში დაბრუნებული მთელი ღამე ვკითხულობდი მის მიერ მოცემულ "რაგბი ფუთბოლის" ისტორიას – რამდენჯერმე გადავიკითხე სრულად. დილას ჩემმა დიასახლისმა ელიზავეტა მიხაილოვნამ ფრთხილად გამაღვიძა, ადექი, ინსტიტუტში დაგაგვიანდებაო და იმითაც დაინტერესდა, მთელი ღამე სინათლე გენთო, ნეტავ რას კითხულობდი ასე საინტერესოსო.

იმ დილას ვიგრძენი – თითქოს სხეულის ყველა ნაწილს რაღაც ახალი ენერგია შეემატა. ერთი სიტყვით, დავიძინე ჩვეულებრივმა მოკვდავმა და გავიღვიძე ჩამოყალიბებულმა რაგბის ენთუზიასტმა: სხვა ყველაფერმა – კაპუსტნიკებმა, თვითშემოქმედებამ, კალათბურთმა და მისთანებმა ჩემს გონებაში ადგილი რაგბს დაუთმო – მთლად თუ არა, უმეტეს წილად მაინც.

დილას, ჩემს დიასახლისთან ტრადიციული ჩაის სმის დროს, რაგბის თემაზე გავიხსენეთ ძველი კინოები – კომედია "გლადიატორი", მელოდრამა "შურისძიების სკოლა". მან მითხრა, რომ საზღვარგარეთ მეტად პოპულარულია რომანი "ლედი ჩატერლეის საყვარელი", რომლის ეპოპეა რაგბის საგრაფოში ვითარდება.

დესერტად აღმოვაჩინე, რომ რაგბის ისტორია ჩემს საყვარელ ისტორიულ პიროვნებასთან – ნაპოლეონ ბონაპარტთან და მის მიერ წაგებულ ვატერლოოს ბრძოლასთან ყოფილა დაკავშირებული, რამაც განმიმტკიცა გადაწყვეტილება რაგბის სასარგებლოდ.

როგორც წავიკითხე, ვილიამ ვებ ელისმა რაგბის სათავის დამდები ისტორიული

გარბენი მშობლიურ ქალაქში შეასრულა 1823 წელს* – ვატერლოოში ინგლისელთა გამარჯვების მორიგი წლის თავის დღესასწაულობაზე.

ამ დღის შემდეგ მე და ანატოლი თითქმის ყოველდღე ვხვდებოდით ერთმანეთს, ხოლო როგორც კი დათბა და მისი მშობლები გაემგზავრნენ თავიანთ სანატრელ აგარაკზე, ფაქტიურად გადავსახლდი მის ბინაში.

ჩემი და სოროკინის მუსიკალური, ლიტერატურული და სახელოვნებო გემოვნება; კაცობისა თუ ქალსა და კაცს შორის ურთიერთობის ფილოსოფიის მარტივად აღქმა, რომ კაცი უნდა იყოს კაცი, ქალი კი – ქალი, და სხვა ბევრი წვრილმანიც ისეთ ურთიერთ სინქრონში მოდიოდა, რომ ძალიან მალე, მისივე დაჟინებული მოთხოვნით, ძმებად შევრაცხეთ ერთმანეთი, ამისთვის საჭირო ყველა რიტუალის დაცვით. ამის შემდეგ, მთელი ცხოვრების განმავლობაში, იგი ძმას მეძახოდა და იგივეს ითხოვდა ჩემგან.

სოროკინთან ურთიერთობაზე იმიტომ ვამახვილებ ყურადღებას, რომ ამ ადამიანმა რაგბი გახადა ჩემს მთავარ საფიქრალად და საოცნებოდ. აქვე წინმსწრებად შევნიშნავ, რომ მას შემდეგ, რაც მან რაგბს თავი დაანება და მეც ამასვე მთხოვდა, კიდევ დიდი ხანი ვერ მოვეშვი საქმეს. სოროკინმა მოკლე პერიოდში თავის გარშემო ენთუზიასტთა დიდი არმია შეკრიბა; მათ სისტემატურად ხვდებოდა, საღამოს კი მისი ტელეფონი საერთოდ არ ჩერდებოდა – საათობით ესაუბრებოდა ენთუზიასტებს.

დედამისი – უკეთილშობილესი ქალბატონი ანა ალეკსეევნა, შვილთან რომ ვერაფერს ხდებოდა, როგორც კი დროს მოიხელთებდა და დამიმარტოხელებდა – მთხოვდა და მეხვეწებოდა: გადაეცი, რაც გინდა, ის აკეთე, ოღონდ ცოლი მოიყვანეთქო.

* ვაგლახ, რომ ეს ლეგენდაც კარგა ხანია გაქარწყლდა, მაგრამ ჩვენს დროშიც საკმაოდაა ფეხ-მოკიდებული ქვეყნებში, სადაც რაგბი შედარებით ახალი ხილია და ხალხს "ფეხბურთის უმცროსი ძმა" ჰგონია.

მაშინ [1958 წელს] ანატოლი 35 წლის ბერბიჭა იყო. მე, რა თქმა უნდა, დედამისის თხოვნას ვასრულებდი, მაგრამ წინასწარ ვიცოდი, რომ დოსტი ჩემს რჩევას ერთი ყურიდან მეორეში გაატარებდა.

მისი რაგბით გატაცება კარგად მესმოდა: ეგრეა, როცა 24 საათი მხოლოდ მასზე ფიქრობ და არა – ოჯახზე, კარიერაზე, სხვა არაფერზე, და მხოლოდ რაგბზე. მოვიპოვეთ მოსკოვის ინსტიტუტებისა და საწარმოების ჩამონათვალი, გრაფიკი შევადგინეთ და სხვა ენთუზიასტებთან ერთად, დავიწყეთ ხალხში სიარული.

1957	ახალგაზრდობის ფესტივალი		
31/07	უელსი	35: 9	ჩეხოსლოვაკ
02/08	რუმინეთი	6: 6	უელსი
04/08	საფრანგეთი	38:19	ჩეხოსლოვაკ
	საფრანგეთი მოიხსნა		
06/08	რუმინეთი	12:11	ჩეხოსლოვაკ

#	ერთ წრედ	ქ	მ-წ*ფ	გატ:გაშ	სხვ
1	უელსი	3	1-0*1	41:15	+26
1	რუმინეთი	3	1-0*1	18:17	+1
3	საფრანგეთი	2	1-0	38:19	+19
4	ჩეხოსლოვაკ	0	0-3	39:85	-46
	დამატებითი მატჩი ჩემპიონის გამოსავლენად				
08/08	რუმინეთი	6: 3	უელსი		

სოროკინი აგროვებდა ამონაჭრებს სხვადასხვა უცხოური ნაბეჭდი წყაროდან, ათარგმნინებდა და ამ სარაგბო ლიტერატურას ურიგებდა ყველას, ვისთანაც დაგეგმილი ვიზიტით მიდიოდა. ამ ვიზიტების უმეტესობაში მეც ვმონაწილეობდი და ერთი სიურპრიზიც კი მოვუწყვე "ძმას".

რაგბის პირველი ოფიციალური ორგანოს დამფუძნებელ ყრილობაზე გადავწყვიტეთ, რომ ზაფხულს არ დავლოდებოდით და ზამთარშივე ჩაგვეტარებინა მოსკოვის პირველობა – ჩვენთანაცა და უცხოეთშიც გახმაურებულ "თოვლის რაგბში".

ყველასათვის მოულოდნელად, ამ შეჯიბრებაზე გამოვიყვანე ჩემი ინსტიტუტის გუნდი, რომელიც სახელდახელოდ დავაკომპლექტე თვითშემოქმედების ბიჭებისგან: მომღერლებისგან და ძალზედ არაპროფესიონალი, ოღონდაც ინსტიტუტში უკვე ძალზედ პოპულარული ჯაზბენდისგან. ამან ანატოლისა და მისი წრის გაოცება და აღტაცება გამოიწვია.

მართალია, ტურნირში ჩაბმულ 6 გუნდში ჩვენი ბოლო ადგილზე დარჩა, მაგრამ თუ შევადარებთ ჩემს პატარა ინსტიტუტს გიგანტ მეტოქეებს: ემვეტეუს, მაის, მეის, ტრუდსა და ხიმკის – თვით ფაქტი მონაწილეობისა სტიმული გახდა სხვა ენთუზიასტებისთვის, რომ თავიანთ ორგანიზაციებში და ადგილებზე შეექმნათ გუნდები.

წინა თავში ნახსენები ორგ-ბიუროს ჩამოყალიბებასაც რაგბის მიმდევრები სოროკინს უნდა უმადლოდნენ, და ეგებ უფრო მეტადაც – იმავე რენე კრაბოს, რომელმაც მოსკოვში დელეგაცია მოავლინა.

საფრანგეთიდან ჩამოვიდნენ ფირას გენერალური მდივანი ჟან სიუპერვიეი, მთავარი ფინანსისტი ეჟენ ბარბო და კიდევ სამი მაღალ-ჩინოსანი. მათ ჩამოიტანეს წერილი სპორტის მინისტრის სახელზე, რომ ფირა მზადაა, საბჭოთა კავშირი წევრად მიიღოსო.

ამ დიდი საქმის აღსანიშნავად სოროკინმა ფირას ემისრებს თავის ბინაში მეფური დახვედრა მოუწყო – რესტორან "არაგვიდან" მოტანილი ქართული პურმარილით დაწყებული, სომხურ რესტორან "არარატიდან" მოწვეული საზანდარის დამკვრელებით დამთავრებული.

ქეიფმა დილამდე გასტანა. ფრანგები ჩვენი სპორტის ხელმძღვანელობის მიერ დაიმედებულნი დაბრუნდნენ უკან. მალე სოროკინმა მიიღო კრაბოს სამადლობელი წერილი, სადაც ჰპირდებოდა, შემდეგში თავად ჩამოვალო.

მათი წასვლიდან მეორე თუ მესამე დღეს სოროკინს სპორტ-კავშირიდან დაურეკეს და უთხრეს, რომ რაგბის შესახებ თავმჯდომარემ დავალებები გასცა – ამიტომ მიაკითხე სტუდენტურ "ბურევესტნიკსა" და პროფკავშირებსო. ყინული გალღვა. მალე, 1959 წლის დეკემბერში, "ბურევესტნიკის" საქალაქო საბჭოს შენობაში შედგა დამფუძნებელი ყრილობა, რომელმაც აირჩია კიდეც ზემოთ ხსენებული ორგ-ბიურო.

1960 წლისთვის "ბურევესტნიკმა" დაგეგმა სტუდენტების საკავშირო ჩემპიონატი, პროფკავშირმა კი, მწვრთნელებისთვის – არნახულად მასშტაბური: 60 კაციანი და 2-კვირიანი სემინარი, თანაც შავი ზღვის პირა კურორტ ადლერში. შეგვპირდნენ გუნდის გაშვებასაც ვარშავაში, საერთაშორისო ტურნირზე. ყველა ამ ღონისძიების ხარჯს სახელმწიფო იღებდა თავის თავზე.

ფრანგებმა მოსკოვში ვიზიტისას ჩამოგვიტანეს სახელმძღვანელოები და გაზეთ "რიუღბის" [Rugby] ნომრები; ამათგან ერთი სსრკ-ის სხვადასხვა რეგიონში რაგბის წარმოშობასა და განვითარებას ეძღვნებოდა. მასში ებეჭდა სტატია სოროკინზე, თანაც ფრთიანი ლათინური სათაურით, და ღაღადებდა ალალ სიმართლეს:

სოროკინი არისო საბჭოთა რაგბის "დეუს ექს მახინა" [Deus ex machina] – ღმერთ-კაცი: ციური განგებით მოვლენილი პიროვნება, რომელმაც გადაჭრა პრობლემა, ესე იგი, რომ არ ყოფილიყო სოროკინი – ამ ქვეყანაში არც რაგბი იარსებებდაო.

სოროკინზე კიდევ მინდა მკითხველის ყურადღება შევაჩერო სხვა გარემოების გამო – ანატოლი უზომოდ იყო შეყვარე-

ბული საქართველოზე: ის, რომ თბილისი გახდა ჯერ პროფკავშირთა [1963], შემდეგ პირველი საკავშირო ჩემპიონატის ფინალის [1966], ბოლოს კი ფრანგ მასწავლებელთა [1967] მასპინძელი ქალაქიც – მისი დამსახურება იყო. სოროკინმა ზედმიწევნით იცოდა ქართული ადათ-წესები; ზეპირად – რუსი პოეტების ლექსები საქართველოზე, და ჩინებულადაც თამადობდა.

ანატოლი ხშირად სტუმრობდა საქართველოს და უნიკალური კოლექციაც ჰქონდა – ღირსშესანიშნაობათა ასეულობით ფოტო გადაეღო.

მის მოსკოვურ ბინაში, ტაგანკაზე, იწერებოდა უკიდეგანო იმპერიაში ახლად დანერგილი თამაშის სამომავლო პროგრამა. უკვე ვთქვი და გავიმეორებ, რომ შევადგინეთ ორგანიზაციებში ვიზიტების გრაფიკი. ჰოდა, დავდიოდით რამოდენიმე ათეული ენთუზიასტი.

ანატოლი, რა თქმა უნდა, ყველაზე მეტად აქტიურობდა და ხშირადაც მთხოვდა, მასთან ერთად წავსულიყავი – ხუმრობდა, კარგი ფეხი გაქვსო.

დავიწყეთ ფიქრი იმაზეც, რომ მოსკოვით არ შემოიფარგლება ეს უზარმაზარი ქვეყანა – სახელად "საბჭოთა კავშირი" და ეგეც გადავწყვიტეთ, რომ რეგიონებთან კონტაქტი უფრო შედეგიანი გახდებოდა მას შემდეგ, რაც ჩატარდებოდა მწვრთნელთა და მსაჯთა საკავშირო სემინარი, რომელზედაც ადლერში ველოდებოდით წარმომადგენლებს საბჭოთა კავშირის ყველა კუთხიდან, მათ შორის – საქართველოდან.

სოროკინი თავიდან "სამიზდატურ" ლიტერატურას ურიგებდა ხალხს,
რაგბის აღიარების კვალად კი სახელმძღვანელო ორჯერ გამოსცა ოფიციალური არხებით

5 პირველი საკავშირო სემინარი

ადლერის სპორტულ-გამაჯანსაღებელი ბაზა მაშინ საუკეთესო იყო მთელ საბჭოთა კავშირში. მასზე მორაგბეთა შეშვება და საკმაოდ ღირებული სემინარის ჩატარება ნიშანი იყო იმისა, რომ ხელისუფლება რაგბის დასანერგად მორალურად მზად იყო.

არადა, სოროკინის მიერ წარდგენილი დადგენილების პროექტი – "რაგბის განვითარების ღონისძიებები საბჭოთა კავშირში" წელიწადზე მეტია განუხილავად ედო თაროზე და ენთუზიასტებსაც წინადადებებზე რებუსებით გვპასუხობდა.

სპორტის მაღალი წრეებიდან გამოსული ჭორების თანახმად, ამის მიზეზი ის იყო, რომ ამ წრეებშიც და ზოგადად ხელისუფლებაშიც, რაგბის დანერგვის მომხრეებს კვლავ უპირისპირდებოდნენ მოწინააღმდეგეები – უმეტესად ძველი, "შეშის თავა" ბიუროკრატები, რომლებიც თვლიდნენ, რომ რაგბი გარყვნიდა [!] ახალგაზრდობას.

წინმსწრებად აღვნიშნავ, რომ ამ მიზეზით ღონისძიებათა ვადები, რომლებიც განსაზღვრული იყო სოროკინის პროგრამით, ყოველთვის ირღვეოდა: საკავშირო ჩემპიონატი, რომელიც უნდა ჩატარებულიყო 1961 წელს, 1966 წელსღა გაიმართა; საკავშირო ფედერაციის დამფუძნებელი ყრილობა 1960 წლის ნაცვლად 1967 წელს ჩატარდა, პირველი საერთაშორისო ტურნირი კი 1962 წლის მაგივრად 12 წლის დაგვიანებით – 1974 წელსღა მოეწყო.

დავუბრუნდეთ ადლერის სემინარს. მასზე იმიტომ ვამახვილებ ყურადღებას, რომ აქ შეკრებილმა ენთუზიასტებმა შექმნეს რაგბის განვითარების მთავარი, ინტელექტუალური ბაზისი, რომელმაც დასაბამი მისცა თამაშის სწრაფ გავრცელებას მთელ საბჭოთა კავშირში. სწორედ "ადლერელები" გახდნენ რაგბის კერების შექმნის ინიციატორები მოსკოვში, ლენინგრადში, რუსეთის ქალაქებში, ლატვიაში, ლიტვაში, უკრაინასა და ყაზახეთში.

ახლა რაც შეეხება საქართველოს! რადგან ვიყავი წევრი ახლად შექმნილი ორგ-ბიუროსი და თანაც ქართველი, სიმბოლურად დამავალეს კურატორობა გამეწია როგორც საქართველოში, ასევე ამიერკავკასიაში რაგბის განვითარებისათვის. აქ სიტყვა "კურატორობა" ხმამაღლაა ნათქვამი, რადგან მთელ ორგ-ბიუროს არანაირი უფლება ან ბერკეტი არ გაგვაჩნდა – ყველაფერი ადგილობრივთა ენთუზიაზმზე იყო დამოკიდებული.

ჩემი ხათრით, ადლერის სემინარზე საქართველოს გამოუყვეს 5 ადგილი და საკავშირო პროფკავშირებიდან დააგზავნეს წერილები რესპუბლიკის სხვადასხვა სპორტულ უწყებაში. ერთი, რაც გავაკეთე იმ, 1960 წლის იანვარში, ის იყო, რომ როდესაც რამდენიმე დღით თბილისში ჩამოვედი არდადეგებზე, მივაკითხე წერილის ადრესატებს – რესპუბლიკურსა და საქალაქო კომიტეტებს, საზოგადოებებს "ქარიშხალას" [ბურევესტნიკი] და "სპარტაკს".

შევხვდი ვახტანგ ჟღენტს, რომელიც სპორტის სფეროში მუშაობდა და ჩვენი ოჯახის ახლობელიც იყო. მაშინ იგი საზოგადოება "კოლმეურნეს" თავმჯდომარეობდა. ჟღენტისგან მივიღე თანხმობა, რომ სემინარზე ლელობურთელებს მაინც გამოაგზავნიდა – ყველა ხარჯს, გარდა გზისა, "ცენტრი" კისრულობდა.

სემინარის დაწყების წინ, როცა ამოიწურა განაცხადის მიღების ვადა, ხოლო საქართველოდან არანაირი გამოხმაურება არ მოსულა – იოლად, პირდაპირი კაბელით, ნომრის წინ ერთიანის [1] აღებით სათითაოდ დავრეკე ყველა ხსენებულ ორგანიზაციაში და ყველამ ერთი და იგივე მიპასუხა, მსურველი არ გამოჩნდაო.

დავურეკე ჟღენტს: შევახსენე დაპირება ჩოხატაურელ ლელობურთელებზე; ვთხოვე, რომელიმე მათგანისთვის ბილეთი აეღო და ადლერში გამოეგზავნა – ეს საქმე სულ რაღაც თუმანი [10 მანეთი] დაუჯდებოდა. ბატონ ვახტანგს მაშინაც და მერეც უდიდეს პატივს ვცემდი. ამიტომ დავიჯერე მისი სიტყვები: რა ვქნა, გივი, სპეციალურად გავაგზავნე კაცი ჩოხატაურში, მაგრამ ყველა უარზეაო.

ჩემს გარდა, სემინარზე იყო სხვა ქართველიც – ა.ქათამაძე შუა აზიიდან, რომელთანაც თბილი მეგობრული ურთიერთობა მქონდა. ის ამბობდა, წავალ საქართველოში, თუ პირობებს შემიქმნიანო, რაც მაშინ წარმოუდგენელი იყო.

სპორტის ხელმძღვანელობამ სოროკინს უარი უთხრა სემინარის ჩასატარებლად სპეციალისტის მოწვევაზე არა თუ საფრანგეთიდან, "მეგობარი" რუმინეთიდანაც კი. სოროკინი იძულებული გახდა, მოეძია ლიტერატურა; მან მოსკოვში მოძებნა ომამდელი* მორაგბეებიც, რომლებმაც საქმე პრაქტიკულად იცოდნენ.

მათ შორის იყო ივან ციგანოვი, რომელიც ომის შემდეგ, 1947 წელს წვრთნიდა – ყურადღება მიაქციეთ – თბილისის ფიზკულტურის ტექნიკუმის გუნდს. ჩვენებმა – ხელობით მოჭიდავეებმა, მძლეოსნებმა, მოცურავეებმა, ფეხბურთელებმა, კალათბურთელებმა – თბილისში გამართულ "ქალაქთა მატჩში" ბოლო ადგილი დაიკავეს და ტურნირის დამთავრებისთანავე უკვალოდ დაიშალნენ**.

სოროკინის ძალისხმევით სემინარი გადატვირთული, მაგრამ უაღრესად საინტერესო გამოვიდა, და არა მხოლოდ თეორიულად – ბოლო დღეებში ყოველ საღამოს მივემგზავრებოდით სოჭში, სადაც ცენტრალურ სტადიონზე ერთმანეთს ვეთამაშებოდით და ყოველთვის საკმაო მაყურებელი გვყავდა. ადგილობრივი პრესაც რამოდენიმეჯერ გამოგვეხმაურა.

ერთი სიტყვით, ვინც დაინტერესდება საბჭოთა რაგბის სათავით, აღმოაჩენს, რომ იმპერიის სულ სხვადასხვა რეგიონში თამაშის განვითარებას სათავეში ედგა ის ხალხი, რომელიც მონაწილეობდა ადლერის შეკრებაში. ამიტომაა, რომ ამ სემინარს ზოგი რაგბის მკვლევარი ისტორიულსაც უწოდებს.

ჰო და კიდევ: სემინარზე გადაწყვიტეს ყოველდღიური იუმორისტული კედლის გაზეთის – "მამალის" [პეტუხ] გამოშვება. სასაცილოა და ამ რუსულ-ენოვანი მედიის რედაქტორებად დაგვნიშნეს არარუსები – მე და ლატვიელი სიგორდ კრასტინში. ამის პროტესტზე, რუსულ გრამატიკაში მოვიკოჭლებთო, სოროკინმა უპასუხა: ჩვენც ეგ გვინდა; რაც მეტ შეცდომას დაუშვებთ, მით მეტს ვიცინებთო – გაზეთი ხომ სახუმაროაო.

---

* 1941-45 წლების ომმა საბჭოთა რაგბის ისტორია ისე მკვეთრად გამიჯნა, რომ 1970-იან წლებშიც კი ცალ-ცალკე ითვლიდნენ "ომამდელ" და "ომის შემდგომ" პირველობებს.

** სტალინის ხანის ქართული რაგბის ქრონოლოგია იხილეთ მე-40 გვერდზე.

სიგორდმა და მე ის შევძელით, რომ გაზეთის პირველ ნომერში ერთი გრამატიკული შეცდომაც არ დაგვიშვია. ამით გაკვირვებულმა სოროკინმა გაზეთი სამჯერ წაიკითხა, რათა შეცდომა ეპოვნა და მიზანსაც ეწია – შენიშვნა მოგვცა, ბოლოში, დიდი ასოებით მიწერილ "რედკოლეგიაში" ორი ლასია [რუსულად "ელ" | Л] საჭიროო. მე და სიგორდმა ეს შეცდომა ორიგინალურად შევასწორეთ – ლასს ზემოდან 2-იანი დავუსვით, სოროკინს კი ვუთხარით, "ელ კვადრატი" იგივე ორი ელია – გაზეთი ხომ იუმორისტულიაო. დაიხსომეთ ეს კრასტინში – ქვემოთ კიდევ შევხვდებით!

ერთი სიტყვით, ჩემი სარაგბო ბიოგრაფიის მოსკოვური ნაწილი მთლიანად დაკავშირებულია სოროკინთან, რომელთანაც ტანდემში რაგბის მოყვარულებისათვის ვატარებდით სემინარებს როგორც მოსკოვში, ასევე სხვა ქალაქებში. ამ გასვლებს თან ახლდა კურიოზები. მათგან აქ მხოლოდ ერთს გავიხსენებ.

ლიტველების ინიციატივით კაუნასში ტარდებოდა საჩვენებელი თამაში. როგორც წესი, მე და სოროკინს განაწილებული გვქონდა ფუნქციები: იგი მოედანზე გადიოდა და ახლად გამოჩეკილი ადგილობრივი გუნდების თამაშს სჯიდა, მე კი ტრიბუნიდან მიკროფონით კომენტარს ვუკეთებდი მსაჯის გადაწყვეტილებებს.

პერიფერიებში ჩვენი მოგზაურობები ტარდებოდა მხოლოდ შაბათ-კვირაობით. ჩვენ იმ დილასღა ჩავედით ჯერ ვილნიუსში, იქიდან კი – კაუნასში და ძლივს მივუსწარით თამაშის დაწყებას.

პირველი ტაიმის შემდეგ მივაკითხე სოროკინს, წავიხემსოთ-მეთქი. მიპასუხა, ცოტაც მოითმინე, მასპინძლები ქალაქგარეთ გვეპატიჟებიან მაგარ რესტორანში, რომელიც კაუნასის ზღვაზეაო. დავთანხმდი, მაგრამ როცა ჩემი ადგილისკენ წავედი, ორმა უცნობმა ხელი მტაცა – ქართველი ხარო?

იქაური ქართველები აღმოჩნდნენ. არც კი მაცალეს პასუხის გაცემა და აქეთ-იქით მკლავ-გაყრილი, თითქმის ძალით შემათრიეს სტადიონის შესასვლელის გვერდზე არსებულ რესტორან "მარანში". ასეთ ცდუნებას ვერ გავუძელი და გემრიელი ქართული სადღეგრძელოების თანხლებით მთელი მეორე ტაიმი იქ გავატარე.

მასპინძლები შიგ და შიგ გადახედავდნენ რესტორანში მსხდომ კლიენტურას და მამშვიდებდნენ: არ ინერვიულო, აქ უფრო ბევრი ხალხია, ვიდრე ტრიბუნაზეო.

მართლაც ასე იყო, მაგრამ სოროკინის რისხვას არ ჰქონდა საზღვარი. გადამარჩინა იმან, რომ ამ ქართველებს კარგად სცნობიათ ჩვენი კაუნასელი მასპინძლები და მათთან ერთად გადაწყვიტეს კაუნასის ზღვაზე ქეიფის გაგრძელება, იქ კი, შუა ლხინში, მე და სოროკინი შევრიგდით.

კაუნასის გარდა, სოროკინი და მე კიდევ დაახლოებით 10 ქალაქში ვიყავით და დღესაც ამ ქალაქთა რაგბის ისტორიებში ჩვენს ვიზიტებს თავ-თავიანთი ადგილები უკავია. ცალკეა აღსანიშნავი ლენინგრადი, სადაც 1961 წლის ზაფხული გავატარე: გამოვედი პრესაში ქრესტომათიული სტატიით "როგორ ვითამაშოთ რეგბი" და

კაუნასში, საჩვენებელი თამაშის აფიშასთან

ორგანიზაცია გავუკეთე მოსკოვის ორი გუნდის საჩვენებელ თამაშს ცენტრალურ სტადიონზე. უნდა ითქვას, რომ ნევის პირელებმა გადამეტებით შეაფასეს ჩემი როლი და ახალ, კომპუტერულ დროებაში აღმატებული გვერდიც კი მომიძღვნეს რუსულ ინტერნეთში.

ჩემი სარაგბო ბიოგრაფიის მოსკოვურ, ორ-წელიწად-ნახევრიან ნაწილზე თხრობით მკითხველს თავს მეტად აღარ შევაწყენ და შევეხები მხოლოდ ერთ მოვლენას, რომელიც უშუალო შეხებაშია ჩვენთან – საქართველოში რაგბის შემოტანის საკითხთან.

1960 წლის 6 აგვისტოს გამოვიდა გაზეთ "კომსომოლსკაია პრავდის" [ხალხურად "კამსამოლკის"] რიგითი ნომერი, რომელშიც 4 გვერდიდან სულ ბოლო – ყველაზე კითხვადი – თითქმის მთლიანად მიეძღვნა რაგბს, დიდ ქვე-სათაურით "ხომ არ დადგა დრო, [რაგბს] ვეტო ავხსნათო" [იხილეთ ამავე ფურცლის იქეთა მხარეს]

ეს გაზეთს აქამდეც ვინახავ, რადგან სტატიაში მოხსენიებული ვარ, როგორც რაგბის ენთუზიასტი, რომელსაც ინსტიტუტის ხელმღვანელობა ხელს უშლის გუნდის შექმნაში. ეს სიმართლეს არ შეეფერებოდა. ამაზე სოროკინთან მქონდა უსიამოვნო საუბარი. იგი ვაიძულე, მისულიყო დეკანთან და ბოდიში მოეხადა.

რამოდენიმე დღის შემდეგ სოროკინთან დარეკეს გაზეთის რედაქციიდან და სთხოვეს, რედაქციაში მისულიყო სტატიის გამოძახილის – მკითხველებისგან შემოსული წერილების გასაცნობად. სოროკინმა ტრადიციულად თან გამიყოლია და დავიწყეთ ასამდე წერილის თვალიერება.

გროვაში აღმოვაჩინეთ წერილი თბილისიდან, რამაც ჩვენში დიდი აღფრთოვანება გამოიწვია. განსაკუთრებით გახალისდა სოროკინი: მან, ირონიულად მიმითითა რა ავტორზე – ასპეკიანზე, ხუმრობით მითხრა: "საქართველო მოძმე სომეხი ერის წარმომადგენელმა იხსნაო". მავანი "ა.ასპეკიანი" [თურმე იგივე "ჟაკი"] იწერებოდა, რომ რაგბის გუნდის შექმნა სურს, და დახმარებას ითხოვდა.

ქრესტომათიული "როგორ ვითამაშოთ რეგბი"

ეგ ასპეკიანი მივიწვიეთ მოსკოვში, ადგილობრივ სემინარზე. პასუხი არ მიგვიღია. შემდეგ კიდევ მოგვწერა, დამეხმარეთო. 1961 წელს როსტოვში ჩატარდა სტუდენტთა საკავშირო ტურნირი. ამაზე მიწვევები გავუგზავნეთ საქართველოს სპორტ-კავშირსა და "ქარიშხალას", ხოლო ასლი – ასპეკიანს. მოგვწერა, ჩამოვალთო, მაგრამ ამის შემდეგ, მრავალი მცდელობის მიუხედავად – მისგან ვერანაირი ინფორმაცია ვეღარ მივიღეთ.

РЕГБИ—АТЛЕТИЗМ, ПОМНОЖЕННЫЙ НА МУЖЕСТВО

ДОРОГУ ЗАМЕЧАТЕЛЬНОЙ ИГРЕ!

Многие помнят, как в дни III дружеских спортивных игр в Москве вспыхнули вокруг международного турнира регбистов страсти болельщиков. Но увы, вспыхнув, как фейерверк, они быстро погасли. Сейчас большой отряд энтузиастов начал нелегкий поход за возрождение регби — спорта мужественных, сильных людей. Без сомнения, регби, воспитывающее всесторонне развитых атлетов, заслуживает достойного места среди других спортивных игр. В свое время наша газета ратовала за возрождение ручного мяча, а ныне гандболисты уже разыгрывают золотые трофеи чемпионов СССР. Будем надеяться, что доживут до такого же дня и регбисты.

Играют московские студенты. Взгляните, как неукротима атака этого регбиста.

Фото Я. ТУТОВА.

Мы тоже хотим играть

Полгода назад преподаватель физкультуры предложил нам провести матч по регби. Мы очень увлеклись этой игрой, да вот беда: по сей день толком не знаем ее правил. Правда, кое-что мы почерпнули из кинофильма «Гладиатор», где много кадров связано с игрой в регби. У нас большая просьба к спортивным издательствам — как можно скорее выпустить методическую литературу по этой игре.

Ю. ЗАБРОДИН, В. ФРАДИН,
Даугавпилс.

С интересом прочитали в газетах об игре в регби. Хотим культивировать этот вид спорта у себя. К сожалению, не имеем правил, не знаем, как переоборудовать футбольное поле.

В. САЗАНОВ, Н. ГОЛДОБИН, В. АНИКИН,
Северодвинск.

Из газет и журналов узнали, что в некоторых городах страны возрождается регби. Нашим спортсменам очень нравится эта игра. Дело только за одним — за правилами. Где их можно достать?

Е. ГОЛУБЕВ,
председатель коллектива физкультуры треста «Южуралметаллургстрой».
Сатка, Челябинская область.

Основные правила регби



Игра в регби длится два тайма по 40 минут каждый на травяной площадке такого же размера, как и футбольное поле. Дополнительно делается разметка двух зачетных полей. Перед каждым зачетным полем на линии устанавливаются ворота, они имеют форму буквы «Н». Расстояние между штангами 5 м 65 см. Высота их 5—6 м. Перекладина подвита над землей на 3 м.

Зачетное поле обычно размечается в легкоатлетических секторах. Ворота чаще всего прикрепляются прямо к футбольным. В каждой команде 15 спортсменов. Одеты они в обычные футболки с длинными рукавами, трусы, гетры и бутсы.

Команды состоят из 8 нападающих (игроки «схватки»), двух полузащитников, четырех трехчетвертных нападающих и одного защитника.

Мяч для игры напоминает дыню. Он овальной формы. Его можно нести в руках неограниченное время. Передавать мяч руками разрешается только назад. Мячом можно бить в любом направлении. Здесь следует сказать об одном привлекательном приеме регби — каждый игрок, который находится впереди своего партнера, владеющего или только что овладевшего мячом, считается «вне игры». Если этот игрок пытается принять участие в игре, он штрафуется. Но, пожалуй, основной особенностью регби является силовая игра. Игрока, несущего мяч в руках, можно останавливать захватом за туловище, за ноги, но не другим способом. Подножки, захват игрока за шею, голову, одежду правилами запрещены.

Самым интересным проявлением коллективной силовой игры следует считать «схватку». Восемь нападающих одной команды, образовав плотную группу в три ряда, становятся против восьмерки соперников и, пытаясь их оттеснить, стараются отыграть назад ногами мяч, вбрасываемый в середину группы. «Схватка» назначается при незначительных нарушениях правил (например, передача мяча рукой вперед).

Счет в регби ведется следующим обра-

Не пора ли снять «вето»?

Минула добрая сотня лет со дня рождения регби. Вот почему для старшего поколения советских спортсменов эта игра не диковинка. Первые встречи регбистов на полях наших стадионов состоялись четверть века назад, в 1934 году. Кстати, тогда же была создана Международная федерация регби — ФИРА.

В предвоенные годы в нашей стране разыгрывались чемпионаты городов, первенство СССР. После же войны эта игра, к сожалению, была забыта. Виной тому — равнодушное отношение к регби руководителей многих спортивных обществ.

Третье рождение получаубытой игры произошло в Москве, в дни VI Всемирного фестиваля молодежи и студентов. Тогда в столицу съехались сильнейшие регбисты мира — спортсмены Румынии, Франции, Англии и других стран. Желающих посмотреть увлекательные поединки было в несколько раз больше, чем могли вместить трибуны детского городка в Лужниках. Болельщики «оккупировали» каждый свободный метр стадиона вплоть до... прожекторных вышек.

После московского турнира молодежь сразу жадно потянулась к новому для нее виду спорта. Студенты Московского высшего технического училища имени Баумана и Воронежского лесотехнического института стали первыми пропагандистами регби. Их примеру последовала молодежь Московского авиационного института, Николаевского и Ивановского пединститутов. Здесь были созданы команды регбистов. К москвичам, николаевцам и ивановцам со всех концов страны пошли потоки писем. Писали из Карелии и Азербайджана, с Украины и Урала. Авторы писем просят рассказать о регби, прислать правила игры, методические пособия.

А в конце прошлого года по инициативе московских студентов в столице был проведен матч регбистов трех городов — Москвы, Николаева и Воронежа. Интерес к регби после этого события возрос еще больше.

Надо отдать должное Всесоюзному совету ДСО профсоюзов — он помог энтузиастам новой игры. Нынешней весной совет провел всесоюзный сбор тренеров, съехавшихся из различных городов РСФСР, Прибалтики, Кавказа и других районов страны. Кроме того, в спортивный календарь 1960 года был включен ряд соревнований. Так, Всесоюзный совет ДСО профсоюзов в октябре проведет матч сильнейших профсоюзных команд страны. В сентябре состоится матчевая встреча восьми студенческих коллективов.

Может возникнуть вопрос: к чему весь этот разговор, если дела обстоят хорошо и, судя по всему, регби идет в гору? Да, это так — регби на подъеме. Сейчас мы уже располагаем опытными тренерами. В регби играет молодежь Москвы, Воронежа, Николаева, Липецка, Иванова, Риги, Вильнюса, Каунаса, Ростова-на-Дону, Баку, Шахт, Кирова, Тбилиси, Запорожья, Ташкента и других мест. Вот какая обширная география!

Однако на своем пути регби встречает и препятствия. О них-

Такое положение с регби не только в столице. Вызывае недоумение позиция Центрального совета «Нефтяника» В Баку в свое время были одни из сильнейших в стран команды регбистов. Однако теперь, когда регби здесь возр ждается и силами общественности создано несколько секций руководители общества категорически отказали регбистам тренировочном поле и спортивной форме игрокам.

Есть еще один вид препятствий на пути регби. Всего н сколько месяцев назад многие общества горячо откликнулис на призыв развивать регби. Послали своих представителей н сбор тренеров, провели семинары инструкторов-общественн ков, утвердили календарь соревнований, закупили мячи и т. Однако такой кипучей деятельности хватило ненадолго — утверждения Всесоюзной единой спортивной классификаци Дело в том, что президиум Центрального совета Союза спо тивных обществ и организаций СССР, утверждая классиф кацию, решил, что регби еще недостаточно массовый в водители ряда общества расценили его как «вето». Срочно бы дан отбой. Центральный совет «Труда» сразу отменил матч ную встречу. При этом руководители общества рассужда примерно так: «Зачем нам теперь регби? Разрядников эт вид спорта не дает. Закрыть его!»

Так же отнеслись к регби и в Центральном совете «Ав гарда». А жаль. Об увлекательности регби свидетельству его популярность в 30 странах мира, например, в Румыни Франции, Англии, Польше, Болгарии, ГДР, ФРГ, Итали Чехословакии.

Стоит ли ратовать за регби? Ведь существует много сп тивных игр, которые неизвестны в нашей стране. Не внедря же их все подряд. В том-то и дело, что, будь регби прос интересной игрой, за него, может быть, не стоило бы и с жаться. Однако регби — исключительно полезная игра. До зательство этого очень простое. Наверное, ни у кого не вы вает сомнения полезность таких видов спорта, как лег атлетика, борьба, баскетбол. А регби — это синтез назв ных видов спорта плюс мужество и воля бойца.

Сейчас наступило время, когда для развития регби усил только одних энтузиастов явно недостаточно. Нужно, чт спортивные общества сняли «вето», которое они несправе дливо наложили на замечательную игру. Регби имеет пра на жизнь!

А. СОРОКИН, тренер по регби; А. ДАНИЛОВ, судья по регби; В. ГЕОРГАДЗЕ, студент Московского авиационного института; В. ГРИГОРЬЯНЦ, инженер, тренер-общественник; В. РАСТОРГУЕВ, техник.
Москва.

"კამსამოლკის" სანიშანსვეტო გვერდი სათაურებით: "რეგბი ვაჟკაცობაზე გადამრავლებული ათლეტიზმია"; "გზა დავუთმოთ ჩინებულ თამაშს!"; "ვეტოს ახსნის ჯერი ველარ დადგა?"; "რეგბის ძირითადი წესები"; "თამაში ჩვენც გვინდა" | 1960 წლის 6 აგვისტო

6 შინ მოულოდნელი დაბრუნება

1961 წლის 24 ოქტომბერს – ჩემი დაბადების დღეს, მოსკოვის ლამაზი უბნის – ჩისტიე პრუდის [კამკამა ტბორების] უშნო სახელიან ქუჩაზე – ყაზარმების ჩიხში, 6 ნომერ სახლში მდებარე, 9 მობინადრის კომუნალური ბინის საერთო დერეფანში, გაისმა კედელზე ჩამოკიდებული საერთო ტელეფონის უწყვეტი ზარი.

ამ ბინის ერთ ოთახს მე ვქირაობდი, უწყვეტი ზარი კი, წყვეტილისგან განსხვავებით, იმას ნიშნავდა, რომ იგი საქალაქთაშორისო იყო და მეხებოდა მე – ერთადერთს, ვისაც სხვა ქალაქთან ჰქონდა ურთიერთობა.

ჩვეულებრივი, წყვეტილი ზარის დროს ტელეფონთან მისვლა დასწრებაზე იყო, უწყვეტზე კი ყველა მობინადრემ იცოდა, რომ აპარატთან პირველი უნდა მისულიყო ჩემი დიასახლისი ელიზავეტა მიხაილოვნა, რომელსაც ხანგრძლივი საუბარი ექნებოდა დედაჩემთან "საანგარიშო პერიოდში" ჩემი ყოფაქცევის შესახებ, ხოლო ბოლოს ყურმილი მე გადმომეცემოდა.

იმ დღეს ყველა მობინადრემ იცოდა, რომ ჩემი დაბადების დღე იყო, რადგან წინა დღით დიასახლისს ეწვია ჩვენი ჯგუფხელი, რომელმაც ნებართვა სთხოვა ელიზავეტას, წვეულება გამართულიყო ჩემს ოთახში.

ჩემმა დიასახლისმა, თავის მხრივ, ღონისძიება შეუთანხმა სხვა მობინადრეებს, რომლებიც იმ პირობითღა დასთანხმდნენ, რომ აღარ განმეორებოდა შარშანდელი პრეცენდენტი, როცა 16 კვადრატულ მეტრიან ოთახში სტუმრად მოვიდა 30 თუ 40 სული. ამათ ჯერ ოკუპაცია უყვეს საერთო დერეფანს, შემდეგ – საერთო სამზარეულოს, ბოლოს კი მათ დილამდე პოულობდნენ სააბაზანოში, სათადარიგო კიბის უჯრედებზე და ზოგსაც – სხვენში.

ამჯერად ჩემმა დიასახლისმა დერეფანში გამოსულს უსიამოვნოდ მომაჩეჩა ყურმილი და ჩამილაპარაკა: "შენი და რეკავს, დედას რაღაცა პრობლემები ჰქონიაო".

დამ, შეძლების და გვარად მშვიდად, მითხრა, რომ დედა დაცემულა და მძიმე მდგომარეობაში იყო. ყურმილს ხელი ვუშვი, ოთახში შევვარდი და სწრაფად ჩავიცვი; რაც ხელში მომხვდა, ერთ ჩანთაში ჩავყარე; ლიფტი არც გამომიძახნია, კიბეებზე ისე დავეშვი.

ზემოდან მესმოდა ელიზავეტა მიხაილოვნას კივილი: "შერეკილო, და რეკავს, ნუ გაგიჟდება, დედა მალე მოკეთდებაო". და მართლაც, დედა კარგა ხნის მკურნალობის შემდეგ სრულიად გამოჯანმრთელდა და ამ ამბიდან 36 წლის შემდეგღა – 86 წლისა გარდაიცვალა.

დომოძედოვოს აეროპორტი ჯერ არ არსებობდა, ვნუკოვოში მისვლა კი მაშინაც პრობლემა იყო. მოსკოვიდან თბილისამდე ფრენას თუ 2 საათი უნდოდა – ვნუკოვოში მისვლაზე, საცობების გამო, შეიძლება ორჯერ მეტი დრო დაგეხარჯა.

მიუხედავად რეისების სიმრავლისა, უმეტესობა დილაობით სრულდებოდა. საღამოს იმ რეისზე, რომელსაც მივუსწარი, მოხვედრა შეუძლებელი აღმოჩნდა.

ნაცნობი მოლარის ვარაუდი, აუცილებლად გვეყოლება დაგვიანებული მგზავრები და ერთ ბილეთს მოგიხერხებო, ვერ

პლეხანოველები მოსკოვში: გივი მრელაშვილი, ოთარ დოღონაძე და გურამ ლეჟავა

გამართლდა – გამოცხადდა ყველა. დარჩა ერთადერთი, ბოლო, ღამის რეისი, რომლის ბილეთსაც იგივე მოლარე ამაოდ მპირდებოდა.

მხსნელად მომევლინა გურამ ლეჟავა, რომელიც ჩემი კლასელი იყო, დედაჩემსაც კარგად იცნობდა და ბოლო რეისით თბილისში მიფრინავდა. მან, გაიგო რა ჩემი გასაჭირი, დაუფიქრებლად დამითმო თავისი ბილეთი.

თბილისის აეროპორტში, ტაქსის მომლოდინეთა უგრძეს რიგში მყოფს, მომესმა ეზოს მეზობლის, ტანად უზარმაზარი ტაქსისტის – "ლოქოს" ხმა: ვა, გივიჯან, ჩამოხვედი?

ლოქომ ჩანთა ხელიდან გამომტაცა, იქვე მდგარ, უკვე გაჭედილ ტაქსში მგზავრები შეამჭიდროვა, შიგ შემტენა და მალე დედაჩემის წინაშეც წარვსდექი.

დედა ცოტათი გონს მოსულიყო და პირველი, რაც მთხოვა, ის იყო, უკან აღარ წახვიდე, აქ დარჩიო. თითქმის ჩურჩულით ნათქვამ სიტყვებს ჩემი დის, იქვე მყოფი დეიდებისა და ახლობლებ-ნათესავების ხმაური მოჰყვა, რომელშიც გამოირჩეოდა დის – მუნიკოს კატეგორიული მოთხოვნა: მორჩა, გათავდა, აღარსად არ წახვალო!

რაც მაშინ გამიკვირდა, ეგ იყო ჩემივე რეაქცია დის მოწოდებაზე: ადრეც ხშირად უთხოვნიათ თბილისში დაბრუნება, მაგრამ ფიქრადაც არ გავივლებდი ამის შესაძლებლობას; ამჯერად კი, ჩემთვისაც მოულოდნელად, გავიფიქრე: თბილისში – რატომაც არა?

თბილისი



უკან მორჩენილ მოსკოვში გაგანია ზამთარი იდგა. სამი საათის შემდეგ, იქაური ყინვისა და უხვი თოვლის არეალიდან, უცებ თავი ამოვყავი ნაღდ ოაზისში: ჩემი საყვარელი ქალაქის – თბილისის პლუს-გრადუსიანი სურნელის სამყაროში.

იმაში, რომ ძველებურად აღარ გავაპროტესტე ჩემი დისა და ნათესავების მოწოდება, შინ დავრჩენილიყავი, გადამწყვეტი როლი ითამაშა არა მშობლიურმა გარემოცვამ, ანაც ტემპერატურულმა ეფექტმა, არამედ იმ წუთას გაელვებულმა, საიდანღაც მოსულმა სინდისის ქენჯნამ:

რამდენ ენერგიას ვხარჯავდი რაგბის პოპულარიზაციისთვის სხვა ადგილებში, ჩემი ქვეყნისთვის კი თითქმის არაფერი გამეკეთებინა.

და მაინც, დისთვის დარჩენაზე თანხმობის მიცემა უცებ ვერ გადავწყვიტე – ვნახოთ-მეთქი, ვუპასუხე.

7 ვითარება თბილისში

რადგან ტელეფონი არ ჰქონდა, მეორე დილითვე შინ, კანდელაკის ქუჩაზე, მივაკითხე ჟაკ ასპეკიანს.

იგი 1927 წელს დაბადებულიყო მარსელში. საფრანგეთში მცხოვრები ათასობით სომხური ოჯახის დარად, მისიც წამოჰგებოდა საბჭოთა აგიტაციას და დაბრუნებულიყო გენეტიკურ სამშობლოში, სადაც, დაპირების თანახმად, უზრუნველყოფილი იქნებოდა ბინით, სამუშაოთი და სხვა უამრავი სიკეთით.

ჟაკს მაშინ გადაუკეთებია ფრანგული სახელი სომხურ აკოფად და დიდი იმედებით ჩასულა ერევანში, სადაც მართლა მიუციათ ბინა, მაგრამ სულ მალე მიმხვდარა, რომ საფრანგეთში გაზრდილი კაცისთვის შეუძლებელი იქნებოდა მიჩვევა ცხოვრების იმ წესთან, როგორიც აქ სუფევდა, და რომელთანაც ადგილობრივები შეგუებულნი იყვნენ.

მაშინ ასპეკიანმა სახელად ჟაკი დაიბრუნა და ყოველდღიური ფიქრი და ქმედება იქითკენ მიმართა, რომ რადაც უნდა დაჯდომოდა – მშობლიურ საფრანგეთში მიბრუნებულიყო.

მალე გაირკვა, რომ იქით წასვლა ისევე იოლი ვერ იქნებოდა, როგორც აქეთ ჩამოსვლა. ვერც სახელის მეორედ შეცვლა რგებდა – საქმე კაგებესთან [საბჭოთა უშიშროებასთან] ჰქონდა: მისი ბრძოლა შინ დასაბრუნებლად კაგებესთან ხანგრძლივ, პოზიციურ ომში გადაიზარდა.

იმის გამო, რომ ამიერკავკასიის კაგებეს ბიურო, რომელიც რეპატრიანტების საქმეებს განიხილავდა, თბილისში იყო – ჟაკი ერევნიდან საქართველოში გადმოსახლდა და რეგულარულად აკითხავდა ამ ორგანოს. იგი დარწმუნებული იყო, რომ მწარედ მოატყუეს და ღამეს ღამეზე ათენებდა იმის ფიქრში, რომ როგორმე დაბრუნებულიყო ნამდვილ სამშობლოში.

ცხოვრება კი, რა თქმა უნდა, თავისი გზით მიდიოდა: ცოლიც მოიყვანა – შესანიშნავი ქალბატონი მარგო, რომელიც ოპერის ქოროს მომღერალი იყო და არა ბალერინა – როგორც წერენ; შეეძინა ორი ვაჟი, რომელთაც ფრანგული სახელები – მორისი და ჟერარი დაარქვა; გაიხსენა მამა-პაპისეული ხელობა და მალე ქალაქში კარგი თერძის სახელიც დაიგდო.

აბა, რას წარმოიდგენდა, რომ მოულოდნელად მისი ეს ხელობა გახდებოდა სამშობლოში დაბრუნების იმედის საგანი. საქმე ის იყო, რომ ბავშვობაში, საფრანგეთში თავს ირთობდა რაგბით, რომელიც ქვეყნის სამხრეთ ნაწილში ყველაზე პოპულარული თამაშია. ჟაკს რეპატრიაციის დროს თან წამოეღო ოვალური ბურთი, რომელიც სამუშაო ოთახში, გამორჩეულ ადგილას ედო.

ერთ მშვენიერ დღესაც მასთან მისულან ყოფილი კლიენტები – პოლიტექნიკურის [სპი; ხალხურად "გეპეი"] სტუდენტები: ნოდარ ყიფიანი, ჯემალ ბერაძე, გოგი ტონია და დიტო ოსეფაიშვილი, ოღონდაც სულ სხვა მისიით*: უთხოვიათ, სათავეში ჩასდგომოდა ბიჭებს, რომელთაც სურდათ, შეექმნათ რაგბის გუნდი.

ჟაკი თავიდან არ დათანხმებულა, მაგრამ მერე გაუაზრებია, რომ რაგბში ჩართვა საშუალებას მისცემდა გაება კავშირები უცხოეთთან – ეგებ ევროპული რაგბის ალამდარ, სანატრელ საფრანგეთთანაც, და სიხარულით დაჰყაბულებულა.

ეტყობა, ამის შემდეგ იყო, მოსკოვში, "კამსამოლკის" რედაქციაში რომ გავეცანით ჟაკის წერილს, რომლის შესახებაც ზემოთ, 23-ე გვერდზე უკვე მოგახსენეთ.

იმხანად, მიუხედავად ბევრი მცდელობისა, საქართველოს ახალგაზრდობა ჯერ ვერ დაგვეინტერესებინა რაგბით და ხელიც ჩაქნეული გვქონდა: ზოგმა ჩვენგანმა "ფილოსოფიური" დასკვნაც გააკეთა, ქართველები ტრადიციას ვერ ღალატობენ – რაგბს გემოს ჯინაზე არ უგებენო.

---

* სხვა გადმოცემით, 1959 წლის ოქტომბერში ბიჭები საბურთალოს იპოდრომზე გეპეიში ჟაკის მიერ გაკრული განცხადების შედეგად შეგროვდნენ. თუ ჩავუფიქრდებით, ვერსიები ერთმანეთს არ გამორიცხავს.

აი, ასე დასევდიანებულებმა ვნახეთ ასპეკიანის ბარათი და ისე გავიხარეთ, რომ აღარცა მწყენია ზემოთ მოტანილი, სოროკინის უკბილო ხუმრობა. მით უკეთესი – მივუგე ძმობილს, რაკი ჩემთვის – ვარანცოვზე დაბადებული და გაზრდილი კაცისთვის, ვისაც ბევრი სომეხი მეგობარი ჰყავდა, მთავარი ის იყო, რომ, როგორც იქნა, რაგბი თბილისშიც გამოჩნდა.

ჟაკი იწერებოდა, რომ თუმც გუნდი შექმნა გეპეიში, ინსტიტუტის მოედანზე მაინც არ უშვებდნენ. მერე და მერე ასპეკიანი ოპტიმისტურად განეწყო და პირობას იძლეოდა, რომ 1961 წელს სტუდენტთა შეჯიბრებაზე აუცილებლად ჩამოიყვანდა გუნდს, რომლის დაფინანსებასაც სპორტ-კავშირი შეჰპირებოდა.

აქედან მაინც ვერაფერი გამოვიდა: თბილისში ჩემი დაბრუნების შემდეგ ჟაკი გამენდო, რომ კავშირს სულ ბოლო მომენტში ეთქვა უარი – მგზავრობა მეტად ძვირი დაჯდება რაგბის გუნდში მოთამაშეთა სიმრავლის გამოო.

შემდეგ ჟაკისთვის ერჩიათ, შეექმნა გუნდი 31-ე, საავიაციო ქარხანაში, რომელსაც თვითმფრინავი ჰყავდა და თავის თანამშრომლებს უფასოდ ამგზავრებდა. ქარხნის სპორტ-კლუბის უფროსი რუდერმანი თავიდან თვითმფრინავს ხომ შეჰპირებოდა და ჯამაგირისაც [!], მაგრამ მერე შავ კატას გაერბინა მათ შორის.

აი, სულ ეს იყო მისი მონაგარი. წიგნში ასპეკიანს კიდევ ბევრჯერ შეხვდებით, რადგან ჩვენს სარაგბო ცხოვრებაში მონაწილეობდა 1964 წლის ზაფხულამდე, ანუ საფრანგეთში დაბრუნებამდე.

აქვე ვიტყვი, რომ მავანთ ჟაკის მოღვაწეობის წლები ერევათ, ერთმა "მოლა ისტორიკოსმა" კი, განგებ თუ უნებლიეთ, ასპეკიანს მიაწერა ის მიღწევები, რომელიც "თბილისის რეგბის სექციას" ჰქონდა თავმჯდომარედ ჩემი არჩევის შემდეგ.

არადა, როცა ასპეკიანს ბინაზე მივაკითხე, სარაგბო ცხოვრების ბარომეტრი ნულს უჩვენებდა: 1959 წლის 15 ოქტომბერს, იპოდრომზე გამართული პირველი ვარჯიშიდან ორი წლის თავზე – საკავშირო შეჯიბრზე გაუშვებლობით გაწბილებული "გეპეი" სულს ღაფავდა, ხოლო მუშურ "ისანს" რამდენიმე ენთუზიასტი-ღა შემორჩენოდა.

ჟაკისა და მისი ოჯახის ლამის ერთადერთი მეგობარი მე ვიყავი – ხშირად ვსტუმრობდი მასთან. ერთხელ კოსტუმიც კი შემიკერა. ისე გამოვიდა, რომ ნაჭერი ვერ გვეყო; მანაც, ვითომ ახალი მოდაო, და სახელოები დამიმოკლა. ასე გამოწყობილი ქუჩაში მუდმივად ვამჩნევდი ხალხის გაკვირვებას. ალბათ ვერავინ ხვდებოდა სიმოკლის ჭეშმარიტ მიზეზს – უმეტესობა იფიქრებდა, რომ მოდას აყოლილი ჯეელი ვიყავი.

ერთხელ ჟაკმა მთხოვა, კაგებეში წავყოლოდი. იქაური თანამშრომელი ასპეკიანის დანახვაზე უსიამოვნოდ შეიშმუშნა და მივხვდი, რომ საქმე ცუდად დამთავრდებოდა. მართლაც, ჟაკმა თავიდანვე ფიცხად და ენერგიულად შეუტია: რომ შემპირდი ერთი თვის წინ, მოდი და პასუხს გეტყვიო – აგერ, მოვედიო. იმან თავი იმართლა, მოსკოვიდან რაც მითხრეს, ის გითხარიო. ასე გამართეს სიტყვათა ბრახა-ბრუხი და ერთმანეთზე გაიწიეს.

კაგებეშნიკი ჟაკს დაემუქრა: ჭკვიანად იყავი, თორემ ციხეში ამოგაყოფინებ თავსო. ამაზე ჟაკი სულ გაგიჟდა და გაცოფდა; ნერვები აეშალა და ისტერიული ყვირილი მორთო: ციხეში ჩამსვამ, თორემ ეს ქვეყანა ციხე არაა – ისედაც ციხეში ვარო.

კაგებეს თანამშრომელმა გადმომხედა, მიშველე რამე; თუ ძმა ხარ, წაიყვანე ეს კაცი აქედანო. მე ჟაკი დავამშვიდე და კიდევ ერთ თვეში შევლა ვურჩიე.

ეს თავი მინდა მცირე შენიშვნით დავასრულო. მას შემდეგ, რაც აქტიურ რაგბს ჩამოვშორდი, თურმე სტატიები იწერებოდა და ჩემი ყურადღების მიღმა რჩებოდა. ჩემმა გულშემატკივრებმა რომ მომიტანეს და წამაკითხეს ეს სტატიები, თმები ყალყზე დამიდგა.

მსმენია, რომ იყო ერთი მოლა, რომელიც ისეთ რამეებს იგონებდა, რომ ყურადღება არ უნდა მიგექცია; მაგრამ ჩემთვის გაუგებარზე გაუგებარია იმ ისტორიკოსის პოზიცია, რომელსაც პროფე-

სიონალობაზე აქვს პრეტენზია და ეყრდნობა ზღაპრებს ამ "მოლასი", ვისაც, ეტყობა, პროვინციული და არა-ქალაქური ღვარძლი ამოძრავებს ჩემს მიმართ.

ამის თაობაზე 2009 წელს დიდი სტატიაც გამოვაქვეყნე "ლელოში" სათაურით:

"გაკვირვებული ვარ, ქართველები ასე თავგამოდებით რატომ აწერენ ჩემს ნამოღვაწარს ასპეკიანს?" [ლიტერატურა იხილეთ 134-ე გვერდზე]

ახლაც მაინტერესებს: რატომ? ხუმრობით ვიტყვი: პირიქით რომ იყოს, კიდევ გასაგები იქნებოდა.

რომ აღარაფერი ვთქვა უამრავ ქართველ ავტორზე, რომლებიც სწორად აღწერენ იმდროინდელ პროცესებსა და ჩემს სარაგბო ბიოგრაფიას – ამ მოლა "მწერალს" მაინც ვურჩევ, წაიკითხოს ასპეკიანის თანამემამულის, ცნობილი სომეხი ჟურნალისტისა და მწერლის – არსენ ერემიანის ჩემდამი მოძღვნილი სტატიები, რომელთა ჩამონათვალიც თან ერთვის ამ მოგონებებს [იხილეთ 134-ე გვერდი]

ძველი მეგობრები თბილისში, 37-წლიანი განშორების შემდეგ | 2001 წლის თებერვალი

8 აქაც ხალხში სიარული

თბილისში გადავწყვიტე მესარგებლა მოსკოვური გამოცდილებით და დამეწყო ხალხში ინტენსიურად სიარული* – ახალ მეთოდებზე ფიქრის დრო სადღა იყო?

ერთ თვეში უნდა შემეგროვებინა რაც შეიძლება მეტი ენთუზიასტი, რათა სპორტის ხელმძღვანელობასთან უკვე შეთანხმებული რაგბის "სექციის" [ფედერაციის] დამფუძნებელი ყრილობა დროულად ჩამეტარებინა – უნდა მომესწრო დეკემბრამდე, რათა დაგეგმილი ღონისძიებები მოხვედრილიყო საგაისო [1962] კალენდარში; წინააღმდეგ შემთხვევაში, საქმე კვლავ დიდი ხნით გადაიდებოდა.

ხალხში სიარულის პირველ დღეები რთული აღმოჩნდა, რადგან ჟაკი დაკავებული იყო – ქალაქელი ბავშვების რძის პროდუქტებით მომარაგება ჯერაც გაუმართავი იყო და ოჯახის მამა ძვირფას დროს ხარჯავდა მაღაზიის რიგში.

ვიდრე ახალი ენთუზიასტები მხარში ამომიდგებოდნენ, მარტოს მიხდებოდა ინსტიტუტებში სიარული და სტუდენტებში აგიტაცია – მომხრეთა რაოდენობა კი ყოველდღიურად მემატებოდა.

შევხვდი "გეპეის" ბიჭებს, რომლებიც ჟაკმა იპოდრომზე დაიბარა. მოვიდა სულ 7-8 კაცი – სხვები ავდარმა თუ დააფრთხო, ანაც შეპირებულმა, მაგრამ ჩაშლილმა მოგზაურობამ სხვა გზაზე დააყენა. მოსულები გავამხნევეთ, ჟაკმა კი მათ წასახალისებლად მოიგონა, რომ მე მოსკოვმა სპეციალურად გამომგზავნა, რათა მსგავსი რამ აღარ მომხდარიყო, და ეგეც დააყოლა, სამომავლოდ ვსახავთ გეგმებსო.

წინა დღით ვესტუმრე ფიზაღზრდის კათედრის გამგეს – ძველ კალათბურთელ მიხეილ ცხვედაძეს, რომელიც მორაგბეებს მოედანზე არ უშვებდა და დავითანხმე, ინსტიტუტის სტადიონზე გამოეყო სავარჯიშო დრო. გუნდთან შემდეგი შეხვედრა უკვე ამ მოედანზე გავმართეთ.

ვარჯიშზე ხალხმრავლობა იყო. მაშინ გავიცანი ქართული რაგბის მომავალი ამაგდარები: ნოდარ ყიფიანი, გია ჩეჩელაშვილი, გოგი ტონია, ჯემალ ბერაძე, რეზო მესხი, ორესტ დიმიტრიადი, ტარიელ ნებიერიძე, ბაადურ "სერგო" კეშელავა, ზაურ მგელაძე, ალბერტ კრიხელი, დიტო ოსეფაიშვილი, მიშა გუნდიევი, პავლე საფაროვი და სხვები.

მოგვიანებით მათ შემოურთდა პოლიტექნიკოსთა ახალი, "ოქროს" თაობა – ირაკლი კიზირია, ოთარ დოღონაძე, მიკა კვინიხიძე, შევაზ კოდუა, გოგი გუდაძე, ბიძინა პეტრიაშვილი, გელა ჩიკვაიძე, თამაზ შარაშენიძე, რეზო გუდიაშვილი, ვაჟა შუკაკიძე, ლევან გარდაფხაძე.

გამორჩეულად აღსანიშნავი არიან სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის ახალგაზრდები, რომლებიც, გარდა იმისა, რომ თავად ვარჯიშობდნენ, მეხმარებოდნენ საორგანიზაციო საქმეებში. მათგან გენო ფირანიშვილი, გოგი ყუფარაძე, ვიტალი სისაური, გოგი კალატოზიშვილი, მურიკო თოფურიძე და ამირან ლობჟანიძე თბილისის ფედერაციაშიც კი შევიყვანეთ.

ეგებ წაგიკითხავთ, მაგრამ აქ კიდევ მოვიტან ქართული რაგბის პირველი ისტორიკოსის, დავით თაქთაქიშვილის მოგონებებს, რომელშიც მოცემულია გაბრიელ ბარჯაძის ალბომში "მარაო თოვლზე":

"რაგბის აღორძინება 1960-იანი წლების დასაწყისშიღა დაიწყო. ამაში ლომის წვლილი მიუძღვის გივი მრელაშვილს, ვეტერანები სიყვარულით "რაგბის პატრიარქს" რომ უწოდებენ. გივის მაშინ გვერდში ამოუდგნენ რაგბზე უზომოდ შეყვარებულნი: უპირველეს ყოვლისა, საფრანგეთიდან ჩამოსული თბილისელი სომეხი ჟაკ ასპეკიანი; მეგობრები დენის გირკელიძე, ოთარ დოღონაძე, ბონდო მარდალეიშვილი; სანდრო მელითაური, გოგი ყუფარაძე, ნოდარ ყიფიანი და სხვები.

* ახლებს შეიძლება ეუცხოვოთ ეს ტერმინი, ხოლო ვისაც კომუნისტურ ხანაში უცხოვრია, სავალდებულო სასწავლო საგნიდან – პარტიის ისტორიიდან ნაღდად ეხსომება "ხალხოსნები" [ნაროდნიკი] – ხალხში მოარული დისიდენტები.

მრელაშვილს და მის მეგობრებს დიდი ძალისხმევა დასჭირდათ რაგბის დაკანონებისათვის. ისინი ხეებსა და ტროლეიბუსებზე აკრავდნენ განცხადებებს: ამა და ამ დროს, ამა და ამ ადგილზე ვიკრიბებით და საფუძველს ვუყრით ახალ თამაშსა და კულტურას – რაგბსო. ეს დიდებული ენთუზიასტი ბევრს დადიოდა ხალხში; უმაღლეს სასწავლებლებშიც აცნობდა სტუდენტებს რაგბის საიდუმლოებებს.

1962 წლის 10 სექტემბერს, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის [თსუ] III კორპუსის ერთ პატარა აუდიტორიაში, გივიმ, არც მეტი და არც ნაკლები, რაგბზე 3-საათიანი ლექცია წაიკითხა, რის შემდეგაც მსმენელთა უმეტესობამ სიცოცხლის ბოლომდე რაგბს მიჰყო ხელი.

რაგბით მაშინ დაინტერესდნენ: კაკო ქუსიკაშვილი, გუძა აფაქიძე, დათო ჩუბინიშვილი, ვალიკო სვანიძე, ცოტნე ნაკაშიძე, ნოდარ და თემურ რჩეულიშვილები, გიზო კორძაძე, გია ბურჯანაძე, ანზორ ძამაშვილი, კახი ალადაშვილი, კახი ბილაშვილი, სარიდან შალიკაშვილი, რობერტ ნავერიანი, ლექსო ბათიაშვილი, ზეზვა მედულაშვილი, გურამ გალოგრე, რაჟიკო კორძაია, ლევან გვენეტაძე ...

კრებას ესწრებოდნენ IX კლასელებიც: თენგიზ რუხაძე, ენვერ ფირცხალაიშვილი, გიგლა ჯაყელი, ირაკლი გელოვანი, ირაკლი ჯალალიშვილი, გურამ კუციავა, ჯონი ზუკაკიშვილი, სოსო ბერძენიშვილი."

სხვა ინსტიტუტებშიც: სამედიცინოში, პედაგოგიურში, ზოოვეტში, და საწარმოებშიც – ყველგან, სადაც ეს შესაძლებელი იყო, ჩემი თანამოაზრენი აკეთებდნენ იგივეს: ხელნაწერ განცხადებას გააკრავდნენ თვალსაჩინო ადგილზე და იქვე ჩასაფრთებოდნენ, შემდეგ კი ეცემოდნენ ყოველ წამკითხველს და თუ ვერ იყაბულებდნენ – მისამართს მაინც ართმევდნენ. ასე შევქმენით, როგორც ახლა ვიტყვით, რაგბის "მონაცემთა ბაზა".

მუშაობა დავიწყე "ჰიდრო პროექტში" და იქ იმდენი მსურველი შევკრიბე, რომ ცალკე გუნდის გაკეთებასაც კი ვფიქრობდი. ცალკე ვიზიტები მქონდა უმაღლესი სასწავლებლების ფიზკულტურისა და

მოამაგე No 1 – თედო სხირტლაძე

სპორტის კათედრის გამგეებთან, პროფკავშირების თავმჯდომარეებთან, სპორტულ ორგანიზაციათა თავკაცებთან, სპორტული ნაგებობების – სტადიონებისა და დარბაზების დირექტორებთან.

ჩემს აგიტაციას ყველა არ აჰყოლია. ამისი იმედი არცა მქონდა, მაგრამ დარწმუნებული კი ვიყავი, რომ ჩემნაირი თავქარიანი ბევრი გამჩნდებოდა. გამიმართლა ტაქტიკამ? – არ ვიცი. არც მაინტერესებდა, რადგან ენერგია ისე მომზღვავებოდა, რომ წვრილმანებზე არცკი ვფიქრობდი – მხოლოდ "წინ"!

უპრობლემოდ წარიმართა შეხვედრა 31-ე ქარხნის სპორტ-კლუბის დირექტორ რუდერმანთანაც. მასთან უბრად მყოფი ჟაკი არ წამომყვა. მისთვის შეპირებულ, მაგრამ დაუნიშნავ ხელფასზე მასპინძელმა ბრძანა, ეგ ზემდგომების ბრალიაო.

ქარხანაში მოვძებნე რამდენიმე ენთუზიასტი, რომლებთანაც ჟაკს უწინ ჩაეტარებინა ვარჯიშები, და მასთან შეუთანხმებლად "ისნის" სტადიონზევე დავნიშნე წვრთნა იმ იმედით, რომ ჟაკს მუშების მწვრთნელობაზე მაინც დავითანხმებდი.

ამავე პერიოდში გავიცანი არაჩვეულებრივი პიროვნება – სასოფლოს ფიზაღზრდის კათედრის გამგე თედო სხირტლაძე.

ბატონი თედოს მიმართ უკეთესი ეპითეტი ახლა ვერ გამოვნახე, საქმე კი ასე იყო: სასწავლო ორგანიზაციათა უმეტესობის ხელმძღვანელები უაღრესად თავაზიანად მხვდებოდნენ, მაგრამ როცა გადაწყვეტილების მიღების ჯერი დგებოდა, ათას მიზეზს იგონებდნენ და სახვალიოდ მეპატიჟებოდნენ.

ამათგან განსხვავებით სხირტლაძემ გამაოცა – მითხრა, არამცთუ ხელს შეგიწყობ, გვერდშიც დაგიდგებიო. მან ამ საკითხზე სასაუბროდ გარეთ გასვლა შემომთავაზა და ჩემდა გასაკვირად, დიდი ყურადღებით მოისმინა დაზუთხული მონოლოგი რაგბის სიკეთეზე.

მაშინ არ ვიცოდი, რომ იგი დიდ ხნის წინ [1939-46] სრულიად ქართული სპორტის ხელმძღვანელიც კი ყოფილიყო, და ვერც ის წარმომედგინა, რომ ეს ხნოვანი კაცი – სუფთა წყლის ინტელიგენტი, თეთრ შლაპასა და თეთრსავე ჩესუჩის [იგივე ჩესუნჩისა თუ ჩეჩუნჩის] კოსტუმში გამოწყობილი, 24 წლის ახალგაზრდასთან რაგბზე საუბარში ორ საათს დაკარგავდა.

მისი წუხილი იყო სტუდენტების პასიურობა საზოგადოებრივ საქმიანობაში – ყველაფერს ზემოდან ელიანო. მან პარტიზანული ქმედებისგან გამათავისუფლა: მითხრა, აგიტაციას ჩვენ თვითონ გავწევთო, და რამდენიმე დღის თავზე დამიბარა.

ახლა ვხვდები: მიუხედავად იმისა, რომ მაშინ სხვებიც თანამიგრძნობდნენ, ბატონი თედო სულ სხვა პიროვნება იყო – ალბათ სულ სხვა ქვეყანა უნდოდა და სხვანაირი აზროვნების ახალგაზრდობა მოსწონდა.

მას შემდეგ ხშირად ვხვდებოდი და ხშირადვე ვსაუბრობდით. მაქებდა. ეს, რა თქმა უნდა, მუხტს მმატებდა. ასე რომ, ბატონი თედო შესატანია ქართული რაგბის ისტორიაში, როგორც თამაშის ხელშემწყობი და მოამაგე პიროვნება "No 1".

სხირტლაძის მითითებით გამოაკრეს განცხადებები, გარკვეული აგიტაციაც ჩაატარეს და ჩემდა გასაკვირად, როცა დათქმულ დღეს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში* მივედი, უზარმაზარი აუდიტორია დამხვდა.

იქ გავიცანი მთელი არმია ბიჭებისა, რომლებიც შემდეგ გაუცდენლად დადიოდნენ ვარჯიშზე, და რაც მთავარია, მხარშიც მედგნენ რუტინულ საორგანიზაციო საქმეთა მოგვარებისას.

ამ არმიაში შედიოდნენ: გენო ფირანიშვილი, გია წურწუმია, ვიტალი სისაური, გოგი ყუფარაძე, გოგი კალატოზიშვილი, სოსო გოგლიძე, კარლო კომლაძე, ალიკა ოჩიგავა, გიორგი კიკვაძე, ოთარ ელოშვილი, როლანდ კაპანაძე, თენგიზ კვიტაიშვილი, რაჟიკო ენუქიძე, ბიჭიკო სულიაშვილი, ავთო დვალი, ზაურ ასლანიკაშვილი.

სასოფლოს სტადიონი არა ჰქონდა. ბატონმა თედომ გამაცნო ავტო-მექანიკური ქარხნის დირექტორი მიშა კალატოზიშვილი – გოგის მამა, რომელმაც სავარჯიშოდ შემომთავაზა მისი ქარხნის მიმდებარე ტრიალი მინდორი, რომელიც არაფრით ჩამოუვარდებოდა მანამდე ჩემს მიერ დათვალიერებულ "სახაზინო" სტადიონებს.

რაგბის აგიტაციაში აქტიურად იყვნენ ჩართულები გია ჩეჩელაშვილი და სანდრო მელითაური, რომლებიც შემდგომში სხვადასხვა დროს ხელმძღვანელობდნენ საქართველოს რაგბის ფედერაციას.

გავიცანი შესანიშნავი წყვილიც – მომავალი პროფესორები დათო თაქთაქიშვილი და ლალი გვასალია, რომლებიც დღიდან დაარსებისა, დიდ ხნის განმავლობაში მუდმივად იყვნენ ფედერაციის პრეზიდიუმის წევრები. მიუხედავად ხელისუფების ცვლისა, მათი ერთობლივი, ოჯახური საქმიანობა და რაგბის სიყვარული რომანტიულ ელფერს ჰმატებდა პროცესს.

ძალზედ "გავახმიანეთ" ერთი მოვლენაც – 1965 წელს მოზარდ მხატვართა საერთაშორისო გამოფენაზე ჯილდო მოიპოვა მიტო გორდელაძემ. ჩვენ მას პიონერთა სასახლეში მოვუწყვეთ საზეიმო შეხვედრა, გადავეცით სამახსოვრო ადრესი და წარწერილი ბურთი. მიზეზი ნორჩი ტალანტისადმი ჩვენი ყურადღებისა ის გარემოება გახლდათ, რომ მის დაჯილდოებულ ნახატს ერქვა "რეგბი თბილის-

* მაშინ "სასოფლო" ვაკეში, ახლანდელი ხეჩინაშვილის კლინიკის [მე-9 საავადმყოფოს] ადგილას იყო.

მიტო გორდელაძე.
რეგბი და რეგბისტები

ჩვენი ქვეყნის გოგონებსა და ჭაბუკებს ეოველი პირობა აქვთ შექმნილი თავიანთი ნიჭის გამოხატვისებლად. ცხოვრების ჩვეულებრივ მოულენად იქცა ნორჩი მხატვრებისა და მუსიკოსების საკავშირო კონკურსები. მათგან საუკეთესოები საზღვარგარეთ აჩენენენ თავიანთ ხელოვნებას და ხშირად კილდოებით ხელდამშვენებულნი ბრუნდებიან სამშობლოში. ახლახან კიდევ ერთმა ჭაბუკმა გაგვიხარა. იგი თბილისის პირველი საშუალო სკოლის VIII კლასის მოსწავლე მიტო გორდელაძეა. მან ნორჩ მხატვართა მსოფლიო კონკურსში, რომელიც გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის შეგობრობის ლიგამ გამართა, ვერცხლის მედალი დაიმსახურა.

მნახველთა და სპეციალისტთა მაღალი შეფასება დაიმსახურა მ. გორდელაძის ნახატებმა „რეგბი თბილისში", „ამერიკული ენიოფელში" და „უკანასკნელი ცნობები".

ნორჩი მხატვრის სპორტისადმი სიყვარული ეუფრადღებად არ დაუტოვებიათ და თბილისის სპორტსაზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის საბჭომ იგი სიგელით დაჯილდოვა, ხოლო რეგბისტებმა მას თავიანთი იარაღი — ბურთი უძღვნეს წარწერით.

* * *

სურათებზე: ზევით — მიტო გორდელაძე საჩუქრებით ხელში; ქვევით — ერთ-ერთი პრემირებული სურათი — „რეგბი თბილისში".

ში" და ასახავდა თამაშის უმთავრეს ელემენტს – შერკინებას, ხოლო ახლანდელი გაგებით – ზედახორას.

ხალხში სიარულით ისე გავერთე, რომ ერთ დღეს, როცა შედეგები შევაჯამე, აღმოვაჩინე, რომ რაგბის თამაშის მსურველთა ძალზედ დიდი რაოდენობა მომგროვებოდა, და პერსპექტივაც უფრო ოპტიმისტური ჩანდა.

გუნდის შექმნაზე სამედიცინოც დამთანხმდა. აქ დამეხმარა ჩემი კლასელი ომარ კერესელიძე, რომელიც შემდეგ ფიზკულტურის კათედრის გამგე გახდა – თან ამ ინსტიტუტს სტადიონიც ჰქონდა.

პედაგოგიურიც დიდი ენთუზიაზმით შემხვდა – სტუდქალაქის მოედანს მოგცემთო; უნივერსიტეტმა კი – კოტე ზაუტაშვილმა და შემდეგ ელენე გოკიელმაც – ყურადღებით საერთოდ გამაკვირვა. სხვა შედარებით წვრილმა ორგანიზაციებმაც აღმითქვეს უპირობო მხარდაჭერა მათთან რაგბის გუნდების შექმნაში.

სტუდენტები აქტიურად რომ ეწერებოდნენ ჯერაც არარსებულ რაგბის სექციებში, ეგ გასაკვირი სულაც არ იყო.

ლოგიკურად მეჩვენებოდა ისიც, რომ სპორტულ საზოგადოებათა უფროსობა და კათედრის გამგეებიც არ ეწინააღმდეგებოდნენ მათთან რაგბის გუნდების ჩამოყალიბებას.

მაგრამ გავოცდი, როცა კეთილმოსურნედ შემხვდნენ სტადიონების დირექტორები და მათთან მომუშავე ფეხბურთის სპეციალისტებიც, განსაკუთრებით კი ბავშვთა ცნობილი მწვრთნელები: გრიშა გაგუა, ომარ უშვერიძე, ბორია ჭელიძე. მათთან მერე ხშირად გვერდი-გვერდ გვივარჯიშია და კონფლიქტის მსგავიც კი არაფერი მომხდარა.

ერთი ეგ იყო, რომ ჩვენ ცოტა გაუნათლებლები ვიყავით მოედნის წესიერად მოვლა-პატრონობაში და "ისნის" დირექტორი და ფეხბურთელთა მწვრთნელი ილო ბოჭორაძე ხშირად შენიშვნებს გვაძლევდა, რის გამოც მას დღეს მადლიერების გრძნობითღა ვიხსენებთ. ერთი სიტყვით, ჩემთვის სრულიად მოულოდნელი იყო ფეხბურთელების კეთილი განწყობა.

მთავარ პრობლემად გვექცა სხვა რამ: როცა ხალხში ვოიაჟების შედეგები შევაჯამე, აღმოჩნდა, რომ უზარმაზარი სხვაობაა რაგბის თამაშის მსურველებსა და იმათ შორის, ვისაც უნდა გაენათლებინა ეს მსურველები – დავდექით მწვრთნელთა უმწვავესი დეფიციტის წინაშე.

სიტყვამ მოიტანა და მოსკოვში არანაკლები ბუმი იყო, მაგრამ იქაურებს მშველელად მოევლინა ძველი, ომამდელი თაობა და მწვრთნელის პრობლემა საერთოდ არ დამდგარა. სამწუხაროდ, "მოთხოვნა-მიწოდების" ამგვარი დისბალანსი იქცა რაგბის განვითარების მუხრუჭად.

სცოდავდა სპორტის ზოგი მუშაკიც – კეთილი განწყობა უმალ უქრებოდა, როგორც კი საქმე რეალობამდე მივიდოდა: ელემენტარულ საკითხსაც კი – მაგალითად, მაისურების შესაძენად მიზერული თანხის გამოყოფას, ხუთი ან მეტი ვიზიტი ჭირდებოდა ხოლმე.

მიუხედავად ამ პერიოდში დატვირთულობისა, თავს მუდმივად ვიიმედებდი, რომ ეს ყველაფერი დროებითი გატაცება იყო და მეტი არაფერი. თბილისში დარჩენა რომ გადავწყვიტე – იგივეს ვფიქრობდი: აი, რაგბს ცოტა გზაზე დავაყენებ და მერე კარგად იყოს-მეთქი.

გამოვიდა კი სხვანაირად: ამ "დღეს ხვალეობაში" 1959 წლის გაზაფხულის იმ დღიდან მოყოლებული, როდესაც მოსკოვში პირველად მივედი ვარჯიშზე – მინიმუმ 20 წელი, ჩემი ძირითადი სამუშაოს პარალელურად, რაგბშიც ვასრულებდი სხვადასხვა, ერთმანეთისგან განსხვავებულ ფუნქციას:

ჯერ როგორც ორგ-ბიუროს წევრი, ვმონაწილეობდი მოსკოვსა და სხვადასხვა ქალაქში რაგბის დანერგვის ღონისძიებებში [სემინარები, საჩვენებელი თამაშები, შეჯიბრებები].

თბილისში რომ ვთავმჯდომარეობდი ჩემს მიერვე ჩამოყალიბებულ ფედერაციას, თან ვთამაშობდი და თანაც ვმწვრთნელობდი; ხან ვმსაჯობდი ან ფორმებისა და ბურთების შესაკერად დავრბოდი; ხანაც სავარჯიშო ან საშეჯიბრო სტადიონების მოსაპოვებლად მიწევდა ბრძოლა.

კიდევ მიხდებოდა აფიშების შეკვეთა; რადიოში და ახლად გამომცხვარ ტელევიზიაში გამოსვლა, ღამე კი წერილებს ვამზადებდი და დილით ვუგზავნიდი ბირჟებზე გაცნობილ "დამრტყმელებსა" და აბანოში შეთვალიერებულ ტანად ბიჭებს.*

მთელი ამ ხნის განმავლობაში რაგბის ფედერაცია ოფიციალურად კი იყო დამისამართებული სპორტის მმართველ უწყებაში, მაგრამ რაგბის აქაური ენთუზიასტებისთვის და საბჭოელი თუ უცხოელი სტუმრებისთვისაც ნაღდ "პრახადნოი დვორს"** წარმოადგენდა ჩემი 2-ოთახიანი ბინა ვარანცოვზე, კლარა ცეტკინის [ახლანდელი წინამძღვრიშვილის] 17-ში.

ახლა მიზეზებს აღარ იკითხავთ? ერთი რომ, წესდების თანახმად, ფედერაციის თავკაცობა მწვრთნელობა-მსაჯობასთან შესაბამისობაში ვერ მოდიოდა; და მეორეც, რაგბის სარეკლამოდ მაგ თავკაცობას ხშირად ვთხოვდით საზოგადოებაში ცნობილ პირებს. და კიდევ, სიტყვას მოჰყვა და ჩემი დიდი ეზოს ყველა ჯანსაღი მობინადრე დავასნებოვნე რაგბის ვირუსით!

დილით, დღისით, საღამოს თუ ღამით [გვიანი რეისით ჩამოფრენილისთვის] – იმის და მიუხედავად, შინ ვიყავი თუ არა, ყველა მოსული თუ ჩამოსული უკითხავად და დაუკაკუნებლად შემოაღებდა თბილისური ეზოს აივანზე მდებარე ჩემი ბინის კარს, რომელსაც არასოდეს ვკეტავდი, და დახმარებას ითხოვდა: "გივი, შეიძლება?"

მე თუ შინ არ ვიყავი, მოსულს უმასპინძლებდა დედაჩემი, მამაჩემი, ჩემი და, ანაც ჩემივე მეზობელი მეგობრები: ფედერაციის პასუხისმგებელი მდივანი დენის გირკელიძე, მსაჯთა კოლეგიის შეფი ბონდო მარდალეიშვილი, მწვრთნელთა საბჭოს უფროსი ოთარ დოღონაძე.

შინ უამრავი წერილი მომდიოდა როგორც ადგილობრივი, ასევე შორებელი თანამოაზრეებისაგან. სახუმარო ამბავიც გადაგვხვდა თავს: ერთხელ მოსკოვიდან მივიღე მაშინ არსებული ყველა ფედერაციის მისამართებიანი ჩამონათვალი.

მასში ჩვენი ფედერაციის გასწვრივ ეწერა: თბილისი, მრელაშვილის გამზირი 17. ამ საბუთს თან ახლდა მინაწერი საკავშირო სპორტის [და არა მხოლოდ რაგბის] ერთ-ერთი შეფისა: "გივი, კარგად დააკვირდი თქვენი ფედერაციის მისამართს. ჩვენმა მდივანმა ლენკამ რაღაცეები აურია, მაგრამ მე ხელი ისე მოვაწერე, რომ არაფერი ჩავუსწორე. დაე, ასე დარჩეს."

---

* აბანო იმჟამინდელი თბილისური ყოფის განუყოფელი ნაწილი იყო – აბაზანა შინ ცოტა ვინმეს თუ ჰქონდა. ძველები პირდაპირ ნათქვამს სწორად გამიგებენ, ჯეელებს კი ვურჩევ, ტანადი ბიჭების ხსენებას კუდი ახალი დროების ყაიდაზე, გაუკუღმართებულად არ გამოაბან.

** ქალაქური ჟარგონია; ნიშნავს შესასვლელ ეზოს, რომლის გაუვლელადაც თბილისური სახლის დიდ, საერთო ეზოში ვერ მოხვდები.

ასე ორიგინალურად დამისამართებული წერილები კიდევ კარგა ხანი მოჰქონდა ჩვენს ფოსტალიონ სტიოპას, რომელიც საქმის კურსში იყო და სულ ჩიოდა – კოჭლი რომ არ ვიყო, მორაგბე ვიქნებოდიო.

ბინის სივიწროვის გამო, სამუშაო ადგილად გამოვიყენე ქუჩაზე გამავალი აივანი, რომელიც პერსპექტივაში მთაწმინდასა და მამა დავითს გაჰყურებდა. მოვიწყვე კაბინეტი – საწერი მაგიდით, მაგიდის ნათურითა და ყველა საჭირო ატრიბუტით.

ჭადრითა და აკაციებით მოჯარული აივანი, მთელ პერიმეტრზე დედაჩემისა და დის მიერ დალაგებული, სხვადასხვა ყვავილის ქოთნების ფონზე – მომცრო სემირამიდას ბაღს მოგაგონებდათ. ხეების გახარების მთავარი შემოქმედი მამა იყო, რომელიც დიდი სიცხის ანაც გვალვის დროს მათ დაუზარებლად რწყავდა.

ჩემი გონება, შეიძლება ითქვას, რაგბს ჰქონდა დაკავებული: ეს იყო 24-საათიანი ფიქრი, საქმიანობა და ლამაზი ტერმინით – "მოღვაწეობით" შემკული ვირული შრომა, რომლის მარგი ქმედების კოეფიციენტზე არასოდეს მიფიქრია.

მიმავიწყდა სხვა ყველაფერი: კარიერა კი არა, ქალებთან ურთიერთობაც კი მეორე პლანზე გადავიდა და დამრჩა: რაგბი, რაგბი და რაგბი.

ახლაც მახსოვს, ჩემი "სემირამიდას ბაღის" მოპირდაპირე სახლის აივანზე, 7-10 მეტრის მოშორებით როგორ იკრიბებოდნენ სტუდენტი გოგოები – ხან ერთად სამეცადინოდ და ხანაც გასართობად. მათ რარიგ აგრესიული შეტევები მოჰქონდათ ჩემზე – ახალგაზრდა კაცზე, რომელიც სულ რაღაცას წერდა და მათ არანაირ ყურადღებას არ აქცევდა.

ისინი, ასეთი იგნორირებით გამწარებულნი, ნაჭამი ატმებისა და ქლიავების კურკებს ზალპებად მესროდნენ. ამას ვიხსენებ იმის დასამტკიცებლად, რომ რაიმეთი აღტაცება სულ სხვა რამეა – არანაკლები ქალით გატაცებაზე.

მაინც ვის და რას ვწერდი ამდენს? რუსულიდან ვთარგმნიდი ჩემს ხელთ არსებულ ფრანგულსა და რუმინულ ლიტერატურას; განზრახული მქონდა სახელ-

კაბინეტი ამ აივანზე მოვიწყვე და ვიტანდი გოგოების ნასროლი კურკების ზალპებს

მძღვანელოს გამოშვება; ვწერდი სტატიებს, რომლებსაც მიბეჭდავდნენ "გეპეის" ქალები – რა თქმა უნდა, უფასოდ.

სქოლიოში უკვე დავწერე, რომ იმ დროში საკუთარი სანიტარული კუთხე დიდი იშვიათობა იყო. ყველანი დავდიოდით საზოგადოებრივ აბანოებში. იქ, ვინც თვალში მომხვდებოდა აღნაგობით – ავუხსნიდი, რომ სპორტის ახალი სახეობისთვის მჭირდება შენისთანა ხალხი-მეთქი, და მისამართს ვართმევდი.

მერე კიდევ, როცა 6-წლიანი არყოფნის შემდეგ გავედი პლეხანოვის ბირჟაზე, და რაგბზე დავუწყე საუბარი ძველ "ბირჟავიკებს": ოთარ მაჭავარიანს, კარლო გურგენიძეს, მიშიკო ჭიაურელს, ტრისტან ანთელიძეს, რეზო სოხაძეს, დათო გოგიაშვილსა და ბევრ სხვას – ყველას, ვინც ტრაფარეტული კითხვა მომცა, ჩვენ რაღა ვქნათ მაგ რაგბშიო – გამოვართვი მისამართი და სათითაოდ გავუგზავნე წერილი.

გავედი ნახალოვკაში [ნაძალადევში] და გავიცანი დიდი კაცი – ლეო ახვლედიანი, რომელმაც ძალიან დიდი ხნის შემდეგ დიდი პატივი მცა; კიდევ "რიჩარდა", შემ-

დეგ – მიშიკო შენგელია და სულ მოზარდები: გიგლა ჯაყელი, გელა ტატიშვილი, კიდევ ბევრი სხვა და, რაღა თქმა უნდა, მურიკო თოფურიძე, რომელმაც რაგბის ვარჯიშზე მთელი "ატრიადი" [რაზმი] მოიყვანა.

როგორც მოგახსენეთ, ყველას სათითაოდ წერილს ვწერდი. გაამართლა ამ ტაქტიკამ? – რა თქმა უნდა. ხომ მოგახსენეთ, მალე იმდენი მოხალისე ამომიდგა გვერდში, რომ დავალებების გაცემას ვეღარ ვასწრებდი. ჟურნალისტმა და მკვლევარმა გაბრიელ ბარჯაძემ წიგნში "რეგბი, რეგბი" მათ კარგი სახელი მოუგონა – "გივის ლაშქარი".

ამ ენთუზიასტების მიერ გაკრული განცხადებებით, რომ რაგბი მსოფლიოში ყველაზე კარგი თამაშია და კაცობრიობის ყველაზე დიდი გამოგონებაა, აჭრელებული იყო ათეულობით დაწესებულება.

ფრონტი რომ ვეღარ გვეყო, ქუჩაშიც გამოვედით – ამირან ლობჟანიძემ და მისმა მეგობრებმა რაგბის სარეკლამო ფურცლებით ააჭრელეს ვაგზალი; მიკა კვინიხიძემ, ირაკლი კიზირიამ და რომა ღვინიაშვილმა კი განცხადება რაგბის სექციის მუშაობის განრიგის შესახებ სულაც ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრის სვეტებსა და კედლებზე გააკრეს.

ერთი სიტყვით, სიტყვა "რეგბი" მეტად სწრაფად მოუშინაურდა მაშინდელ ახალგაზრდობას. საკმარისი იყო, თუნდაც ერთი მორაგბე აღმოჩენილიყო მრავალრიცხოვან სუფრაზე, რომ მთელი საღამო საუბარი იქნებოდა რაგბზე.

მოშურნენი იძახდნენ კიდეც: "წაიღეს ტვინი ამ რეგბისტებმაო".

6-წლიანი არყოფნის შემდეგ გავედი პლეხანოვის ბირჟაზე

10 ოფიციალური ორგანოს დაფუძნება

იმ დღეს, როცა გადავწყვიტე, რომ უკვე დამდგარიყო პრაქტიკული ნაბიჯების გადადგმის დრო და დავაპირე ჟაკთან წასვლა, იგი დაბარებულივით თვითონ გამომეცხადა. როცა ვუთხარი, რომ მოვიდა დამფუძნებელი ყრილობის ჩატარების დღე და ქალაქის სპორტ-კავშირში უნდა წავიდეთ-მეთქი, მან საყვედურ-ნარევი სიხარულით მომიგო: გვეღირსაო!

სპორტ-კავშირში, კონსტიტუციის ქუჩაზე, უკვე რამდენჯერმე ვიყავით ნამყოფი და მისი თავმჯდომარის მოადგილესთან – მიშა ბერიევთან პრინციპში შეთანხმებული გვქონდა ყრილობის ჩატარება. გვრჩებოდა დღის დათქმა. ბერიევი ჩვენს თარიღზე – 1961 წლის 30 ნოემბერზე დაგვთანხმდა, მაგრამ შეიცხადა დაგეგმილ ღონისძიებათა სიმრავლე – ამდენს ფინანსურად ვერ გავწვდებითო.

ჩვენს მიერ წარდგენილ ნუსხაში 1962 წლისთვის შემდეგი ღონისძიებები ეწერა: მსაჯთა და მწვრთნელთა სემინარი; საგაზაფხულო და საშემოდგომო ჩემპიონატი; მოსკოვის გუნდთან პირველი საქალაქთაშორისო შეხვედრა; თბილისის გუნდის ტურნე მოსკოვსა და ლატვიაში; კონსტიტუციის თასი; და გაზეთ "მოლოდიოჟ გრუზიის" პრიზი, რომლის ინიციატორიც იყო ჟურნალისტებიდან რაგბით "დაავადებული" პირველი პიროვნება, შემდგომში რაგბის ტრფიალი ოთარ ნოზაძე.

ბერიევი ყველა ღონისძიების დაფინანსებას დაგვპირდა, გარდა ერთისა: ჩვენთვის ყველაზე მნიშვნელოვანი ტურნესი – მაგისი ფული არა გვაქვსო.

ყრილობის ორგანიზაციული საკითხების მოგვარება დაევალა გიორგი შარაშიძეს – მეტსახელად "კროშკას". იგი ქალაქის ინსტრუქტორი იყო და თურმე რაგბიც ეთამაშა ჯეელობაში, 14 წლის წინ [1947], თბილისში ჩატარებულ "ქალაქთა მატჩში" – ჩვენს სახელდახელოდ შეკრებილ გუნდში, რომლის შემადგენლობაში არ იყო არცერთი [!] ნაღდი მორაგბე.

ვიდრე დამფუძნებელი ყრილობის მსვლელობას აღვწერდე, ორიოდე სიტყვით შევეხები მის მნიშვნელობას ქართული რაგბის ისტორიისათვის.

საბჭოთა ხელისუფლებას კარგად ჰქონდა გაცნობიერებული მოსახლეობის მთავარი მოთხოვნილება, რაც ძველი რომიდან მოყოლებული, გამოიხატება ცნობილი რეფრენით: "პური და სანახაობა".

არავის უთქვამს, ცალკე პური და ცალკე სანახაობაო. ეს ტყუპი მოთხოვნილება იყო, არის და მუდმივად იქნება ადამის მოდგმის მთავარი მისწრაფება, მისი ცხოვრების წესის შემადგენელი ნაწილი.

ამ აქსიომის ალტერნატივის არარსებობა კარგად ესმოდათ საბჭოთა ხელისუფლების იდეოლოგებს, და რადგან სხვა უამრავ გასართობთან ერთად, კაპიტალისტურ სამყაროში სანახაობის რთულ ფუნქციას თავს წარმატებით ართმევდნენ მხოლოდ ფეხბურთი და ჰოკეი – მათ გადაწყვიტეს, საბჭოეთშიც ეს ორი, ადრევე დანერგილი თამაში განევითარებინათ.

რაგბმა "მარგი უცხოური გამოცდილების გადმოღების" მეორე ტალღითღა შემოაღწია 15 წლით გვიან და ბუნებრივია, უკვე ფეხ-მოკიდებული ფეხბურთ-ჰოკეივით ვეღარ იხარა ომის წინ – რეპრესიათა ხანაში, თუმცაკი ერთგულ მიმდევართა მცირე ბირთვის გაჩენა მაინც მოასწრო.

მოსკოვში რაგბის განვითარება ერთობ შეაფერხა ექვსმა [!] წყვეტამ [1923, 1937, 1939, 1941, 1948, 1950], საქართველოში კი – ლელოს სამშობლოში, სამი ეპიზოდური მცდელობის [1935, 1940, 1947] მიუხედავად, ეგრეც ვერ გაიდგა ფესვი, და უიმედობის გარდა, სხვა ვერაფერი დაგვიტოვა.

აქედან გამომდინარე, მკითხველი იოლად მიმიხვდება სათქმელს: როდესაც ხრუშჩოვის "დათბობის" წლებში სტუდენტობამ ააღორძინა რაგბი, ამ მოძრაობაში აქტიურად ჩაება მოსკოველი ბებრების თაობა – მწვრთნელის, მსაჯის, მენეჯერის რანგში, ხოლო იმის გამო, რომ

ქართულმა რაგბმა სტალინური პერიოდი გამოტოვა – უტრადიციოს დამოუკიდებლად მოუხდა რაგბის ანბანის შესწავლა.

ამ ფაქტს ვიხსენებ მხოლოდ იმიტომ, რომ მეტად დავაფასოთ 1960-იანელთა ფანატიზმი, ურომლისოდაც ქართული რაგბი იმავე დღეში აღმოჩნდებოდა, როგორშიც 1930-იანსა და 1940-იან წლებში იყო [ამ ხანის რეზიუმე ამავე თავის ბოლოში მოგვაქვს]

დავუბრუნდეთ 1961 წელს. ხუთშაბათს, 30 ნოემბერს, თბილისის სპორტის საქალაქო კომიტეტში შედგა თბილისის "რეგბის სექციის" დამფუძნებელი ყრილობა, რომელმაც ამ ისტორიულ დღეს აირჩია ფედერაციის ორგ-ბიურო. მასში შევიდნენ "გეპეის", სასოფლოსა და 31-ე ქარხნის "რეგბის ენთუზიასტები".

თავმჯდომარედ არჩეული იქნა გივი მრელაშვილი, მოადგილედ – ჟაკ ასპეკიანი, პასუხისმგებელ მდივნად – დენის გირკელიძე, მწვრთნელთა საბჭოს თავმჯდომარედ – ოთარ დოღონაძე, მსაჯთა კოლეგიის თავმჯდომარედ – ბონდო მარდალეიშვილი. კრებას კურირებდა კომიტეტის ინსტრუქტორი გიორგი შარაშიძე – მერე და მერე ხელბურთის გამოჩენილი მწვრთნელი.

მაშინდელი კანონმდებლობის მიხედვით, მეორე დღეს, ანუ პარასკევს, 1961 წლის 1 დეკემბერს, თბილისის კომიტეტის თავმჯდომარემ გამოსცა სპეციალური ბრძანება, რომელმაც დაამტკიცა წინა დღეს ჩატარებული ყრილობის შედეგები, შაბათის "ლელომ" კი გამოაქვეყნა ჩემი წერილი "რა არის რეგბი".

ამ, თბილისის კომიტეტის რიგითი ბრძანებით, რაგბმა სპორტის სხვა სახეობების თანაბარი უფლებები მოიპოვა და შესაბამისად, მათსავით მოხვდა სახელმწიფო ზრუნვის სფეროში, რაც პირველ რიგში ნიშნავდა ფინანსების წვდომას.

ასე რომ, 1961 წლის 1 დეკემბერი ქართული რაგბის ოფიციალურად აღიარების დღეა. მაშინდელი კანონისვე თანახმად, 1962 წლის ივნისის განკარგულებით სექცია გადაკეთდა "ქალაქის ფედერაციად" – ზუსტად იმავე შემადგენლობით.

დღევანდელი რაგბის კავშირის წინამორბედი "სექცია" შენობის ამ ფლიგელში იშვა 1961 წელს

აქვე არ შემიძლია, ამ მშრალი ინფორმაციის თანმდევად არ გავიხსენო კურიოზული ეპიზოდები, რომლებიც ამ ყრილობასთანაა დაკავშირებული. კრება ტარდებოდა კომიტეტის უდიდეს ოთახში, რომლის მთავარი ფანჯარა პირდაპირ უცქერდა ნინოშვილის ქუჩის იქეთა მხარეს არსებულ დაწესებულებას, სახელად – ვენერიულ სნეულებათა დისპანსერს, და იქ შეკრებილი კდემამოსილი გოგოები ყველანაირად ცდილობდნენ აქეთურების ყურადღების მიპყრობას.

სხდომის დასაწყისში მე, ფანჯარასთან ზურგით მჯდარი, ძალიან კმაყოფილი ვიყავი, რომ ყურადღებით მისმენდნენ. შემდეგ შევამჩნიე, რომ დამსწრეთა დაძაბული მზერა ჩემს არეალს სცილდებოდა. მოვიხედე უკან და გავოცდი:

მოპირდაპირე შენობის ფანჯარაში კარგად მოჩანდა, საწოლზე მდგარი ქალბატონი თუ როგორ იშიშვლებდა ტანს – ამ

ძალიან თავგადადებული რაგბის ენთუზიასტების მზერაც მას მიეპყრო.

ყრილობა რომ გაგვეგრძელებინა, ფარდის მაგვარი ნაჭერი მოვიძიეთ და ფანჯარაზე ჩამოვკიდეთ. ამაზე არც შევჩერდებოდი, რომ არა იმ გოგოს ვინაობა, რომელმაც სტრიპტიზი მოგვიწყო და შემდგომში მთელმა ქალაქმა გაიცნო – დიახ, რაგბის დაკანონებას ლეგენდარული მარინა თავის და უნებურად შეესწრო.

მეორე ეპიზოდი, რაც ამ ყრილობას უკავშირდება, უფრო სერიოზული იყო და მადლობა ღმერთს, რომ ყველაფერი კეთილად დამთავრდა – მე ამ ამბავს "სიკეთე ავარიისა" დავარქვი.

საქმე ის გახლდათ, რომ ხალხში ჩემი სიარულის დროს გაცნობილი ენთუზიასტების მცირე ნაწილს შინ ვიბარებდი, დიდს კი – თბილისის კომიტეტში, რაზეც ამის თავკაცს, ძველ ტანმოვარჯიშე გულო რცხილაძეს ეთქვა, ნეტავ პარტიის რაიკომები მუშაობდნენ ასეო.

ამ შეკრებებზე მიდიოდა ცხარე კამათი, სჯა და ბაასი. მე ეგებ ნაკლები ყურადღება მივაქციე იმას, თუ ვინ ავირჩიეთ ორგბიუროში, მაგრამ როგორც შემდეგ გაირკვა, არჩევნების შედეგით კმაყოფილებსა და უკმაყოფილოებს შორის სიტუაცია ისე დაძაბულა, რომ საქმე მისულა, არც მეტი და არც ნაკლები – დუელამდე!

ბიჭებმა ეს ყველაფერი, რა თქმა უნდა, დამიმალეს. და ახლა წარმოიდგინეთ, პირველად მსოფლიო რაგბის ისტორიაში, იმის გასარკვევად, თუ როგორ უნდა განვითარებულიყო რაგბი ქვეყანაში, აქტივისტები ისე დაუპირისპიდნენ ერთმანეთს, რომ საქმის გარჩევა დუელით უნდა დაემთავრებინათ.

მოვლენები ასე განვითარებულა: დათქმულ დღეს დუელის დათქმული ადგილის – ოქროყანისკენ წასულა ორი ამორტიზირებული მანქანა: მიჭეჭყილ კარიანი "პაბედა" და ტენტიანი, ოღონდაც იმ დღეს თავ-მოშიშვლებული, არანაკლებ საცოდავი შესახედაობის "მასკვიჩი".

მანქანებში მსხდარან მოქიშპე მხარეთა დუელიანტები, სეკუნდატები, ექიმი და სხვებიც. დუელიანტების ასაკია 18-19 წელი. მისივე ტოლია პირველ-კურსელი ექიმი, ერთ-ერთი სეკუნდატის ასაკი ისტორიაში უნიკალურია – ბიჭი 16 წლისაა.

საბედნიეროდ, ღმერთი მაღალია – გასცინებია და შეუწყალებია ბავშვები. უკან მიმავალი "მასკვიჩის" მგზავრებს ერთ-ერთ მოსახვევში შეუმჩნევიათ ხევში გადავარდნილი, წინ მიმავალი "პაბედა", რომლიდანაც გინებ-გინებით გადმოდიოდნენ უვნებლად გადარჩენილი მგზავრები. ჰოდა, "მასკვიჩის" მგზავრები ერთად გადაშვებულან მოსისხლეთა საშველად.

რაღა დროს დუელი იყო? ყველაფერი მშვიდობით დამთავრებულა. გადარჩენილებსა და გადამრჩენებს ერთად გადარჩენა აღუნიშნავთ ფუნიკულიორის რესტორანში, სადაც დუელიანტები თურმე ვერღარც იხსენებდნენ შეუმდგარი დუელის საბაბს.

დამფუძნებელი ყრილობის მეორე დღეს რომ მივედი თბილისის კომიტეტში, "კროშკამ" ცუდი ამბავი დამახვედრა: საგაისო პროექტში რაგბის შეტანას ვერ ასწრებენ – ბუღალტერიამ თქვა, დაგვიანებულიაო. შევედი რცხილაძესთან. საბედნიეროდ, მასაც არ სცოდნია ამის შესახებ, და როცა მომისმინა, შემოსწრებულ ბერიევს გადახედა – რაშია საქმეო?

რაგბი მართლაც არ შეეტანათ 1962 წლის გეგმაში. ბერიევმა თქვა, ბუღალტერს დავუძახებ, ის უკეთ მოგახსენებთო. აი, მაშინ კი ბატონი გულო, რომელიც ისედაც სულ კოპებ-შეკრული დადიოდა, უფრო მოიღუშა, ბერიევს გეგმა უკან მიუგდო და წყნარად, მოკლედ მოუჭრა: არავის დაძახება არ გინდა, შეიტანე კალენდარშიო.

მე რატომღაც გამახსენდა სასოფლოს კათედრის გამგე სხირტლაძე – რცხილაძეც იმავედ წარმოვიდგინე და მინდოდა გადავხვეოდი, როცა კუდამოძუებული ბერიევი კაბინეტიდან გავიდა.

იმის წარმოდგენაც აღარ მინდოდა, რა მოგველოდა, თუ კალენდარში არ შეგვიტანდნენ, ახლა კი აღსრულდა ოცნება, რასაც რაგბის დაფინანსება ერქვა.

ასე და ამგვარად, სპორტის ხელმძღვანელთა შორის გულო რცხილაძე გახდა "რაგბის მოკეთე No 2".

1935 | 6-დღიანი, საბჭოური კვირეულის** უქმე დღეს – 24 მაისს, "ლენინის სტადიონზე" [ოქროს უბანში] თბილისის ფიზკულტურის ტექნიკუმის სტუდენტებმა "რეგბის, ანუ ამერიკული ფეხბურთის" საჩვენებელი თამაში გამართეს.

1937 | მძლეოსან ელიზაროვის გაცნობითი სტატიის კვალად, ტექნიკუმის დირექტორის, თედო სხირტლაძის წარდგინებით სტუდენტი – აკრობატი გიგა დვალი "რეგბის სასწავლო შეკრებაზე" მოსკოვს გაიგზავნა, მაგრამ მალე საბჭოთა რეგბის აქტივი რეპრესირებული იქნა.

1940 | შინ დაბრუნებულმა დვალმა, აწ უკვე საქართველოს სპორტის მთლად შეფის – თედო სხირტლაძისვე დავალებით, მორიგი კამპანიის ფარგალში ზაფხულში მოაწყო სემინარი და ზამთრის პირზე გამართა 4-გუნდიანი ქალაქის პირველობა, რომელიც "დინამოდ" წოდებულმა უცხო, სამხედრო ქვედანაყოფმა მოიგო.

1941 | აპრილში "დინამო" ჯერაც ვარჯიშობდა; სამაისოდ ქალაქის პირველობა დაიგეგმა, ხოლო ივნისში ომი დაიწყო.

1947 | მოსკოვიდან მოვლინებულმა ივან ციგანოვმა ტექნიკუმშივე სახელდახელოდ შეკრიბა გუნდი, რომელშიც გივი კარტოზია და გიორგი შარაშიძეც ჩაებნენ. ბიჭებმა "დინამოზე" გამართულ "ქალაქთა მატჩში" სამივე თამაში ბარაქიანად წააგეს და მეტად აღარც ურაგბიათ.

1949 | მორიგ "ქალაქთა მატჩზე", კიევში უნდა მიევლინათ ლელობურთის ჩემპიონი, დიდი ჯიხაიშის ტექნიკუმის გუნდი – სამტრედიის "უროჟაი", მაგრამ გეგმა უცნობ მიზეზთა გამო ჩაიშალა, ხოლო შემდეგ, 1950 წელს რეგბი საბჭოეთში სულაც გაუქმდა, როგორც ზედმეტი – ოლიმპიურად უპერსპექტივო სახეობა.

* წყარო http://matiane.Qaflan.net/

** 6-დღიანი, საბჭოური კვირეული მოქმედებდა 1931 წლის დეკემბრიდან 1940 წლის ივლისამდე. უქმე იყო ყოველი თვის 6, 12, 18, 24, 30 რიცხვები; 30 თებერვლის მაგივრობას 1 მარტი სწევდა, 31 რიცხვი კი ყოველთვის სამუშაო დღე იყო.

11 ქალაქის პირველი ჩემპიონატი

დადგა 1962 წელი. თავში მოგვივიდა გიჟური მოსაზრება, რომ ახალ წელს შევხვედროდით რაგბის თამაშით – პირველი ტაიმი გაგვემართა 1961 წლის 31 დეკემბერს, შესვენებაზე შამპანურით აღგვენიშნა ახალი წლის დადგომა და ბურთაობა გაგვეგრძელებინა 1962 წლის 1 იანვარს, მაგრამ უამინდობის გამო ეს ჩანაფიქრი ვეღარ განვახორციელეთ.

როგორც კი გამოიდარა, გუნდებს, რომლებსაც აპრილში უნდა ეთამაშათ თბილისის პირველ, საგაზაფხულო ჩემპიონატში, სპარინგები დავუნიშნეთ.

ამ მატჩებმა დაგვანახა, რომ ახლები სრულიად მოუმზადებელები იყვნენ. ეს ბუნებრივიც იყო, რადგან მათ ზამთარში ვარჯიშის საშუალება არა ჰქონდათ. ამიტომ მათგან დავაკომპლექტეთ "ახალგაზრდული ნაკრები". არადა, ამ გუნდსაც არანაირი შანსი არა ჰქონდა თანაბარი პაექრობისა "გეპეისთან", "ისანთან" და "სასოფლოსთან", რომლებიც რეგულარულად ვარჯიშობდნენ.

ჩემპიონატამდე მე და ჟაკმა ჩავატარეთ ქალაქის მიერ ოფიციალურად დაფინანსებული მსაჯთა და მწვრთნელთა სემინარი – გავეცით შესაბამისი მოწმობებიც, მაგრამ მწვრთნელობასა და მსაჯობას ჯერაც ვერავის ვანდობდით.

ჩემპიონატში დაძაბულ ბრძოლაში გაიმარჯვა* "გეპეიმ", რომელსაც წვრთნიდა ჟაკი. გადამწყვეტ თამაშებს თავად გავუძეხი, მაგრამ ვგრძნობდი, რომ ჩემი მსაჯობით "სასოფლოსა" და "ისნის" ბიჭები უკმაყოფილონი იყვნენ – თვლიდნენ, რომ მიკერძოებული ვიყავი "გეპეის" მიმართ.

ეგებ, ჩემ და უნებურად, ასეც გამოდიოდა, რადგან არ მინდოდა წყენა ჟაკისა, რომელსაც რაგბიდან წასვლა უნდოდა, და ეს მაშინ კატასტროფად მეჩვენებოდა.

ამის მიუხედავად, ასპეკიანი მაინც წავიდა გუნდიდან პირველობის დამთავრებისთანავე, რადგან "გეპეის" ზრდასრულმა ბირთვმა ახალი პატრონი – "სპარტაკი" იპოვა. ჟაკმა მოიმიზეზა, სამკერვალო შეკვეთა ბევრი მაქვს და ოჯახიც მოსავლელი მყავსო, და "ისნის" მწვრთნელობაზეც თქვა უარი.

ამის შემდეგ სამ გუნდს ვავარჯიშებდი. მეხმარებოდნენ მოთამაშეები: "ისანში" – სერგეი "კუმა" ლეშიშინი და შურა გოგლიძე, "სასოფლოში" – გენო ფირანიშვილი და სანდრო მელითაური, "სპარტაკში" – ჯემალ ბერაძე და ნოდარ ყიფიანი, უვეტერანებო "გეპეი" კი უპატრონოდ მრჩებოდა.

არადა, აქ მოკლე ხანში დიდი ძვრები მოხდა – რაგბში ერთბაშად მოვიდა პოლიტექნიკოსთა მთელი არმია. მათ შორის იყო ოთარ დოღონაძე. მცირედი ყოყმანის შემდეგ იგი დავითანხმე, გუნდს სათავეში ჩასდგომოდა.

1962 წელი კიდევ აღსანიშნავია იმით, რომ ჩვენმა ძალისხმევამ სარაგბო სამოსისა და ინვენტარის მიმართულებით შედეგი გამოიღო.

ერთმა ფაბრიკამ შესანიშნავი ფორმების გამოშვება დაიწყო – მანამდე მაისურს

---

* ჩემპიონატის შესახებ "ლელომ" დაბეჭდა მხოლოდ ფოტო და მოკლე ნარკვევი. საბუთებმა ჟამთა სიავეს ვერ გაუძლო – ოქმები რომ დაიკარგა, ანგარიშებიც ვეღარ ვიცით, მაგრამ კი მახსოვს, რომ "გეპეი" 6:3 უგებდა "სასოფლოს", ბოლოს კიდევ რომ დაუდო ლელო და გარდასახა, რაც იმ დროს ჯამში 5 ქულას იძლეოდა. ერთი სიტყვით, 22 აპრილის სტუდენტური რკენა 11:3 დასრულდებოდა.

პრიმიტიულად ვიკერავდით ჭრელი, სალეიბო მასალისგან. მანვე ოვალური ბურთის წარმოებაც აითვისა.

ზოგი კრიტიკოსის ქილიკი, რომელიც ჩვენს მაშინდელ ბურთს თანამედროვე "გილბერთს" ადარებს, ყოვლად უადგილოა, რადგან თბილისში გამოშვებული ბურთი უცხოურს არაფრით ჩამოუვარდებოდა. მათით მარაგდებოდა მთელი საბჭოთა კავშირი – თბილისის ფაბრიკა ერთადერთი იყო, რომელიც ამ საქმიანობას ეწეოდა. ამან დამატებითი სარგებელი მოუტანა ქართული რაგბის ავტორიტეტს.

დასასრულ, მოკლედ შევეხები პიროვნულ პრობლემას, რომელიც ჩემს წინაშე მოულოდნელად დადგა: აქეთ-იქით, ერთი გუნდიდან მეორეში სირბილში მასზე არც მეფიქრა, ისე მოატანა ჩემპიონატზე განაცხადის წარდგენის ვადამ.

იმ ხანად საკმაოდ კარგ ფიზიკურ ფორმაში ვიყავი: როგორც მოთამაშე, ხან "სასოფლოს", ხან "ისნისა" და ხანაც "სპარტაკის" შემადგენლობაში ვმონაწილეობდი სპარინგებში და გამოცდილების წყალობით, ყველგან წამყვან როლს ვასრულებდი. მაგრამ აი, მოახლოვდა ჩემპიონატი და დავდექი დილემის წინაშე, თუ რომელ გუნდში ჩავწერილიყავი წევრად.

სხვას შეიძლება უმნიშვნელოდ ეჩვენოს, მაგრამ ჩემთვის – 24 წლის ახალგაზრდისთვის, ვისაც თამაში ჯერაც სწადია, ეს პრობლემა "ყოფნა-არყოფნის" ტოლფასად მეჩვენებოდა.

თან სულ თავში მიტრიალებდა ჩემი მთავარი "ცენზორისთვის" – დისათვის მიცემული პირობა, რომ რაგბში ვიქნებოდი მარტოოდენ მოთამაშე და სხვა არაფერი.

ბოლოს გადავწყვიტე, ამჯერად თავი შემეკავებინა რომელიმე გუნდში თამაშისგან და შემდგომშიც მოვლენების განვითარების მიხედვით მემოქმედა.

[უკან] გივი მრელაშვილი, იური უჯმაჯურიძე, ოთარ ელოშვილი, ვიტალი სისაური, გია წურწუმია, თენგიზ კვიტაიშვილი, კარლო კომლაძე, გოგი ყუფარაძე, ალიკა ოჩიგავა, ოთარ ხუჭუა, "გოჭო" [სახელი და გვარი აღარავის ახსოვს]; [წინ] გენო ფირანიშვილი, გოგი კალატოზიშვილი, სოსო გოგლიძე, გიორგი კიკვაძე, ნოდარ ქაჯაია

პირველი საქალაქთაშორისო

მოსკოვის "ტრუდის" მწვრთნელ ანდრეი დანილოვს იმდროინდელ რაგბის იერარქიაში დიდი ავტორიტეტი ჰქონდა. ისიც თავგადადებული ენთუზიასტი იყო, მაგრამ ინტელიგენტ და დიპლომატ სოროკინისგან განსხვავებით, გამოირჩეოდა რუსული "მუჟიკური" ხასიათით, თუმც ეს ხელს არ უშლიდა, ყოფილიყო კეთილი და ხელგაშლილი [რუსულად "რუბახა პარენ"]

მასთანაც მაკავშირებდა სარაგბო მეგობრობა. მოსკოვში ერთმანეთს ინტენსიურად ვხვდებოდით. არ შემიძლია, ერთი ეპიზოდი არ გავიხსენო. მე და ის მოსკოვის ერთ დიდ ქარხანაში მივედით სააგიტაციოდ და რას ვხედავთ? – ქარხნის წინ მდებარე ტერიტორია, რომელიც სტადიონზე ნაკლები არაფრით იყო, გავსებულია ქალებითა და მათ გარშემო მორბენალი ბავშვებით.

იყო ერთი ჟრიამული. დავინტერესდით, რა ხდებოდა. რას აღარ გაიგებ კაცი: თურმე იმ დღეს ხელფასი უნდა დარიგებულიყო, მუშათა ცოლები კი ტრადიციულად მოსულიყვნენ შვილებით, რათა ჯამაგირის კონფისკაცია ექნათ მუშათა კლასისთვის – მათთვის დაეტოვებინათ მხოლოდ თითო "ჩეკუშკის" [ჭიქა] და"ზაკუსკის" [ხემსი] ფული. ამის შეტყობაზე ქარხანაში შესვლა გადავიფიქრეთ.

ანდრეისთან თბილისში გადმოსვლის შემდეგაც ინტენსიური ურთიერთობა მქონდა და ერთმანეთს მოსაზრებებსაც ვუზიარებდით მრავალ ფურცლიანი წერილებით. ის შემდეგ სათავეში ჩაუდგა მსაჯთა კოლეგიას, იმხანად კი მოსკოვის ფედერაციას მომავალ სტაჟიან თავკაცთან – ძმა ლევთან ერთად აქცენტს აკეთებდა არა სტუდენტებზე, არამედ ქარხნის მუშა-მოსამსახურეებზე.

დანილოვებმა მოსკოვის პირველობაზე გაიყვანეს გუნდი "ტრუდი", რომელმაც ტოლი არ დაუდო სტუდენტებს და ავტორიტეტიც უცბათ მოიპოვა. ამ პიროვნებაზე იმიტომ შევჩერდი, რომ რაგბის პოპულარიზაციისთვის ვერ იკმარებდა მხოლოდ ადგილობრივი გუნდების თამაშთა

"ტრუდის" მწვრთნელი ანდრეი დანილოვი

ხილვა – აუცილებელი იყო მეტოქის მოწვევა სხვა ქალაქებიდან.

საამისოდ პირი რომ ვუკითხე მოსკოვის სტუდენტურ გუნდებს, ჩამოსვლაზე ყველამ უარი მითხრა: ვსწავლობთ და ლექციებს ვერ გავაცდენთო. სტუდენტებს რეალურად არც სამოგზაურო ფული გააჩნდათ, ჩვენი ქალაქის კომიტეტის პირობით კი ყველა ხარჯი მათ უნდა გაეწიათ.

აი, ამ დროს მშველელად მომევლინენ "ტრუდი" და მისი მწვრთნელი. ანდრეიმ ცოტაოდენი ფული გამოსძალა ქარხანას, რომლის გუნდსაც ავარჯიშებდა, ხოლო მეტი წილი თვით მოთამაშეებმა შეაგროვეს და ჩამოსვლაზე დაგვთანხმდნენ.

თბილისის ნაკრები "ტრუდს" 1961 წლის 29 აპრილს ეთამაშა. თუ არ ჩავთვლით 1947 წლის სავალალო ექსპერიმენტს, როცა "ქალაქთა მატჩზე" გავიყვანეთ გუნდი, რომელშიც მორაგბე არავინ იყო – მოსკოვის "ტრუდთან" მაგ თამაშის დღე უნდა ჩაითვალოს ქართული რაგბის პირველი საერთაშორისო მატჩის თარიღად.

იმ მატჩში მოსკოველებმა ყველა კომპონემენტში გვაჯობეს: თანამედროვე ტერმინოლოგიით, "მასტერ კლასი" ჩაგვიტარეს – 12:41

2 მაისს, განმეორებით შეხვედრაში, თამაში სულ სხვაგვარად წარიმართა. მართალია, ამჯერადაც წავაგეთ – 9:12, მაგრამ ბიჭებმა ღირსეული წინააღმდეგობა გაუწიეს გამოცდილ მეტოქეს. გამოირჩეოდნენ ტონია, ყიფიანი, ნებიერიძე და რამაზ გოგლიძე, რომელმაც შესანიშნავი არეკნი გაიტანა.

"გეპეის" სტადიონზე ორივე თამაშზე ბევრი ხალხი მოვიდა. მანამდე კარგი რეკლამა გავაკეთეთ; კინო სტუდიიდანაც კი მოვიწვიეთ ბრიგადა, რომელმაც გადაიღო ფრაგმენტები, და შემდეგ მათ კინოებში, მთავარი სურათის დაწყებამდე, ჟურნალის სახით უშვებდნენ.

ხუმრობით დავამატებ, რომ დამსწრეებს თამაშზე არანაკლებ აინტერესებდათ სოროკინის დიშვილი – ულამაზესი საქალბატონე იოლკა-ელენა, რომელიც სტადიონზე, ვგონებ, ქალთა სქესის ერთადერთი წარმომადგენელი იყო და ბავშვურად ხარობდა საყოველთაო ყურადღებით. ვაგლახ, რომ ამ გოგოსა და "ბუღას" – ალბერტ ნაცვლიშვილს შორის ჩასახულ დიდ სიყვარულს, რომელიც ქორწილით უნდა დაგვირგვინებულიყო, ასრულება არ ეწერა ჩვენი ვაჟკაცის დაღუპვის გამო.

და იცით, რას ნიშნავს ორმაგი ან სამმაგი ალავერდი? – თამაშის შემდეგ შინ მოვიწვიე რუსი სტუმრები: მსაჯი სოროკინი, ძმები დანილოვები, ნიკოლაი ბარინოვი და ჩვენი აქტივიც. თამადად დადგა ჩემთან ერთად დაბადებული და გაზრდილი კაცი, ჩვენი ფედერაციის პასუხისმგებელი მდივანი დენის გირკელიძე.

ინტელიგენტური გარეგნობა, განუყრელი ჰალსტუხი, ნაადრევი სიმელოტე მას სერიოზული კაცის იერს აძლევდა. დენისი მართლა ასეთი იყო, მაგრამ შიგა და შიგ, გაჭირვებისას – გურული ეშმაკობისკენ მიუწევდა გული.

ახლაც დენისმა შუა სუფრაზე შეამჩნია, რომ თუმც თავად სადღეგრძელოს ბოლომდე არა სვამდა, მოსკოველი სტუმრები ჭიქაში წვეთს არ ტოვებდნენ და მისგან განსხვავებით, დათრობის არანაირი ნიშანი არ ეტყობოდათ. ჰოდა, თამადამ კიდევ რომ შეივსო ჭიქა, მორიგი სადღეგრძელო შესვა და რუსებს უთხრა, თქვენთან ორმაგ ალავერდსა ვარო.

რუსმა მეგობრებმა კი იცოდნენ ჩვენი ადათ-წესები და ალავერდის მნიშვნელობაც, მაგრამ გაკვირვებულებმა შემომხედეს, ორმაგი ალავერდი რაღაააო.

მე უკვე გააზრებული მქონდა მეგობრის გასაჭირი და მხრები ავიჩეჩე, წესით შემდეგი სადღეგრძელო ორი ჭიქით უნდა შესვათ-მეთქი. რუსები ვანუგეშე, ეგ რაა – სამმაგი და ოთხმაგი ალავერდიც არსებობს, ისე კი, თუ არ შეგიძლიათ, ნუ დალევთ-მეთქი.

ერთი სიტყვით, დენისის წინადადება მოწონებული იქნა და შემდეგ ერთმანეთში რომ გადადიოდნენ ალავერდს, თან თითო ჭიქასაც ამატებდნენ, ბოლოს კი ჩვენი უზარმაზარი ეზოს მეზობლები მთელი ღამე ტკბებოდნენ რუსული, უკრაინული და ქართული მელოდიებით, რომლებსაც აივანზე გამოსული სტუმრები დილამდე ასრულებდნენ მთელი მონდომებით.

თბილისი – "ტრუდი" | 1962

13 მოგზაურობა მოსკოვსა და ბალტიაში

აბა, ჰე – გადავწყვიტეთ "ტრუდთან" საპასუხო ვიზიტით ჩასვლა და დავიწყე მოძიება ამ ვიზიტის დამფინანსებლებისა, მაგრამ ნურას უკაცრავად: არავინ – არც ერთმა ორგანიზაციამ რაგბისთვის კაპიკიც კი ვერ გაიმეტა.

როცა ბიჭებს ეს უსიამო ამბავი ვუამბე, ჩემდა გასაკვირად მითხრეს, რომ მზად არიან საკუთარი ხარჯით წასვლაზე. დავთვლეთ, მაგრამ მაინც ჩვენს შესაძლებლობებზე მეტი გამოდიოდა. დავურეკე ანდრეის და ბოდიში მოვუხადე, არ გამოდის-მეთქი.

ანდრეიმ მითხრა, მოვიფიქრებ და ხვალ მოგწერო. მეორე დღეს დამირეკა, ორი დღის შემდეგ კი მივიღე წერილი, რომლითაც მატყობინებდა, რომ ელაპარაკა თავისი გუნდის ბიჭებს, და რომ ისინი თანახმანი არიან, ჩვენები ოჯახებში მიიღონ. ანდრეი პირადად მე მთავაზობდა 2-ოთახიან ბინას პრესტიჟულ, კიროვის ქუჩაზე, რადგან მისი ოჯახი ამ დროს დასასვენებლად მიდიოდა უწყებრივ სანატორიუმში.

მოსკოვში წასვლა რომ გადავწყვიტეთ, მივიღე ადლერის სემინარზე დამეგობრებული ლატვიელის – სიგორდ კრასტინშის წინადადებაც, რომ ბიჭებს დააბინავებდა "ვეფის" ქარხნის დასასვენებელ სახლში – რიგიდან ცოტა მოშორებით, ულამაზეს ყურეში მდებარე გაუიას დასახლებაში, ხოლო ცხოვრებისა და კვების მთელ ხარჯს ქარხანა გვიზღავდა. ეს ინიციატივა ეკუთვნოდა "ემვეტეუს" ყოფილ მოთამაშეს – ვოლდემარ მარტინსონს, რომელსაც ინსტიტუტი დაემთავრებინა და "ვეფში" მოწყობილიყო გავლენიან თანამდებობაზე.

ენთუზიასტს რა უნდა და ერთი ხელის წამორტყმაო: გადავწყვიტეთ, აქაც წავსულიყავით და იქაც, ანუ მოსკოვშიცა და რიგაშიც. მოსკოველებმა, რომ იტყვიან, მეფური დახვედრა მოგვიწყვეს: სადგურშივე დაგვხვდნენ, იქიდან კი წაგვიყვანეს სტადიონზე, სადაც ჩვენი დროის ლტოლვილთა მიმღები პუნქტის მსგავსად, ოჯახებში გადავნაწილდით.

ეს იყო "სასოფლოს" ბიჭების პირველი მოგზაურობა და ამასთან, ქართველ მორაგბეთა პირველი გასვლაც საქართველოს ფარგლებს გარეთ. მოვიძიე ფოტო, რომელიც მაშინ გადავიღეთ "სპარტაკის" სტადიონზე: ჩვენი ბიჭები ტრიბუნაზე არიან იმ ქალების გარემოცვაში, რომელთა ქმრები ან ძმები მოედანზე თამაშობენ, და ელოდებიან თამაშის დამთავრებას, რათა მასპინძლებს ოჯახებში წაჰყვნენ.

[წინ] გოგი კალატოზიშვილი, ალიკა მანჯგალაძე, სერგო ხაჭაპურიძე, თენგიზ კვიტაიშვილი. [შუაში] ჟორა კიკვაძე, ოთარ ელოშვილი, გენო ფირანიშვილი, გივი მრელაშვილი, გოგი ყუფარაძე, გია წურწუმია. [უკან] ვიტალი სისაური, ნოდარ ქაჯაია, რეზო მესხი, თამაზ კაპანაძე, კარლო კომლაძე. [არა ჩანან] ალიკა ოჩიგავა, სოსო გოგლიძე

"სპარტაკმა" 9:6 გვაჯობა. მოსკოვიდან გავემგზავრეთ რიგაში. ზემოთ კი აღვნიშნე, რომ რიგელები "ვეფის" სანახებში გვიპირებდნენ დაბინავებას, მაგრამ ამ, პირველ ჯერზე მომზადება ვერ მოასწრეს და სპორტულ დარბაზშიღა განგვათავსეს. ლოგინს მაინც არა უშავდა რა: "ლეჟანკა" [გასაშლელი საწოლი] გაგვიწყვეს კომფორტულად – ლეიბით, საბნითა და თეთრეულით.

რიგაში ორი მატჩი გავმართეთ და ჯერაც გამოუცდელებმა, ორივე წავაგეთ – 6:12 და 12:16. ამათი აღწერა დროის დაკარგვა იქნება. ჩემთვის უფრო საინტერესო აღმოჩნდა მათ შორის გასული, დას-

ვენების ორი დღე: გავიცანი პიროვნება, რომელმაც წარუშლელი კვალი დატოვა როგორც ჩემს პირად, ასევე ქართული რაგბის ბიოგრაფიაში. ამ შეხვედრამ დამარწმუნა, რომ რასაც ადამიანი ოდესმე შეიძენს – არასოდეს არ იკარგება. მაინც რაშია საქმე?



ქ. თბილისის სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირი

СОЮЗ СПОРТИВНЫХ ОБЩЕСТВ и ОРГАНИЗАЦИЙ гор. ТБИЛИСИ

г. Тбилиси, ул. Конституции № 6 || № 527 || Телефоны 3-30-20 3-43-28

26 июля 1962 г.

СПРАВКА

Дана тов.КУПАРАДЗЕ Г.В. в том, что он действительно с I июля по 25 июля с.г. находился в командировке в гор. Москве и Риге с сборной командой регбистов.

Справка дана для представления в Тбилисскую базу питомников.

Председатель Совета спортивных обществ и организаций гор.Тбилиси

Г.В.РІЦХИЛАДЗЕ

1962 წლის ივლისში მოსკოვი – რიგის ტურნეზე ნამყოფი გოგი ყუფარაძისადმი ქალაქის სპორტ-კავშირის მიერ მიცემული ცნობა

მკითხველისთვის ცოტა მოულოდნელ თემას შევეხები და ამიტომ შორიდან მოვუვლი. საქმე ისაა, რომ, ჯერ კიდევ სიყმაწვილიდან დაწყებული, მე და ჩემს თანატოლებს [ქალაქურად "ტრუსიკის მეგობრებს"] და რაგბში თუ ზოგად ცხოვრებაში გაჩენილ ამხანაგებს გვაერთიანებდა მუსიკისადმი უკიდეგანო სიყვარული – ყველანი მელომანები ვიყავით.

ეს არ გაუკვირდებათ ძველებს, რადგან მეორე მსოფლიო ომში, ალაფად მოპოვებული ["ტროფეინი"] მუსიკალური ფილმები იტალიელ მომღერლებსა და ევროპელ კომპოზიტორებზე მუდმივად გადიოდა ჩვენს კინოებში.

მელოდიები ამ ფილმებიდან მთელ ქალაქს იყო მოდებული: ხშირად ისმოდა გამოღებული ფანჯრებიდან და ეგრეც ხდებოდა, რომ გიტარაზე გადაჰქონდათ, შეყვარებულს სახლთან აკითხავდნენ და ქუჩიდან უმღეროდნენ.

იმდროინდელ თბილისში ყველგან – ქუჩაში და ოჯახში მეფობდა, ჰაერში ტრიალებდა იტალიური სიმღერა. გამეორდა XIX საუკუნის ბოლოსა და XX საუკუნის დასაწყისის ფენომენი, როდესაც იტალიური, ინგლისური, გერმანული სიმღერა იმდენად შემოიჭრა ქართულ ცნობიერებაში, რომ დღესაც ბევრ ჩვენებურს ვერ დააჯერებ: "მხოლოდ შენ ერთს", "აჰ, ტურფავ, ტურფავ", "ოდესაც გიცქერ", "გენაცვალე" და "ჩემო ციცინათელა" – ძირითა და ფესვით არა-ქართულია, მაგრამ, რა თქმა უნდა, უკვე ჩვენია.

ნებისმიერი მელომანის დევიზია: მთავარია კარგი მუსიკა, იმას კი მნიშვნელობა არა აქვს, ბახია თუ ოფენბახი. ვიყავით ოპერის თეატრის ხშირი სტუმრები და უმეტესობას გრამ-ფირფიტების საკმაოდ დიდი კოლექციაც გვქონდა. აკი ჩემმა გუნდელებმაც იცოდნენ, რომ შეკრებებზე მუდმივად თან დამქონდა ფირფიტები.

და აი, რიგაში სტუმრობისას, აფიშაზე თვალი მოვკარი, რომ თეატრში გადის "ტანჰოიზერი". ვაგნერის ეს ოპერა თბილისში ჯერ არ დაედგათ. ახლად გაცნობილი ერთი გოგო დავიყოლიე თეატრში წასვლაზე, იქ კი, ბუფეტში, გავიცანი ვინმე ევგენი "ივანოვიჩ" ფირსოვი, რომელიც მინსკიდან ჩამოსულიყო.

იგი სოროკინივით ჩემზე 14 წლით უფროსი იყო. დიდი მელომანიც აღმოჩნდა და გადავწყვიტეთ, მეორე დღეც ერთად გაგვეტარებინა, მერე კი მასთან მთელი ცხოვრება ვმეგობრობდი. რომ მივიღეთ ჩვენი "ქალბატონების" დასტური, იურმალაში წავედით.

მაგრამ რა კავშირშია მელომანია და ქართული რაგბი? – ამ კითხვაზე პასუხს შემდეგ თავში შეიტყობთ.

14 სპორტ-კავშირის შემძვრელი დეპეშა

რიგიდან ახლად ჩამოსულს, გოგი შარაშიძემ დამირეკა და მითხრა, მინსკიდან რაღაცა დეპეშაა მოსული და რცხილაძე გიბარებს, სასწრაფოდ მოვიდესო.

სპორტ-კავშირისკენ მიმავალი, გზაში რაზე აღარ ვფიქრობდი: მინსკში ნამყოფი არ ვიყავი და ეს ქალაქი მხოლოდ ფირსოვთან ასოცირდებოდა, ის კი ვერ გამეგო, რა უნდა ჰქონოდათ საერთო ფირსოვსა და თბილისურ სპორტს.

რცხილაძის კაბინეტის კარი როგორც კი შევაღე და შევიხედე, ეს მუდმივად შუბლშეჭმუხნილი კაცი გაიბადრა, წამოდგა, ჩემსკენ თვითონ გამოემართა, ხელი ჩამომართვა, დეპეშა მომაწოდა და ხუმრობით მითხრა, შენ უნდა იჯდე ჩემს ადგილზე: ქუთაისში რომ წავიდე, ათნაირი პატაკი უნდა დავწერო – დაჯე, წაიკითხეო.

ვკითხულობდი დეპეშას და თვალებს ვერ ვუჯერებდი: ბელარუსის სპორტის უწყება იწვევს თბილისის ორ რაგბის გუნდს, 50 კაცის შემადგენლობით, საჩვენებელ თამაშსა და ტურნირში სამონაწილეოდ. ყველა ხარჯს – გზას, მიღებას, კვებას, გაუთვალისწინებელსაც კი, მასპინძელი კისრულობსო.

რცხილაძემ დეპეშა ხელში აიღო და შემეკითხა, საიდანო? არ ვიცოდი, რა მეთქვა. თვითონ დამასწრო, მინსკში უკვე გადავამოწმეთ დეპეშის სინამდვილე. მისი ინიციატორი ყოფილა ცნობილი ფიზიკოსი, ვინმე ფირსოვი. იცნობო?

რიგაში, ფირსოვთან, გარდა ოპერისა, სხვა თემებზეც ვსაუბრობდით და ხშირად ჩემს გატაცებაზე ვუყვებოდი. რას ვიფიქრებდი, ის თუ ასე "დაიქოქებოდა".

ისიც ვიცოდი, რომ პროფესიით ფიზიკოსი იყო, მაგრამ ატომური ცენტრის ხელმძღვანელი თუ იქნებოდა და თანაც ისე გავლენიანი, რომ 50 კაცს სტუმრად მიიწვევდა, ნამდვილად არ მეგონა. რცხილაძემ – ასე ოპერატიულად სად მოასწრო ჩემი ფოტოს მოძებნა, არ ვიცი – უჯრა გამოაღო, ამოიღო გამზადებული მოწმობა რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯისა, გადმომცა და მითხრა, იქ რომ ჩახვალ, საბუთად რამე ხომ უნდა გქონდესო.

ყველაფერი გაირკვა, როცა ღამით ფირსოვმა დამირეკა. ვუსაყვედურე, წინდაწინ გაგეფრთხილებინე-მეთქი, რაზეც სიცილით მომიგო, ეგ რაღა სიურპრიზი იქნებოდაო. მოვილაპარაკეთ დეტალებზე, მაგრამ ორი დღის შემდეგ ახალი იდეა დამებადა, ფირსოვიც დამეთანხმა და გეგმა შევცვალეთ: გადავწყვიტეთ, თბილისის ორი გუნდის მაგივრად თითო დაგვეპატიჟა თბილისიდან და მოსკოვიდან.

მოსკოველები სიხარულით დათანხმდნენ ამ, მართლაც რომ, მეფურ წინადადებას. მათ მოწვევას თან ორმაგი დადებითი მომენტი ახლდა. ერთი, რომ შეხვედრა უფრო საინტერესო გამოვიდოდა, და მეორეც – ომის შემდგომი* პირველი დიდი შეჯიბრების ფინალის თბილისში ჩატარებაზე დავიყაბულებდით საკავშირო სტრუქტურას. ასეც მოხდა: 1963 წლის შემოდგომაზე რომ ვუმასპინძლეთ პროფკავშირთა პირველობას, ეგ მინსკმა განაპირობა.

მინსკის ღონისძიება იმ დროს დიდი შვება იყო ტურნირების სიმწირის ფონზე. ახლა ზოგ ისტორიკოსს გაკვირვებითა და უნდობლობით მოჰყავს ციტატა მინსკის გაზეთიდან, რომ თამაშს 18 ათასი კაცი ესწრებოდა. არადა, ჩემი ანგარიშით, მაყურებელი მეტიც იყო.

თავსატეხი მარტივად იხსნება: 10 ოქტომბერი ნებისმიერი ჩრდილოური ქალაქისთვის, ამინდის მხრივ, მეტად სარისკოა, მაგრამ მინსკში იმ დღეს ზაფხულივით დათბა. ცენტრალური სტადიონიც შიგ ქალაქის ცენტრში, მთავარ პროსპექტზე მდებარეობდა და თბილისისა არ იყოს, დარში ხალხი იქაც სეირნობდა.

ისე მოხდა, რომ ამ, მოსეირნე მასას ჩინებულ, თბილ ამინდში შეხვდა უცხო ხილი – სახელად რაგბი, და მიეტანა. ამი-

* ამის გამო იხილეთ შენიშვნა 21-ე გვერდზე.

62г, ОКТ,

ЗАВТРА В МИНСКЕ—РЕГБИ

Зеленое поле стадиона. Спортсмен стремительно бежит к линии ворот, прижимая к груди мяч продолговатой формы. И вдруг, когда до линии ворот остаются считанные метры, соперник настигает его, в виртуозном прыжке хватает за ноги, и оба они приземляются с ловкостью цирковых акробатов....

Именно такое зрелище и привлекло внимание многих тысяч московских любителей спорта в дни VI Всемирного фестиваля молодежи 1957 года в Москве. Это были соревнования по регби, на которых москвичи увидели сильнейшие национальные сборные команды регбистов Румынии, Англии, Франции, Чехословакии, Австралии и других стран.

Эта эмоциональная, мужественная и атлетическая игра особенно пришлась по душе студентам Московского высшего технического училища имени Баумана. И они тогда же создали в институте секцию регби. У молодых энтузиастов появлялось все больше и больше последователей. Они поднимали «целину», успевшую зарости бурьяном лет. Именно зарости! Ведь до 1949 года у нас в стране были команды регбистов в Москве, Баку, Грузии, Белоруссии, Ленинграде, Ижевске и других городах и республиках.

Белорусских спортсменов следует отнести к числу пионеров советского регби. Команда регбистов Минского института физкультуры — участница первой междугородней встречи советских регбистов 1935 г. В последующие годы минские студенты института физкультуры выступали в розыгрыше Кубка СССР (1936—37 гг.), в чемпионатах страны (1938—39 гг.). Это была сильная команда, занимавшая ведущие места в турнирных таблицах.

Со времени возрождения первой секции регби в нашей стране прошло всего 3 года. А сейчас этот вид спорта нашел уже поклонников в десяти союзных республиках, более чем в 60 городах. В Грузии уже разыгран чемпионат республики. Первенство Москвы оспаривают 24 клуба. В 1963 г. намечается проведение чемпионата ДСО профсоюзов.

Завтра, 10 октября, на стадионе «Динамо» минчане будут свидетелями первой встречи регбистов МВТУ имени Баумана и тбилисского сельскохозяйственного института, занимающих место в числе сильнейших команд страны.

Команда МВТУ — победитель Всесоюзных студенческих соревнований и чемпион Москвы 1961 года. Команда тбилисского сельскохозяйственного института — пионер возрождения регби в Грузии и на сегодняшний день — сильнейшая команда республики.

Можно полагать, что встреча будет интересной для минчан и надеяться, что предстоящий матч положит начало возрождению регби в республике.

Что такое регби?

В регби играют две команды, в каждой из них по 15 человек. Игра делится на два тайма по 40 минут. Проводится она на обычном футбольном поле. А мяч для регби необычный — он похож на дыню. Играть им разрешено и ногами, и руками. В отличие от других видов спорта, здесь широко применяются силовые приёмы: игрока, владеющего мячом, разрешается захватывать руками за туловище, за ноги. Однако категорически запрещены удары, подножки, захваты за шею, одежду, блокировка игрока без мяча.

Ворота делаются в форме буквы «Н» и устанавливаются в середине линии футбольных ворот или крепятся прямо к ним.

Игроки каждой команды, передавая мяч друг другу, стремятся прорваться с ним за линию ворот и там приземлить его, т. е. прижать рукой к земле. По воротам в регби бьют сравнительно редко. А если бьют, то мяч должен пройти над перекладиной. При этом забить мяч в ворота можно только способом «с отскока» (в футболе такой мяч называется «с полулета»).

А. СОРОКИН,
председатель оргбюро Федерации регби СССР.

ЛАКЦИИ: г. Минск, Карла Маркса, 40. Редакция газеты «Физкультурник Белоруссии». Телефоны: 93-7-3

ტომ ვამტკიცებ, რომ სეირზე 18 ათასზე მეტი მაყურებელი მოვიდა. მაშინ ეს რეკორდი იყო.

ამით ყველაზე მეტად გაიხარა ბელარუსის სპორტ-კავშირის მთავარმა ბუღალტერმა. მან დანაპირები ხომ პირნათლად შეასრულა – სტუმრებს პირველი კლასის სასტუმროში უმასპინძლა და ისინი შესანიშნავი კვებითაც უზრუნველჰყო, და საჩუქრებიც კი ჩამოურიგა ყველას.

ფირსოვს ამ პერიოდში სულ თან ახლდნენ ცნობილი ბელარუსი სპორტსმენები. მატჩი ტელევიზიით გადაიცა. რეპორტაჟი დენის გირკელიძეს მიჰყავდა. ემვეტეუმ 28:13 მოგვიგო, ჩვენ კი 41:3 დავამარცხეთ მასპინძლები.

გამარჯვებული მოსკოველები შინ მეტად ნასიამოვნები მიბრუნდნენ – შეგვპირდნენ, რომ მხარს დაუჭერდნენ საგაისო [1963] პროფკავშირული ფინალის თბილისში ჩატარებას.

ჩემი ვიზიტი კი, შეიძლება ითქვას, კურიოზის ნაირი ამბით დასრულდა. ტურნირის დამთავრების შემდეგ ფირსოვმა მთხოვა, ყველას რომ გავუშვებთ, ერთი დღით კიდევ დარჩიო და ოჯახის ვიწრო წრეში სადილზე დამპატიჟა. მისი თქმით, ცოლი, ქალიშვილი და კიდევ ერთი ფიზიკოსი იყვნენ მისი ნამდვილი მეგობრები, და მეც დავემატე მათ რიცხვს.

ფირსოვთან მთელი ცხოვრება ვმეგობრობდი. იგი შემდეგ დიდი ბოსი გახდა და მოსკოვში გადაიყვანეს. მისი კეთილგანწყობით სარგებლობდნენ ჩემი ახლობელ-მეგობრები, იყო ეს სასტუმროს შოვნა თუ სამედიცინო პრობლემები, ხოლო რაც შეეხება კურიოზს – ესაა:

ფირსოვის თხოვნით რომ გავაგრძელე ვიზიტი, ერთი დღე-ღამე იყო გასული, რაც ჩვენი ბიჭები აეროპორტში გაგვეცილებინა. იქ ჩვენც რომ მივედით მეორე დღეს, გაირკვა, რომ უამინდობისა გამო თუ რაღაც სხვა მიზეზით, გუშინდელი რეისი არ შემდგარა. ასე რომ, ახალი ბილეთის შეძენაც აღარ დამჭირდა და პერსონალმა, გაითვალისწინა რა ფირსოვის ავტორიტეტი, ნება დამრთო, წინა დღის ბილეთით მესარგებლა.

თვითმფრინავის სალონში ჩემს გამოჩენას ბიჭების ჟრიამული მოჰყვა, მაგრამ ყველაზე საინტერესო ისაა, რომ სავარძელში ჯერ წესიერადაც არ ვიყავი ჩამჯდარი, როცა გამოაცხადეს, შეიკარით ღვედები, მივფრინავთო.

15 სემინარი ჩვენი მონაწილეობით

1963 წელს მოგვიხდა შინაური სტრუქტურის გადაკეთება. მიზეზი იყო საკავშირო კალენდრის გადატვირთულობა, მიზანი კი – მასში ჩვენი გუნდების უპირობო მონაწილეობის უზრუნველყოფა.

აგვისტოში, ჩრდილოეთი კავკასიის კურორტებზე დაგეგმილ "ბურევესტნიკის" პირველობაზე გავაგზავნეთ მოთხოვნა ორი ქართული გუნდის დაშვებაზე და მიუხედავად იმისა, რომ აქამდე არასოდეს მიგვეღო მონაწილეობა სტუდენტთა ჩემპიონატში, ჩვენდა გასახარად, დასტური მოვიდა ორივეზე – პოლიტექნიკურ ინსტიტუტზეცა [სპი; "გეპეი"] და სასოფლო-სამეურნეოზეც [სსი; "სასოფლო"]

მონაწილეობა უნდა მიგვეღო ომის შემდგომ* უმნიშვნელოვანეს შეჯიბრში – პროფკავშირების ჩემპიონატში. დაგეგმილი გვქონდა ამხანაგური მატჩებიც მოსკოვის, ლიტვის, ლენინგრადის გუნდებთან და რიგის, უკვე პრესტიჟულად ქცეულ, ტურნირში მონაწილეობაც.

მძიმედ გვაწვა კადრების საკითხი. მართალია, ჩვენთან ჩავატარეთ მწვრთნელთა სემინარი, მაგრამ გუნდების სიმრავლის გამო, მწვრთნელების ნაკლებობა კვლავ მწვავე პრობლემად რჩებოდა:

ათადაც რომ გავჭრილიყავი, გადატვირთულ განრიგში ფიზიკურად ვეღარ ვჯდებოდი – ხშირი იყო შემთხვევა, როცა ადგილობრივი შეჯიბრების გადამწყვეტ თამაშში ერთმანეთის პირისპირ ის ორი გუნდი უნდა დამდგარიყო, რომელთაც ვწვრთნიდი – თანაც ორივეს მოთხოვნით აუცილებლად მე უნდა მემსაჯა.

ჟაკი "ისნიდანაც" წამოვიდა, რადგან ისევ ატყუებდნენ ხელფასთან დაკავშირებით, და გუნდი რომ არ დაშლილიყო, იძულებული გავხდი, გამეგრძელებინა იქ მუშაობა – მოთამაშეთაგან მეხმარებოდნენ შურა გოგლიძე, სერგეი "კუმა" ლეშინი, ლ.სოროკინი და ასლან ბედოშვილი.

* აქაც იხილეთ შენიშვნა 21-ე გვერდზე.

ბევრი ხვეწნის შემდეგ ჟაკი დამთანხმდა "სასოფლოს" მწვრთნელობაზე, როცა შეიტყო, რომ გუნდი საკავშირო შეჯიბრებაში მიიღებდა მონაწილეობას – თან კარგ გუნებაზე იყო, რადგან კაგებედან, როგორც იქნა, იმედის მომცემი პასუხი მიეღო საფრანგეთში დაბრუნებაზე.

"სასოფლო" [სსი] პიანიგორსკში, "ბურევესტნიკზე" | 1963 წლის აგვისტო | ვიტალი სისაურის ფოტო

[უკან] ბეჟან სისაური, მურიკო თოფურიძე, ალეკო ოჩიგავა, ნოდარ ქაჯაია, დათო დავითაია, ჟორა კიკვაძე; [წინ] სოსო გოგლიძე, ოთარ ელოშვილი, ჟაკ ასპეკიანი, გია წურწუმია, ზაურ ასლანიკაშვილი

იყო ზღვა სხვა პრობლემებისა. მაგალითად, არ უნდა ჩაგვეგდო ადგილობრივი ჩემპიონატი; არც უკვე ტრადიციულად ქცეული "მალაძიოჟ გრუზიისა" და "კონსტიტუციის" თასები.

მკითხველს არ დაავიწყდეს, რომ ამ დროს რაგბიდან კაპიკს არ ვიღებდი; თანაც კატეგორიული წინააღმდეგი ვიყავი კვების ტალონებითა და მსგავსი მეთოდებით ფულის შოვნისა – ჩემი დევიზი იყო: "რაგბი ჰობია, ხოლო ჰობიდან ფულის კეთება არ შეიძლება"

ამიტომაც ვმუშაობდი ინსტიტუტ "ჰიდრო პროექტში". დირექტორი თ.გეგელია და ჩემი პირადი უფროსი გაბო მენაბდე ყველაფრით ხელს მიწყობდნენ და რაგბულ მივლინებებში სასიარულოდ ისე იოლად მათავისუფლებდნენ, რომ ჩემთვის უხერხულიც კი იყო მათი კეთილგანწყობის მეტად გამოყენება.

მაგალითისთვის ეს, 1963 წელი ავიღოთ. აპრილში – 12-დღიანი სემინარი ადლერში; ივნისში – 3-კვირიანი ტურნე ბალტიაში; ივლისში – მატჩები მოსკოვში; სექტემბერში – შეკრება თბილისში და თვითონ პროფკავშირთა პირველობა, რომელიც 10 დღეს გაგრძელდა.

წლის დასაწყისშივე მიზნად დავისახე, რომ კადრების დეფიციტის გასამკლავებლად ადლერის მწვრთნელთა და მსაჯთა მეორე სემინარზე საქართველოდან რაც შეიძლება მეტი მსმენელი მომეწყო.

მაშინ ამ საქმეს სოროკინთან ერთად უძღვებოდა საბჭოთა რაგბის მეორე ვეტერანი ბოსიც – ნიკოლაი ბარინოვი. საქართველოს ოფიციალურად 5 ადგილი გამოუყვეს, მაგრამ ადლერში მაინც შვიდნი ჩავედით.

მკითხველს შევახსენებ, რომ მიუხედავად ჩემი მცდელობისა, 1960 წლის სემინარს საქართველოდან არავინ დასწრებია, 1963 წლისაში კი, ჩემს გარდა, მონაწილეობდნენ:

გია წურწუმია, რაჟიკო ენუქიძე [სსი]; ასლან ბედოშვილი, ზაურ ტასოევი, არტემ კონდახჩიანი [ისანი] და ოთარ დოღონაძე [სპი]. მათ გაიარეს სრული კურსი და შინ მომზადებულ მწვრთნელებად და მსაჯებად დაგვიბრუნდნენ.

16 რიგაში, "ოქროს ხარის" თასზე

როგორც აღვნიშნე, საბჭოთა იმპერიაში რაგბის განვითარების ტვირთი პროფკავშირებს ჰქონდათ აკიდებული. ლატვია, სხვა რესპუბლიკებისგან განსხვავებით, ისედაც გამორჩეულად აქტიურობდა და მას შემდეგ, რაც დაუშვეს პროფკავშირთა ჩემპიონატში – ბალტებმა გადაწყვიტეს, რიგის ტურნირი ტრადიციულად ექციათ.

მათთან რომ მეგობრული ურთიერთობა გვქონდა, მოწვევა პირველ რიგში ჩვენ გამოგვიგზავნეს. ტურნირში კიდევ მონაწილეობდნენ ლიტვა [ახლებურად "ლიატუვა"] და ლენინგრადი [XXI საუკუნეში "პეტერბურგი"].

იმავე თვეში – აგვისტოში თბილისის ორი სტუდენტური გუნდი [სპი და სსი] მონაწილეობდა "ბურევესტნიკის" პირველობაზე, სადაც, როგორც მოსალოდნელი იყო, ჯგუფში ჩარჩა, რიგაში კი სულ სხვა ძალის გუნდი ჩავიყვანეთ და ამბიციაც შესაბამისი გვქონდა.

საქმე ისაა, რომ თბილისის მაშინდელი 4 გუნდის საუკეთესო მოთამაშეებით დავაკომპლექტეთ "განთიადი", რომელზეც მავანმა ჟურნალისტმა იხუმრა, რომ ფეხბურთში ბრაზილიისაა დიდი გუნდი, ხოლო რაგბში – "განთიადისაო".

მართლაც, ვინც მაშინდელ სამზარეულოში იყო ჩახედილი და იცნობდა ამ გუნდში მოხვედრილებს – მათი თამაშის პროგრესი სპორტულ სასწაულად მოგეჩვენებოდათ იმის გათვალისწინებით, რომ მაშინ ჩვენი რაგბი ჩვილის ასაკიდან გამოდიოდა.

რიგასა და ლენინგრადში მოგზაურობა პროფკავშირთა ჩემპიონატისთვის მოსამზადებელი ეტაპი იყო. "განთიადში" ძალიან ბევრს ანგარიშობდნენ, რომ ხარჯები რაც შეიძლება შეემცირებინათ, და დაასკვნეს, რომ მგზავრობა უფრო იაფი დაჯდებოდა, თუ ცალკე ვაგონს დაგვიქირავებდნენ.

მართლაც ასე მოიქცნენ. ცალკე ვაგონში ყოფნა არაფრით არ იყო ცუდი, მაგრამ მას ხან ერთ მარშრუტს მიაბამდნენ და ხანაც მეორეს, რის გამოც რიგაში ჩასვლას 5 დღე მოვანდომეთ.

ქალაქებში, სადაც ზოგჯერ მთელი დღე გვიწევდა ყოფნა, ვპოულობდით მოედანს და ვვარჯიშობდით: სოჭში მივაკითხე სტადიონის დირექტორს, რომელსაც გაზაფხულზე, ადლერის სემინარზე დავუმეგობრდი, და მისი მხარდაჭერით სრულფასოვანი, გემრიელი ვარჯიში ჩავატარეთ.

არ შეიძლება არ აღვნიშნო, რომ ეს ხანგრძლივი და დამღლელი მოგზაურობა გაგვიხალისეს ამირან ლობჟანიძემ და მისმა მეგობრებმა – ჯემალ სილაგაძემ [შემდეგ ქალაქის ვიცე-მერმა], ამირან ამირანაშვილმა [მეტსახელად "მონღოლამ"] და თამაზ ბოლქვაძემ, რომლებიც გზაში შემოგვიერთდნენ პარტიზანულად.

თუნდაც ის რად ღირს, რომ ისინი თურმე დეპეშით წინასწარ აფრთხილებდნენ სხვადასხვა ქალაქში [როსტოვში, ხარკოვ-


REGBIJS

„DAUGAVAS" CENTRĀLAIS STADIONS
ЦЕНТРАЛЬНЫЙ СТАДИОН ДСО „ДАУГАВА"

Starprepublikāniskās sacensības

1963. g. 20.—23. augustā

Межреспубликанские соревнования

1963 г. 20—23 августа

РЕГБИ

1963 წლის რიგის ტურნირის აფიშა

ში ...] მცხოვრებ ნათესავ-მეგობრებს და იქ ჩასვლისას სადგურზე ხელგაშლილი დახვედრა გვქონდა გარანტირებული.

რიგაში ჩვენზე დიდი შთაბეჭდილება დატოვა მასპინძელთა მიერ დამზადებულმა მთავარმა პრიზმა, რომელიც გახსნის ცერემონიალზე დადგეს სტადიონის ცენტრში.

ეს იყო მთლიანი ხისგან გამოთლილი ოქროს ხარი, რომელსაც რქებზე დადებული ოვალური ბურთი ამშვენებდა.

ქანდაკება ხელოვნების ნაღდი ნიმუში იყო. ამ პრიზის შემყურე, ყველა მონაწილე მაშინვე იმსჭვალებოდა მისი მოპოვების სურვილით. ჩვენ პირველი ორი თამაში მოვიგეთ და გადამწყვეტი მატჩის წინ, მეტოქე გუნდების თამაშის ხარისხიდან გამომდინარე, ყველა ჩვენ გვიწინასწარმეტყველებდა გამარჯვებას.

ყველაფერი ასეც მოხდებოდა, რომ არა სოროკინი. თამაშამდე ბიჭები დადებითად შეხვდნენ მსაჯად მის დანიშნავს. ამის მიზეზი მხოლოდ ის არ იყო, რომ ყველამ იცოდა ჩემი და სოროკინის მეგობრობის ამბავი – ანატოლი ჯერ მოსკოვში, შემდეგ კი მინსკში მეტად დაუახლოვდა ბიჭებს.

მაგრამ დაიწყო თამაში და მას ვეღარ იცნობდით: იმდენად არაობიექტურად გვაჯარიმებდა, რომ მე, კაპიტნის მაგიერ, რამდენჯერმე ხმამაღლა გავაპროტესტე მისი გადაწყვეტილება.

ასე იყო თუ ისე, 3 ქულით მაინც ვიგებდით და თამაშის დამთავრებამდეც ცოტა რჩებოდა, მოედნის ცენტრში დანიშნული შერკინების წინ მიწაზე დებულ ბურთს ფეხი რომ წაჰკრა გოგი ტონიამ და სანტიმეტრებით იქით გადააგორა.

უცბათ რას ვხედავ: სოროკინმა მკაცრად ჩაჰბერა სასტვენს, მოგვაძახა, განზრახ გაგყავთ დროო და ჯარიმა დანიშნა.

ეგ კიდევ არაფერი: ვიდრე შემოხვეული ბიჭები საქმეს ურჩევდნენ, მსაჯმა ბრძანა, თამაშგარეთ ხართო და ჯარიმა ჩვენი კარისკენ გადმოსწია 10 მეტრით.

რიგელებმა ამ ჯარიმიდან გაიტანეს გოლი და თამაში ფრედ რომ დასრულდა,

ლატვიური სამკერდე ნიშანი წარწერით: "ოქტომბრელები ლენინის შვილიშვილები არიან"

ოქროს ხარიც მათ ერგოთ, რადგან ქულების უკეთესი სხვაობა ჰქონდათ.

არ ვიცი, რა განწყობილება ეუფლებათ ხოლმე მსოფლიო თასის ფინალში დამარცხებულებს, მაგრამ ჩემი აზრით, წყენასაც, გულის ტკივილსაც და სხვა მსგავს ემოციასაც ზედა ზღვარი აქვს იმის მიუხედავად, მსოფლიო თასი იქნება თუ უმნიშვნელო რიგის ტურნირი.

გასახდელში ჩვენი ბიჭები სიმწრისგან კედლებს თავს ურტყამდნენ, ამირან ლობჟანიძემ კი გონებაც დაკარგა ტანსაცმლის რკინის საკიდზე ხეთქებით.

ბიჭებმა შური იძიეს, როდესაც დახურვის ცერემონიალზე გაგვიყვანეს, ყველას სიგელები მოგვცეს და კიდევ ჩამოგვირიგეს "ბროშკები" [სამკერდულები], რომლებსაც ლენინის ბავშვობის დროინდელი, კულულებიანი პორტრეტი ეხატა.

ლობჟანიძემ, რომელიც უკვე გონზე მოსულიყო, ჩამოუარა ბიჭებს, "ბროშკები" ყველას ჩამოართვა, ორ მტევანში დაიგროვა, მაყურებლებთან მივიდა და ხელის ერთი მოქნევით მათ მიაყარა.

მაშინვე მივხვდი, რომ საქმე იოლად ვერ დამთავრდებოდა. მართლაც, როდე-

საც გასახდელში დავბრუნდით, მოგვაკითხა უშიშროებამ.

ადრევე ვიყნოსეთ რა უსიამოვნება, ამირანი გავაპარეთ, ჩვენ კი დაგვეხმარა ქართული გენით ბოძებული საქმის ჩაფარცხვის ნიჭი: ხან რა მოვიგონეთ, ხან – რა, და ბოლოს და ბოლოს დავარწმუნეთ კაგებეშნიკები, რომ "ბროშკების" მომსროლი გაუნათლებელი პიროვნებაა და ეგონა, რომ ჟეტონზე ბავშვი ლენინი კი არა, ვიღაც ლატვიელი გოგო ეხატა.

რაც შეეხება სოროკინს, იმ დღიდან მას კარგა ხანი აღარ ველაპარაკებოდი. ეგ იყო, რომ სექტემბერში, როცა თბილისში ის ნანატრი, ისტორიული ჩემპიონატი გაიხსნა და სოროკინიც ჩამოვიდა, ორი საათი მაინც მებოდიშებოდა და თავის მართლებას ცდილობდა ვითომდაც დიდი სტრატეგიული ჩანაფიქრით – მასპინძლებს ის თამაში რომ წაეგოთ, ლატვიაში რაგბი დიდი ხნით ჩაკვდებოდაო.

გუნება გამოგვიკეთდა ლენინგრადში. ზემოთ უკვე მოგახსენეთ, რომ 1961 წლიდან იქაურ ენთუზიასტებთან განსაკუთრებულად თბილი ურთიერთობა ჩამომიყალიბდა და ისინი აქამდეც პატივით მომიხსენიებენ რაგბის მოთავეთა შორის.

ლენინგრადელებმა, გარდა იმისა, რომ ძალზედ მაღალ დონეზე მიგვიღეს, მოახერხეს, გვეთამაშა სიდიდით მეორე, ლენინის სახელობის სტადიონზე. უპრობლემოდ მოვიგეთ – 20:6.



1963 წლის აგვისტოს 3-გუნდიანი ლაშქრობა

სოროკინმა თავი იმართლა, რიგას რომ წაეგო, ლატვიაში რაგბი დიდი ხნით ჩაკვდებოდაო

ფოსტა მაშინ მაგრად მუშაობდა – ათეულ გაზეთთან ერთად, ყოველდღე უამრავი წერილიც მომდიოდა. სოროკინისგან მიღებული მქონდა პირობა, რომ პროფკავშირების ჩემპიონატი აუცილებლად თბილისში ჩატარდებოდა, მაგრამ დათქმულ დროს მაინც არ მომსვლია დამტკიცებული კალენდარი.

ბოლოს, ჩემთვის ძალზედ მოულოდნელად, წერილებში აღმოჩნდა პროფკავშირების ცენტრალური საბჭოს კონვერტი. მასში იდო ასლი დადგენილებისა, რომ საკავშირო პროფკავშირებმა გადაწყვიტეს "რეგბისტების" პირველი ჩემპიონატის ფინალური ტურნირი ჩაეტარებინათ თბილისში.

ეს უბრალო ამბავი როდი იყო: საბჭოთა კავშირის ჩემპიონატი ბოლოჯერ 1939 წელს გამართულიყო, მეორე მსოფლიო ომით გაწყვეტილი რაგბის ისტორია კი 24 წლის შემდეგღა [1963], თბილისში უნდა გაგრძელებულიყო. თუ გავიხსენებთ, რომ ომამდელ ტურნირებში საქართველო არ მონაწილეობდა – ჩემს სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა.

თავს ჩავაგონე, კიდევ ერთი წლით გადამედო რაგბიდან წასვლა: ჩავატარებ ამ ტურნირს და მერე მშვიდობით! ფიქრით გადავერთე შეჯიბრების უკეთ ორგანიზებაზე და მასში ქართული გუნდის ღირსეულად გამოსვლაზე.

ნომერ პირველი პრობლემა იყო საქართველოს გუნდის მოხვედრა ფინალის მონაწილეთა სიაში. მოსკოველ მეგობრებთან სატელეფონო საუბრებით დავადგინე, რომ დებულებით, მასპინძელს ადგილი ავტომატურად არ ერგებოდა – იგი სხვებივით შესარჩევში უნდა მოეპოვებინა.

გვიშველა დებულებაში გაპარულმა ხარვეზმა – ფინალში თამაში ერგებოდათ მხოლოდ სპორტ-საზოგადოებათა ჩემპიონებს. ჩვენ გყვავდა სტუდენტური გუნდები და მუშური "ისანი", ეს კი იმას ნიშნავდა, რომ შესარჩევი ბარიერი უნდა დაგვეძლია "ბურევესტნიკში" ან "ტრუდში", რაც ფანტასტიკის სფეროდან იყო.

"ბურევესტნიკში" მეფობდნენ ემვეტეუ და მაი, ხოლო "ტრუდში" – მოსკოვი, რომელმაც წინა წელს თბილისში მასტერ-კლასიც კი ჩაგვიტარა. მას აქეთ კი მოვმძლავრდით, მაგრამ არა იმდენად, რომ სასწორზე შეგვეგდო ქართული გუნდის მონაწილეობა ამ, მართლაც რომ, ისტორიულ ღონისძიებაში:

ნუ დაგავიწყდებათ, რომ მაშინ პროფკავშირთა პირველობა ფაქტიურად ქვეყნის ჩემპიონატიც იყო, რადგან არმიასა და "დინამოს" [შინაგან საქმეთა სამინისტროს] რაგბის გუნდები ჯერ არა ჰყავდათ.

ყველაფერი რომ ავწონ-დავწონეთ, სულაც ვუგანეთ შესარჩევ პროცესს, სადაც წარმატება სათუო იყო, და მივმართეთ ორგანიზატორებს თხოვნით, ფინალში პირდაპირ დაეშვათ საქართველოს საზოგადოება "განთიადი", რომელიც მიუხედავად მწირი ადმინისტრაციული და ფინანსური რესურსისა, უფლებრივად "ბურევესტნიკის", "ტრუდისა" და "სპარტაკის" თანატოლი იყო.

ამაზე დასტური რომ მივიღეთ, ყველა საუკეთესოს, ვინც კი სხვადასხვა გუნდში გვყავდა შეთვალიერებული, ერთად მოვუყარეთ თავი და ქართული რაგბის ისტორიაში ამ პირველ ეროვნულ ნაკრებს სახელიც შესაფერი – "განთიადი" ვუწოდეთ. თქვენზე ნაკლები რითა ვართო და ამავე გზას დაადგნენ ლატვია და უკრაინა: პირველმა "დაუგავა" შექმნა, მეორემ კი ოდესის კლუბი "ავანგარდად" შენიღბა.

აი, ამ დროს გავიცანი ივანე ბოჭორიძე, "განთიადის" ცენტრალური საბჭოს თავმჯდომარე. იმდროინდელ მოღვაწეთა სპექტრში ბატონ ივანეს ნაკლები სპორტული აურა მოსავდა, ვიდრე, მაგალითად, "დინამოში" გუგული დიდიძეს, ანაც ქალაქის კომიტეტში – გულო რცხილაძეს. ბოჭორიძე მათგან ყოველმხრივ გამორჩეული იყო – თუნდაც ძველ-ბოლშევიკური

განთიადი 3:11 მაი | ვაკე, ქარიშხალა | 1963 წლის 24 სექტემბერი | თარხან არჩვაძის ფოტო
ჩვენები [ვისაც სახე უჩანს]: სერგო ხაჭაპურიძე, რეზო მესხი, ამირან ლობჟანიძე, ორესტ დიმიტრიადი

კიტელით, რომლითაც თითქოს და ხაზს უსვამდა პატრონის წესიერებას. თავკაცი ჩვენს ოინს, რომ "განთიადის" სახელით პროფკავშირთა ჩემპიონატზე ნაკრები გაგვეყვანა, მოწონებით შეხვდა.

"ივან ივანიჩმა" გამართა თათბირი, რომელსაც მისი მოადგილე იოსებიძე, მთავარი ბუღალტერი, განყოფილების უფროსი ბორის ბაჟენოვი და ინსტრუქტორი ზურა ალხაზიშვილი ესწრებოდნენ.

ამ თათბირიდან გაოგნებული გამოვედი. ხარჯთაღრიცხვა, რომელიც გუნდის მომზადებას უნდა მოხმარებოდა, რაგბისთვის არნახულ თანხებს შეიცავდა. გეგმაში ეწერა რიგის ტურნირში მონაწილეობა, ლიტვასა და ლენინგრადში ამხანაგური თამაშების გამართვა, ორკვირიანი შეკრება ტურნირის წინ და ასე განსაჯეთ – პრემიებიც!

ამ ამბით გახარებულმა ბიჭებმა გადაწყვიტეს, ჩემპიონატისთვის მზადება არც მეტი, არც ნაკლები, ხვალვე დაეწყოთ – არადა, ჯერაც 1963 წლის იანვარი იდგა.

დიახ, დიდი რამაა წახალისება! რაიმე პირად ხეირზე ფიქრიც არ შეგვეძლო, მაგრამ იმისმა შეგნებამ, რომ ბოლოს და ბოლოს მოგვაქცია ყურადღება ოფიციოზმა და ჩვენთვის დიდძალი თანხაც გამოყო – ბიჭებს ფრთები შეასხა.

ახალი სასტუმრო "აფხაზეთი" ვაჟაფშაველას გამზირზე, მომავალი მშენებლობის სამინისტროს მოპირდაპირე მხა-

რეს იდგა და მაშინდელ თბილისში ყველაზე საპატიო სტუმრების მისაღებად გამოიყენებოდა. სასტუმროს რესტორანიც ლამის ყველაზე პოპულარული თავშეყრის ადგილი იყო.

"განთიადის" ხელგაშლილობით, ამ სამოთხეში გავატარეთ თითქმის მთელი სექტემბერი – შეკრება და შეჯიბრებაც: ვცხოვრებდით 2-ადგილიან ნომრებში; რესტორანში დღეში 3-ჯერ მივირთმევდით, მოედანი კი – ჯერაც ტრიალი მინდორი, ქუჩის გადაღმა გვქონდა.

მოსამზადებლად თითქმის იდეალური პირობები შეგვიქმნეს. ცოტათი ხელს ის თუ გვიშლიდა, რომ დებულებით დადგენილი 20 ადგილი [19 მოთამაშე და ერთი მწვრთნელი] ადმინისტრაციამ სხვადასხვა სართულზე გამოგვიყო სასტუმროს გადატვირთულობის გამო. ამან გუნდად მუშაობა გაგვირთულა, რადგან დაღლილებს ზემოთ-ქვემოთ გვიწევდა სიარული.

მაგრამ ეგ რა მოსატანი იყო: გველოდა დიდი დღესასწაული საბჭოთა კავშირის საუკეთესო გუნდებთან პაექრობისა და გულიც საამოდ გვიძგერდა მომავალ გამარჯვებებზე ოცნებით.

შეჯიბრება წვრილად გაირჩა "ლელოში" და "მალაძიოჟკაში". დაინტერესებულ მკითხველს შეუძლია გაეცნოს შეჯამებასაც ჟურნალ "დროშაში" – 1963 წლის ნოემბრის ნომერში გამოვაქვეყნე სტატია "ფეხბურთის მრისხანე მეტოქე", რასაც თან ერთვოდა თარხან არჩვაძის ფოტოები.

ტურნირზე მერეც საკმაოდ დაიწერა, რის გამოც აქ მხოლოდ იმას გავიმეორებ, რომ ეს იყო პირველი დიდი და ოფიციალური საკავშირო ჩემპიონატი, რომელშიც ქართველი მორაგბეები მონაწილეობდნენ.

აქედან გამომდინარე, ჩვენს მიერ დაკავებული მესამე ადგილიც დიდი მონაპოვარი იყო, რადგან საბჭოეთში მტკიცედ დავიბევეთ მეორე პოზიცია – მოსკოვის შემდეგ, სადაც რაგბის არნახული აღზევება შეინიშნებოდა.

არადა, ნაღდად შეგვეძლო პირველზე თუ არა, მეორეზე გასვლა. ჩემთვის, როგორც მწვრთნელისთვის, ყველაზე სამწუხარო ის გახლავთ, რომ უფრო დიდი წარმატების მიღწევაში ხელის შემშლელად მევე გამოვედი – მოთამაშე, რომელიც, იმდროინდელ პრესასა თუ დავუჯერებთ, წამყვან როლს ასრულებდა.

ფეხბურთის მრისხანე მეტოქე

ერთი წუთით გადაკიდეთ ფიქრით წარსულში. გავიხსენოთ ის დრო, როცა თბილისში არ იყო ფეხბურთის მოედანი, როცა არ არსებობდნენ ფეხბურთელები და, ცხადია, არ იყვნენ ფეხბურთის გულშემატკივრებიც. სამაგიეროდ, იმბანად, სოფლად თუ ქალაქად, ხალხი გასართობად სპორტის ერთ ძალზე საინტერესო სახეობას მისდევდა. ეს გახლდათ ღელო. საქართველოში ის ცნობილია უხსოვარ დროიდან. მკვლევრები ამტკიცებენ, რომ კავკასიონის მთავრებიც გადმოდნა ღელოს თამაშობდნენ ასეული წლების წინათ.

მაგრამ ინგლისელებს ამის ვერ გაგიგონეთ. ღელოს საამბოხოდ მათ თავიანთი ქვეყანა მიაჩნიათ. მათ ღელოს დამამტკიცებელი ზუსტი დრო და თარიღიც კი აქვთ: ხელი აქვთ — 1823 წლის 7 აპრილი. იმ დღეს ერთ პატარა ინგლისურ ქალაქ რაგბეში ტარდებოდა იმ დროისათვის ჩვეულებრივი ბერთის თამაში. ბერთი მიკერძოდათ ხელებითა და ფეხებით, უცებ ერთმა მოთამაშემ ხელი იგდო ბერთი, არ გადაუსვა იგი პარტნიორს, როგორც მაშინ მიღებული იყო და გოლი მოწინააღმდეგის „ქალაქისაკენ" გაქცევლა ფეხებს ბერთის წასარომეულად.

ასე ხელახლა დამამადი ინგლისში ჩვენებური ღელო რომელმაც ზემოხსენებული ქალაქის სახელი მიიღო ეს ამბავი ინგლისში ეცდაცვალა რაგბის ალეგენში დადგმული მემორიალი დაფით. სამწუხაროდ, ჩვენ, ქართველებს არა გვაქვს დადგმული ღელოს დამადების ადგილი და თარიღი, თორემ ახლ ჩვენ დავიშენებდით ერთ ობელისკს ზეციდიოს თუ მახარაძეში ღელოსთვის.

რაგბი, ისევე როგორც ღელი, ეიერსად ტკბილარმენტელი, დინამიური და მრავალი მოელოდნელებით აღსავსე თამაშია. რაგბი შეიცავს ფეხბურთისა და კალათბურთის ელემენტს, ხტომისა და აკრობატიკის ტექნიკას. რაგბისთვის ისეთივე მოდგენილია საჭირო, როგორც ლელოსათვის, ოღონდ კარით. მისი კარები აქვს ასო H-ს. თავდასაცავად ინგლისელები ბურთის ბაკურ თორეს ბაკეთ გაგტენილ ტომარას ამოფარებენ (შეხვდებიო ეს შეცალა ხარის ბუშტმა, რასაც ეუნდა ეშლიდეს რაგბი თავის ნეტყოსენერ ფორმაში).

ეუნდა თქვას, რომ რაგბის ბერთის, ღელოს ბერთამან შედარებით, ის უპირატესობა აქვს, რომ უფრო ადვილად და სწრაფად შეიძლება მისი გადაცემა. ფეხიდ წაიღება ბერთისა. მისი ფორმაც ვამი, რაგბისტებს თუმც ეჭირთ, მაგრამ წყალზე შეფენილი ბერთი ფარეს საამყოფად მიაჩნიათ. სტადიონზეს ორი მესამედი მათ რაგბის დაუთმეს. მმოლიდ ერთი მესამედი დაუტოვეს ფეხბურთის. და ეს. იმ ქვეყანაში, რომელიც სახელგანოქმული ფეხბურთელებსა—ეოს და ფოტტერი ჰყავს, ეეცდაზე პოპულარულ სპორტსმენად მიჩნეული რაგბისტი ყავს მთავი.

ეს თამაში რეგბინდეთშიც ძალიან ეუყვართ. იქ რაგბის ასწავლიან სკოლებში, რადგან თვლიან, რომ ეს არის სპორტის სხვა სახეობა, რომელიც ისე თანაბრად ავითარებდეს ადამიანის ორგანიზმს, როგორც რაგბი. რეგბინეთი ეცდილი მფლობელია „ეგბიჩკეგბის თასისა". ეს თასი ყოველწლიურად თამაშდება სოციალისტურ ქვეყნებს შორის.

საქართველოს რაგბისტები.

იმხანად ერთადერთი ფერადი და ილუსტრირებული ჟურნალი "დროშა' | 1963 წლის No 11

ხომ მოგახსენეთ, გუნდი საუკეთესო ბიჭებით იყო დაკომპლექტებული-მეთქი და ვინც მეტ-ნაკლებად ერკვევა ქართულ რაგბში, მისთვის მრავლის მთქმელი უნდა იყოს მორკინალთა გვარების მარტო ჩამოთვლაც კი. ძლიერი და აგრესიული გვყავდა "სამ-მეოთხედელთა ხაზიც", სადაც მე გამოვდიოდი გოგი ტონიასთან წყვილში, ჯემალ ბერაძე – ზაურ ტასოევის მეორე წყვილთან ერთად.

ვაკეში ბრძოლით რომ მოვიგეთ პირველი ორი თამაში – "დაუგავასა" და "სპარტაკთან", გადამწყვეტ მატჩზეც გამარჯვების რწმენით გავედით მაისთან, მაგრამ მანდ მიმუხთლა ნერვებმა: მსაჯმა მეორე ტაიმის შუაში, 3:3-ზე მინდვრიდან გამაძევა და კაცნაკლული გუნდი, მიუხედავად ბიჭების თავგანწირვისა, კლასიან მეტოქესთან ვეღარაფერს გახდა.

არ დავმალავ, რომ ამ მატჩის წინა საღამო ჩვენივე სასტუმროს ფოიეში – მეტად თბილსა და მეგობრულ ატმოსფეროში ერთად გავატარეთ მე; მაელმა ჟენია სოტსკოვმა, რომელსაც მოედანზე "უნებლიეთ" პანღური ამოვარტყი და სავსებით სამართლიანად გამაძევეს; და თვით მსაჯმა სიგორდ კრასტინშმაც – რას წარმოვიდგენით, რომ მოვლენები მეორე დღეს ასე დრამატულად განვითარდებოდა.

1963 | პროფკავშირთა პირველობა

პარ 20/09 ვაკე

ტრუდი	69: 0	ავანგარდი
ბურევესტნიკი	19:14	სპარტაკი
განთიადი	16:14	დაუგავა

კვი 22/09 ვაკე

ბურევესტნიკი	47: 0	ავანგარდი
ტრუდი	3: 3	დაუგავა
განთიადი	6: 3	სპარტაკი

სამ 24/09 ვაკე

სპარტაკი	6: 0	ტრუდი
დაუგავა	24: 6	ავანგარდი
განთიადი	3:11	ბურევესტნიკი

პარ 27/09 ავლაბარი

ბურევესტნიკი	30: 6	დაუგავა
სპარტაკი	50: 8	ავანგარდი
განთიადი	6:20	ტრუდი

კვი 29/09 ავლაბარი

სპარტაკი	12: 6	დაუგავა
ტრუდი	6: 3	ბურევესტნიკი
განთიადი	27: 6	ავანგარდი

#	თბილისი	ქ	მ-ნ*ფ	გატ:გაშ
1	ბურევესტნ [მაი]	8	4-1	110: 29
2	ტრუდი	7	3-1*1	98: 18
3	განთიადი ^	6	3-2	58: 54
4	სპარტაკი	6	3-2	85: 39
5	დაუგავა	3	1-3*1	53: 67
6	ავანგარ [ოდესა]	0	0-5	20:217

განთიადი [თბილისი | საქართველო]

ჩამკეტი [15] სერგო ხაჭაპურიძე, გიორგი კალატოზიშვილი

ხაზი [14-11] ასლან ბედოშვილი, ჯემალ ბერაძე ©, გივი მრელაშვილი, ტარიელ ნებიერიძე, ზაურ ტასოევი, დათო ჩუბინიშვილი

[10] გოგი ტონია, ირაკლი კიზირია

[9] მიშა ბენიაშვილი

პირველი ნომერი [1, კვაჭი] გელა მიქაბერიძე

ბურჯები [2-3] ზაურ მგელაძე, ბაია ოქრუაშვილი, ოლეგ კობახიძე

მეორე ხაზი [4-5] რეზო მესხი, ორესტ დიმიტრიადი

მესამე ხაზი [6-8] მიკა კვინიხიძე, ამირან ლობჟანიძე, მურად თოფურიძე, ნოდარ ყიფიანი

18 ჯეიმს ბონდი

პროფკავშირთა პირველობის დაწყებამდე "აფხაზეთის" ადმინისტრაციამ, ზემოდან მიღებული მითითების თანახმად, სასტუმრო დაცალა – დაგვტოვეს მხოლოდ ჩვენ. ამის მიზეზი ის იყო, რომ თბილისში ჩამოდიოდა "მასობრივ წარმოდგენათა თეატრი", რომელსაც გრანდიოზული სპექტაკლი უნდა გაემართა "დინამოს" სტადიონზე.

მაგრამ წარმოდგენაცაა და წარმოდგენაც! მასში მონაწილეობა უნდა მიეღო ერთბაშად 130 მსახიობს. ესოდენ გრანდიოზული რამე მას შემდეგაც იშვიათად თუ შემხვედრია; მით უმეტეს, რომ მსახიობები იყვნენ მშვენიერი, სრულიად ახალგაზრდა გოგოები, რომელთა მთავარი ღირსებაც აღნაგობა და გარეგნობა იყო.

მათი შემყურე ჩვენი ბიჭები დარეტიანებული დადიოდნენ და გოგოებს აქეთ-იქით დასდევდნენ. აირია მონასტერი – ყველაფერი წყალში მეყრებოდა. ამიტომ ძალზედ გამეხარდა, როცა მხსნელად თავში მომივიდა ბავშვური იდეა, რომელსაც ღირსეულს ვერანაირად ვერ უწოდებ.

ერთ საღამოსაც, როცა ნომერში ვეახლე ჩემს ძველ მეგობარს, ამჯერად კი მსაჯად მოვლინებულ სიგორდ კრასტინშს – მასთან დამხვდა ორი ქალბატონი: მათგან ერთი ჩამოსული თეატრის ხელმძღვანელი იყო და მას სიგორდი მოსწრებულად ეძახდა "მამაშას" [ოღრაშს, ბოზების გამქირავებელს]

თქმა დამავიწყდა: სიგორდი იყო მაღალი, ქერა, ლამაზი – ჰოლივუდის მსახიობს წააგავდა; და გახლდათ კაცი, რომელსაც ქალების შებმა არც ჭირდებოდა, რადგან ესენი იქეთ ცდილობდნენ მასთან დაახლოებას. ასე რომ, ვიდრე ჩვენი ბიჭები ამაოდ ჩალიჩობდნენ, სიგორდი უკვე გამოეჩანგლა გოგოების მმართველ ქალბატონს, რომელიც ერთად აღებულ ყველა გამოუცდელ შეგირდს აღემატებოდა 30 წლისთვის შესაფერი ჭკუით.

ამ ქალბატონმა სასტუმროში შემოსვლისთანავე, ფოიეში მოახერხა სიგორდის მოხიბლვა, როდესაც იქ შემთხვევით მყოფს, სთხოვა დახმარებოდა მეორე სართულზე ჩემოდნების ატანაში, მე კი ძმაკაცს ვთხოვე, რომ ამ ქალბატონისთვის გავეცანი არა როგორც თბილისელი მწვრთნელი, არამედ რიგელთა გუნდის სომეხი მოთამაშე, სახელად არტური. შევთანხმდით – ხელი ხელს დავარტყით.

მალე ერთობ გამომადგა ეს იაფფასიანი ანგლობა: სიგორდთან სტუმრობისას არც კი მჭირდებოდა კითხვის დასმა ჩვენი ბიჭების საქციელზე – მათი საუბრიდან ისედაც ვიღებდი სრულ ინფორმაციას.

სპორტული განრიგით ყოველ დილას, საუზმემდე, და ყოველ საღამოსაც, ვახშმის შემდეგ, გუნდის შეკრება გვქონდა. ბიჭებს უკვირდათ, როდესაც ვყვებოდი მათ თავგადასავლებს:

ერთმა როგორ დაარღვია დაწესებული რეჟიმი და ღამის 1 საათზე გოგოებს კარზე უმოწყალოდ როგორ უკაკუნებდა;

მეორე, ზეწარში გახვეული, როგორ ცდილობდა დერეფანში მომავალი გოგოების შეშინებას; სხვები კი როგორ სთავაზობდნენ მსახიობებს – მაგნიტოფონი გვაქვს, გვეწვიეთ, ვიცეკვოთო.

ერთი სიტყვით, ბიჭებს ვერაფრით გაეგოთ, ყველაფრის საქმის კურსში საიდან ვიყავი, და ერთმანეთზე მიჰქონდათ ეჭვი – ალბათ შენ ჩამიშვი; ჩვენ ორნი ვიყავით, გივის როგორ უნდა გაეგოო.

კულმინაცია დადგა რიგასთან თამაშის წინ. მამაშა ხშირად მეუბნებოდა, ერთი მაგათი მწვრთნელი მანახა, ბიჭებს შიშის ზარს რომ სცემსო. ეგ მწვრთნელი კი არა, ნამდვილი "ავჩარკაა" [მეცხვარის ნაგაზი], სულ ძაღლივით რომ დასდევს კუდშიო. თუ ქართველთა მწვრთნელზე ჩამოვარდებოდა საუბარი, მამაშა მას – ანუ მე – პირდაპირ ავჩარკად მოიხსენიებდა.

სიგორდი გაიბადრებოდა ამ სიტყვების გაგონებაზე და ვითომც არაფერიაო, სახეში შემომცინებდა. იგი კმაყოფილი ჩანდა ოინში მონაწილეობით.

რიგასთან "განთიადის" თამაშის წინა საღამოს, ჩვეულებისამებრ, მე და სიგორდი ვესტუმრეთ ჩვენს დულსინეებს. საუბარი გამიზნულად ავანყე მომავალ მატჩზე. რაც შემეძლო, დამამცირებელი სიტყვები ვთქვი ქართველებზე: სადაც შევხვდით, ყველგან მოვუგეთ; რაგბზე წარმოდგენა არა აქვთ; ხვალ მათ ხორცსა და ძვლებს საკეპ მანქანაში გავატარებთო და ასე შემდეგ. მე – "რიგელმა არტურამ" საათი მოვანდომე ჩვენს ბიჭებზე ქილიკს.

ჩანაფიქრმა გამიმართლა. შევამჩნიე, რომ ბიჭები რაღაც ზედმეტად თვალებანთებული და ეგზალტირებული იყვნენ. თამაშის მოკლე გეგმა დავსახეთ; თითქმის დავამთავრეთ გარჩევა, რომ მიკა კვინიხიძემ სიტყვა ითხოვა:

"გივი, არ ვაპირებდით, მაგრამ ყველამ გადავწყვიტეთ, რომ გითხრათ. რიგელები დადიან და ჩვენზე ლაპარაკობენ, რომ რაგბში არაფერი გაგვეგება; ჩვენ ვასწავლეთ მაგათ თამაში და დღეს ისე ვიხმართ, როგორც საკატლეტე ფარშსო".

ბონდის თბილისური თავგადასავლების ასპარეზი – იმხანად ჯერ სულ ახალი სასტუმრო "აფხაზეთი"

მიკამ ზუსტად გაიმეორა სიტყვები, რომლებიც წინა საღამოს მამაშასთან ვთქვი "რიგელი სომხის" პირით, მამაშამ კი, გოგოების მეშვეობით, ეს ქადილი ოპერატიულად გააგებინა ჩემს შეგირდებს.

ბიჭებს ვუთხარი, აბა, თქვენ იციათ-მეთქი, მკითხველს კი შევახსენებ, რომ სპორტი 4 მთავარი კომპონენტისგან შედგება: ფიზიკური, ტექნიკური, ტაქტიკური და მორალური მომზადებისგან. პირველ სამში უპირატესობა შედეგს ვერ მოგიტანს, თუ მეოთხეში, ანუ მორალურად, არა გჯერა მეტოქის ჯობნისა.

ორი თავის წინ მოვყევი, თუ რიგასთან რარიგ საწყენი მარცხი ვიწვნიეთ ერთი თვით ადრე. ამიტომ სარევანშოდ ვიყავით განწყობილები და "სომეხი არტურას" მუქარაც ზედგამოჭრილად მოერგო არსებულ სიტუაციას:

"განთიადი" თავიდანვე ეკვეთა მეტოქეს და სულ წინ იყო – 5:0, 8:3, 13:9 და 16:14. განსაკუთრებით გაკვირვებული ჩანდა რიგელთა მართლა სომეხი მოთამაშე, რომელიც იმდენჯერ შებოჭეს, რომ პირველ ტაიმშივე დაშავდა და შეცვალეს.

ნავახშმევს ჩემს ნომერში მოსახვედრად, მინდოდა თუ არა, ფოიეში უნდა გამევლო. იქ ერთი ორომტრიალი დამხვდა – "მასოვკას" გასტროლი დაემთავრებინა და იმ ღამითვე მიემგზავრებოდა.

ფოიე სავსე იყო ჩემოდნებით, ამ მოცეკვავე გოგოებითა და მათი გამცილებლებით. შევნიშნე მამაშა, მისი დაქალი, სიგორდი და რა თქმა უნდა, ჩვენი ბიჭებიც, რომლებიც გოგოებთან მისამართების გაცვლა-გამოცვლითა და ხვევნა-კოცნით იყვნენ დაკავებული.

ვეცადე, შეუმჩნევლად ჩამევლო, მაგრამ ვერ გამომივიდა: ჩემს დანახვაზე ბიჭები მიიწ-მოიწივნენ – ბოლო-ბოლო, მათი მწვრთნელი ვიყავი. ამაზე მამაშა და მისი დაქალი გაოცდნენ, რადგან მათი გაგებით, ქართველებმა გზა დაუთმეს რიგის გუნდის რიგით მოთამაშეს და თან იმას, წინა საღამოს მასპინძლებს ფარშად ქცევას რომ ექადნებოდა.

გაოცება იქეთ იყოს – მამაშას და მის დაქალს თავზარი დაეცათ, როდესაც ჩვენი ბიჭებიდან ერთ-ერთმა უთხრათ: ეს ჩვენი მწვრთნელი, პატივცემული ესა და ესაო.

ქალებმა ლოყებზე ხელი შემოირტყეს. მე მათ რეაქციას არ დავლოდებივარ – მხრებზე შემოხვეული სიგორდი მოვიცილე და გზა გავაგრძელე. ზურგს უკან მესმოდა მამაშისა და დაქალის შეწყობილი რეპლიკები:

"ესა�ა ავჩარკა?", "მოიცადე, ჯეიმს ბონდ", ხოლო სულ ბოლოს მამაშის მამხილებელი ტირადაც მომწვდა: "ჯეიმს ბონდი კი არა, პირწავარდნილი აფერისტი ყოფილაო".

ვაღიარებ: ეს ეპიზოდი ჩემს პიროვნებას დადებითად როდი ახასიათებს, მაგრამ ნათლად კი ასახავს ჩემი, როგორც მწვრთნელის, განწყობილებას – მიზნის მისაღწევად მიმართოს ნებისმიერ საშუალებას.

19 დებულება თუ ძმაკაცობა?

ყველაფერს რომ ვერ გათვლი, პროფკავშირთა პირველობის დაწყების წინ თითქოს აწყობილ საქმეში მაინც გამოჩნდა მისი აღმატებულება "მოულოდნელობა". ეს აუხსნელი ფენომენი გამომეცხადა საწვრთნელი შეკრების წინ და დამატებითი საფიქრალი გამიჩინა.

იგი წარმომიდგა შემდეგი სახით: შეკრების წინ, ანუ მას შემდეგ, რაც წარვადგინე განაცხადი – შეჯიბრებაში მონაწილე 20 მოთამაშის სია, გამომეცხადა ამირან ლობჟანიძე, დანა ამოიღო, გამომიწოდა და მითხრა: "სასტავში ჩამსვი, ან ყელი გამომჭერიო."

ამირანზე ნაწყენი ვიყავი, რადგან ლენინგრადში თამაშზე არ მოვიდა არასაპატიო მიზეზით. მიუხედავად ჩემი დიდი სურვილისა, რომ ლობჟანიძე განაცხადში ჩამემატებინა, ამის გაკეთება აღარ შემეძლო – ყოველგვარი ვადები გასული იყო.

ბევრი ვიფიქრე თუ ცოტა, მივხვდი, რომ ზოგი რამ, რაც კანონით არ იყო ნება დართული, ჩვენს სარაგბო რეალობას ვერ მიესადაგებოდა. რაგბმა ზოგი კომკავშირს მოსწყვიტა, ზოგიც – სიზარმაცეს, უმეტესობა კი გამოიყვანა უფერული ცხოვრებიდან.

რაგბი ჩვენი ბიჭებისთვის არსობის აზრი გახდა. ასე ვიყავი განწყობილი ყველა მორაგბის მიმართ და წავედი რისკზე. ვიფიქრე: სპორტი სპორტია, მაგრამ ამ კაცს ვერ დავაღალატებ-მეთქი.

თუმც ტურნირის განაცხადი წარდგენილი მქონდა და მასში ვეღარაფერს შევცვლიდი – მაინც გადავწყვიტე, ამირანი აუცილებლად მეთამაშებინა და თამაშის ოქმებშიც ჩამეწერა, რადგან ვაჟკაცური

ამირან ლობჟანიძე "პოსტ რაგბუმ"

ბუნებიდან გამომდინარე, იგი ყველასათვის საყვარელი პიროვნება იყო.

ახლა წარმოიდგინეთ, რომ მთელი ამ ტურნირის მანძილზე, როდესაც ჩვეულებრივ საკითხებზე – სტადიონზე, მოედნის მდგომარეობაზე, მსაჯობაზე – ჩემთან მოდიოდნენ მთავარი მსაჯი ან კოლეგიის სხვა წევრები, უმალ დამნაშავესავით კუდი მეწვოდა: გავიფიქრებდი, ალბათ გაიგეს, ზედმეტი მოთამაშით რომ ვთამაშობთო.

არადა, ჩემპიონატი ისე ჩამთავრდა, რომ ვერავინაც ვერაფერს მიხვდა, მაგრამ იმდენი კი ვინერვიულე, რომ დავიფიცე, ასეთი რამ აღარასოდეს ჩამედინა.

20 მაინც მნიშვნელოვანი 1964

მიუხედავად იმისა, რომ ხელისუფლებამ კვლავ დაარღვია პირობა და 1964 წლის საკავშირო ჩემპიონატიც გადადო, წინა წელს ქართველ მორაგბეთა წარმატებამ იმდენად დადებითი მუხტი შემოიტანა ახალგაზრდობაში, რომ რაგბის თამაშის მსურველთა რაოდენობამ შესამჩნევად იმატა.

ამაღლდა მორაგბეთა ოსტატობა და თამაშების ხარისხიც. ტრადიციულად ძლიერ "განთიადსა" და პოლიტექნიკურს [სპი] ტოლს არ უდებდნენ "უნივერსიტეტი", სასოფლო [სსი] და "ისანი".

რაგბში ჩემი "ყოფნა-არყოფნის" საკითხი დროებით გადავდე იმ ფიქრით, რომ ბარემ სსრკ-ის ჩემპიონატშიც მივიღებდი მონაწილეობას. ბიჭებთან მოლაპარაკებული ვიყავი, რომ განსაკუთრებული გეგმით და რეჟიმით მოვმზადებულიყავით ამ ტურნირისთვის.

ჩემპიონატის საგაისოდ გადადების გამო თითქოს უნდა ჩამოვშორებულიყავი რაგბს, მაგრამ მოვლენები ჩვენს სასარგებლოდ ისე პოზიტიურად განვითარდა, რომ კვლავ გადავიფიქრე.

მიზეზი ჩემი მორიგი "ფერის ცვალებისა" იყო მოულოდნელი სატელეფონო ზარი "დინამოდან" – დიდიძესთან მოდიო. ბატონ ვახტანგს [ხალხი უფრო შინაური სახელით – "გუგული" იცნობდა] თბილისში ჩემი ჩამოსვლის დღიდან "ვუტევდი".

მიუხედავად მის მიერ ბევჯერ მოცემული განმარტებისა, რომ ვიდრე მოსკოვიდან, "დინამოს" ცენტრალური საბჭოდან არ იქნება მიღებული ბრძანება, მას დამოუკიდებლად რაგბის გუნდის აყვანის უფლება არა აქვს – მაინც ბოროტად ვსარგებლობდი მისი კეთილ-განწყობით და დროგამოშვებით ვსტუმრობდი.

თბილისში მუშაობისას მუდამ თავში მიტრიალებდა ფიქრი "დინამოში" რაგბის გუნდის შექმნაზე და ახლა, როცა დამირეკეს და მითხრეს, "დინამოში" მოდიო, ისე გახარებული ვიყავი, თითქოს ლატარიაში ავტომობილი "ვოლგა" მომეგოს.

როცა მივედი, დიდიძე ადგილზე არ დამხვდა და მისმა თანამშრომელმა ოთარ მდივანმა – რომელიც შემდგომ მრავალი წელი კურირებდა რაგბის გუნდს – შემიყვანა "დინამოს" პასუხისმგებელ მდივან მიხეილ ამნიაშვილთან.

მისგან შევიტყვე, რომ "დინამო" მართლაც აიყვანს რაგბის გუნდს, ოღონდაც დიდიძემ თურმე ხათრი ველარ გაუტეხა ბავშვობის მეგობარს, ქალბატონ შურას – ჩვენი მორაგბისა და მეგობრის, რეზო გუდიაშვილის დედას – და თუმც გუნდის შექმნაზე დათანხმდა, წელს მის დაფინანსებას ვერ მოახერხებს და მხოლოდ სავარჯიშო პირობებს შეუქმნის.

ერთი სიტყვით, ეს წელი, მიუხედავად დიდი საკავშირო შეჯიბრების არქონისა, მაინც მნიშვნელოვანი აღმოჩნდა იმით, რომ დაიბადა ორი გუნდი, რომელთა სახელებთანაცაა დაკავშირებული ქართული რაგბის დიდების შემდეგი 20 წელი – "დინამო" და "ლოკომოტივი".

პირველზე უკვე მოგახსენეთ, მეორის ისტორია კი ასეთია: ჩემთან მოვიდა გოგი ყუფარაძე, ვისი მამაც – ბატონი ვალერიანი ამიერკავკასიის რკინიგზის სალაროების უფროსად მუშაობდა.

მამა ვაჟს დახმარებას შეჰპირებია გუნდის ჩამოყალიბების შემთხვევაში. გოგიმ მთხოვა, მასთან "განთიადიდან" გამეშვა რამოდენიმე მოთამაშე. დავთანხმდი და ყველაფრით თანადგომას შევპირდი. გოგი მწვრთნელობას თვითონ კისრულობდა, მაგრამ შემდეგი წლიდან ეგ ფუნქცია საკუთარი ინიციატივით გადააბარა გოგი ტონიას.

და მაინც, მიუხედავად "დინამოსა" და "ლოკომოტივის" გამოჩენისა, რაც შეიძლება ისტორიულ მოვლენად ჩაითვალოს; მიუხედავად თბილისის ჩემპიონატის მაღალ დონეზე ჩატარებისა და ლელობურთში მონაწილეობისა – ტოკიოს ოლიმპიადის გადამკიდე, საკავშირო მასშტაბის არც ერთი შეჯიბრება რომ არ გამართულა, ამან ბიჭებზე ცუდად იმოქმედა.

[უკან] გივი მრელაშვილი, ჯემალ ბერაძე, ალბერტ კრიხელი, გია წურწუმია, ტარიელ ნებიერიძე, მურად თოფურიძე, გოგი ტონია, ზაურ მგელაძე, ვიტალი სისაური, ვალენტ რაფავა, ოთარ ელოშვილი, ნოდარ ყიფიანი; [წინ] კარლო "ბორია" კომლაძე, რაჟდენ ენუქიძე, ვალერი კორნეევი, გენო ფირანიშვილი, მიშა ბენიაშვილი, ნოდარ ქაჯაია

განთიადი 6:5 დინამო | 1964 წლის 31 მაისი

[უკან] მიკა კვინიხიძე, ილო იოვაძე, შევაზ კოდუა, შოთა გვაზავა, რომა ღვინიაშვილი, ოთარ დოღონაძე, ირაკლი კიზირია, გელა ჩიკვაიძე, ცეზარ სამხარაძე; [წინ] ზაზა ჟორდანია, სერგო კეშელავა, ლევან გარდაფხაძე, თემურ მაზმიშვილი, ალეკო მაისურაძე, დიტო ოსეფაიშვილი, იგორ მოსკალევიჩი

სარეკლამო პაუზა!

21 დირექტორ კურმანის ლამაზმანები

ანუ ქალის ჩაცმულობის შესახებ

ეტყობა, წინა, 1963 წლის შეჯიბრებებით განებივრებულებმა, საჭირო ყურადღება აღარ მივაქციეთ მომავალი წლის გეგმებს და 1964 წლის დამდეგს გაირკვა, რომ საკავშირო სპორტის მამებს რაგბზე კაპიკიც აღარ გაეთვალისწინებინათ – მოიმიზეზეს შემოდგომაზე ჩასატარებელი ტოკიოს ოლიმპიადა და მთელი სახსრები იქით გადაისროლეს. მორაგბეებს მოსკოვში სათოფეზეც აღარ იკარებდნენ.

ყველასათვის გასაგები უნდა ყოფილიყო ის დიდი პოლიტიკური მნიშვნელობა, რასაც ხელისუფლება საბჭოთა სპორტსმენების იაპონიაში გამოსვლას ანიჭებდა. ამის შესაბამისად, ადგილობრივმა ხელმძღვანელობაც მკვეთრად შეგვიმცირა დაფინანსება და მხოლოდ ქალაქის ჩემპიონატისთვის გამოგვიყო მცირედი თანხა.

"განთიადმა" უარი გვითხრა დაფინანსებაზე. სტუდენტური გუნდებიც ნოლზე დასხდნენ. "შუქი გვირაბის ბოლოს" მოულოდნელად აენთო მხოლოდ 31-ე ქარხნის გუნდს, რომელიც ჟაკ ასპეკიანის სამშობლოში მიბრუნების გამო უპატრონოდ დარჩენილიყო.

"ისნის" მწვრთნელობა იკისრეს გოგლიძემ და ლეშეშინმა. მათ მიწვევა მიიღეს უკრაინიდან, აიმატეს თითო-ოროლა განთიადელი ვარსკვლავი, ოქტომბერში ქარხნის თვითმფრინავით გადაფრინდნენ დნიპროში [იმხანად დნეპროპეტროვსკი] და მოიგეს ფაშისტი ოკუპანტებისაგან გათავისუფლების 20 წლისთავისადმი მიძღვნილი მინი-ტურნირი, დაამარცხეს რა ოდესა 6:3, დნიპრო 20:3 და კიევი 3:0

სტუდენტებსაც უკრაინიდან, ოღონდაც ოდესიდან, იქაური ენთუზიასტის – ვლადიმირ კურმანისგან მოგვივიდა მიწვევა. ჩავედით და ვითამაშეთ. ეს ტურნირი ისე კომიკურად დამთავრდა, რომ მასზე არც ვაპირებდი მოთხრობას, მაგრამ მერე გამახსენდა, რომ "მოგონებების"

დასაწყისშივე დავიტოვე უფლება, გამერჩია ისეთი ეპიზოდებიც, რომლებიც რაგბთან ნაკლებადაა კავშირში, მაგრამ მაშინდელი ცხოვრების ტიპიურ მაგალითებს კი წარმოადგენს.

წინასწარ მინდა გითხრათ: შეჯიბრებათა დეფიციტის გამო მზად ვიყავით, პირველივე დაპატიჟებაზე, თავქუდმოგლეჯილი წავსულიყავით. ასე წავედით მოსკოვში, ბალტიაში, ლენინგრადში. ჩვენი სპორტ-საზოგადოებები დაფინანსებაზე, როგორც წესი, უარს გვეუბნებოდნენ. ყველაფერი დამოკიდებული იყო მასპინძელ ორგანიზაციაზე: ზოგი გვინაზღაურებდა ხარჯს, ზოგიც – ვერა.

ამას ყურადღებას ნაკლებად ვაქცევდით, რადგან ჩვენი სტიმული იყო მაღალ დონეზე თამაშის წყურვილი, რისი თბილისში დაკმაყოფილების შანსიც ცოტა გვქონდა, ხოლო თუ უფრო გულახდილი ვიქნები, ისიც უნდა ვაღიარო, რომ რაგბის ხიბლს ხშირად მოსალოდნელი მოგზაურობა უფრო განაპირობებდა, ვიდრე თამაშის სიყვარული.

მიზეზი უმარტივესი იყო: მართალია, თბილისელი გოგოები გარეგნობითა და ტანადობით არ ჩამოუვარდებოდნენ არც ერთ სხვა ქალაქელ თანატოლებს, მაგრამ მათთან დაახლოება ჭირდა, რადგან ისინი აქტიურობით ბოლო ადგილზე იყვნენ.

ამიტომ ახლა ნურავინ მეტყვის, რომ საქართველოს გარეთ შეჯიბრებაში მონაწილეობა იქაურ გოგოებთან გაცნობისა და ურთიერთობის სურვილზე წინ გვეყენა. პრიორიტეტები შეიძლება ოდნავ შეიცვალა რაგბის სპორტულ კალაპოტში ჩადგომის შემდეგღა, როდესაც პრინციპული თამაშის წინ ქალებისკენ გახედვა ისეთი დანაშაული იყო, რომ ეგებ შემადგენლობაშიც ვეღარ მოხვედრილიყავი.

ასე იყო, მაგალითად, დიდი ხნის შემდეგ – 1972 წელს, გროდნოს [ბელარუსი] შესარჩევზე, როდესაც ჩვენი "დინამოს" წევრები იმავე რესტორანში ვახშმობდნენ, სადაც იქაური გოგოები დროს ატარებდნენ, მაგრამ ერთმანეთისთვის მიცემული პირობით, ქალებთან არშიყი ეკრძალებოდათ. ბიჭები სასტუმროში დინჯად მიდიოდნენ რეპლიკით "მერეო, გოგოებო". იქაურმა გაზეთმა ამ პარადოქსს სტატიაც კი მიუძღვნა სათაურით: "24 ქართველი ბერ-მონაზონი მორაგბე" [იხილეთ 37-ე თავი 119-ე გვერდზე]

იყო შემთხვევაც, როცა ლენინგრადში მწვრთნელმა მოთამაშეები სასტუმროს ნომრებში გამოკეტა და ფანჯრებიდან გადმოყუდებული რომეოები ბოდიშს უხდიდნენ მათთან მისულ, ქუჩაში მდგარ ჯულიეტებს: "რა ვქნათ, კარი გვაქვს დარაზული, ვერ გამოვდივართო".

ასეთი სიმკაცრე შემდეგღა შემოვიდა – როცა რაგბი გაპროფესიულდა, ჩემი აზრით კი, ყოველი ნორმალური მამაკაცის მუდმივი საფიქრალი უნდა იყოს მისი უდიდებულესობა – ქალი. ეს მოსაზრება ახალი როდია, და მოყვარულსა და პროფესიონალ ათლეტს ერთნაირად ეხება.

ჩემი აზრით, სრულიად სპორტიცა და საკუთრივ რაგბიც, უპირველეს ყოვლისა, ქალებთან ურთიერთობის საშუალებაა. ეს თეორია მით უფრო სწორი იყო მაშინ: სხვა ქალაქებში გაცნობა და სიყვარული აჩქარებული ტემპით მიდიოდა და გზნებით არ ჩამოუვარდებოდა თბილისში უაღრესად მდორედ მიმდინარე იმავე პროცესებს.



ვარსკვლავებ-ამატებული "ისანი" ქარხნის თვითმფრინავით გადაფრინდა დნიპროში და სამივე უკრაინული გუნდი დაამარცხა

იმაშიც ყველა დამეთანხმება, რომ ბლიც-ნაცნობობისას მთავარია ქალის გარეგნობა, ამას კი პრიორიტეტულად განაპირობებს ჩაცმულობა, ანუ სამოსელი.

როდესაც ოდესაში ჩავედით ზაფხულის შესანიშნავ დილას, მოგვაწყვეს ქალაქის ცენტრალური კვარტალის ულამაზესსა და საუკეთესო სასტუმროში. იმ ავტობუსის მოლოდინში, რომელსაც სავარჯიშოდ უნდა წავეყვანეთ, მალევე გამოვედით გარეთ და დაბანილ-დავარცხნილები ფართო ტროტუარზე დავდექით.

სასტუმროს წინ თითქოს მდედრი მოდელების აღლუმი მიმდინარეობდა, ჩვენ კი, როგორც ამ წარმოდგენის მაყურებლები, მშვიდად, ოღონდაც დიდი შინაგანი ვნებით თვალს ვაყოლებდით აქეთიქით მიმავალ ქალბატონებს.

აბა, ერთი შეხედვით ვინ რას მიხვდება, თუ რა სულიერი სამყარო აქვს ქალს. ის უხილავია, გარეგნული იერი კი თევზის სატყუარასავით არის და ერთნაირად იჭერს ყველას.

ჩვენს შემთხვევაში ქალის სულიერი სამყარო ალბათ არც არავის ადარდებდა – მათი ცქერის მარტო პროცესიც ხომ ერთი სიამოვნებაა, მით უმეტეს, უცხო ქალაქში. ჩვენც ასე ვიყავით. იმ დილაადრიან, ტროტუარზე ქალების მაინცდამაინც დიდი სიმრავლე არ იყო, მაგრამ ახლად ჩასულებს, ყველა მაინც ლამაზად გვეჩვენებოდა.

"შეხე, რა ფეხები აქვს; რა ტანი აქვს; რა თმები აქვს" – გაისმოდა წამდაუწუმ. ცოტა ხნით რომ ვიყავით ჩასულები, ეს ბიჭებს კარგად ესმოდათ. ამიტომ სულიერ სამყაროზე ნაკლებად ფიქრობდნენ და დროსაც ტყუილად არ კარგავდნენ – თითქმის ყველა გამვლელ გოგოს აჩერებდნენ:

ზოგს მიზეზად ეკითხებოდნენ, როგორ უნდა მოვხვდე ცენტრალურ ქუჩა დერიბასოვსკაიაზე, ანაც ლანჟერონის პლაჟზეო. ზოგიც პირდაპირ გაცნობას სთავაზობდა გამვლელს. ერთი სიტყვით, გოგოსთან დაახლოების ხერხი ხომ ქვიშასავით დაუთვლელია.

უეცრად ბიჭებში ჟრიამული ატყდა, გვერდზე მდგომმა გუნდელმა კი მკლავიც გამკრა – ნახე, რა მოდისო. გავიხედე. ტროტუარის განაპირას, ერთი ქალი მი-

საბჭოთა რაგბის "ფანატიკოსები": გივი მრელაშვილი, ანატოლი სოროკინი, ანდრეი დანილოვი, ვლადიმირ კურმანი, ოთარ დოღონაძე

დის: თეთრ-ლურჯ ფერებში, ზოლიან კაბაში, ყელზე მოგდებული მსუბუქი სახვევით – ჩვენსკენ არც იხედება: მიდის და რა მიდის!

მიდის და გაიარა. ერთადერთი რამ დამახსომდა: ტანზე არაჩვეულებრივად მოტმასნული, ლურჯ-თეთრი, ზოლიანი კაბა, რომელიც მისი მფლობელის სხეულის ყოველ მოძრაობაზე უხილავ იმპულსს გამოსცემდა: ნახე, რა კარგი ვარო.

ამ გოგოსა თუ ქალს ერთ-ერთი ჩვენთაგანი დაედევნა, მაგრამ მალევე უკან მობრუნდა – არა, ძალიან მაგარია, დროის კარგვა იქნებოდა, ვერ დავაბამდიო.

მას ასე გავადევნეთ თვალი ქუჩის ბოლომდე, ვიდრე მხედველობის არიდან არ გაქრა. როცა ავტობუსში ჩავსხედით და სავარჯიშოდ გავემგზავრეთ, მთავარი მასპინძლის – ვალოდია კურმანის მეთაურობით, ყველა თავის ახლად გაცნობილ გოგოს აქებდა, მაგრამ ბოლოს მაინც ამჯობინებდა იმ ლურჯ-თეთრ-ზოლებიანს, რომლის გაცნობაც ვერავინ მოახერხა.

კურმანი ოვალური ბურთის დიდი ფანატიკოსი იყო. მას 17 წლით ადრე [1947] ემარჯვნა თბილისის "ქალაქთა მატჩში" მოსკოვის "ბურევესტნიკის" სახელით, აქ კი "ოდესური რაგბის მამასაც" ეძახდნენ.

ვალოდია ნამდვილი ოდესელი, უაღრესად დადებითი პიროვნება იყო. მაშინ რაგბი ასეთ ენთუზიასტებზე იდგა, კურმანი კი ამ წრეშიც გამოირჩეოდა იმით, რომ სხვა ქალაქების გუნდებს დიდი მონდომებით პატიჟებდა, ოღონდ უკან ვეღარ ისტუმრებდა – სურვილი აშკარად აჭარბებდა მის შესაძლებლობებს.

ვალოდია ვარჯიშზე მიმავალ ავტობუსში დაგვემგზავრა. მის და სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ქალაქში ტურნირის აფიშები ფეხის ყოველ ნაბიჯზე იყო გაკრული. ეგეც დაიკვეხა, რომ გუშინ ადგილობრივ ტელევიზიაში გამოსულიყო და ოდესისთვის ჩვენზე ყველაფერი წვრილად ეამბნა.

"ქალაქმა თქვენს შესახებ ყველაფერი იცის: ვუთხარი, რომ გაიმარჯვეთ რიგაში, პანევეჟისსა და ლენინგრადში, მაგრამ მთავარი ისაა, რომ ძალიან ლამაზი, ტანადი, ჯიშიანი მამაკაცები ხართ" – ამის თქმაზე კურმანი ავტობუსის კარისკენ წავიდა, ჩასვლის წინ გაჩერდა და ღიმილით მოგვეფერა: ოდესელებმა ისიც კი იციან, რომელ სასტუმროში გაჩერდითო.

მასპინძელმა კიდეც დაგვაიმედა, ტურნირის დღეებში სტადიონზე მხოლოდ ქალები რომ მოვიდნენ, ხარჯებს ავინაზღაურებთო. ოდესა დიდი ქალაქია, მაგრამ არა იმდენად, რომ იქაურ ქალბატონებსა და საქალბატონეებს ყურადღება არ მიექციათ ამ მინიშნებისთვის – ვალოდია ქალაქში ლამის ფიგაროდ იყო ცნობილი. ასე რომ, საღამოს, ვარჯიშიდან დაბრუნების შემდეგ სასტუმროს წინა მოედანი "მოდელების სახლის" პოდიუმს დამსგავსებოდა: ჰეე, აირჩიე ვინც გინდა!

მადლობა კურმანს. მოდელები ერთმანეთზე უკეთესები კი იყვნენ, მაგრამ მათ არც ჩვენი ბიჭები ჩამოუვარდნებოდნენ. აკი სასტუმროს დამლაგებელი ქალი ვალოდიასავით შემეკითხა – გუნდში ხალხი ოსტატობით აგყავთ თუ გარეგნობითო.

ერთი სიტყვით, ამ მიზეზით სულ ცოტა ხანში ჩვენს ბიჭებს ქალაქის სხვა გასართობ ადგილებში წასვლა აღარც უწევდათ, რადგან სასტუმროს წინ ერთი მეორეზე უკეთესი ქალების რიცხვი გეომეტრიული პროგრესიით იზრდებოდა.

უცბათ, ამ ლამაზმანების კორიანტელში, ისევ იმ გუნდელმა გამკრა მკლავი – "ნახე, ის მოდისო". მოგოგმანებდა დილით შემჩნეული ქალი, ყველა რომ მოგვხიბლა – ლურჯ-თეთრ ზოლებიან კაბაში გამოწყობილი, ყელსაბამით, ოღონდაც – საპირისპირო მხრიდან.

თითქოს ყველა გაჩერდა; თითქოს კი არა – ნამდვილად, და მზერა მას მიაპყრო, მე კი, გუნდში ყველაზე გამოცდილმა, ვაღიარე, რომ მართლა იშვიათი რამ იყო.

ასე გაიარა ჩვენს წინ მეორედაც და თან ისე, რომ ვერც მე და ვერც სხვამ, ყველაზე გაბედულმა, მისვლა ვერ გაუბედა. დღის ბოლოს კვლავ შევაჯამეთ შედეგები და ერთად გადავწყვიტეთ, რომ თეთრ-ლურჯ ზოლიან კაბაში გამოწყობილი ქალბატონი ყველა სხვას რამდენიმე თავით ჯობდა.

მეორე დილას, ჯერ წესიერად გაღვიძებულიც არ ვიყავი, როცა ერთი გუნდელი შემოვარდა და მითხრა, მოდი, ნახე, ის მოდისო. როცა ავდექი, ყველა ქუჩის პირა ფანჯარა დაკავებული იყო – მთელი გუნდი თვალებ-გაბრწყინებული შეჰყურებდა იქეთა მხარეს მიმავალ იმავე გოგოს.

შემდეგ დღეებშიც ლამის წესად დავიდგინეთ, თვალი ერთად უნდა გვედევნებინა გოგოსთვის, რომელიც დილას – იქით, საღამოს კი აქეთ მიდი-მოდიოდა, და რომელთანაც მისვლას ვერავინ ბედავდა.

ცხოვრება მკაცრი და დაუნდობელია, თანაც მოულოდნელად გაგდებს განსაც-

კურმანის ხარჯმა შემოსავალს გადააჭარბა

დელში. მიუხედავად იმისა, რომ ორი მთავარი მეტოქე დავამარცხეთ და მესამესთან – ყველაზე სუსტთან მოგება გარანტირებული გვქონდა, ანუ უკვე ტურნირის გამარჯვებულები ვიყავით – კურმანის მიერ, სარფის შოვნის იმედად, ნაქირავები ვეება სტადიონის ტრიბუნები მაინც ცარიელი იყო.

მაყურებელი იმაზეც ბევრად ნაკლები მოვიდა, ვიდრე ჩვენი სასტუმროს წინ ქალი ირეოდა. საღამოს მოგვაკითხა კურმანის წარმომადგენელმა, რომელიც მაშინღა გავიცანით, და გვამცნო, რომ შეფი ავადაა და ვეღარც შეპირებულ ფულს მოგცემთ, რადგან ტურნირის ხარჯი შემოსავალს აღემატებაო.

წარმომადგენელმა ისიც დაუმატა, ვილნიუსმა და მოსკოვმა გაგვიგეს და უკვე გაემგზავრნენო, ჩვენ კი ნულზე დავსხედით.

რას ვიზამდით? ასეთი რამეები ჩვენთვის უცხო არ ყოფილა. როგორც მოთამაშემ, მწვრთნელმა, დელეგაციის ხელმძღვანელმა და მენეჯერმა – ერთად აღებულმა ამ ყველაფერმა – გამოვაცხადე განგაში, ანუ ზღვაოსანთა ჟარგონზე – "პალუნდრა", რაც ჩვენებურად ნიშნავს, ყველამ თავს უშველოსო.

სასტუმროში იმ ღამისთევის ფული კურმანს ადრევე გადაეხადა. ბიჭებმა გადაწყვიტეს, შემორჩენილი ფულით სამშობლოსკენ გაეწიათ მეორე დილას – თვითმფრინავით, მატარებლით ანაც საკრუიზო გემით [3 მანეთად ან სულ მუქთად]

მე და რამდენიმე გუნდელი [წურწუმია, ყიფიანი, რაფავა] ფოსტაში წავედით, რათა ოჯახში ან ახლობლებთან დაგვერეკა, ფული გამოგვიგზავნეთო. ისინი ასეთ ზარებს მიჩვეული იყვნენ და არ გაუკვირდებოდათ.

რომ დავრეკეთ, ფოსტიდან გამოსულებს აქოშინებული კურმანი შეგვეფეთა, სადა ხართ, გეძებთო. ეტყობა, თავი უხერხულად იგრძნო ჩემს წინაშე, რადგან მოწვევა მე გამომიგზავნა და ისიც იცოდა, რომ ბიჭების წინაშე ყველაფერზე ვაგებდი პასუხს.

კურმანმა აგვიხსნა, ცოტაოდენი თანხა მიშოვნია და უნდა მოგცეთ, თანაც დაბადების დღეზე გეპატიჟებით – 40 წლის ვხდები და თანამშრომლები წვეულებას მიწყობენ იმ სასტუმროს რესტორანში, რომელშიც თქვენ ცხოვრობთო.

ამ საუბარში ვალოდია გაჩერდა ჩვენი სასტუმროს სიახლოვეს მდებარე, ერთი დიდი გასტრონომის წინ და მოულოდნელად გამოგვიცხადა, აი, ამისი დირექტორი ვარო.

იმ მაღაზიას გაქანებით დღევანდელ "გუდვილს" თუ შევადარებ. სხვა განყოფილებებზე რა მოგახსენოთ, ის კი, საითკენაც კურმანმა წაგვიყვანა, შესასვლელთან დიდი ასოებით ეწერა "მწნილეული".

ასეთი გრანდიოზული კულინარიული დაწესებულება მას აქეთ გასულ ნახევარ საუკუნში აღარსად მინახავს:

მისი ბადალი "გუდვილსაც" ვერ დაესიზმრება; ჩემი ნება რომ იყოს, დავარქმევდი "მწნილეულის სამყაროს" ანაც "მთელი მსოფლიოს მწნილეულს"; სექციების ჩამოთვლა კი მთელ დღეს წაიღებს: მწნილეული კიტრის, პომიდვრის, ჭარხლის, კომბოსტოსი [ცალკე-ცალკე დაჭრილისა და დაუჭრელის], სტაფილოსი, პრასის, წიწაკის, ნიორის, ბოლოკისა და შერეულიც. მომსახურე პერსონალიც კულტურულად ემსახურებოდა რიგში ჩამდგარ მყიდველს, ვიდრე ზღურბლზე კურმანი არ გამოჩნდა.

ოდესის სახელგანთქმული კიბეები

მის დანახვაზე, უიო, იყვირა საკმაოდ მოხდენილმა ქალმა, რომელსაც მკერდზე "განყოფილების უფროსი" ჰქონდა ამოქარგული. მან მყიდველებსა და თანამშრომლებს გამოუცხადა, შესვენების დროაო, და მოურიდებლად, კისერზე ჩამოკიდებით, მაგრად გადაეხვია კურმანს დაბადების დღის მისალოცად.

სხვა ნოქრებმა "მწნილეულის" ხაზზე ბარიერად "შესვენება" დადგეს და მყიდველებს ურჩიეს, ერთი საათის შემდეგღა დაბრუნებულიყვნენ. გამყიდველი გოგოები ჩამწკრივდნენ ბარიერის იქით და მოთმინებით ელოდნენ უფროსის განკარგულებას, მაგრამ მისგან კურმანის გამოხსნას კარგა ხანს ვერ ეღირსა საზოგადოება.

ის იყო, ხელი უნდა ჩაგვექნია და მაღაზიიდან გამოვსულიყავით, რომ ქალბატონი მოეშვა კურმანს და სიტყვა დაგვადევნა: სად მიდიხართ, ბიჭებო? ჩემი გოგოების ნაირებს სად ნახავთ? ასლანგირეის ჰარემი ამათთან რა მოსატანიაო.

შევყოყმანდით, მაგრამ თავიც დავიფასეთ – არაო, მაგრამ ბოლოს მაინც დავრჩით. სხვა ვარიანტიც რა გვქონდა ფულის მოლოდინში, კურმანმა კი ყველა თანამშრომელი სათითაოდ წარმოგვიდგინა.

ამ საერთო გაცნობის წრეში ჩემს გვერდით ერთი გოგო აღმოჩნდა: შერეული მწნილის – კომბოსტოს, სტაფილოს, ნიახურის ნარევის გამყიდველი: ჭორფლიანი, გაუგებარი ფერის თვალებიანი და გაუგებარივე აღნაგობის ქალბატონი.

მახინჯიაო, ვერ იტყოდი, მაგრამ ბევრად ჩამოუვარდებოდა წინა დღეებში გაცნობილ გოგოს, რომელიც დღეს ჩემს სატელეფონო ზარს ელოდებოდა. გამყიდველები, პრინციპში, ერთმანეთს ჰგავდნენ ჩაცმულობით – თეთრ, სუფთა ხალათებში გამოწყობილიყვნენ; თავზე ეხურათ თეთრი ბერეტები, რომელთა ქვეშ თმები იმალებოდა სუფთა, თეთრსავე თავსაფრებში. და მაინც, ეს ახლად გაცნობილი გოგოები ერთმანეთისგან დეტალებით განსხვავდებოდნენ.

ხომ აღვნიშნე, რომ უკვე გამოცდილი ვიყავი – 27 წლისა! ერთს შევამჩნიე, რომ საფირმო, თეთრი წინსაფრის ქვეშ ეცვა არაჩვეულებრივი ზედატანი; მეორეს – ქვედატანი, მესამეს – ახალმოდური ფეხსაცმელი; მეოთხეს კი მოდური საყურე ეკეთა.

ამათ ფონზე "ჩემი" ყველაზე უბადრუკი ჩანდა – გამოწყობილიყო 6-მანეთიან, ბამბეულის, მუხლებთან გამობერილ სპორტულ პიჟამოში; საფირმო ბერეტზე სულელური, დიდ-კეპიანი ქუდი ეხურა, ფეხზე კი რეზინის გაცრეცილი კედები ეცვა.

დამიწყო საუბარი, ირინა მქვიაო. პირველად მისგან გავიგე, რომ სახელი "ირინა" მომდინარეობს ბიზანტიის დედოფლისგან; მესიამოვნა, რომ ის ირინა ქართველი ყოფილა; მეწყინა, რომ მას შვილის გასამეფებლად ყველა კონკურენტი საიქიოში გაუსტუმრებია და იმდენადაც დაუნდობელი ყოფილა, რომ ბოლოს შვილიც მოუკლავს; და კიდევ, თურმე ირინას თვით კარლოს დიდმა სთხოვა ხელი, რაც ევროპის ერთიანი იმპერიის დედოფლობას ნიშნავდა, მაგრამ ამან უარი უთხრა.

გოგომ ბევრი გამაგებინა ოდესაზეც. მითხრა, რომ ოდესა მზეს ნიშნავს, ხოლო დერიბასოვსკაია მომდინარეობს გრაფი დე რიბასისგან, რომელმაც საფუძველი ჩაუყარა ქალაქს.

რა მექნა და ვუსმენდი. გამოცდილმა ქალებმა იციან, რომ საუბარში კაცის დუმილი ცუდი ნიშანია. ამიტომ იგი თანდათან უმატებდა, ზედმეტი აქტიურობა კი ვის მოსწონებია? ერთი სული მქონდა, დამთავრებულიყო შესვენება, გავსულიყავი გასტრონომიდან და დამერეკა წინა დღეებში გაცნობილი ქალბატონისთვის.

ირინამ შემატყო განწყობილება და აღარ ჩერდებოდა: ისეთი რამეები მომითხრო ხელოვნებასა და მუსიკაზე, რომ მისი ერუდიცით მოვიხიბლე და ის იყო, საღამოს მასთან გატარებაზე დავიწყე ფიქრი, რომ წინა დღის ამბავი გამახსენდა.

ერთმა ჩვენმა გუნდელმა, დავარქვათ "იქსი", სასტუმროში მოიყვანა გოგო – კოჭლი, ელამი, მსუქანი. ბიჭების შეკითხვაზე – სად ნახე ასეთი ეგზემპლარიო, უზომოდ შეყვარებულმა "იქსმა" აღტაცებითა და ენერგიულად დაგვიწყო მტკიცება: თქვენ რა იცით მისი სულიერი სამყარო; თქვენ რა იცით, რა ნაკითხი გოგოაო.

კაცებს ერთმანეთის გასაქილიკებლად ქალებზე მეტი ფანტაზია გვაქვს და მათგან განსხვავებით, ამას მოკლე რეპლიკებით ვახერხებთ. ჰოდა, მაშინაც და მერეც, თუ ვინმეს მოყვანილი ქალი არ მოგვეწონებოდა, საშაყირო რეფრენად მზად გვქონდა "იქსის" პასუხი: სამაგიეროდ, ნაკითხი გოგოა, მთავარი სულიერი სამყაროაო.

როცა ჯერაც შერეული მწნილის გამყიდველს ვესაუბრებოდი და გავიფიქრე, მართლა ერთად ნავსულიყავით კურმანის ბანკეტზე – უცბათ თავში ელვასავით გამიარა, თუ გუნდელები როგორ იქილიკებდნენ ჩემს მიერ ახლად გაცნობილ ქალზე, ეს რა ნაკითხი გოგო მოიყვანაო.

ამ დარდზე არავისთვის არაფერი მითქვამს. მასპინძლებს ვაკმარე დიპლომატიური უარი – დიდი სიამოვნებით, მაგრამ ვერ მოვალ, ეს საღამო უკვე დაგეგმილი მაქვს-მეთქი. აქ კურმანმა ძაან მთხოვა; ჩემი მეგობრებიც მას აჰყვნენ და რაღა მექნა? – დავთანხმდი.

საღამოს 7 საათზე, პაემანზე მისვლამდე, გუნდელებთან ერთად წინასწარ შევიხედე სასტუმროს რესტორანში. ოფიციანტები საგულდაგულოდ ამზადებდნენ კურმანის დაბადების დღის აღსანიშნავ მდიდრულ სუფრას და მთელი დღის მშიერმა, ვცანი ჩემი გადაწყვეტილების სისწორე.

და აი, საღამოს, დათქმულ დროს, სხვა სტუმრების მოლოდინში და მათ შესახვედრად – ყველა დაპატიჟებული ერთად ვდგავართ სასტუმროს შესასვლელთან წვეულების ინიციატორისა და იუბილარის – ვალოდია კურმანის თამადობით.

საღამო შესანიშნავი იყო. ოდესა ხომ თითქოს თბილისსაც ჰგავს – თბილი, კოლორიტული, არაორდინარული, მომფერებელი, ალერსიანი ქალაქია.

ვდგავარ სასტუმროს შესასვლელს მიყუდებული; ეგებ გახარებულიც, რომ ბიჭებიდან ყველანი წავიდ-წამოვიდნენ და პაემანს ჩემს, ახლად გაცნობილ, უღიმღამო, მაგრამ ნაკითხ გოგოსთან ვერავინაც ვერ შეესწრება. ვდგავარ ისევ იმ გუნდელთან, რომელიც ოდესაში სულ ჩემთან იყო.

უცებ მან ნაჩვევ ყაიდზე გამკრა მკლავი – ნახე, ის გოგო მოდისო. ჰეე, მართლა მოდის ლურჯ-თეთრ ზოლებიან კაბაში გამოწყობილი, მსუბუქ ყელსახვევ მოგდებული ქალბატონი – ჩვენი ბიჭების ოდესური ვიზიტის სანატრელი სირინოზი და აუხდენელი ოცნება. მოდის და რა მოდის. ყველა გაჩერდა – სდექ! ყურადღება!

ეს ქალბატონი ჩვენი სასტუმროს შემოსასვლელისკენ გამოემართა. მას ყველა გზას უთმობდა, ის კი მოდიოდა და მოდიოდა, ვიდრე ... ჩემს წინ არ გაჩერდა.

საღამო მშვიდობისა, გივი – მომესალმა. ღმერთო ჩემო, ირინა – ამოვიკნავლე: ჩემს წინ იგივე ირინა იდგა – შერეული მწნილის გამყიდველი, მაგრამ იმ განსხვავებით, რომ ჰქონია გრძელი, ოქროსფერი ნაწნავები, ჯინას ნაირი მკერდი და მუხლებთან გამობერილი, ბამბეულის პიჟამოს ნაცვლად – ლურჯ-თეთრ-ზოლებიანი, ტანზე მოტმასნილი კაბა ეცვა.

ამ "შერეული მწნილის გამყიდველთან" შემდეგაც კარგა ხანს მქონდა ურთიერთობა, მთავარი კი ის იყო, რომ იმ დღის შემდეგ მივხვდი, თუ რა მნიშვნელობა აქვს ქალისთვის ყველაფერს, რაც ადრე უაზროდ მეჩვენებოდა – მოდას, "ბურდას" და განსაკუთრებულ ლტოლვას მოხდენილად ჩაცმისკენ.

ბებიების ერთი, ძველი ნათქვამიც გამახსენდა: "სჯობს ქალს ნაოჭები სახეზე ჰქონდეს, ვიდრე ჩულქებზეო".

აი, ასეთი ნამდვილი ისტორია გადამხდა თავს დიდი ხნის წინ – ოდესაში.

ო, შიაულიაი, შიაულიაი!

მიუხედავად იმისა, რომ შარშანვე ჩვენი რაგბის განვითარებაში ისტორიული გარდატეხა მოხდა: დაიბადა ორი ძლიერი გუნდი – "დინამო" და "ლოკომოტივი", 1965 წელი მაინც უსახური გამოვიდა.

იმის გამო, რომ "მოსკოვმა" საკავშირო ფედერაციის შექმნა კვლავ გადაიტანა შემდეგი წლისთვის, ჩვენი სპორტის თავკაცებმაც გადაგვიდეს რესპუბლიკური ფედერაციის დაფუძნება.

ადგილობრივი შეჯიბრებები ნორმალურად ჩავატარეთ, მაგრამ ჩვენი ორი წამყვანი გუნდიდან წესიერად ვერც ერთი ვერ მოემზადა პროფკავშირთა პირველობისთვის, რომელსაც სექტემბერში უმასპინძლა ლიატუვამ.

ჩემი გუნდი ახალმა პატრონმა – "დინამომ" დააფინანსა, შეჯიბრზე კი ისევ "განთიადმა" მიავლინა თავისი აბრით, რადგან ძალოვანი უწყების "დინამოს" პროფკავშირთან არაფერი ესაქმებოდა. ბიჭები ვერ იყვნენ ფორმაში, წარუმატებლობის მთავარი მიზეზი კი მაინც მგონია კოხტა ქალაქი შიაულიაი, უფრო სწორედ – მისი ტანადი და ლამაზი გოგოები.

უნდა აღვნიშნო, რომ იმ წლებში ხანდახან ვსტუმრობდით პატარა ქალაქებს, რომლებიც სპორტული და კულტურული ღონისძიებებით განებივრებული არ იყვნენ – მათთვის მორაგბეთა ჩასვლა ზეიმივით იყო. შიაულიაი ლამაზმანებით გამოირჩეოდა. იქაურები ამაყად რომ იძახდნენ, საბჭოთა კავშირის ლამაზმანთა დედაქალაქი ვართო – მართლები იყვნენ.

ამჯერად რაგბის სიყვარული ქალებისამ გადასძალა – ჩვენმა ორივე გუნდმა წააგო ბოლო ჯგუფური მატჩი და 4-გუნდა ფინალს მიღმა დარჩა.

ერთ საღამოს ნომერში მოულოდნელად გამომეცხადა ქალბატონი, რომელიც იყო "განთიადის" შეფ-კურატორის – ადგილობრივი კომკავშირის მდივანი. გული რომ ვიჯერეთ ხელოვნებასა და კულტურაზე საუბრით, ღამის 9 საათი გახდა და სტუ-

მარს მოვუბოდიშე, აუცილებლად უნდა შევამოწმო, ბიჭები ადგილზე თუ არიანო.

5 წუთით დავეთხოვე და ჩამოვუარე ბიჭებს, რომლებიც ნომრებში ორ-ორნი ცხოვრობდნენ. მესიამოვნა, როცა ყველანი ადგილზე დამხვდნენ და ზოგი უკვე ლოგინშიც დაწოლოლიყო.

ნომერში რომ ვბრუნდებოდი, სინდისის ქენჯნა დამეწყო – აი, რა კარგად იქცევიან ბიჭები, მე კი იმის ნაცვლად, რომ მათთვის მაგალითი ვიყო – განანესს ვარღვევო. ამ ფიქრებით დამძიმებული შევედი ჩემს ნომერში და ის იყო, ქალთან ბოდიშის მოხდას ვაპირებდი დაგვიანებისთვის, რომ მომესმა კარზე კაკუნი.

კომკავშირის მდივანმა მითხრა, არ გაუღოო. მეც დავუჯერე, მცირე პაუზა გავაკეთე და მეორედაც რომ მომიკაკუნეს, ვითომდა ნამძინარევი ხმით გავეპასუხე – რაშია საქმე, უკვე მძინავს-მეთქი.

კარს იქიდან მორიგე ქალის მკაცრი ხმა მომესმა: თქვენთან ქალბატონია და თუ 5 წუთში არ გამოუშვებთ, მილიციას დავუძახებო. არანაირი ქალი არაა აქ და რაც გინდათ, ის ჰქენით-მეთქი – მივუგე.

როგორც კი ფეხის ხმაზე მივხვდი, რომ კარს იქით აღარავინ იდგა, ხელი ვტაცე კომკავშირელ ქალბატონს, გამოვიყვანე ჩემი ნომრიდან და შევლალე ჩვენი გუნ-

დის სხვა ნომერში; იქ სინათლის ასანთები ღილაკის ძებნაში ხელს რომ ვაფათურებდი, თან ბიჭებს შეწუხებისთვის ბოდიშს ვუხდიდი.

ავანთე სინათლე და გავშრი – ორივე საწოლი ცარიელი დამხვდა. თურმე მე რომ ცოტა ხნით ადრე შევედი, ისინი ჩაცმულ-მოკაზმულები წოლილან ლოგინში და საბანი უბრალოდ ზემოდან გადაეფარებინათ. შოკში ჩავვარდი: გავიფიქრე, ირაკლი კიზირიამ და შევაზ კოდუამ ეს როგორ მაკადრეს-მეთქი.

გუნება გამიფუჭდა. კომკავშირის მდივანს ვუთხარი, როგორმე ჩუმად გადი და სასტუმროს წინ დამხვდი; მალე გამოვალ და გაგაცილებ-მეთქი, მე კი შევედი მეზობელ ნომერში.

იქაც იგივე სურათი დამხვდა – აქედან აორთქლებულიყნენ მურიკო თოფურიძე და რომეო ღვინიაშვილი; მესამე ნომრიდან მიკა კვინიხიძე და გენა ღადუა გამქრალიყვნენ და ასე შემდეგ.

ჩემთვის იმდენად მოულოდნელი იყო მოვლენების ასეთი განვითარება, რომ სიცილი ამიტყდა, ნერვული სტრესი მომეხსნა და გარეთ გამოსული ჩემს ქალბატონს რომ მივეახლე, უკვე კარგ გუნებაზე ვიყავი.

მოულოდნელად ქალმა შემომთავაზა, ჩემს დაქალს წვეულება აქვს და რადგან წასასვლელი აღარსადა გვაქვს, მოდი, მასთან ავიდეთო. დავეთანხმე და მივედით. შევდივართ ფეშენებელურ ბინაში: მისაღებშივე მესმის ქართული სიმღერა "მინდორში, ბალახ-ბულახში" და მომღერლის ხმაც მეცნობა.

იქედან გავდივარ დიდ, სასტუმრო ოთახში და რას ვხედავ: თითქმის ნახევარი გუნდი აქაა და არხეინად ქეიფობს, ყველაზე მეტად კი ის გამიკვირდა, რომ ბიჭებთან ერთად იყო "გუნდის უფროსი" კარლო სარქისოვი, ვინც პასუხს აგებდა დისციპლინაზე.

იმ საღამოს ისე კარგი დრო გავატარეთ, რომ ფინიშზე დიდი მარცხის მიუხედავად, ხასიათი აღარ გაგვფუჭებია. რა იზამ, თუ მაშინ ასეთი იყო მოყვარული სპორტსმენის არა-სპორტული ცხოვრება!

1965 m. rugsėjo mėn. 11 — 14 d. d.
„ŽALGIRIO“ stadione
vykdomos
TSRS Profsąjungų Sporto Draugijų
REGBI
pirmenybės

VARŽYBŲ TVARKARAŠTIS

11 d. 15,30 val. „Spartakas“ (MASKVA) — „Burevestnikas“ (MASKVA)
17 val. Varžybų atidarymas
17,30 val. „Spartakas“ (LENINGRADAS) — „Gantiadi“ (GRUZIJOS TSR)
12 d. 15,30 val. „Burevestnikas“ — „Gantiadi“
17,30 val. „Spartakas“ (MASKVA) — „Spartakas“ (LENINGRADAS)
14 d. 15,30 val. „Spartakas“ (LENINGRADAS) — „Burevestnikas“
17,30 val. „Gantiadi“ — „Spartakas“ (MASKVA)

LSD „Žalgiris“ Šiaulių m. taryba

1965 | პროფკავშირთა პირველობა			
შიაულიაის ჯგუფი			
11/09	განთიადი	9: 6	სპარტაკი [ლ]
12/09	განთიადი	9:12	ემვეტეუ
	სპარტაკი [ლ]	14:12	სპარტაკი [მ]
14/09	განთიადი	3:12	სპარტაკი [მ]
ვილნიუსის ჯგუფი			
11/09	ლოკომოტივი	6:11	ტრუდი
	ჟალგირისი	6:36	დაუგავა
12/09	ლოკომოტივი	17: 9	დაუგავა
14/09	ჟალგირისი	21: 6	ლოკომოტივი

ჩვენი გუნდები ფინალურ ოთხეულს მიღმა დარჩნენ პირისპირ რკენათა უარესი ბალანსით: სპარტაკი [მ] +7, სპარტაკი [ლ] -1, განთიადი -6 | დაუგავა +22, ლოკომოტივი -7, ჟალგირისი -15. არადა, განთიადს ყოფნიდა ბოლო თამაშის ორით წაგებაც კი, ხოლო ლოკომოტივს – ფრე მასპინძელთან

გადავწყვიტე, თხრობა გავაგრძელო მდედრობითი სქესის იმ წარმომადგენლებზე, რომლებმაც პოზიტიური როლი შეასრულეს ჩვენი რაგბის განვითარებაში – მოვყვე მორაგბეების დედებზე, დებზე, მეუღლეებზე, შვილებზე. ამ თემას უწინაც რომ შევხებივარ, ამ "მოგონებებშიც" შემაქვს ჩემივე სტატია დავით თაქთაქიშვილისა და ლალი გვასალიას წიგნიდან "ქართული რაგბის სათავეებთან" [ტომი I]

მას შემდეგ, რაც 1964 წელს გადავწყვიტე, რომ ფედერაციაში, რაგბის აქტივისტების გარდა, შემეყვანა საზოგადო მოღვაწები და ბორის კვინიხიძის ძალისხმევითა და ავტორიტეტით თვით ბორის პაიჭაძე ავირჩიეთ თავკაცად, მოადგილეობაზე ჭადრაკში მსოფლიოს ჩემპიონი, ნონა გაფრინდაშვილი დავითანხმეთ.

ნონა მაშინ დიდების მწვერვალზე იდგა. პრესას ეს სიახლე არ გამორჩენია. "ლელომ" მეგობრული შარჟიც კი გამოაქვეყნა გიგლა ფირცხალავასი – ნონა ჭადრაკის დაფის ფასონზე შექმნილ რაგბის ფორმაში გამოწყობილა და ოვალური ბურთით მიჰქრის. ჩემპიონი დაგვპირდა დახმარებას და სულ მალე სიტყვაც შეასრულა.

ერთ მშვენიერ დილას მირეკავს ბორის კვინიხიძე და მეუბნება: ნონა დაბრუნდა ინგლისიდან და თქვენთვის წიგნი ჩამოიტანა; მთელი დღე "რკინიგზელთა სახლში" იქნება და როცა გენებოს, მიაკითხე, რომ გადმოგცესო.

მაშინვე წავედი პლეხანოვზე, დაბარებულ მისამართზე. როგორც ყოველთვის, ნონას ხალხი ეხვია. ჩემს დანახვაზე მაგიდიდან წითელ ყდიანი წიგნი აიღო; საზოგადოება მისწი-მოსწია; იხუმრა, ვისაც არ გაუგია, იცოდეს, რომ მეორე პროფესიაცა მაქვს – მორაგბეობაო, და საჩუქარი გადმომცა.

მე ჯერ მივულოცე ჰეისთინგსის ვაჟთა ტურნირში ბრწყინვალე გამარჯვება და ისე, რომ წიგნისთვის არც დამიხედავს, ჩამოტანისთვის მადლობა გადავუხადე.

ამასობაში ძღვენს თვალიც შევავლე და გავოცდი – ეს იყო გამოჩენილი ახალ ზელანდიელის, ბობ სქოთის ნაშრომი "რაგბის შესახებ", რომელიც იმხანად ბესტსელერად ითვლებოდა.

ქალბატონო ნონა – ვუთხარი დაბნეულმა – ალბათ არ გეცოდინებათ, რა წიგნი შეგირჩევიათ: მორაგბისათვის ეს იგივეა, რაც მორწმუნეთათვის ბიბლია-მეთქი.

ნონას გაეცინა: არაფერიც არ შემირჩევია; ვიკითხე, საუკეთესო რომელია და ეგ მირჩიეს. იმ დროს სარაგბო ლიტერატურის დიდი დეფიციტი იყო. რუსულად



ნონას ძღვენი – ბობ სქოთის ცნობილი წიგნი

ჯერ არ გამოცემულიყო ჰაიჰემთა და პულენის სასწავლო წიგნები; ვსარგებლობდით სოროკინის მიერ უცხოური ლიტერატურიდან ამონაკრეფით და ფონს ასე გავდიოდით.

რახან ქალებს ეძღვნება ეს თავი, ვიტყვი, რომ სქოთის წიგნის თარგმანი ჩემი ხათრით შეასრულა ნაცნობმა ჟანა ანასტასიადიმ. "რეგბისტთა" ენთუზიაზმის შემხედვარე, მან ამ უაღრესად მძიმე სამუშაოს რამდენიმე თვე შეალია. ანაზღაურებაზე ხომ ლაპარაკიც არ ყოფილა – მისი სრული უპერსპექტივობის გამო.

იმდროინდელი ფედერაციის პრეზიდიუმის შემადგენლობაში კიდევ ერთი ქალბატონი ავირჩიეთ – "უნივერსიტეტისა" და "სპარტაკის" ყოფილი მორაგბის, ხოლო შემდეგ რაგბის თვალსაჩინო მოღვაწის – დავით თაქთაქიშვილის მეუღლე ლალი გვასალია. ნონასაგან განსხვავებით, ვისი ნომინალური ყოფნაც კი ფედერაციის იმიჯს ერთობ რგებდა, ქალბატონი ლალი ჩამოყალიბებულ ფუნქციონერად მოგვევლინა.

იგი ზედმიწევნით იყო გარკვეული სარაგბო საიდუმლოებათა ყველა დეტალში; არ გააცდენდა მნიშვნელოვან მატჩს – ის კი არა, შეჯიბრებებზეც თან დაგვყვებოდა საბჭოთა კავშირის სხვადასხვა ქალაქში; კარგად იცნობდა იმდროინდელ რაგბულ ელიტას – "მამებსა" და ჩინოსნებს: ბარინოვს, მაქსიმოვს, რობეჟნიეკსს, დაინეკოს, ბირულიას, გრუმბინასს. მას რამდენჯერმე ერგო პატივი, ჯილდო გადაეცა ტურნირში გამარჯვებულისთვის.

ლალი გვასალია – ფილოსოფიისა და კულტუროლოგიის მომავალი დოქტორი, შესანიშნავად სარგებლობდა პირველი პროფესიიდან – ჟურნალისტიკიდან მიღებული გამოცდილებით და პროფესორსავე თაქთაქიშვილთან ერთად ბევრს აკეთებდა ქართულ პრესასა და რადიოში რაგბის პოპულარიზაციის: ამზადებდა ნარკვევებსა და ჩანახატებს ჩვენი ოსტატების წარმოსაჩენად. ფედერაციამ თუ მოახერხა რამდენიმე კრებულის გამოცემა – ეს პრეზიდიუმის წევრი ცოლ-ქმრის პიროვნული დამსახურებაა.

არ დავაშორებ ქალბატონ ლალის და აქვე მოვიხსენიებ მის ძმიშვილს – ახალგაზრდა, ენა და გონება-მახვილ, მშვენიერ ქალბატონს – "ჰოლივუდის პარანორმალურ მოვლენათა" მკვლევარს, "მაესტროს" პოპულარული გადაცემის – "ამბობენ" ავტორსა და წამყვანს, ქართულად ესპანური გრამატიკის შემდგენელს, თანაც მარკესის ცხრა [!] რომანის მთარგმნელს – თეა გვასალიას.

მისთვისაც, სხვა მრავალ გატაცებას შორის, რაგბი უდავოდ პირველ ადგილზე დგას. დაწყებული იმ დროიდან, როდესაც რაგბზე ერთეულებიღა დადიოდნენ, და დღევანდელი დღით დამთავრებული, როცა ნაკრებზე ტრიბუნები ივსება – თეა თავდავიწყებით ამხნევებს ჩვენს ბიჭებს. მან, შეიძლება ითქვას, რაგბისადმი კეთილგანწყობით ბიძამისს – დათო თაქთაქიშვილისაც კი გადააჭარბა.



ფედერაციის პრეზიდიუმის წევრი ცოლ-ქმარი – ლალი გვასალია და დავით თაქთაქიშვილი

არ შეიძლება აქვე არ გავიხსენო ტრიბუნაზე თეას გვერდით მოკალათებული ასაკოვანი ქალბატონი, რომელიც გულშემატკივრობდა შვილიშვილს – ჩვენი შესანიშნავი ნაკრების კაპიტანს, ილო ზედგინიძეს. ვინც იცნობს ილიას, ყველა დამეთანხმება, რომ ისედაც ჯენტლმენობით ცნობილ ბიჭებში ილია გამორჩეული იყო. ამაში დიდი წვლილი მის ბებიას მიუძღვის. სტადიონზე ბევრი ბებია და ბაბუა მინახავს, მაგრამ პალმის რტოს მაინც "კაპიტნის ბებოს" მივაკუთვნებდი აზარტული გულშემატკივრობისათვის.

როენა გაჩეჩილაძე საზოგადოება "ლოკომოტივში" მუშაობდა უფროს ინსტრუქტორად, როცა გოგი ყუფარაძემ იქ რაგბის გუნდის გაკეთება გადაწყვიტა. ქალბატონი თავიდანვე მხარში დაუდგა ქართული რაგბის ერთ-ერთ პიონერს და "რკინიგზელთა" ზრდაში ლომის წილი დაიდო.

აქვე უნდა გავიხსენოთ ექიმ ქალთა მთელი პლეადა, რომელიც ფაქტიურად ანაზღაურების გარეშე, თავდადებით ემსახურებოდა საქმეს. სხვებმა მაპატიონ, ვეღარ ვიხსენებ – მაგრამ არასოდეს დამავიწყდება "დინამოს" ექიმი, "თამარა გიორგიევნა" ჭანიშვილი, რომელიც შეკრებებსა და შეჯიბრებებზე დაგვყვებოდა: მან ზედმიწევნით იცოდა ყველა მოთამაშის მდგომარეობა, რითაც მისაბაძი იყო.

ახლო ურთიერთობა მქონდა ჟურნალისტებთან, რომელთა შორის ქალბატონები არაფრით არ ჩამოუვარდებოდნენ რაგბში დახელოვნებულ კაცებს – ოთარ ნოზაძეს, ოთარ გელაშვილს, ლევან ჯავახიშვილს, ჯ.კორინთელს, ტ.მაჭავარიანს, ირაკლი ასათიანსა და გივი აბაშიძეს.

პირველი ორიგინალური წამოწყება ეკუთვნის ლია მიქაბერიძეს, რომლის ინიციატივითაც რადიოთი გაიდაიცა საათნახევრიანი კონცერტი თბილისში მიმდინარე "პროფკავშირთა ჩემპიონატის" მონაწილეთა დაკვეთით.

არ დამავიწყდება – გუნდები წინასწარ გავაფრთხილეთ და მწვრთნელებმაც მოვილაპარაკეთ, რომ ყველანი შევკრებილიყავით სასტუმროს ფოიეში და ერთად მოგვესმინა ტრანსლაცია.

ქალბატონ ლიას წინასწარ ჩავაწერინე მოთამაშეთა გვარები და თუ ვინ რას ითხოვდა. გადაცემამ მეტად ხმაურიანად და მხიარულად ჩაიარა, რადგან უმეტეს შემთხვევაში დამკვეთის პიროვნება არანაირად არ შეესაბამებოდა მუსიკას:

ბიჭებმა ძაან იმხიარულეს, როცა მოსკოვის "ტრუდის" 2-მეტრა მორკინალის თხოვნა მოისმინეს პროკოფიევის ბალეტ "რომეო და ჯულიეტადან". ყველა მიხვდა, რომ მან არათუ პროკოფიევი, რომეო ან ჯულიეტა ვინ იყვნენ – ისიც არ იცოდა. ქალბატონ ლიას შეუყვარდა ბულგარელი ჟურნალისტი, გაჰყვა მას ცოლად და მოძმე სოციალისტურ ქვეყანაში გადასახლდა.

მაშინ ტელევიზიაში გადაცემები მიდიოდა ლაივ-რეჟიმში [პირდაპირ], ჩაწერა კი ფეხსღა იდგამდა. ერთ-ერთი პირველი ჩანაწერი მოამზადეს ფატი თევდორაშვილმა და მისმა მეგობარმა, რომლებმაც მომავალი სეზონისთვის "დინამოსა" და "განთიადის" მზადება გააშუქეს.

ცეტული მხეიძე ქალაქში ცნობილი სპორტული ოჯახიდან გახლდათ: მამა – სპორტის მაღალ ჩინოსანი ჰყავდა, ძმა – კალათბურთის მწვრთნელი, თავად კი ფიზკულტურისა და სპორტის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტში მუშაობდა. იგი თავად დამიკავშირდა და შემომთავაზა მესარგებლა კომუნიკაციით უცხოეთის იმ ორგანიზაციებთან, რომელთაც მათ კავშირი ჰქონდათ.

საზღვარგარეთთან ჩემი იმდროინდელი, ძალზედ აქტიური მიმოწერის ადრესატთა უმეტესობა ცეტულის მოწოდებული იყო. "კაგებედან" რამდენიმეჯერ რომ მომივიდა გაფრთხილება, "თვითშემოქმედებაზე" ხელი ამეღო, ეს სახიფათო მისია ცეტულიმ იკისრა.

მისი ინიციატივებიდან ცოტამ გაამართლა – მოგეხსენებათ, რარიგ დახშულ სივრცეში ვცხოვრობდით. თანაც უცხოეთთან კონტაქტის დამყარებაში ხელს გვიშლიდნენ როგორც ადგილობრივი, ასევე მოსკოველი ფუნქციონერები.

ჩემთვის მოგვიანებით ცნობილი გახდა, რომ ცეტულის მიერ გაგზავნილ წერილებზე მოსულ პასუხებს ორივეს გვიმალავდნენ. მხეიძე უდროოდ გარდაიცვალა, მაგრამ იმდენი კი გააკეთა ახლად ფეხადგმული სახეობისათვის, რომ შევიდა ქართული რაგბის ისტორიაში.

ცალკეა აღსანიშნავი პირველ მორაგბეთა დედების მხარდაჭერა შვილების გატაცებისადმი. წინასწარ ვიტყვი, რომ აქ გავიხსენებ მხოლოდ მათ, ვისაც ვიცნობდი, და ვერ შევეხები ბევრ უცნობ დედას – მაგრამ მინდა ხაზი გავუსვა, რომ ისინი რაგბის გამოჩენას ისეთი ენთუზმიაზმით შეხვდნენ, რომ ეგებ შვილებსაც აჯობეს.

ეს ბიჭები ისედაც მისდევდნენ ცხოვრების რიგიან წესს, კარგად სწავლობდნენ, სპორტშიც მონაწილეობდნენ და საერთოდაც იქცეოდნენ სავსებით ნორმალურად – მაგრამ რაგბმა მათ სხეულს თითქოს სულ სხვა სული ჩაჰბერა:

იგივეს აკეთებდნენ, რასაც რაგბამდე, მაგრამ გარდაიქმნენ და სხვა ხალისითა და გატაცებით უდგებოდნენ საქმეს. როგორც იტყვიან ასეთ დროს, ცხოვრებას შეემატა არსი, რომელიც მანამდე აკლდა.

არ შევსწრებივარ, მაგრამ დანამდვილებით ვიცი, რომ ტელეფონით დედების ერთმანეთში საუბარი ხშირად იმ ცვლილებებს ეხებოდა, რომლებიც შვილების ცხოვრებაში რაგბის მიზეზით მოხდა: "წარმოგიდგენია, ვოვა დილის 6 საათზე დგება", "მიკამ უარი თქვა პრეფერანსზე – ვარჯიშს ვერ გავაცდენო" და ასე შემდეგ.

მაშინ მიკვირდა, სრულიად ახალგაზრდა, მოზარდობის ასაკიდან ახლახან გამოსულ ბიჭებს რომ მანდობდნენ ხანგრძლივ, თანაც დაუფინანსებელ მოგზაურობაში. სპორტული მიღწევებისთვის უამრავი სიგელი მაქვს მიღებული, მაგრამ ერთიც ვერ მივა იმ მადლობებთან, რომლებსაც მიხდიდნენ მორაგბეთა მშობლები, განსაკუთრებით კი – დედები!

რომ გეტყვის ლარისა ნემიროვსკაია – ჩემი სკოლის მასწავლებელი და საუკეთესო პედაგოგი, რაგბში ახლად მოსული თემო ჯორჯაძის დედა – როცა გავიგე, მწვრთნელი შენა ხარ, ძალზედ გამეხარდაო – აბა, ამ სიტყვებს რომელი სიგელი შეედრება.

ფასდაუდებელი სამსახური გაგვიწია "დინამოს" ჩამოყალიბებაში რეზო გუდიაშვილის დედამ, ქალბატონმა შურამ.

დღიდან თბილისში ჩემი დაბრუნებისა, გუნდის შესაქმნელად სისტემატურად ვაკითხავდი "დინამოს" ხელმძღვანელობას – კერძოდ, ვახტანგ "გუგული" დიდიძეს.

ჯერ ფინანსების სიმწირეს იგონებდა უარის სათქმელად. ფულზე რომ ხელი ავიღე, კიდევ სხვა რაღაცას იმიზეზებდა. "დინამოს" ორგანიზაცია ათი თავით მაღლა რომ იდგა სხვებზე, მასში გუნდის გაკეთება იდეა-ფიქსად მექცა – არაფერს დაგიდევდით: მორიგი უარიდან ცოტა ხნის გასვლის შემდეგ კვლავ ვაკითხავდი.

ერთხელ, ეტყობა, მოთმინების ფიალა აევსო: პარასკევი იყო, რომ დამაიმედა და მხნე შეძახილით გამომისტუმრა – ორშაბათს მოდიო, მისულს კი მისმა მდივანმა გამომიცხადა, დღეიდან შვებულებაშია და თვე-ნახევარი სამსახურში აღარ მოვაო.

შევჩივლე მის მოადგილეს, მიხეილ ამნიაშვილს. იგი, რა თქმა უნდა, ამოტოლა საკითხის გადამწყვეტი ვერ იყო, მაგრამ მისმა ნათქვამმა, რომ დიდიძე რაგბს კარგი თვალით უყურებდა, გამამხნევა.

როგორც ხშირად მომხდარა საქართველოში, კვანძი აქაც მოულოდნელად გაიხსნა: გუდიაშვილის დედა დიდიძის უახლოესი მეგობარი აღმოჩნდა, თანაც ბავშვობიდან. ქალბატონმა შურამ გულთან მიიტანა ჩვენი გასაჭირი – ქალური დიპლომატიით ჯერ და-ძმურად გაკიცხა დიდიძე, ბავშვებს რატომ არ უწყობ ხელსო, შემდეგ კი კატეგორიულადაც მოსთხოვა რაგბის გუნდის შექმნა.

დიდიძემ დრო ითხოვა: გადაამოწმა ჩვენი ინფორმაცია "დინამოს" მოსკოვისა და კიევის ორგანიზაციებში რაგბის გუნდების არსებობის შესახებ და მიიღო საეტაპო გადაწყვეტილება, თბილისშიც ჩამოყალიბებულიყო ასეთივე გუნდი.

წესების პირველი მთარგმნელი ქეთო ჭიჭინაძე

დიდიძის ამ ნაბიჯს საეტაპოს იმიტომ ვუწოდებ, რომ მის შედეგად სწორედ რომ "დინამოს" ეგიდით დაიწერა ქართული რაგბის ისტორიის მნიშვნელოვანი ფურცლები. კიდევ გავიმეორებ: "დინამო", როგორც ცა და დედამიწა, ისევე განსხვავდებოდა ყველა სხვა ორგანიზაციისგან ბაზებით, ინფრა-სტრუქტურით, ორგანიზებულობითა თუ ფინანსებით.

"დინამოში" გადავიდა "გეპეის" [სპი] უნიჭიერესი ახალი თაობა, ირაკლი კიზირიას თამადობით. გუნდის მწვრთნელად დადგა ჩემი სიყრმის მეგობარი ოთარ დოღონაძე, რომელმაც ეს საქმე სწრაფად გაითავისა, გაიარა რა მოსკოვისა და ადლერის სემინარები, და პროფესიონალად ჩამოყალიბდა. მალე "განთიადი" დავტოვე და ოთარმა "დინამოში" მისვლა რომ მთხოვა, დავთანხმდი.

აი ასე, ნაბიჯ-ნაბიჯ იგებოდა რაგბის სახლი: ყველას, შინაური იყო თუ გარეული, თავისი აგური მოჰქონდა მის მშენებლობაზე. ერთი კია, უბრალოდ აგურს

ვერ დაარქმევ იმას, რაც მორაგბე მიკა კვინიხიძის დედამ და ძველი მოკრივისა და სპორტის მინისტრის, ბორისის მეუღლემ – ქეთო ჭიჭინაძემ დადო.

იმხანად ვწერდი და ვაქვეყნებდი სტატიებს რაგბზე, მაგრამ აუხდენელ ოცნებად მრჩებოდა იმ დიდი ხარვეზის შევსება, რასაც ქართულ ენაზე ლიტერატურის არ-არსებობა ერქვა.

მას შემდეგ, რაც მიკა კვინიხიძემ დაიწყო რაგბის თამაში და მამამისი ბორისიც აქტიურად გაერია ჩვენს მარაქაში, ხშირად ვიკრიბებოდით მათ ოჯახში.

ვახშამს მოჰყვებოდა პრეფერანსის თამაში, ბაასი კი, რა თქმა უნდა, რაგბის პრობლემებს ეხებოდა. ქალბატონი ქეთო, გარდა იმისა, რომ ჩვენი პროტესტის მიუხედავად, მიკას მაინც მუდმივად კარნახობდა, რა სვლა გაეკეთებინა – ჩვენი აქტიური მრჩეველიც იყო სარაგბო გეგმების შედგენაში.

მეტიც: ქეთო არაფერს გვიმხელდა და თურმე სიურპრიზს კი გვიმზადებდა. მაპატიებს მისი სული და ჭკუას იჭყლეტდა სარაგბო ტერმინოლოგიის გადმოქართულებაზე. ბოლოს უზომოდ გაგვაოცა: ოჯახში მორიგი სტუმრობისას მაგიდაზე დაგვიდო ყოველმხრივ – მათ შორის, პოლიგრაფიულადაც – სრულყოფილი წიგნი "რეგბი: შეჯიბრების [დროებითი] წესები".

წიგნი 2 ათას ცალად გამოსცა "საბჭოთა საქართველომ" და 10 კაპიკი ღირდა. იგი მეტად შეეშველა რაგბის იმ მიმდევრებს, რომლებიც მეტწილად ამაოდ ცდილობდნენ ტერმინთა გაქართულებას და რუსულ ბარბარიზმებს ნერგავდნენ.

ერთი სიტყვით, თუ რაგბის მშენებლობაზეა საუბარი და აგურების დადებაზეც, შეიძლება ითქვას, რომ მთარგმნელმა ქ.კვინიხიძემ [როგორც წიგნს აწერია] წესების გამოცემით ამ შენობას საძირკველი ჩაუყარა.

ქალბატონი ქეთო ქვეყნის უდიდესი პატრიოტი იყო. ამას იგრძნობდით მის ბინაში შესვლისთანავე – იქაურობას თითქოს ანათებდა მოვარაყებულ ჩარჩოში ჩასმული ცნობილი პორტრეტი ერეკლე მეორისა.

მარინა ღვინიაშვილი ახლა სტაჟიანი მეუღლე, დედა, ბებია, დედამთილი და სიდედრია. წლოვანება არაფერში ეტყობა, მაგრამ იმას კი ვერაფრით დავმალავ, რომ უკვე "დიდი ბებიის" ტიტულსაც ატარებს.

მისი ახალგაზრდობის საიდუმლოება მისსავე ხასიათშია – სახეზე მუდმივად აღბეჭდილ კეთილმოსურნე ღიმილში. მარინაზე მოთხრობა აქ გადავწყვიტე იმ უბრალო მიზეზით, მან რომ თავისი საქციელით გადატრიალება მოახდინა ცნება "გულშემატკივრის" კანონიკურ განსაზღვებაში.

თავად განსაჯეთ. მარინა, დღიდან დაარსებისა, გულშემატკივრობდა "დინამოს", რომლის წამყვანი მოთამაშეც იყო მისი მეუღლე რომეო ღვინიაშვილი. მარინა, სხვა ახლობლების დარად, მორაგბეებზე ზრუნავდა ტრავმის მიღებისას და მოედნის გარეთაც.

ამ "ვოლონტიორების" ფუნქციაში შედიოდა შესვენებისას მოთამაშეთათვის დახმარების აღმოჩენა – მაშინ ტაიმებს შორის მინდვრიდან გასვლა აკრძალული



მოედნის გეგმა პირველი ქართული წესებიდან

იყო და მოედანზე დიდი ლანგარით გამოჰქონდათ საჭირო მედიკამენტები, გამაგრილებელი სასმელი და ჩაი.

ჩაის გატანა მარინას ევალებოდა. მოხდა ისე, რომ მიზეზთა გამო რომეო გადავიდა "ლოკომოტივში", და როცა ეს ორი, უაღრესად მოშუღარი გუნდი ერთმანეთს შეხვდა და შესვენებამ მოატანა – დიდი სიცხის გამო ხახა გამშრალი რომეო მოედანზე წამოწვა და გაიხედა მოხალისე მიმტანებისკენ, რომელთა შორის მისი მეუღლეც უნდა ყოფილიყო.

აქ მოხდა უცნაური რამ: იმის და მიუხედავად, რომ მარინას ჯულიეტასავით უყვარდა რომეო, იგი მაინც "დინამოს" ერთგული დარჩა – გაემართა არა ქმრისკენ, არამედ "დინამოს" ბიჭებისკენ და ყველას ჩამოურიგა ნანატრი ჩაი.

მარინას ეს ქმედება იმან გაამძაფრა, რომ ლოკომოტივისა – და ამდენად, რომეოსთვისაც – არავის არაფერი მიუტანია, ფინალი კი ამ ისტორიას საბჭოური კინოსავით კეთილი ჰქონდა:

თამაშის შემდეგ რომეო და მარინა შინ ერთად წავიდნენ და ქმარს გზაში საყვედურიც არ დასცდენია.

გოგი გუდაძის დედა – ლეილა შვილობით კი მომმართავდა, მაგრამ ჩემსა და მის ურთიერთობას მეგობრობაზე ნაკლებს ვერ დაარქმევდი. ვეღარ ვიხსენებ, ასე როდის დავახლოვდით – ხშირი სტუმრობისას გოგის თბილისურ სახლში თუ ქვიშხეთის აგარაკზე.

ახლა წარმოიდგინეთ, რომ არ გამართულა თამაში, რომლის შემდეგაც ქალბატონ ლეილას არ დაერეკოს და მცოდნედ არ შეეჯამებინოს. ისე მივეჩვიე მის კეთილ, პროფესულ რჩევებს, რომ თუ გადასაწყვეტი მქონდა რამე, რაც ყოველდღიურ ცხოვრებას ეხებოდა და არა რაგბს –

რუსუდან ფეტვიაშვილის ნახატი წიგნის ყდაზე

მას ვურეკავდი და ლეილაც დაუზარებლად მიზიარებდა მოსაზრებებს.

გოგის ყოველთვის იზიდავდა სიახლეები: სურდა ჩვენში ევროპულის გადმოტანა, ქალბატონი ლეილა კი ვაჟის ყოველ წამოწყებას მხარს უბამდა – გინდაც იგი სრულიად არა-რეალური ყოფილიყო.

ქალებზე თხრობას კი გენიალური მხატვრით, რუსუდან ფეტვიაშვილით დავასრულებ: ჩემს 70 წლის იუბილეზე [2007] მამამისმა – "ლოკომოტივის" ძველმა კაპიტანმა ვახტანგმა, რომელიც ვარჯიშებზე ხშირად თავის გოგოებთან ერთად მიდიოდა, მაჩუქა შვილის ალბომი მისივე საავტორო წარწერით.

სარეკლამო პაუზის დასასრული

24 ახალი სტრატეგია და ორი ბორისი

"ახალი სტრატეგიის" იდეა დამებადა 1964 წლის ზაფხულში, ოდესაში მიმავალს, სიმფეროპოლის აეროპორტში. სიტყვა "სტრატეგიას" ბრჭყალებში იმიტომ ვსვამ, რომ ეს ტერმინი მეტად სერიოზულია და ცოტა არ იყოს, შეუსაბამოდ ჟღერს ისეთ უმნიშვნელო ორგანიზაციასთან მიმართებაში, როგორიც მაშინ იყო "თბილისის რეგბის ფედერაცია".

იდეები ხომ მაშინ მოდიან, როდესაც გიჭირს ან ისეთ სიტუაციაში აღმოჩნდები, როგორშიც, მაგალითად, ვაშლის ხის ძირას მჯდარი ნიუტონი იყო. გზად თბილისიდან ოდესამდე სიმფეროპოლში უნდა გადავმსხდარიყავით სხვა თვითმფრინავში, მაგრამ როდესაც ამ მომენტმა მოაღწია, გამოგვიცხადეს, რომ ამ რეისით გუნდის ნახევარიღა გაემგზავრებოდა, დანარჩენს კი მეორე დღემდე უნდა ეცადა.

ეს ვარიანტი არაფრით არ გვაწყობდა, რადგან თამაშის დაწყებას ვერ ვუსწრებდით. მე, ძალზედ აღშფოთებულმა, აეროპორტის უფროსთან ცხარე კამათისას მასზე გავიწიე, და თითქმის შეურაცხად მდგომარეობაში მყოფმა, ჯერ კაბინეტის მაგიდის სქელი შუშა მუშტის დარტყმით დავუმსხრიე, ხოლო შემდეგ რაც მაგიდაზე ნივთები ელაგა – ისინიც მივაყარე.

ამაზე სწრაფად შემოცვივდნენ დაცვის მუშაკები. მე, ჩემს თანმხლებ ამირან ლობჟანიძესა და ალბერტ კრიხელთან ერთად, დამაპატიმრეს და ოთახში ჩაგვკეტეს. აი, მაშინ, იმ ოთახში დამწყვდეულმა და შეურაცხყოფილმა, ჯერ გადავწყვიტე, აქედან გავიდე და რაგბში ჩემი ფეხი არ იქნება-მეთქი.

შემდეგ, გავითვალისწინე რა: ჩემი სუსტი ნებისყოფობა; რომ რაგბის თემიც ვერ იგუებდა ამ განზრახვას და უწინდელივით გადამაფიქრებინებდა წასვლას – ნაკლებად რადიკალური გადაწყვეტილება მივიღე.

ტყვეობა დიდ ხანს არ გაგრძელებულა: 2-3 საათში კარები გაგვიღეს ისე, რომ არც უთქვამთ, თავისუფლები ხართო – ხვდებოდნენ, რომ დანაშაული ჩვენ კი არა, თავად ჩაედინათ. ვითომც არაფერი მომხდარიყო, ისე გამოვედით გარეთ და სხვა ბიჭებთან ერთად ავტობუსით გავემგზავრეთ ოდესაში.

მთელი ამ მოგზაურობისას და ოდესაში ყოფნისას, თავში მუდმივად მიტრიალებდა ამ ახალი სტრატეგიის იდეა. ერთი სული მქონდა, იგი გამეზიარებინა მიკა კვინიხიძის მამის – ბორისისთვის და ფედერაციის თავკაცობაც შემეთავაზებინა.

არჩევანში ბატონ ბორისზე ტყუილად არ გავჩერებულვარ. ვაჟის შემყურე იგი ისე ინტენსიურად ჩაება სარაგბო ცხოვრებაში, რომ მახსოვს რა ქართული რაგბის წინაშე დამსახურებისათვის თედო სხირტლაძისა და გულო რცხილაძისათვის ჩემს მიერ მინიჭებული I-II ადგილები – III საპრიზო ადგილს ულაპარაკოდ ვაკუთვნებ "კვინიხიძე უფროსს" .

ზემოთ, ქალებისადმი მიძღვნილ თავში მეწერა და კიდევ გავიმერებ, რომ მიკასა და სხვა მორაგბეთა მშობლებიც რაგბს ერთობ ემადლიერებოდნენ, რადგან ბიჭების ამ თამაშში ჩართვის შემდეგ შვილთა ცხოვრების წესი რადიკალურად შეიცვალა და ყოველმხრივ აზრიანი გახდა.

ოდესიდან ჩამოსულმა, დავურეკე ბატონ ბორისს, რომელიც უწინ, აკაკი მგელაძის ხანმოკლე ზეობაში, რესპუბლიკის სპორტული უწყების მთლად უფროსიც კი ყოფილიყო [1952-54], 1960-იან წლებში კი მუშაობდა ტრესტ "სოფლ-მშენის" მმართველის მოადგილედ და ყველასგან პატივცემულ საზოგადო მოღვაწედ ითვლებოდა.

კვინიხიძეს რომ შევხვდი, ვთხოვე, ფედერაციას სიმბოლურად ჩასდგომოდა სათავეში. იგი არ დამთანხმდა, მაგრამ არც უარი უთქვამს – ერთად მოვიფიქროთ, როგორ აჯობებსო.

შემდეგ განვითარებულ მოვლენებზე კიდევ მოგახსენებთ, აქ კი მოკლედ მოვჭრი, რომ ახალმა სტრატეგიამ ნამდვილად გაამართლა, თუმცკი რეალობა უსწოროდ აისახა ჩემს ბიოგრაფიაში:

სრულიად საბჭოთა სპორტში გაბატონებული მოდელით, რაგბის ხელმძღვანელადაც საზოგადოებაში ცნობილ პიროვნებას ვირჩევდით. საქმეს ფაქტიურად ისევ მე ვუძღვებოდი ჩემსავე აქტივთან ერთად, რაგბის ისტორიკოსები კი ღრმად რომ ვერ ჩასწვდნენ იმ ხანის სპეციფიკას – ჩემი ნაამაგარი მხოლოდ ფიქტიურად არსებულ, ცნობად თავკაცს ჩაუთვალეს.

როდესაც კვინიხიძეს შევთავაზე ქალაქის ფედერაციის თავმჯდომარეობა, სწორედ ამას შევპირდი: ფედერაციის მთელი შემადგენლობა და პირადად მეც ყველაფერს უწინდელივით თავად გავაკეთებდით, მას კი დახმარებას ვთხოვდით ზემდგომ ორგანოებთან ლობირებაში.

კვინიხიძის ინტერესი რომ უფრო გამეძლიერებინა, წავაკითხე მოსკოვიდან მიღებული წერილი, რომლითაც "ცენტრი" გვავალდებულებდა, დროულად ჩაგვეტარებინა რესპუბლიკური ფედერაციის არჩევნები. ბატონი ბორისი რეგალიებით რომ მომეხიბლა, ვუთხარი, ფაქტიურად იქნებით არა მხოლოდ თბილისის, არამედ საქართველოს ფედერაციის თავკაცი-მეთქი.

ამ შეთავაზებაზე კვინიხიძემ ჯერ იცინა, მერე შემაქო – ძალიანაც კარგი თავმჯდომარე ხარო, მაგრამ ჩემი გრძელი მონოლოგის შემდეგ, როცა დარწმუნდა თხოვნის კატეგორიულობაში და იმაშიც, რომ სხვაფრივ სულ წავიდოდი რაგბიდან – შემპირდა, საქმეს მივხედავო, და მოფიქრებისთვის დრო ითხოვა.

ამიტომ გამიკვირდა, როდესაც მეორე დღესვე დამირეკა და დამიბარა სტადიონზე, თვით ბორის პაიჭაძის [!] კაბინეტში. "დინამოზე" რომ დამიბარა, არ მეუცხოვა, რადგან მანდ უკვე შექმნილიყო გუნდი – მას ოთარ დოღონაძე ედგა სათავეში, "უმცროსი კვინიხიძე" კი თამაშობდა. გამაოცა მხოლოდ პაიჭაძის ხსენებამ.

ბორის პაიჭაძემ ფეხბურთი ჯერ კიდევ ომამდე აქცია ქართველი ერის უსაყვარლეს სანახაობად

კაბინეტის კარი მაშინ შევაღე, როცა ფეხზე წამომდგარი და გაფიცხებული "ბორია" [პაიჭაძე] იძახდა, ხალხი რას იფიქრებს: სად მე და სად "რეგბიო". არადა, ბიჭობაში ოვალური ბურთი შემთხვევით ეთამაშა ფოთში, როცა ინგლისელ მეზღვაურებს კაცი დაჰკლებოდათ.

იმხანად რაგბი ჩვენში არ არსებობდა, რის გამოც ლელობურთელის ვაჟს არჩევანი არცა ჰქონია – ზღვის პირა ქალაქებში ერთობ პოპულარულ ფეხბურთს გაჰყვა, ხოლო საბჭოეთის ჯამაგირიანი, საკლუბო პირველობის დაწესებისთანავე, 1936 წელს, სულაც თავი ანება სატვირთო გემზე მექანიკოსად მუშაობას, და ბერიას მითითებით ინსტიტუტშიც რომ ჩარიცხეს, უბადლო ნიჭის წყალობით ჯერ საქართველოს "დე ფაქტო" ნაკრების – თბილისის "დინამოს" ლიდერად იქცა, მალე კი – საკავშირო გაქანების ვარსკვლავადაც.

ჩვენი ფეხბურთი ფაქტიურად "ბორიას" შექმნილია: ჯერ მან აქცია ბურთაობა ხალხის უსაყვარლეს სანახაობად, შემდეგ კი ფეხბურთმა ოსტატი აქეთ აიყვანა დიდების იმ საფეხურზე, რომლის ზემოთ აღარაფერია. სწორედ პაიჭაძის ფენომენი გახდა იმის ერთ-ერთი მიზეზი, რომ ჩვენში, კალათბურთის გარდა, კიდევ კარგა ხანს ვერ იხარეს სხვა თამაშებმა.

ამსიგრძე ექსკურსის შემდეგ დავუბრუნდეთ პაიჭაძის კაბინეტს "დინამოს" სტადიონზე. იქ, ჩემს თვალწინ, იმით დასრულდა ორი ბორიას კამათი, რომ მოკრივემ აჯობა ფეხბურთელს – პაიჭაძე რაგბის მოთავეობას დაჰყაბულდა!

"ფეხბურთის კარუზო" შუა დეკემბერში [1964] ჯერ ქალაქის ფედერაციის თავმჯდომარედ ავირჩიეთ, 1966 წლის 3 დეკემბერს კი ჩატარდა "საქართველოს რეგბის ფედერაციის" დამფუძნებელი ყრილობა და მასზეც პაიჭაძე გახდა ისტორიაში პირველი თავმჯდომარე.

"ბორიას" მოადგილეებად აგვირჩიეს მე და ლევან აკოფოვი – "დინამოს" წევრის, ვოვას მამა, რომელიც თბილისის სავაჭრო სამმართველოს უფროსი იყო [ბაზრებიც ეხებოდა] და შემდეგ ბევრი კარგი რამ გააკეთა რაგბის დაფინანსების ჭრილში.

რაგბის ამაგდარი No 3 – ბორის კვინიხიძე

ბორის პაიჭაძის რაგბული ღვაწლი ჩვენთან ყოფნა, ჩვენს გვერდში დგომა იყო. ამ ამბავმა ბევრი ენთუზიასტი გაახარა და ენერგია შეჰმატა. მისი სარაგბო "კარიერა" ასე განვითარდა:

1967 წლის 31 მარტს, ავიაციის გენერალ-მაიორი ვლადიმირ ილიუშინი 40 წლისა რომ შესრულდა, აქტივმა მაგას დაამთხვია რაგბის საკავშირო ფედერაციის დამფუძნებელი ყრილობა და მფრინავი თავმჯდომარედ აირჩია.

ყრილობამ კენჭისყრაზე რომ გამოიტანა პრეზიდიუმის შემადგენლობა, წინადადებით გამოვედი, ჩემს მაგივრად შეეყვანათ ბორის პაიჭაძე, რომლის ავტორიტეტიც რაგბს უფრო წაადგებოდა.

თბილისში ჩამოსული მივედი ბატონ ბორისთან და წინ დავუდე ყრილობის რეზოლუცია, სადაც პრეზიდიუმის შემადგენლობაში მისი გვარიც ეწერა. მან ეს ფურცელი, რომ იტყვიან, თავზე გადამახია; დაუძახა მდივანს, უბრძანა დეპეშის გაგზავნა მოსკოვში და ტექსტიც უკარნახა, სადაც უარს ამბობდა წევრობაზე და სანაცვლოდ ჩემს თავს სთავაზობდა – ამის შემდეგ კიდევ კარგა ხანს ვიყავი საკავშირო პრეზიდიუმის წევრი.

არჩევნების წინ მე და კვინიხიძემ პაიჭაძეს შევუტანეთ ქალაქის ფედერაციის პრეზიდიუმის წევრთა სია, სადაც რაგბის ენთუზიასტების გარდა, შეყვანილი იყვნენ არა-მორაგბეებიც, რომლებიც, ჩვენი აზრით, საქმეს წაადგებოდნენ.

კვინიხიძემ ერთ-ერთი კანდიდატის გვარი რომ ახსენა, პაიჭაძეს, რა თქმა უნდა, მოეწონა, მაგრამ გაუკვირდა. ამაზე კვინიხიძემ მიუგო, უბრალო წევრი კი არა, შენი ერთ-ერთი მოადგილე იქნებაო.

საუბარი იყო, არც მეტი და არც ნაკლები – ნონა გაფრინდაშვილზე. ჭადრაკის მსოფლიო ჩემპიონი წლების განმავლობაში იყო ჯერ ქალაქის და შემდეგ რესპუბლიკის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი; იგი აკურატულად ესწრებოდა სხდომებს და ბევრი სასიკეთოც გაგვიკეთა.

ვინც წინა თავი – "რაგბი და ქალბატონები" წაიკითხა, ეცოდინება ბობ სქოთის წიგნის ჩამოტანის ამბავი. ნათხრობს აქ იმას დავუმატებ, რომ ნონას გაჰკვირვებია, ინგლისელებმა ახალ-ზელანდიელი ავტორი რომ ამჯობინეს ბრიტანელს.

ბოლო დროს ერთი ფეისბუქელი გამეტებით დაეძებდა ამ რელიქვიას. მის საყურადღებოდ ვიტყვი, რომ წიგნი გადავეცი რესტორან "ოვალს" – რასაცა გასცემ, შენია! ამ დაწესებულების სახელიდან მიხვდებით, რომ იგი მორაგბეთა ნავსაყუდელს წარმოადგენდა, ხოლო წიგნის შემდგომი ბედი ჩემთვის უცნობია.

პრეზიდიუმში არჩეული ჯიმშერ მუჯირი ჩემი კანდიდატურა იყო. დაწყებითი სკოლის მუსიკის სახელმძღვანელოთა ავტორი ჩემი მეგობარი და უბნელი გახლდათ, მამამისი ვლადიმერი კი ითვლება ქართული ანიმაციური კინოს [მულტიპლიკაციის] ფუძემდებლად.

ჯიმშერმა – თავისი იდეებითა და პროგრამებით ესთეტიკური აღზრდის შესახებ – სრულიად ახალგაზრდამ მოიპოვა პოპულარობა განათლების სფეროში. წევრობაზე ჩემი შეთავაზების საპასუხოდ მან მომაწოდა იდეა, სკოლებში, დაბალი კლასებიდანვე, ფიზკულტურის გაკვეთილებზე შეგვეტანა რაგბის ელემენტები – აბა, როდემდე უნდა დარჩეთ მეორად სპორტადო.

ეს პროექტი შემდეგ რამდენიმე სკოლაში განვახორციელეთ ბავშვთა სპორტის სახელმწიფო უწყების ხელმძღვანელის, მ.იმედაშვილის დიდი ხელშეწყობით – მახსოვს, კამოზე [ახლანდელ უზნაძეზე], 23-ე სკოლაში რომ ჩავატარე ვარჯიშები.

პრეზიდიუმის კანდიდატთა სია რომ ამოვწურეთ და საქმე დამთავრებული მეგონა, პაიჭაძემ მდივანს დაუძახა, სარქისოვი მომიყვანეო. იგი ჯერ არ შემოსულიყო, რომ მითხრა, სიას ეს კაციც მიაწერეო.

ასე გავიცანი კარლო სარქისოვი – პაიჭაძის მარჯვენა ხელი: იგი იყო სპორტკომბინატის ნაგებობათა დირექტორი, ანუ "დინამოს" კუთვნილი ყველა მოედნის, დარბაზის, საცურაო აუზისა და მათი პერსონალის უფროსი.

სარქისოვი რომ შემოვიდა და პაიჭაძემ ყველაფერი აუხსნა, რა თქმა უნდა, დათანხმდა. მას ალალად გაეხარდა, იქვე რომ დავაყოლე, ბარემ გუნდის ადმინისტრატორიც იყავი-მეთქი; უმალ ავუხსენი, რომ რაგბის გუნდს უფროსი არა ჰყავს, და ვაკანსიის დაკავებას ვთავაზობდი.

1964 წელს ახალი "დინამოს" მწვრთნელი ჯერაც არ ვიყავი და ამ პოსტზე, ჩემივე თხოვნით, მომავალი მეჯვარე – ოთარ დოღონაძე მუშაობდა, კარლო კი

ფედერაციის პირველი თავკაცი ბორის პაიჭაძე

უმალ დამთანხმდა. შემდეგ კიდეც გამომიტყდა, რომ ეს შეთავაზება ძალზედ მოეწონა, რადგან აქამდე მოკლებული იყო საოცნებო ცხოვრებას – მოგზაურობას, და მის მიღწევას გუნდთან ერთად თუღა შეძლებდა.

უნდა ითქვას, რომ სარქისოვმა ყველა სფეროში ღირსეულად გაართვა თავი დაკისრებულ მოვალეობას. მისი უფროსობის პერიოდში მორაგბეებს უპრობლემოდ შეგვესვლებოდა სავარჯიშო მოედნებზე და დარბაზებში.

ბატონ ბორიასთან ერთი საგულისხმო ეპიზოდიცაა დაკავშირებული: მან ფედერაციის თავმჯდომარის რანგში ნება დაგვრთო, "დინამოს" სტადიონის მანამდე შეუვალ, მთავარ არენაზე გაგვემართა "დინამოსა" და "განთიადის" საჩვენებელი თამაში [1965 წლის 23 ივნისს; ფოტოები იხილეთ წიგნის ყდასა და მე-5 გვერდზე]

როცა პირველივე ჯარიმის კარში დასარტყმელად "რეგბისტმა" დაიწყო ბუცის ქუსლით მოედანზე ორმოს ჩიჩქნა, აღშფოთებული და განრისხებული პაიჭაძე მოედანზე გამოვარდა და მკაცრად გვითხრა, მეორედ ასეთი რამ აღარ გაბედოთ, თორემ თამაშს ჩაგიშლითო. ჩვენც ისე ჩავატარეთ შოუ, რომ დასარტყმელი ბურთი წამოწოლილ გუნდელს ეჭირა.

რომ დამშვიდდა თამაშის შემდეგ, აგვიხსნა: კაცო, მოედნის თხრა როგორ შეიძლება? მინდორი ცოცხალი ორგანიზმია და პატივისცემით უნდა მოეპყრათ; სადგამივით რამე უნდა გქონდეთ; დააყენეთ ბურთი ამ სადგამზე და რამდენიც გინდათ, ურტყითო.

ჩვენ, რაგბის "პროფებს" გულში გვეცინებოდა: აბა, რა იცის პაიჭაძემ, რომ მთელი მსოფლიოს ელიტა ასე აკეთებს – ორმოებს თხრისო, სამი ათეული წლის შემდეგ კი აღმოჩნდა, რომ საქილიკო მის ნათქვამში არაფერი ყოფილა: კარგა ხანია, რაგბის სამყაროში ისე გავრცელდა კანადაში მოგონილი სადგამი, რომ მის გარეშე კარში დარტყმა წარმოუდგენლად გვეჩვენება. ჰოდა, მოდი ახლა და უმტკიცე უცხოელებს, რომ ამ იდეის ავტორი ქართველი ბორის პაიჭაძე იყო.

თბილისის "დინამო"

[უკან] მიკა კვინიხიძე, რომეო ღვინიაშვილი, გოგი გუდაძე, გელა ჩიკვაიძე, ბიძინა პეტრიაშვილი, ნუგზარ ენდელაძე, რეზო კეთილაძე, გოჩა აბაშიძე, დიტო ოსეფაიშვილი, ამირან ლობჟანიძე

[წინ] სერგო კეშელავა, რეზო გუდიაშვილი, მურად თოფურიძე, გივი მრელაშვილი, კარლო სარქისოვი, ირაკლი კიზირია, ზაურ მგელაძე, გენადი ღადუა, თამაზ შარაშენიძე

25 სევეროდონეცკის ეპოპეა

მკითხველს რომ გავუქარწყლო შიაულიაის უსაქციელობის გამო ჩვენს ბიჭებზე შექმნილი ცუდი წარმოდგენა – გავიხსენებ შემდეგსავე, 1966 წელს, დინამოელთა სენსაციურ გამოსვლას სტუდენტთა საკავშირო ჩემპიონატში.

ამ ტურნირის შესარჩევი მატჩები მოეწყო უკრაინაში, ლუგანსკის ოლქის ქალაქ სევეროდონეცკში და ისინი მაღალფარდოვანი ეპითეტით – "ეპოპეა" შევამკე.

იმდროინდელ საბჭოთა რაგბში სტუდენტური გუნდები დომინირებდნენ. ვისაც ეს მოეხსენება, მიხვდება, თუ რას ნიშნავდა სტუდენტთა საკავშირო თამაშების – "უნივერსიადის" ფინალში გასვლა.

სევეროდონეცკში "უნივერსიტეტის" [თსუ] ნაცვლად გაძლიერებული "დინამო" ჩავიდა, მაგრამ იმის წყალობით, რომ გუნდი ერთიანად სტუდენტებით იყო დაკომპლექტებული – თამაშის ნება დაგვრთეს.

ზემოთ უკვე მეწერა, რომ რაგბის მატჩებს პატარა ქალაქებში გაცილებით მეტი მაყურებელი ჰყავდა, ვიდრე დიდებში. ასეთ გარემოში გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა იმას, თუ ვისკენ გადაიხრებოდა ადგილობრივი მაყურებლის სიმპათია.

უნდა ითქვას, არსად ისეთი გულმხურვალე მხარდაჭერა არა გვქონია, როგორც სევეროდონეცკში, რამაც წაახალისა ბიჭები – ჯგუფში სამიდან ორი თამაში მოვიგეთ და ნახევარ-ფინალში გავედით.

ამ რკენის სანახავად სტადიონზე ნახევარი ქალაქი მოვიდა. ვიდრე თამაშს შევეხებოდე, გეტყვით, თუ რა იყო მიზეზი ჩვენს მიმართ ასეთი სიმპათიისა. საქმე ის გახლდათ, რომ ქართველების იმიჯი მეტად ამაღლებულიყო შარშან იქ მომხდარი ამბების გამო, რასაც სევეროდონეცკელები მერეც, და ვგონებ ახლაც, იხსენებენ.

წინა, 1965 წელს, იქ ჩატარებულ "ბურევესტნიკის" საკავშირო პირველობაზე, რომელშიც ჩვენი უნივერსიტეტის ნაღდი გუნდიც გამოდიოდა კაკო ქუსიკაშვილისა და დათო დავითაიას ხელმძღვანელობით, ბიჭებმა პირველივე თამაშზე იგრძნეს მაყურებლის უაღრესად უარყოფითი დამოკიდებულება:

სტვენასა და ყიჟინას კიდევ აიტანდა კაცი, მაგრამ ყოველ წუთს შეძახილის მოსმენა, რომ ქართველები სპეკულანტები და ქორვაჭრები არიან – მით უმეტეს, უნივერსიტეტელებისთვის, რომლებიც ამ საქმიდან შორს იდგნენ – გაუსაძლისი იყო.

საღამოს, როცა ბიჭები გავიდნენ ქალაქში და გაესაუბრნენ იქაურებს, გაირკვა, რომ სევეროდონეცკელების აღშფოთება სამართლიანია და გამოწვეულია ქალაქის ბაზარზე ქართველი ქორვაჭრების უდიერი, უღირსი საქციელით. ეს ქართველები შეკრულები იყვნენ ადგილობრივ სამართალდამცველებთან: ბაზარზე ფასებს როგორც უნდოდათ, ისე ზრდიდნენ და რაც მთავარია, სიძვირე რომ შეენარჩუნებინათ, იქ სხვას არ აჭაჭანებდნენ.

უნდა ითქვას, რომ საბჭოთა კავშირის მთელ ტერიტორიაზე იმ ვაჭრებს, ვინც ნამდვილად ქართველი იყო ან ქართველად ასაღებდა თავს, მეტად ნეგატიური ავტორიტეტი ჰქონდათ, ამ "სევეროდონეცკელი ქართველების" ქცევა კი ყოველგვარ საზღვარს სცილდებოდა.

ჩვენ ბიჭებს ბევრი არ უფიქრიათ და გადაწყვიტეს, წესრიგი დაემყარებინათ. ადგნენ ძალ-ღონით სავსე სტუდენტები – დაახლოებით 25 კაცი, გავიდნენ ბაზარში, იქიდან ძალით გაყარეს სპეკულიანტები და სანამ ისინი მილიციაში დარბოდნენ მფარველებთან საჩივლელად, თვითონ დადგნენ დახლებთან და მისაღებ ფასში, რამდენიმე საათში მთელი საქონელი გაყიდეს; შემდეგ დეტალური სია შეადგინეს და თანხა ჩააბარეს მილიციას, რომელმაც ამრევები უკლებლივ დააკავა და დაემუქრა, ციხეში გაგიშვებთო.

მაგრამ მოხდა ის, რასაც არც მილიცია ელოდა და არც დაკავებულები და რაც ერთობ უჩვეულო იყო მაშინდელ საბჭოთა სივრცეში – მთელი ქალაქი გამოვიდა ბი-

1966 | საკავშირო უნივერსიადა

სევეროდონეცკი [უკრაინა] - მინსკი [ბელარუსი]

ჯგუფი

1	ემვეტეუ [მ]	6: 9
2	თსუ [დინამო]	
3	ლენინგრადი	8: 6
4	ვეტ'აკადემია [მ]	14: 0

პლეი'ოფი

1/2	მაი [მ]	3: 0
ფ	ემვეტეუ [მ]	8:13

1 ემვეტეუ, 2 თსუ, 3 მაი, 4 კიევი
5 ლენინგრადი, 6 ვეტ'აკადემია
7 ოდესა, 8 ტაგანროგი

ჭების დასაცავად და მიტინგი გამართა. მილიცია იძულებული გახდა, დათმობაზე წასულიყო და ჩვენები გამოეშვა. როგორც იქაურებმა გვითხრეს, ამის შედეგად მდგომარეობა ბაზარში რადიკალურად შეიცვალა და ფასებიც მისაღები გახდა.

ერთი სიტყვით, მოსკოვის საავიაციო ინსტიტუტთან [მაი] თამაშზე ჩვენს მხარდასაჭერად მთელი ქალაქი მოვიდა – მართლად თქმულა: მადლი ჰქენი, წინ დაგვხდებაო. ქალაქის მხარდაჭერამ გადამწყვეტი როლი ითამაშა.

მაის დამარცხება იმდენად მოულოდნელი იყო, რომ მინსკში, სადაც უნივერსიადის დახურვაზე რაგბის ფინალიც უნდა გამართულიყო, სასტუმროში მიღებაზე უარი გვითხრეს – ადგილები თქვენზე არაა დაჯავშნულიო, და ორგანიზატორებს სახელდახელოდ მოუხდათ უწყისების გადაკეთება.

ალბათ ეს იყო ჩემი, როგორც მწვრთნელის, იმ ხანად ყველაზე მნიშვნელოვანი და დრამატული მატჩი, და რადგან ყველაფერი კარგად – გამარჯვებით დასრულდა, ყველაზე ტკბილად მოსაგონარიც.

თამაშის დასაწყისშივე კიზირიამ ჯარიმა გაიტანა და 3:0 დავწინაურდით. აბა, რას წარმოვიდგენდით, რომ ეს მოკრძალებული ანგარიში ბოლომდე აღარ შეიცვლებოდა. იგი მიახლოებითაც ვერ ასახავს თამაშის შინაარსს. მატჩს "თამაში" არც შეიძლება ეწოდოს: ეს იყო ნამდვილი ბრძოლა და მეტიც – ომი.

თამაში მოსკოველებისთვის სანატრელ მეტეო-პირობებში – კოკისპირულ წვიმასა და ტალახში მიმდინარეობდა. ავიატორები წინა წელს, მოსკოვში, ტურნეზე 12:9 გვეძლია. ისინი არაფრით ჩამოუვარდებოდნენ განთქმულ ემვეტეუს – გააფრთებით გვიტევდნენ და მათი განრისხება, თამაშის ბოლომდე დარჩენილი დროის კლებასთან ერთად, იმდენად აშკარა ხდებოდა, რომ დროის მეტი წილი ხელჩართულ ჩხუბზე მოდიოდა.

რაღა დროს ტაქტიკასა და სტრატეგიაზე ფიქრი იყო? რა შეძახილებით აღარ ვამხნევებდით მე და სათადარიგოები 3 საათის განმავლობაში მოედანზე მყოფებს – დიახ, ხშირი პაუზების გამო თამაში ამდენ ხანს გაგრძელდა.

"დავით აღმაშენებელი, თამარ მეფე, გიორგი საკაძე, ერეკლე მეორე" – ამათი გმირობით ვამხნევებდით ბიჭებს. მოქუშული ამინდისა და თამაშის გაწელვის გამო, ბოლო წუთები ბინდში მიმდინარეობდა.

ისე, მართლაც კარგი სანახავი უნდა ყოფილიყო – მუდმივი ჯახი, ჩახა-ჩუხი, ქოშინი, შეძახილები. ხომ გინახავთ ფილმი "ასეთია სპორტული ცხოვრება" რიჩარდ ჰარისის მონაწილეობით, პროფესიონალ მორაგბეზე? – აი, ზუსტად ასე იყო.

როგორც იქნა, გაისმა მსაჯის საფინალო სასტვენი. გავიმარჯვეთ!

სევეროდონეცკამდე სპარინგი ჩავატარეთ ლვოვში და იქ ყველამ იაფად შევიძინეთ თეთრი კოსტუმები. თამაშის დამთავრებისთანავე ბიჭები გამოვარდნენ მოედნიდან, ხელი მტაცეს და იმდენი მაბურთავეს, რომ იძულებული გავხდი, ტალახში ამოსვრილი კოსტუმი გამეხადა, გადამეგდო და სასტუმროში სხვისი პიჟამოთი წავსულიყავი.

ბიჭებს ყველას ფრიადები დავუწერე. განსაკუთრებით გამოვყავი ნუგზარ ენდელაძე, რომელიც ისედაც "სმერტნიკების" [სიკვდილზე წამსვლელთა] ჯგუფს მიეკუთვნებოდა, ამ ტურნირზე კი, საყოფაცხოვრებო ინციდენტის დროს, თვალის

დაკარგვის შემდეგ პირველად გამოდიოდა და ყველა დავარდნა და შეჯახება თითოეულ ჩვენგანში შიშს იწვევდა – მეორე თვალზეც რამე არ დაემართოსო.

სიტყვამ მოიტანა და ვიტყვი, რომ კატეგორიული წინააღმდეგი ვიყავი, ნუგზარს ცალი თვალით გაეგრძელებინა კარიერა, მაგრამ დედამისმა ძალიან მთხოვა და დამიყოლია – სმას გადაჰყვებაო.

საღამოს ვალერი ვარინსკიმ, მაის მწვრთნელმა, მომაკითხა ნომერში და გადმომცა მატარებლის ბილეთები, რომლითაც ისინი იმავე ღამით მინსკში უნდა წასულიყვნენ – მათ მაგივრად ჩვენ გავემგზავრეთ.

იმ დღეს დავასკვენი, რომ ადამიანის ემოციას – იქნება ეს მოთამაშე, მწვრთნელი თუ რიგითი გულშემატკივარი, ბოლოს და ბოლოს აქვს ზღვარი, და რომ ის მაქსიმუმს ერთნაირად აღწევს იმის და მიუხედავად, თუ შეჯიბრება რა რანგისაა – მსოფლიოს თასია თუ სევეროდონეცკის ტურნირის ბადალი.

ერთიც მინდა ვთქვა იმდროინდელ რაგბის ოჯახზე. ნუგზარს დედა რომ გარდაეცვალა – არც მას და არც ჩვენ – საფლავის მოწყობის სახსარი არ გაგვაჩნდა.

სამი თუ ოთხი დღე ბიჭები დღედაღამ მუშაობდნენ: ვინ ქვიშა და ცემენტი მოიტანა; ვინ "ოპალუბკა" [опалубка – ბეტონით ასავსები ხის ყალიბი] გამართა; ვინ გალესა; ვინ მოაპირკეთა და ბოლოს ყველამ თითო ჭიქა ღვინით პატივი მივაგეთ განსვენებულს.

ეს ყველაფერი, რა თქმა უნდა, კეთდებოდა ნუგზარის პატივსაცემად, და გამოხატულება იყო ქართველების დიდი, მთავარი და საუკეთესო თვისებისა, რომ სხვისი დახმარება ანუ "გაცემა" – საკუთარი თავისთვის მირთმეული საჩუქარია და სხვა არაფერი.

რაც შეეხება ფინალს მინსკში – იქ ისევ დავმარცხდით, მაგრამ მეორე ადგილითაც კმაყოფილი ვიყავით. ჩვენ და სასახელოდ ისე მოხდა, რომ თამაშის შემდეგ ორივე გუნდის საუკეთესო მოთამაშედ მგელაძე დააასახელეს:

ემვეტეუში – თამაზი, ჩვენსაში – მისი უფროსი ძმა, ზაური.

რაგბის ოჯახი: ამირან ლობჟანიძე, ირაკლი კიზირია, შევაზ კოდუა, ნუგზარ ენდელაძე, მიკა კვინიხიძე

26 პირველი "ომის შემდგომი" ჩემპიონატი

მოგონებების დასაწყისშივე ბოდიში მოვიხადე, რომ შეიძლება ჩემი ნაამბობი აბდაუბდა გამოვიდეს, და მთელი პასუხისმგებლობაც თავზე ავიღე, მაგრამ ამ დეფექტში ნაწილობრივ წილი მიუძღვის სარაგბო მოვლენების არასტანდარტულსა და ალოგიკურ განვითარებას.

სპორტის საკავშირო ხელისუფლება რაგბს ჯერ კიდევ ვერ აღიქვამდა სერიოზულად და შიგა და შიგ, ხუშტურის მიხედვით, მაშინღა გადმოგვიყრიდა ნასუფრალს, როცა გაახსენდებოდა ჩვენი არსებობა.

ჯერ იყო და სპორტ-კავშირმა, შეპირების მიუხედავად, კალენდარში მაინც არ შეიტანა პირველი ჩემპიონატი და 1967 წლისთვის გადადო. ჩვენც შესაბამისად განვეწყვეთ სამომავლოდ, მაგრამ აი, მოსკოვიდან მოულოდნელად მოვიდა, არც მეტი და არც ნაკლები – საბჭოთა კავშირის 1966 წლის ჩემპიონატის დებულება: ჯგუფური და ფინალური ეტაპების კალენდრებით, ოღონდაც წილის უყრელად და უაღრესად მჭიდრო ვადებით.

მიუხედავად იმისა, რომ დებულებაში ბევრი დეფექტი იყო, ხელის ერთი მოსმით შედგენილი ჯგუფებიც სიძლიერით არათანაბარი ჩანდა და არც ფინალის ადგილი იყო მითითებელი – უფროსობის ეს ისტორიული გადაწყვეტილება რაგბის თანამეგობრობამ მაინც ენთუზიაზმით მიიღო.

თბილისელები გავნაწყენდით, რადგან ჩვენი ორი გუნდი – "დინამო" და "ლოკომოტივი" ერთ ჯგუფში მოხვდა და მათგან მხოლოდ ერთი გავიდოდა ფინალურ ტურნირში. შევიკრიბენით და ჯენტლმენურად გადავწყვიტეთ, ჯანსაღ სპორტულ პაექრობაში გამოგვევლინა გამარჯვებული.

სულ იყო 4 ქვეჯგუფი. მათგან ფინალურ ოთხეულში გადიოდა თითო გუნდი. უკმაყოფილონი იყვნენ მოსკოველებიც, რომელთა ელიტიდან ოთხს ჰქონდა ერთადერთი საგზურის მოპოვების პრეტენზია.

ამაზე ხელისუფლებამ თავი იმართლა, სახსრების უკმარობის გამო ჯგუფები ტერიტორიული პრინციპით დავაკომპლექტეთო. ასე იყო თუ ისე, "დინამო" და "ლოკომოტივი", აგრეთვე ერევნის "დინამო" და კუიბიშევის "ტრუდი" ერთმანეთს უნდა დაპირისპირებოდნენ სამტრედიაში, მაგრამ ვოლგელებმა ბოლო მომენტში უარი თქვეს მონაწილეობაზე.

ამის გამო კალენდარი თავიდან შედგა. პირველივე შეხვედრაში ერთმანეთს "დინამო" და "ლოკომოტივი" შეხვდნენ. დაძაბული თამაში ორივე გუნდის ხელშეწყობით მშვიდობიანად – ფრედ დამთავრდა.

"დინამოს" ეს შედეგი ხელს არ აძლევდა, რადგან ყველაფერი დამოკიდებული ხდებოდა იმაზე, თუ როგორ წინაღმდეგობას გაუწევდა ჩვენს გუნდებს ერევანი, რომელიც კლასით დაბლა იდგა – ფინალში გამსვლელის ვინაობა ბურთების უკეთესი სხვაობით გადაწყდებოდა. "ლოკომოტივი" უკეთეს მდგომარეობაში იყო, რადგან ერევნელებს ბოლო ხვდებოდა – ეცოდინებოდა, რა სხვაობით უნდა მოეგო.

სამტრედიაში თამაშებზე მილიციას უყვეს მობილიზაცია. გულშემატკივრები გუნდებისაგან ძალოვანთა კორდონით იყვნენ იზოლირებულები – მათ ახლოს არ უშვებდნენ. ჩემს ჩოხატაურელ ბიძაშვილს – კახის შეეტყო, რომ სამტრედიაში ვიყავი. იგი იმ დროს მოვიდა სტადიონზე, როცა "ლოკომოტივისა" და ერევნის თამაში იწყებოდა.

1966 | სამხრეთის შესარჩევი

27/09	ლოკომოტივი	3:3	დინამო
29/09	დინამო	56:6	ერევანი
01/10	ლოკომოტივი	61:3	ერევანი

#	სამტრედია	ქ	მ-ნ*ფ	გატ:გაშ	სხვ
1	ლოკომოტივი	3	1-0*1	64: 6	+58
2	დინამო	3	1-0*1	59: 9	+50
3	ერევანი	0	0-2	9:117	-108



გახსნის მატჩი "დინამოზე" | 1966 წლის 28 ოქტომბერი

იმით დაინტერესებულმა, რომ ერევნელებს იქნებ და რამენაირად ნაკლები სხვაობით წაეგოთ, მათ თამაში გავურჩიე და მისი მსვლელობის დროსაც, რაც შემეძლო, ვკარნახობდი – ვიქცეოდი, როგორც ერევნის მწვრთნელი: იგი ხომ ჩემი მეგობარი იყო.

ჩემი ბიძაშვილი ცდილობდა მოახლოებას, მაგრამ ამაოდ – მას მილიციელი უმტკიცებდა, შენი ბიძაშვილი კი არა, სომხების "ტრენერიაო". მასაც ერთ მომენტში ჩემგან ნათქვამი სომხური სიტყვები გაუგია – "ხფი, ხფი, ელი" და მართლაც შეჰპარვია ეჭვი, მაგრამ თამაშის შემდეგ ყველაფერი გაირკვა.

სამწუხაროდ, ჩემი გუნდი ჩემპიონატიდან გამოვარდა. ისე დამწუხრებულები ვიყავით, რომ თამაშის შემდეგ ვერც ჩემი ბიძაშვილის გამამხნევებელმა სიტყვებმა და ვეღარც ირაკლი კიზირიას ძმის – თორნიკეს მიერ გაშლილმა იმერულმა სუფრამ მოგვიყვანა ხასიათზე.

სიტყვამ მოიტანა და მკითხველმა რომ უკეთესად გაიგოს რაგბის ამ რომანტიკული პერიოდის ნიუანსები, ვიტყვი, რომ სამტრედიაში ყოფნის დროს ჩვენი მამა და მარჩენალი სწორედ რომ თორნიკე კიზირია იყო – მან ბიჭების ნორმალურად კვება ნებაყოფლობით იკისრა.

გულახდილად ვიტყვი, რომ შემდეგ მოვლენები არა-სპორტულად განვითარდა. სოროკინის ემვეტეუ მოსკოვის ჯგუფში ჩარჩა. რაგბის ელიტა ამ გუნდის გულმხურვალე გულშემატკივარი იყო. ქომაგებში ერია თვით გენერალი ვლადიმირ ილიუშინი, რომლის არჩევაც საკავშირო ფედერაციის თავმჯდომარედ უკვე გადაწყვეტილი იყო საგაისო ყრილობაზე.

მართალია, საკავშირო ჩემპიონატის დებულება არა-სრულფასოვანი იყო, მაგრამ დამტკიცებულის შეცვლა ახალი დებულებით სამართლიანობის ყოველგვარ ნორმას სცილდებოდა. ეგეც ვიცოდით, რომ ემვეტეუს ქომაგი ილიუშინი გაბრაზებული იყო და ვეჭვობდით, რომ ფინალური ტურნირი ვეღარ შედგებოდა.

სპორტ-კავშირმა კიდეც გამოაცხადა, რომ ფინანსების არქონის გამო ფინალს გადაიტანდა მომავალი, 1967 წლისთვის. ამაზე ჯგუფშივე ჩარჩენილი მაის მომხრეებმა დაიქადნეს, თანხებს მოვიძიებთო, მაგრამ მალე სიტყვა უკან წაიღეს. მოკლედ, მონასტერი თავისით აირია, ანაც არიეს.

ამ დროს დამირეკა სოროკინმა და საინტერესო გარიგება შემომთავაზა: თუ თქვენი "დინამო" გამონახავს თანხებს, რომელიც საჭიროა ფინალში 6 გუნდის სამონაწილეოდ, მაშინ სპორტ-კავშირი

თანახმა იქნება, გამონაკლისის სახით, ექვსეულში დაუშვას მოსკოვისა და სამტრედიის ჯგუფებში მეორე ადგილზე გასული გუნდებიცო.

ეს წინადადება მაშინვე გადავეცი ბორის კვინიხიძეს, ვინაც გადამწყვეტი როლი შეასრულა: სად აღარ დარეკა, მერე კი ერთად დავიარეთ ბარემ ათი მაღალჩინოსანი. ბატონმა ბორისმა საჭირო თანხები ხომ მოიძია და მოსკოვში გასაგზავნი წერილიც გაამზადა.

მეორე დღეს ამ წერილით მე და ირაკლი კიზირია ჩავფრინდით მოსკოვში, მივაკითხეთ საკავშირო სპორტის მაღალჩინოსანს – ანატოლი სედოვს და ვიდრე იგი თავის პოზიციას გაგვანდობდა, დავპატიჟეთ ერთ-ერთ საუკეთესო რესტორანში.

სედოვი სიტყვის კაცი გამოდგა: საღამოს რომ შევხვდით, სიურპრიზად მოგვიტანა და გადმოგვცა საკავშირო სპორტკავშირის თანხმობის წერილი ფინალური ტურნირის თბილისში ჩატარებასა და მასში 6 გუნდის დაშვებაზე.

რა თქმა უნდა, ამით კანონი დაირღვა, მაგრამ ისიც სათქმელია, რომ "დინამოს"



СОЮЗ СПОРТИВНЫХ ОБЩЕСТВ И ОРГАНИЗАЦИЙ СССР

ЦЕНТРАЛЬНЫЙ СОВЕТ

Москва, Г-69, Скатертный пер., 4. Телефоны: К 5-49-23, Б 3-36-77

№ 06/Р 8 октября 1966 г.

ПРЕДСЕДАТЕЛЮ ТБИЛИССКОГО ГОРСПОРТСОВЕТА
тов.РИХИЛАДЗЕ Г.В.

В 1966 году впервые проводятся соревнования на первенство СССР по регби. Положением о соревнованиях предусмотрено отборочные игры в 4 зонах, а сильнейшие команды зон встречаются в финале.

Данные соревнования являются следствием решения Бюро ЦС СОСиО СССР от 19.VII.66г. о создании Оргбюро федерации регби СССР, т.е. уже во II половине года, а поэтому финансирование не могло быть предусмотрено.

Соревнования в зонах прошли на условиях самоокупаемости.

Просим сообщить возможность проведения финала в г.Тбилиси и его пригородах при участии 4 или 6 команд на условиях принятия расходов по приему команд за ваш счет и покрытия их за счет сборов.

При шести командах- четыре иногородних, две из Тбилиси

Примерные расходы могут составить около 4 тыс.руб

Состав команды- 20 человек, Время пребывания - 10 дней, питание - 3 руб в день, проживание - 1руб в день (максимум).

Судейская коллегия 15 человек из них: иногородних - 5 чел (Главный судья , 4 судьи в поле), местных 10 чел (Зам.Главного судьи, секретарь, 2 судьи в поле). Расходы по приему иногородних судей (поезд в оба конца,питание,проживание) за ваш счет.

/ Председатель Бюро федераций спортивных игр

В.КУЗНЕЦОВ

აივანზე აფრიალებული მოსკოვური წერილი

ამ ინიციატივის გარეშე ფინალური ტურნირი საერთოდ ჩაიშლებოდა, რადგან ისედაც ფინანსური წლის პიკზე – ოქტომბერ-ნოემბერის მიჯნაზე ჩატარდა.

ვახშამმა ჩვენთვის მეტად საინტერესოდ ჩაიარა: მე და ირაკლი გაკვირვებულები ვიყავით – ამხანაგი სედოვი, ვისაც შეეთავსებინა თამადისა და მერიქიფის ფუნქციები, ისე ოსტატურად ასხამდა კონიაკს, რომ ბოთლი ზუსტად მის ჭიქაზე დაცლილიყო, და ჩვენც მაშინვე ოფიციანტს ვეძახდით შემდეგის მოსატანად.

ბიჭებმა იცოდნენ, რაზედაც ვიყავით მოსკოვში წასული და რადგან გვიან ჩამოვფრინდით, ამბის გასაგებად დილას, გარიჟრაჟზე, ჩემი სახლის წინ მოვიდნენ. თავი წარმოვიდგინე ძველ პოლიტიკურ მოღვაწედ, აივნიდან რომ მიმართავდა მომიტინგეებს – ბიჭების ტაშისა და შეძახილების ფონზე, ავაფრიალე მოსკოვიდან ჩამოტანილი წერილი და მოსულებს იქვე გავაცანი მისი შინაარსი.

შეიძლება ითქვას, რომ ამ ჩემპიონატის შემდეგ ქართულმა საზოგადოებამ სერიოზულად აღიქვა რაგბი და სულ სხვანაირად – პატივისცემით დაგვიწყო ყურება. ხალხზე, რა თქმა უნდა, იმოქმედა ამავე პერიოდში კინო-ეკრანებზე გამოსულმა ფილმმაც* "ასეთია სპორტული ცხოვრება" [This Sporting Life]

მასში მთავარი როლის შემსრულებელი რიჩარდ ჰარისი საუკეთესო ვაჟ მსახიობად სცნეს კანის 1963 წლის ფესტივალზე. პრესამ გაავრცელა მისი ინტერვიუ, რომ გადაღების დროს რაგბმა გაიტაცა და კინოში მოღვაწეობის მაგივრად, პროფესიულ გუნდში თამაში დააპირებინა.

"დინამოს" სპი-მ გაუმართა დიდი, კონცერტიანი შეხვედრა. მისი თაოსანი იყო დეკანი, დოქტორი და პროფესორი დავით პეტრიაშვილი – შესანიშნავი მეორე ხაზელისა და პიროვნების, ბიძინა პეტრიაშვილის მამა.

---

* კინო სინამდვილეში 13-კაცა ბურთაობაზე – "რაგბი ლიგაზეა", მაგრამ ჩვენს საზოგადოებას მაშინ ეგეთი წვრილმანები ვერ გაეგებოდა და თამაში უბრალოდ "რეგბი" ეგონა.

ჩემპიონატის დამთავრების შემდეგ, 19 ნოემბერს, "ლელომ" დაბეჭდა მთავარი მსაჯის – ტერენტი სტეპანოვისა და ჩემი ერთობლივი სტატია "რეგბი, რეგბი", რომელშიც შეჯამებულია შეჯიბრება. მკითხველს რომ წარმოდგენა შეექმნას რაგბის იმდროინდელ მდგომარეობასა და საგაზეთო სტილზეც, მოვიყვან ნაწყვეტს:

"ათ დღეს [სწორია 9] გრძელდებოდა სსრ კავშირის ფინალური ტურნირი რეგბში თბილისისა და რუსთავის სტადიონებზე. ათი დღის განმავლობაში იბრძოდნენ უძლიერესის სახელისათვის ჩვენი ქვეყნის საუკეთესო გუნდები – ზონალურ ტურნირებში გამარჯვებული კოლექტივები და ახლა, როცა ასპარეზობა დამთავრდა, შეგვიძლია ერთგვარად შევაჯამოთ როგორც პირველობა, ისე საერთოდ რეგბის მდგომარეობა ჩვენში.

შეჯიბრების გახსნის დღეს თბილისის "დინამოსა" და "ლოკომოტივის" რეგბისტთა მატჩს 8 ათასამდე მაყურებელი ესწრებოდა. თითქმის ამდენივე კაცი მოვიდა თბილისის "დინამოსა" და ბაუმანის სახელობის უმაღლესი ტექნიკური სასწავლებლის [ემვეტეუ] შეხვედრაზე, რომელიც რუსთავში გაიმართა. ეს ნათლად მეტყველებს რეგბისადმი დიდ ინტერესზე, რომელიც ალბათ კიდევ უფრო გაიზრდება ახლო მომავალში, როცა გულშემატკივარი უკეთ გაერკვევა თამაშის წესებში და აღღოს აუღებს თამაშის ნიუანსებს.

ფინალურ ტურნირში მონაწილეობდა 6 გუნდი – თბილისისა და მოსკოვის "დინამო", კიევისა და ლენინგრადის "სპარტაკი", მოსკოვის უმაღლესი ტექნიკური სასწავლებელი და თბილისის "ლოკომოტივი". გზა ფინალისკენ იოლი როდი იყო. მაგალითად, დასავლეთის ზონაში ლენინგრადის სპარტაკელებმა დაამარცხეს ძლიერი გუნდები: მათივე ქალაქელი სტუდენტები, კაუნასის "სტაკლესი" და რიგის "ვეფი". უკრაინის ზონაში გამარჯვებული გამოვლინდა რესპუბლიკური პირველობის დამთავრებისას – ეს იყო კიევის "სპარტაკი".

"დინამოს" ლიდერი ირაკლი კიზირია

სამტრედიის ზონიდან ფინალში თამაშის უფლება მოიპოვეს თბილისის "ლოკომოტივმა" და "დინამომ". განსაკუთრებით დაძაბული იყო მატჩები მოსკოვის ზონაში. დაუშვეს მხოლოდ 12 გუნდი [48-დან]. ფინალში თამაშის უფლება მოიპოვეს "დინამომ" და უმაღლესმა ტექნიკურმა სასწავლებელმა.

ამ დღეებში ბრწყინვალე ამინდები იდგა. შეჯიბრების ორგანიზატორებმა – თბილისის სპორტ-კავშირის მუშაკებმა შეჯიბრებისა და დასვენების შესანიშნავი პირობები შეუქმნეს ყველა გუნდს. ამან დიდად შეუწყო ხელი შეჯიბრების წარმატებით ჩატარებას.

ფინალში სულ 16 მატჩი [სწორია 15] გაიმართა. უძლიერესის სახელი მოიპოვა მოსკოვის ბაუმანის სახელობის უმაღლესი ტექნიკური სასწავლებლის გუნდმა, რომელმაც ტურნირი ისე განვლო, რომ ქულა არ დაუკარგავს.

მეორე ადგილზე გავიდა თბილისის "დინამო", რომელმაც ერთადერთი მატჩი წააგო გამარჯვებულთან. ეს გუნდის წარმატებად მიგვაჩნია. განსაკუთრებით აღსანიშნავია თბილისელების აზრიანი თამაში დაცვაში –"დინამოს", ისევე როგორც გამარჯვებულს, ყველაზე ნაკლები ბურთი აქვს მიღებული.

დინამოელები უშეცდომოდ მოქმედებდნენ თავდასხმაშიც და ხშირად, შერკინებისა თუ აუტის მოწოდებასას, მოწინააღმდეგეს ხელოვნურ თამაშგარე მდგომარეობაში* აგდებდნენ, ამის რეალიზებამ კი თბილისელებს არაერთი ქულა მოუტანა. დინამოელები გატანილი ბურთებითაც მხოლოდ ბაუმანელებს უთმობენ პირველობას.

მესამე საპრიზო ადგილზე გავიდა მოსკოვის "დინამო". შემდეგ მოდიან კიევისა და ლენინგრადის სპარტაკელები, თბილისის "ლოკომოტივი" კი ბოლო ადგილზეა. ეს არ შეესაბამება რკინიგზელთა შესაძლებლობას და ვიმედოვნებთ, რომ პერსპექტიული კოლექტივი სწორად შეაფასებს ამ მარცხს და შესაფერის დასკვნებსაც გამოიტანს.

ასეთია ტექნიკური შედეგები, მაგრამ მათ უკან ყველა გუნდის მწვრთნელის ხანგრძლივი, მძიმე შრომა იმალება. ეს შედეგები საჭიროებს ღრმა ანალიზს. შევჩერდებით ძირითად საკითხებზე.

1. გუნდების ფიზიკური და ტექნიკური მომზადება. რეგბი სპორტსმენს შესანიშნავ ძალისმიერ და და მორალურ თვისებებს უვითარებს, მაგრამ წარმატებისთვის ეს როდი კმარა. მწვრთნელებმა გუნდის უკეთ მომზადების მიზნით ფართოდ გამოიყენეს მძლეოსნობისა და ჭიდაობის, ტანვარჯიშისა და ცურვის, ფეხბურთისა და კალათბურთის ელემენტები. ამიტომაც იყო, რომ მოთამაშეთა უმრავლესობამ მაქსიმალური ფიზიკური დატვირთვის გამძლეობის უნარი გამოავლინა – 5 მატჩი 10 დღეში [!].

სამწუხაროდ, ამას ვერ ვიტყვით ტექნიკურ მომზადებაზე – ილეთების არსე-

* რა იგულისხმება, ახლა ძნელი მისახვედრია.

ბოლო მატჩი ალაფებულ ვაკეში, კიევთან: მგელაძე, ღადუა, პეტრიაშვილი, კეთილაძე და ოსეფაიშვილი

"საცდელი" საკავშირო პირველობა * ფინალი					
პარ	28/10	ლოკ	სპარტაკ (კ)	8: 0	სპარტაკ (ლ)
		ლოკ	ემ'ვე'ტე'უ	14: 3	დინამო (მ)
		დინ	დინამო (თბ)	15:11	ლოკომოტივი
კვი	30/10	რსთ	დინამო (თბ)	3: 5	ემ'ვე'ტე'უ
		ლოკ	დინამო (მ)	16: 8	სპარტაკი (კ)
		ლოკ	ლოკომოტივი	13:11	სპარტაკი (ლ)
სამ	01/11	რსთ	დინამო (თბ)	9: 3	დინამო (მ)
		ისნ	ემ'ვე'ტე'უ	18: 6	სპარტაკი (ლ)
		ლოკ	ლოკომოტივი	9: 9	სპარტაკი (კ)
ხუთ	03/11	ისნ	დინამო (თბ)	6: 0	სპარტაკი (ლ)
		ლოკ	ემ'ვე'ტე'უ	34: 8	სპარტაკი (კ)
		ლოკ	ლოკომოტივი	12:14	დინამო (მ)
პარ	04/11	ლოკ	ლოკომოტივი	8:20	სპარტაკი (ლ)
შაბ	05/11	ლოკ	დინამო (მ)	3: 0	სპარტაკი (ლ)
		ლოკ	ლოკომოტივი	0:X	ემ'ვე'ტე'უ
		ლოკ	დინამო (თბ)	12: 6	სპარტაკი (კ)

	თბილისი 1966	ქ	მ-ნ*ფ	გატ:გაშ
1	ემ'ვე'ტე'უ (მოსკოვი)	10	5-0	71:20
2	დინამო (თბილისი)	8	4-1	45:25
3	დინამო (მოსკოვი)	6	3-2	39:43
4	სპარტაკ (კიევი)	3	1-3*1	39:71
5	სპარტაკ (ლენინგრადი)	2	1-4	26:43
6	ლოკომოტივი (თბილისი)	1	0-4*1	40:58

დინამო (თბილისი)	ლოკ	მვტ	მოს	ლენ	კიე	თ	χ	ა	ქ
სერგო კეშელავა	15	15	15	15	15	5	.	.	.
რომეო ღვინიაშვილი	14	14	.	12	13	4	.	.	.
† სერგო ხაჭაპურიძე	13	12	12	14	7	5	4	.	12
† ზაურ მგელაძე	12	11	7	7	8	5	.	.	.
† მიკა კვინიხიძე	11	9	11	9	9	5	4	.	12
† შევაზ კოდუა	10	10	10	10	10	5	.	.	.
ირაკლი კიზირია	9	.	9	11	.	3	5	1	18
თამაზ შარაშენიძე	2*	13	.	10*	14	4	.	.	.
† გოჩა აბაშიძე	9*	2*	13	13	12	5	.	.	.
ალეკო მაისურაძე	.	.	14	2*	11	3	.	.	.
ვოვა აკოფოვი	1	1	1	1	1	5	.	.	.
† დიტო ოსეფაიშვილი	2	.	3	3	2	4	.	.	.
მურად თოფურიძე	3	3	2	2	3	5	.	.	.
† ბიძინა პეტრიაშვილი	4	4	4	4	4	5	.	.	.
† რეზო კეთილაძე	5	4*	5	5	5	5	.	.	.
გენადი ღადუა	6	7	8	.	9*	4	.	.	.
† ნუგზარ ენდელაძე	7	6	3*	.	.	3	.	.	.
ამირან ლობჟანიძე	8	8	6	8	6	5	.	.	.
რეზო გუდიაშვილი	.	2	.	.	.	1	.	.	.
† გივი ხვედელიძე	.	5	.	6	.	2	.	.	.
მწვ) გივი მრელაშვილი							ვინ? რა?		3
† მწχ) კარლო სარქისოვი							სულ		45

* იმ'ხანად ლელო 3 ქულად ფასობდა
* კვაჭი 1 ნომერი იყო
* "მარაო"ში 10 ნომრის შემდეგ მწკრივდებოდა 4 კაცი: 3 შუამარბი (11 12 13) და 1 გარემარბი (14)
* აუტში დარტყმა შეუზღუდავი იყო - ბურთი სადაც გადავიდოდა, იქიდან მოაწვდიდა მეტოქე
* შეიძლებოდა 2 კაცის შეცვლა

მეტოქე	მსაχი	მონაგარი:	დინამოსი	მეტოქისა
ლოკ	გრუმბინას (ლიტ)	4χ: კიზირია 2, კვინიხიძე 2; ა: კიზირია		3ლ გ
მვტუ	ივანიუხინ (ლენ)	χ: კვინიხიძე		ლ გ
დინ(მ)	გრუმბინას (ლიტ)	3χ: კვინიხიძე, კიზირია 2		ლ
სპრ(ლ)	დანილოვ (მოს)	2χ: ხაჭაპურიძე კიზირია		.
სპრ(კ)	ივანიუხინ (ლენ)	3χ: ხაჭაპურიძე + 3ქ		ლ + 3ქ
სულ		13χ, ა + 3ქ		6ლ, 2გ + 3ქ

OVALURI.comxa.com/2016

ტურნირის 50 წლისთავისადმი [2016] მიძღვნილი პოსტერი. ბოლო მატჩის შემდგომ ფოტოზე: შევაზ კოდუა, ბიძინა პეტრიაშვილი, დიტო ოსეფაიშვილი, რეზო კეთილაძე, რომა ღვინიაშვილი, სერგო ხაჭაპურიძე, გოჩა აბაშიძე, გენა ღადუა, ზაურ მგელაძე, ამირან ლობჟანიძე, ლექსო მაისურაძე, თამაზ შარაშენიძე, ვოვა აკოფოვი, მურიკო თოფურიძე, სერგო კეშელავა

ნალი უმეტეს შემთხვევაში ძალიან ღარიბია. ჯეროვნად არ არის დამუშავებული მარაო*, ფეხით დარტყმა, დროპგოლი**, ბურთისთვის ბრძოლა გვერდითი ხაზიდან მისი დერეფანში შეგდებისას. რეგბში დიდი მნიშვნელობა ენიჭება კოლექტიური ბრძოლის ტექნიკასაც. სათანადოდ არ არის დახვეწილი მიწაზე ბურთის ფლობის, მაღალი ბურთის დაუფლების ტექნიკა, პასის გადაცემის სისწრაფე. ასე რომ, ამ მხრივ დიდი და შრომატევადი მუშაობა გველის.

2. ტექნიკის უკმარი არსენალი ტაქტიკასაც აღარიბებს, ეს კი ხშირად სრულიად კარგ ფიზიკურ მომზადებას აზრს უკარგავს. ტექნიკითა და ტაქტიკით გამოირჩეოდა მოსკოვის უმაღლესი ტექნიკური სასწავლებლის გუნდი. შემთხვევითი არ არის, რომ ამ კოლექტივის მიერ შეხვედრების უმრავლესობა დიდი ანგარიშით იქნა მოგებული. მაგალითად, კიევის "სპარტაკთან" 34:3, ლენინგრადის "სპარტაკთან" 18:6, მოსკოვის "დინამოსთან" 14:3. მხოლოდ თბილისის "დინამომ" გაუწია ღირსეული მეტოქეობა მოსკოველ სტუდენტებს და 2 ქულით დაუთმო გამარჯვება.

მწვრთნელებთან საუბარში გაირკვა, რომ მოთამაშეები ხშირად ვერ ასრულებენ მათ მითითებებს – ბევრი რეგბისტი ამა თუ იმ ტაქტიკურ სვლას თვითნებურად, ალალბედზე აკეთებს და არა შექმნილი სიტუაციის შესაბამისად. მაგალითად, მეტად ეფექტურია მაღალი ბურთის ჩაკიდება მეტოქის ზურგს უკან, მაგრამ საამისოდ რეგბისტი რაც შეიძლება ახლოს უნდა მიიჭრას მოწინააღმდეგესთან, რასაც მოთამაშეთა უმეტესობა ვერ აკეთებდა და პირიქით, ამის გამო, მოწინააღმდეგე მხარეს საშიში კონტრშეტევის განხორციელების საშუალება ეძლეოდა.

ჩვენი რეგბისტების სერიოზული ნაკლია სუსტი მანევრირებაც."

* ხაზით შეტევა; ** არეკნი

ვაკე, ლოკომოტივი | პრიზიორთა დამჯილდოებლები: კარლო სარქისოვი [საქაღალდით], დენის გირკელიძე [სათვალიანი], გოგი გუდაძე [ტაშს უკრავს], რაისა პოპოვა [რესპუბლიკის კომკავშირის სპორტის შეფი], როინ მეტრეველი [მომავალი აკადემიკოსი], ანატოლი სედოვი [ფრენბურთისა და რაგბის საკავშირო კურატორი; დგას სმენაზე, მიკროფონთან და პრიზებიან მაგიდასთან] და ტერენტი სტეპანოვი [მთავარი მსაჯი] | 1966 წლის 5 ნოემბერი

"დინამოს" ნაცვლად გურჯაანში

ჩვენი სტუმარი – საფრანგეთის პროფკავშირული გუნდი

გურჯაანი, მთელი კახეთივით, ჩემი მშობლიური მხარეა. უნდა ჩატარებულიყო თუ არა ნებისმიერი – გინდ საერთაშორისო და თანაც რაგბის – შეჯიბრება გურჯაანში? რა თქმა უნდა, ოღონდაც არა ჩვენს შემთხვევაში:

საბჭოთა კავშირში ფრანგ მორაგბეთა პირველი ვიზიტის პირველივე თამაში "დინამოს" სტადიონზე დავგეგმეთ, მაგრამ გიორგი სიხარულიძისა და ბორის პაიჭაძის მოულოდნელი დაპირისპირების გადამკიდე – რაიონში მოგვიხდა ნანატრი სტუმრების წაყვანა.

ფრანგთა გამო თავის დროზე ჯერ დამირეკა და შემდეგ 10-ფურცლიანი უსტარიც მომწერა სოროკინმა – მართლაც ვრცლად წერა უყვარდა დალოცვილს:

სასწრაფოდ უნდა გამოაგზავნო მომართვა საქართველოს სპორტ-კავშირიდან, რომ თხოულობთ რაგბის რომელიმე უცხოური გუნდის ვიზიტის გათვალისწინებას მომავალი, 1967 წლის საკავშირო კალენდარშიო.

იმ დროს დაიდო დიდი ხელშეკრულება სსრკ-ისა და საფრანგეთის პროფკავშირებს შორის კულტურულ-სპორტული დელეგაციათა გაცვლაზე. ვინც თვალყურს ადევნებდა მაშინდელ პოლიტიკურ ცხოვრებას, ამ ორი ქვეყნის ურთიერთობის გაცხოველება არ გაუკვირდებოდა: საფრანგეთში მემარცხნე ძალები დომინირებდნენ – ქვეყანა სოციალისტური რევოლუციის საფრთხის წინაშეც კი დადგა.

არნახულად ინტენსიური გახდა ორი ქვეყნის კონტაქტები: მოეწყო ფრანგი მსახიობების უამრავი გასტროლი სსრკ-ში; ერთობ გაიზარდა ჩამოსული ტურისტებისა და სპორტსმენთა რაოდენობაც.

1966 წელს ჯერაც რომ არ არსებობდა რაგბის საკავშირო ფედერაცია, ქვეყანაში რაგბულ მოძრაობას პროფკავშირები წარმართავდნენ – თითქმის ყველა შეჯიბრება, შეკრება და სემინარი ამათი ძალისხმევითა და სახსრებით ტარდებოდა.

ყველანაირი საფუძველი გაგვაჩნდა, რომ პირველებს მიგვეღო ფრანგთა პრესტიჟული გუნდი, რადგან წარმატებით გა-

ვართვით თავი პროფკავშირთა ჩემპიონატის [1963] მასპინძლობას; მოვაწყვეთ მინსკის ღონისძიება, რომელზეც საკავშირო პროფკავშირებს კაპიკიც არ დახარჯვიათ [1962]; და რაც მთავარია, თბილისის ფედერაციამ გადაჭრა სსრკ-ის პირველობის ფინალის ფინანსური უზრუნველყოფის პრობლემა [1966].

სოროკინის რჩევა დაუყოვნებლივ გადავეცი პაიჭაძესა და კვინიხიძეს. გადავწყვიტეთ, პაიჭაძესთან შევკრებილიყავით.

იმის გამო, რომ არც ჩვენი რესპუბლიკური ფედერაცია არსებობდა, და სოროკინის თქმით, ფრანგების მიღების მსურველიც მრავლად იყო – უმჯობესი იქნებოდა, თუ წერილს რესპუბლიკის სპორტის თავკაცი გააგზავნიდა.

პაიჭაძემ დაურეკა გიორგი სიხარულიძეს და აუხსნა ყველაფერი, ამან კი თავისთან დაგვიბარა და გვთხოვა, თან წერილის პროექტიც მიგვეტანა.

გიორგი "ვასილიჩმა" პაიჭაძის "რეგბისტობაზე" ხუმრობით გული რომ იჯერა, შეხვედრა მეტად გულთბილ და საქმიან ვითარებაში გაგრძელდა.

სიხარულიძეს დიდი ავტორიტეტი ჰქონდა როგორც მოსკოვში – სპორტის საკავშირო ხელმძღვანელობაში, ასევე ადგილობრივ ხელისუფლებაში. მისი თანხმობა მოსკოვში წერილის მიწერაზე ნიშნავდა, რომ საქმე ფაქტიურად გაკეთებული იყო.

"ვასილიჩის" ესოდენი ავტორიტეტი განპირობებული იყო ქართული სპორტის არნახული აღმავლობით მისი ზეობის ხანაში [1954-73] – შედეგებს მის პიროვნულ ღირსებებსა და ჩალიჩობის ნიჭს უკავშირებდნენ.

უფროსებთან ურთიერთობის დამყარების მისეულ, არა-ორდინარულ ხერხებზე მთელი თბილისი საუბრობდა, ამ უფროსების წრე კი ერთობ შემოსაზღვრული იყო: მოსკოვში – საკავშირო მინისტრი იური მაშინი, თბილისში – ცეკას პირველი მდივანი ვასილ მჟავანაძე და კაგებეს თავმჯდომარე ალექსი ინაური.

სიხარულიძესთან შეხვედრის შემდეგ მოვლენები ჩვენ და სასიკეთოდ განვითარდა: მისი წერილი მოსკოვმა ყურად იღო; ფრანგების პირველი ვიზიტი დაიგეგმა 1967 წლის ივნისში, თბილისში; მასწავლებლების პროფკავშირის გუნდი უნდა შეხვედროდა თბილისის "დინამოს", რომელიც სსრკ ჩემპიონატში მეორე ადგილზე გავიდა, და ეს თამაში "დინამოს" სტადიონზე უნდა ჩატარებულიყო.

საქმე ნორმალურად მიდიოდა, ვიდრე კარს არ მოგვადგა თამაშის დღე. აფიშები დაბეჭდილი იყო, დილით რომ დამირეკა ბორის პაიჭაძემ და აღელვებულმა მითხრა: სიხარულიძე გაცოფებულია, მომატყუეთო; 11 საათზე მოდი მასთან და კვინიხიძესაც დაურეკე, რომ წამოვიდესო.

წინა შეხვედრებზე – როცა დეტალების დასადგენად მივდიოდით, სიხარულიძე სულ კმაყოფილი, მოცინარი და კარგ გუნებაზე გვხდებოდა, ახლა კი ვეღარ იცნობდით:

მას შემდეგ, რაც ორივე ბორია და მე შევედით კაბინეტში, ადგა და ბოლთის ცემას მოჰყვა – თითქმის საათი დავრჩიოთ იქ, მასპინძელი კი არ დამჯდარა და არც გაჩერებულა: ისე განრისხებული იყო, თითქოს რაღაც ძაან სისხლ-ხორცეულს შევეხეთ.

ნუ იტყვით და მისი კარიერული დიპლომატიისთვის თურმე დიდი ჩრდილი მიგვეყენებინა. მასთან დაურეკია კაგებეს უფროს ინაურს და კარგად შეუხურებია:

ფრანგთა პროფკავშირულ გუნდს "დინამოს" რომ ახვედრებ, განა ქვეყანად დაილია ასეთივე გუნდები – აი, თუნდაც "ლოკომოტივი". "დინამოზე" ხომ ყველამ – შინაურმაცა და გარეულმაც იცის, რომ მილიციას ეკუთვნისო.

სიხარულიძემ ერთ-ერთი წინა ვიზიტისას გვკითხა, მართალია, რომ ინაურის ბიჭი რაგბს თამაშობსო. ჩვენ დავუდასტურეთ, ახლა კი სიხარულიძე იმით იყო უკმაყოფილო, რომ უფიქრია, გია ინაური – მამის თანამდებობიდან გამომდინარე – უსათუოდ "დინამოს" წევრი იქნებოდა. ასე რომ, როცა დაწვრილებით გვამზადებინებდა ფრანგთა დახვედრას, ეგონა, რომ თან მამა-ინაურს უგორებდა კოჭს.

კამათი "ვასილიჩსა" და "სალამონოვიჩს" შორის სწორედ ამ საკითხზე გაიმართა: ერთი გამწარებით იძახდა, რატომ არ მითხარით, რომ ინაურის ბიჭი ვერ ეთამაშებოდა ფრანგებსო; მეორე პასუხობდა, რომ ასე დაწვრილებით – თუ ვინ სად თამაშობს, არ იცოდა; საქმე კი, საბჭოური გაგებით, მართლაც უკუღმართად იყო – კაგებეს [!] უფროსის ექიმი ვაჟი თამაშობდა არა "დინამოში", არამედ რკინიგზის [?] გუნდ "ლოკომოტივში".

სიხარულიძე ბოლოს და ბოლოს მორჩა ბოლთის ცემას; მან მაგიდას ხელი დაჰკრა და კატეგორიულად თქვა: ფრანგები პროფკავშირული გუნდით არიან ჩამოსული; "დინამო" პროფკავშირული არაა – ამიტომ ფრანგებს პროფკავშირულივე "ლოკომოტივი" ეთამაშებაო!

შემდეგ გავიგე, რომ გიასა და დედამისს ამავე მოტივით წინა დღით შეუჩივლიათ ბატონ ალექსისთვის, რასაც მოჰყოლია ამისი ზარი სიხარულიძესთან.

"დინამოსა" და "ლოკომოტივის" ბიჭები, მიუხედავად დაძაბული მეტოქეობისა, ერთმანეთთან მაინც მეგობრულ დამოკიდებულებაში იყვნენ; მეც მშვენიერი ურთიერთობა მქონდა გიასთან – დიდი ხნის შემდეგ, როცა მოსკოვში გადასახლდა, მე დამიტოვა ყველანაირი კოორდინატები. დიახ, რაც სპორტში ხდება, არ მოქმედებს ხოლმე პირადულზე.

იმ კამათში ჩემთვის არავის უთხოვია პოზიციის გამოხატვა. ეგ იყო მხოლოდ, რომ უნებურად გავხდი მოწმე მინისტრის, ყოფილი მინისტრის [კვინიხიძის] და ლეგენდარული ოსტატის – ჩვენი საზოგადოების ამ სამი "ვეშაპის" – ცხარე დავისა, რომელსაც ლაიტმოტივად ედო სიხარულიძის კატეგორიული მოთხოვნა – ფრანგებთან "ლოკომოტივი" ითამაშებსო.

რაც ძალიან გამიკვირდა, ეგ იყო პაიჭაძის კატეგორიულივე უარი. ბორიამ სიხარულიძის ულტიმატუმი პირად შეურაცხყოფად მიიღო, და ქვა ააგდო და თავი

ჩვენი სტუმრები — ფრანგი რეგბისტები

როგორც ვიტყობინებოდით, საფრანგეთის რეგბისტთა კლუბების ნაკრებმა სსრ კავშირში პირველი საერთაშორისო შეჯიბრება გურჯაანში თბილისის „ლოკომოტივთან“ გამართა. უამინდობის მიუხედავად, შეხვედრას დიდძალი მაყურებელი დაესწრო.

სურათზე: მატჩის მომენტი.

ფოტო ო. გელაშვილისა. (ჩვენი სპეც. კორ.).

შეუშვირა: თქვენ, როგორც გინდათ, ისე გადაწყვიტეთ, მე კი "დინამოს" გარდა სტადიონზე არავის არ შევუშვებო!

საღამოს, როცა ბიჭებს ვხვდებოდი, მოგვიტანეს ამბავი, რომ რესპუბლიკის სპორტ-კავშირმა გადაწყვიტა, ფრანგებს "ლოკომოტივი" ეთამაშოს, და რადგან "დინამოს" სტადიონზე პაიჭაძე მათ არ უშვებს – პროფკავშირული მატჩი ჩატარდება სტუმართმოყვარე კახეთში, კერძოდ კი – გურჯაანშიო.

იმ საღამოსვე, "დინამოს" კრებაზე გადავწყვიტეთ, რომ ჩვენს ნებისმიერ მოთამაშეს, ვისაც კი გუნდის გაძლიერებისთვის მოითხოვდა "ლოკომოტივის" მწვრთნელი გოგი ტონია, ყოველგვარი პრობლემის გარეშე შეეძლო დათანხმებულიყო.

თამაშის დაწყების წინ, "მარსელიეზის" სიმღერისას ფრანგებმა შეამჩნიეს, რომ მათი დროშა სტადიონის ფლაგშტოკზე თავდაყირა ეკიდა. ამას ხელი არ შეუშლია სტუმრებისთვის, გამოევლინათ მაღალი კლასი. "დინამოს" ბიჭებით გაძლიერებული "ლოკომოტივის" თავდადებული თამაშის მიუხედავად, ჩვენები დიდი ანგარიშით დამარცხდნენ.

ვაკეში გამართული მეორე თამაშის ნაკლები სხვაობით წაგების მთავარი მიზეზი იყო მსაჯი გია ჩეჩელაშვილი, რომელმაც თავი, რომ იტყვიან, ქართული გუნდის სასარგებლოდ გადადო – რათა, მისი აზრით, ჩვენი პრესტიჟისთვის უფრო მისაღები ანგარიშით დამთავრებულიყო ეს ისტორიული შეხვედრა.

1967 | ფრანგთა საბჭოური ტურნე		
22/06	გურჯაანი	26: 8
24/06	ვაკე [ლოკომოტივი]	19:12
26/06	ბურევესტნიკი [მ]	19: 0
28/06	სპარტაკი [მ]	28:11

დღევანდელი გადასახედიდან – დაწყებული სიხარულიძის გადაწყვეტილებიდან, გაგრძელებული დროშის თავდაყირა აღმართვით და დამთავრებული მიკერძოებული მსაჯობით – კარგად ჩანს, თუ რა ჩვილის მდგომარეობაში იყო მაშინდელი ქართული რაგბი.

ასე იყო თუ ისე, ფრანგების ჩამოსვლამ – ჯერ საქართველოში და მერეღა მოსკოვში – დამატებითი ქულები ჩაყარა ქართული რაგბის ყულაბაში: თბილისმა აქტივობით გაუსწრო ყველა ცენტრს.

ფრანგები მაშინ უკვე ლიდერობდნენ ევროპულ რაგბში. მათი გურუ რობერ პულენი რიგითი მწვრთნელი როდი იყო: იგი, რომ იტყვიან, იმჟამინდელი რაგბის თეორეტიკოსად ითვლებოდა. მან გამოსცა სახელმძღვანელო, რომელიც ათი წლის შემდეგ ჩვენშიც შემოვიდა რუსული თარგმანით.

პულენმა მატჩის შემდეგ შთაბეჭდილებები გაუზიარა "ლელოს": ჩვენი ბიჭებიდან გამოჰყო სერგო ხაჭაპურიძე და გელა მიქაბერიძე. არ დავიწყნია ჩეჩელაშვილის მსაჯობაც, რაზეც გიას სიცილით ვამშვიდებდი, თევდორე მღვდლად შეხვალმეთქი ქართული რაგბის ისტორიაში.

28 "ეს რეგბია" – პირველი ფილმი

1960-იან წლებში მაყურებელი რაგბს არ ანებივრებდა: თამაშებზე ერთი და იგივე ხალხი დადიოდა, მაგრამ ერთგულებითა და ქომაგობით კი გამოირჩეოდა და საყვარელ გუნდს ყველგან – დარსა თუ ავდარში თან სდევდა. როგორც წესი, ასეთ გულშემატკივრებს წარმოადგენდნენ: პირველ რიგში, დები და ძმები, მერე – ბიძაშვილები და მამიდაშვილები, მეგობრები და ასე შემდეგ.

ჩემი გუნდის წევრებთან – გუჯა ღუდუშაურთან, ვოვა აკოფოვთან და საშა დადეშქელიანთან მეგობრობდა ირაკლი "იკა" ასათიანი, რომელიც ჯერ მოსკოვის კინემატოგრაფიის ინსტიტუტში სწავლისას მოდიოდა ჩვენს მოსკოვურ მატჩებზე, მერე კი ეგეც გადაწყვიტა, რომ სადიპლომო ნაშრომად მეგობარ მორაგბეებზე გადაეღო მოკლე-მეტრაჟიანი ფილმი.

იკას მამა – გიორგი ასათიანი ცნობილი კინო-მოღვაწე გახლდათ. მას შემდეგ, რაც შეიტყო შვილის გადაწყვეტილება, და იმის გამოც, რომ გადაღება საკმაო თანხა დაჯდებოდა, მოვიდა ჩვენთან, გაგვეცნო და ბევრი შეკითხვაც მოგვცა. პასუხად შევახსენე გახმაურებული ინგლისური ფილმი* "ასეთია სპორტული ცხოვრება", რომელიც პროფესიონალ მორაგბეზე მოგვითხრობს და ფესტივალებზე დაჯილდოვდა.

ბატონმა გიორგიმ ვაჟს თანხმობა მისცა ჩანაფიქრის ხორცშესხმაზე. ირაკლის გადამღები ჯგუფი ჩვენი "დინამოს" ხშირი სტუმარი იყო. მას ოპერატორად ახლდა შემდეგ სახელგანთქმული პედაგოგი, რეჟისორი და სცენარისტი გია ჭუბაბრია.

სიუჟეტი, როგორც მოკლე-მეტრაჟიან ფილმს შეეფერება, მარტივი იყო: იწყებოდა იმით, რომ გუნდმა წააგო თამაში, რის შემდეგაც მწვრთნელისა და მოთამაშეების ძალისხმევა იქით მიიმართა, რომ დაუღალავი შრომითა და ვარჯიშით რევანში აეღოთ – რაც ფილმის ფინალში კიდეც ხდება.

ირაკლი დამწყები რეჟისორი იყო, მაგრამ მალე საბჭოთა ქვეყნის კინემატოგრაფისტთა ყურადღების არეალში მოხვდა. ამის მიზეზი გახლდათ ის, რომ მან ცოლად მოიყვანა სტალინური პრემიის ორგზის ლაურეატის, რეპრესირებული ვარსკვლავის – ზოია ფიოდოროვას ქალიშვილი ვიკა, ვისაც უკვე ნათამაშევი ჰქონდა იმ დროს მეტად გახმაურებულ მელოდრამაში "ორნი".

ამ გარემოებამ, ანუ იკას ცნობადობამ კინოს სამყაროში, გადამწყვეტი როლი ითამაშა იმაში, რომ სპორტული ფილმების საკავშირო კონკურსში "ეს რეგბია" მეორე ადგილზე გავიდა.

იკამ ბოლო გადაღება დაამთხვია ჩვენებისა და უკრაინელების თამაშს კიევის "დინამოს" სტადიონზე. დიდი ანგარიშით რომ ვიგებდით, მთხოვა, რამდენიმე წუთით შემიყვანე, რათა ისტორიას მეც დავუფიქსირო ჩემი მორაგბეობაო.

მოედანზე რეჟისორის შესვლისთანავე მსაჯმა ჯარიმა გვიბოძა ზედ კარის წინ. ჩემი თხოვნით, ბიჭებმა დარტყმა იკას მიანდეს. იკამ პროფესიონალივით გაასწორგამოასწორა ბურთი და ნელი ნაბიჯებით დაიხია უკან, მაგრამ როცა ბურთისკენ წავიდა, ფეხები აერია, მიწას წამოჰკრა, ბურთს ზემოდან გადაევლო და მინდორზე გაგორდა. შემდეგ სულ იძახდა, არ ყოფილა რაგბის თამაში იოლი საქმეო.

* იხილეთ შენიშვნა 90-ე გვერდზე.

არ შეიძლება არ აღვნიშნო ერთი, მეტად გულის ამაყუჩებელი გარემოებაც, რომელიც შეიქმნა ამ თამაშის შემდეგ.

ჩვენი სამ-მეოთხედელის, რომა ღვინიაშვილის დედა წარმოშობით უკრაინელი იყო და კიევში ცხოვრობდა. ბედის უკუღმართობითა თუ სხვა რამ მიზეზით, რომას მშობლები დიდი ხნით ადრე გაიყარნენ და დედა სამშობლოში მიბრუნდა.

რომას ფაქტიურად მამიდა ზრდიდა. და აი, როდესაც ჩვენი გუნდი ჩავიდა კიევში, მას დედამ თამაშზე მოაკითხა და ძალიან დიდი ხნის განშორების შემდეგ ასე შედგა მათი შეხვედრა.

ჩვენმა ბიჭებმა პირი არ შეირცხვინეს – ქალბატონს მიართვეს მთა თაიგულებისა და მიიწვიეს ჩვენს პატივსაცემად, კიეველთა მიერ გამართულ ბანკეტზე.

29 საქართველოს პირველი ჩემპიონატი

არეულ-დარეული რომ იყო ჩვენი სარაგბო ცხოვრება, ამას ისიც მოწმობს, რომ ჯერ სსრკ-ის პირველობა ჩატარდა, ხოლო შემდეგ – საქართველოს პირველი ჩემპიონატი.

ამის მიზეზი იყო რეგიონებში რაგბისადმი მწირი ინტერესი. ფედერაციის სხდომებზე ამ პრობლემაზე ხშირად ვსაუბრობდით. შიგა და შიგ რეგიონებიდან ენთუზიასტები ჩამოდიოდნენ; მათ სემინარის მსგავს პრიმიტიულ საუბრებსაც ვუტარებდით, მაგრამ ისინი საქმეს თავს ვერ აბამდნენ. არც ჩვენში ჩანდა პიროვნება, რომელიც რაიონში წავიდოდა.

ეს მოჯადოებული წრე გოგი ყუფარაძემ გაარღვია და დაგვთანხმდა, მივლინებით წასულიყო ქუთაისში. იქ მისი ნაღვაწი ყველასათვის ცნობილია, ახლა კი მის საქებად იმასღა ვიტყვი, რომ რესპუბლიკის ჩემპიონატის ჩატარება მაშინღა მოხერხდა, როცა მომძლავრებულმა ქუთაისმა 1967 წელს თანხმობა განაცხადა მასში მონაწილეობაზე. ეს დიდი დამსახურება იყო როგორც გოგის, ასევე ქუთათურებისა: ომარ მიქელთაძის, შაკო ქურციკიძის, რამაზ სვანიძის, ჯუმბერ დემეტრაშვილისა და გიზო ცქიტიშვილის.

ახალბედა ქუთაისელებმა დაძაბულ ბრძოლაში სენსაციურად ძლიეს მუშური "ისანი" 6:0. პოლიტექნიკურმა აჯობა უნივერსიტეტს და III ადგილზე გავიდა. გადამწყვეტ ბრძოლაში "დინამომ" აკოფოვისა და ღვინიაშვილის ლელოებით აჯობა "ლოკომოტივს", რომელმაც პირველმა მიულოცა მეტოქეს გამარჯვება. "დინამომ" ბურთების შეფარდების რეკორდიც დაამყარა, საუკეთესო ბომბარდირი კი ირაკლი კიზირია გახდა – 44 ქულა.

#	21-25/11 1967	ქ	მ-წ	გატ:გაშ
1	დინამო	10	5-0	167: 0
2	ლოკომოტივი	8	4-1	152: 27
3	სპი [პოლიტექნიკ]	6	3-2	80: 46
4	თსუ [უნივერსიტ]	4	2-3	48:136
5	ქუთაისი	2	1-4	26: 95
6	ისანი [განთიადი]	0	0-5	20:189

[უკან] მიკა კვინიხიძე, გელა ჩიკვაიძე, ბიძინა პეტრიაშვილი, რეზო კეთილაძე, რომა ღვინიაშვილი, ზურაბ რეხვიაშვილი, მურად თოფურიძე, ირაკლი კიზირია, შევაზ კოდუა, გენა ღადუა; [წინ] ვოვა აკოფოვი, სერგო კეშელავა, გოჩა აბაშიძე, ამირან ლობჟანიძე, თამაზ შარაშენიძე

30 პირველი გასვლა საზღვარგარეთ

ამასობაში, მართალია, ძალზედ ნელი ტემპით, მაგრამ საზღვარგარეთაც ჟონავდა მწირი ინფორმაცია ქართული რაგბის არსებობის შესახებ.

პირველი მერცხალი ამ მხრივ აღმოჩნდა ზურა იაშვილი, ვინაც ლეგენდარული "ორერას" სოლისტი იყო. მან – ჩემმა კლასელმა და უბნელმა ერთ-ერთი გასტროლის შემდეგ შინ მომაკითხა და მახარა: საფრანგეთში ყოფნისას გამოჩენილი მორაგბის, მიშელ იაშვილის მამას აფიშაზე წაეკითხა მისი გვარი და ზურასთან მისულიყო, მეც იაშვილი ვარო.

ხანგრძლივი საუბრისას, მიკითხვა-მოკითხვაში, ზურას გახსენებია რაგბით ჩემი გატაცების ამბავი. სამწუხაროდ, იგი ვერ შეხვედრია თვით მიშელს, მაგრამ მე კი მომცა მისამართი და მთხოვა, რამე მისწერეო. მეც მივწერე, მაგრამ პასუხი ველარ მივიღე – ვფიქრობ, რომ წერილი ადრესატამდე არც მისულა.

ისე, ცნობისათვის შევნიშნავ, რომ ძალიან დიდი ხნის შემდეგ – 2001 წელს მიშელ იაშვილი ბოლოს და ბოლოს ეწვია თბილისს, როცა მისი უფროსი ვაჟი გრეგორი გამოდიოდა საქართველოს ნაკრებში, და პატივი მხვდა, მასთან მესაუბრა.

სხვა დროსაც მომენტს ხელიდან არ ვუშვებდი, რომ საზღვარგარეთთან დამემყარებინა კონტაქტი. თბილისს ხშირად სტუმრობდა ცნობილი ქართველოლოგი დევიდ ლენგი. იგი ჩემს სიძესთან მეგობრობდა და ერთხელაც მანჩესტერელი მორაგბეების წერილი ჩამომიტანა. მივწერე ამათაც, მაგრამ პასუხი არც მათგან მიმიღია.

როგორც ზემოთ, ქალებისადმი მიძღვნილ თავში აღვნიშნე, საზღვარგარეთული კონტაქტების დამყარებაში ძალზედ მეხმარებოდა ცეტული მხეიძე, რომელიც ფიზკულტურისა და სპორტის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში მუშაობდა.

მისი მეშვეობით უელსიდან მოვიდა მოწვევა, მაგრამ მოხვდა საკავშირო კომიტეტში, საიდანაც – ვის მიერ, დღესაც არ ვიცი – ჩვენი სახელით უარი გაიგზავნა. სანაცვლოდ, მოსკოვის საათების ქარხნის ფულიანი კლუბი "სლავა" წავიდა მინი-ტურნეზე 1976 წლის ნოემბერში.

მოკლედ, კაპიტალისტური სამყაროდან პასუხი, როგორც წესი, არ მომდიოდა, სოციალისტური ბანაკის ქვეყნებთან ურთიერთობაში კი სხვაგვარი ვითარება იყო.

წერილებს ვიღებდი რუმინეთიდან, ბულგარეთიდან, ჩეხოსლოვაკიიდან, პოლონეთიდან. აქ დაბრკოლება არ შემხვედრია, თუ არ ჩავთვლით კაგებედან მოსულ, ამ ტიპის გაფრთხილებებს:

პატივცემულო გივი! გინდ თქვენი და გინდ ფედერაციის სახელით გაგზავნილ წერილს მიმღები ოფიციალურად მიიჩნევს, რის გამოც გთხოვთ, ამისგან მომავალში თავი შეიკავოთ და მიმოწერა მხოლოდ ზემდგომი ორგანოების მეშვეობით აწარმოოთო.

ასე იყო თუ ისე, ჩემს სწრაფვას გავსულიყავით საზღვარგარეთ – იგულისხმება საბჭოთა კავშირის ფარგლებს გარეთ – კარგა ხანს არ დაადგა საშველი.

აქაც მშველელად სოროკინი მომევლინა. მოსკოვში ერთ-ერთი მორიგი მივლინებისას მან შემახვედრა პოლონელი იოზეფ სოკოლოვსკი. ამას იმ დროიდან ვიცნობდი, როცა გუნდს მოთამაშედ ჩამოჰყვა. ამჯერად იოზეფი იყო ქვეყნის ჩემპიონის – "სკრას" მოთამაშე-მწვრთნელი. ჩვენ ისე დავმეგობრდით, რომ პოლონეთში მიწვევა მალევე მოგვივიდა.

აქ საქმეში ჩავრთე როგორც ჩვენი ფედერაციის ავტორიტეტები – ბორის კვინიხიძე და ლევან აკოფოვი [ფინანსები], ასევე მეგობარი – საკავშირო "გოს-ტრენერი" ვ.ზახაროვი, რათა წინააღმდეგობა გამოგვერიცხა სპორტ-კავშირშიცა და უმსხვილეს ტურისტულ გაერთიანება "სპუტნიკშიც".

ახლა ძნელი დასაჯერებელია, რომ საზღვარგარეთ გასვლა დიდ სირთულეს

დინამო 16:3 ვარშავა | 1968 წლის 12 დეკემბერი

წარმოადგენდა. ხელისუფლება იძულებული იყო, გუნდები ოფიციალურ შეჯიბრებებზე გაეშვა, ჩვენნაირი "კერძო" ტურნეები კი ყელში ეჩხირებოდა.

რამდენიმე წერილის გაცვლის შემდეგ შევთანხმდით ვადებზე და მიღების პირობებზე: ჯერ ჩვენ ჩავიდოდით პოლონეთში, ერთი კვირის შემდეგ კი ისინი თბილისში გვეწვეოდნენ.

გაცილებით რთული აღმოჩნდა მგზავრობისთვის საკმარი დაფინანსების მოპოვება. საქმეს თავი მოაბა ვოვა აკოფოვის მამამ – ბატონმა ლევანმა, რომელმაც უმძლავრესი შტურმით – თხოვნისა და მუქარის დიდოსტატური შეზავებით, თანხა გამოაყოფინა თვით თბილისის აღმასკომს!

1967 წლის 5 ნოემბერს უკვე შებინდებული იყო, როცა ქართველი მორაგბეები ჩავიდნენ დანიშნულების ადგილზე "მოსკოვი – ვარშავის" სწრაფი მატარებლით. გამცილებელს ადრევე ვუთხარი, რომ ჩვენი უთავობის გამო, მასპინძლებისთვის ვაგონის ნომერი არ გვიცნობებია. მანაც უფლება მომცა, კარი გამომეღო – იქნებ ასე უკეთ დამენახა დამხვდურები.

უცბათ ყური მოვკარი ხმამაღალ, ყვირილამდე მისულ ძახილს: "მრელაშვილი!" სანამ აზრზე მოვიდოდი, იგივე განმეორდა. მატარებლის ნელი სვლის პარალელურად ისმოდა ჩემი გვარი, რომელსაც ყვიროდნენ სოკოლოვსკის მიერ ვაგონის ინტერვალით ჩამწკრივებული მოთამაშეები.

მატარებელი ბოლოს და ბოლოს გაჩერდა. ასე უჩვეულო დახვედრით გამხიარულებული გუნდები დიდი ხნის მეგობრებივით გადავეხვიეთ ერთმანეთს: მერე რა, რომ არ ვიცნობდით – ჩვენ ხომ რაგბი გვაერთიანებდა.

მოგზაურობაში უკვე საკმაოდ გამოცდილი ვიყავით; ბიჭებს სხვადასხვა ეროვნების ხალხშიც უამრავი მეგობარი ჰყავდათ, მაგრამ არ ვიცი, რა მიზეზით – ეგებ იმიტომ, რომ პოლონეთი, ბალტიისგან განსხვავებით, "სუფთა" საზღვარგარეთი იყო – მასპინძლებმა ქცევითა და უბრალოებით მოგვხიბლეს.

ჩვენებსაც, თავის მხრივ, მეტად ღირსეულად ეჭირათ თავი, და ამ საკითხს მეტად რომ აღარ დავუბრუნდე, ახლავე ვიტყვი, რომ ჩვენს შორის ისე მჭიდრო ურთიერთობა დამყარდა, როგორიც სხვა ქვეყნის წარმომადგენლებთან არცა გვქონია.

იმ საღამოსვე ერთად წავედით ლუდის უზარმაზარ ბარში. იქ ერთმა სიმპათიურმა, ჩვენი მასპინძლებისთვისაც კი უცხო პიროვნებამ საერთოდ "დაგლიჯა". იგი სკამზე თუ სულაც მაგიდაზე შედგა – იქ "მოსულა" ასეთი რამეები, ჩვენსკენ ლუდით სავსე კათხა გამოიშვირა და ბრძანა:

"პანი ი პანოვიე [ბატონებო და ქალბატონებო], მე ახლა ვიკითხე და მითხრეს, რომ აქ ბრძანდებიან სტუმრები საქართველოდან; მე რამდენჯერმე ვიყავი მაგ ადგილას – სხვათა შორის, ამას წინათაც, და თუ რა ხალხია ქართველები, მაგაზე მხოლოდ ერთ რამეს გეტყვით:

აქ მან ჯიბეში ჩაიყო ხელი, ზლოტები ამოიღო და გააგრძელა: "თითქმის ერთი თვე დავყავი იქ და რა თანხაც წავიღე სახარჯოდ, იმავეთი დავბრუნდი უკან – ერთი ზლოტიც არ დამახარჯინეს".

ატყდა ტაშის გრიალი და ოვაციები. ჩვენმა ბიჭებმა დაიმორცხვეს, მან კი გააგრძელა: "ამიტომ ბარმენებს ვეუბნები, რომ როგორც ქართველების, ისევე მათი პოლონელი მასპინძლების დღევანდელ ხარჯს მე ვკისრულობ; კეთილი იყოს, ქართველებო, თქვენი ფეხი პოლონეთში! ჯენკუია ბარძო [დიდი მადლობა]".

მართლაც, არც ჩვენთვის, არც მასპინძლებისთვის გროშიც არ გამოურთმევიათ. სოკოლოვსკი ხუმრობდა, ამიერიდან რესტორანში სულ თქვენთან ერთად ვივლიო. კულინარიული თემითვე დამთავრდა მასპინძლებთან დამშვიდობება:

იოზეფმა მითხრა, რომ მისი და კიდევ რამდენიმე მორაგბის მეუღლეები მის ბინაზე, ვახშმად გველოდებოდნენ და უარის თქმა არაფრით არ შეიძლებოდა, რადგან მთელი დღე სამზარეულოში ეტრიალათ.

მე, კარლო სარქისოვმა და ირაკლი კიზირიამ იოზეფის ოჯახში გაშლილ სუფრას რომ დავხედეთ, შევიცხადეთ, ეს რა საოცრებაა – სუფრა კი არა, კულინარიის გამოფენა გეგონებოდათ.

იქაც კარგად გეახელით და ის იყო, მადლობა უნდა მეთქვა და დასამშვიდობებლად წამოვმდგარიყავი, რომ თამადამ – სოკოლოვსკის მეგობარმა და პოლონეთის ნაკრების მწვრთნელმა, მარიან ბონდარევიჩმა დემონსტრაციულად დახედა საათს და თქვა:

"მეგობრებო, ახლა თორმეტის ნახევარია, თორმეტზე კი "ზალა კონგრესოვაში" იწყება კონცერტი ცნობილი სტრიპტიზ-ქალის, ამისა და ამის მონაწილეობით – და ყველას გეპატიჟებით მასზე დასასწრებადო. ისე დაღლილები ვიყავით, რომ ალბათ ყველაფერზე უარს ვიტყოდით – ყველაფერზე, გარდა სტრიპტიზისა!

ეს ხილი ჩვენთან აკრძალული იყო. დაღლა ცნობის მოყვარეობამ გადასძალა და გავემართეთ "ზალა კონგრესოვაში", რომელიც, ბედის ირონიით, განთავსებული იყო არათუ ვარშავის, არამედ მთელი აღმოსავლეთი ევროპის ერთადერთ სტალინურ ცათამბჯენში, და საბჭოთა არქიტექტურის სიმბოლოს წარმოადგენდა.

იქ გამართულმა სანახაობამ, განსაკუთრებით კი სტრიპტიზმა, ყოველგვარი დაღლა დაგვავიწყა და სასტუმროში რიჟრაჟზეღა დავბრუნდით. კულინარიულსა თუ სანახაობრივ დატვირთულობას ბიჭებზე უარყოფითად არ უმოქმედია: მე რომ მკითხოთ – "დინამო" ასეთმა ყურადღებამ უფრო წაახალისა.

7 ნოემბერს, როცა მოედანზე დავუპირისპირდით პოლონეთის იმხანად 4-გზის ჩემპიონს – "სკრას", გეგონებოდათ, რომ ჩვენები უტარებდნენ მათ გაკვეთილს, და არა – პირიქით, როგორც მასპინძლები მოელოდნენ .

კიზირია, როგორც ყოველთვის, საუკეთესო იყო; გოჩა აბაშიძემ და შევაზ კოდუამ მას ჯეროვნად აუბეს მხარი; შერკინება – მურიკო თოფურიძე, გენა ღადუა, ამირან ლობჟანიძე და სხვები მუშტივით შეკრულიყო; ხოლო სამმეოთხედელები – რომეო ღვინიაშვილი და თამაზ შარაშენიძე საფირმო "ჯვარს" ისეთი ოსტატობით ასრულებდნენ, რომ დღესაც იშვიათობაა.

პოლონეთში 1968 წელსაც ვიყავით; აქეთ ისინიც გვესტუმრნენ მეორედ. პირველ ჯერზე ჩვენი ტელევიზია დავიყოლიეთ და სახელდახელოდ ჩავატარეთ ტურნირი მის თასზე. შეჯიბრში ჩაებნენ თბილისელი სტუდენტები და ერევანიც, გაიმარჯვა კი "დინამომ".

1968 წლის სტუმარ-მასპინძლობამაც მაღალი შეფასება დაიმსახურა. პოლონელების ვიზიტის პირველსავე დღეს ტელევიზიამ მათი მწვრთნელი და მე მიგვიწვია სტუდიაში – მაშინდელ ანძაზე, და ეს საკმარისი აღმოჩნდა, რომ მე და სოკოლოვსკი სადაც გინდა მივსულიყავით – ყველგან მხურვალედ გვესალმებოდნენ.

იოზეფის გაკვირვებას საზღვარი არ ჰქონდა, როცა რესტორანში ვინმე მოგვიჯდებოდა, რაგბზე უამრავ კითხვას მოგვცემდა და ხშირად საფასურსაც იხდიდა. ხალხის ასეთმა კეთილგანწყობამ მე და იოზეფს გაგვახსენა სრულიად საპირისპირო შემთხვევა პოლონეთში:

ერთხელ იოზეფმა დამპატიჟა "სუფთა" პოლონურ ბარში, სადაც მხოლოდ იქაურები იკრიბებოდნენ და ტურისტებსაც კი,

1967			
07/11	სკრა	3:11	დინამო
??/11	ოჟეფი	3: 6	დინამო
12/11	ვარშავა	3: 8	დინამო
10/12	დინამო	11: 9	სკრა
12/12	სტუდენტები	3:12	სკრა

1968			
	პოლონეთი	8: 6	დინამო
	სკრა	0: 8	დინამო
12/12	დინამო	16: 3	ვარშავა
15/12	ლოკომოტივი	16: 6	ვარშავა

დაუწერელი კანონით, არ უშვებდნენ. მაგიდას რომ მივუსხედით, ცოტა ხანში მოვიდა ორი პირი. მათ იოზეფს ჯერ მშვიდად გაუბეს საუბარი, შემდეგ კი, თვალსა და ხელს შუა, სიტუაცია ისე დაიძაბა, რომ მე, მართალია, აზრზე არ ვიყავი, რაზე კამათობდნენ, მაგრამ ავდექი და გაშველება დავუწყე.

მეზობელ მაგიდასთან მსხდომებმა ეს ბალანსის დარღვევად აღითქვეს და გარს შემოგვერტყნენ. ვითარება განიმუხტა, როცა გაირკვა ჩხუბის მიზეზი. მე და იოზეფი, ბუნებრივია, ერთმანეთში ვსაუბრობდით იმ ენაზე, რომელიც ორივემ ვიცოდით, ანუ რუსულად.

მე პოლონური არ ვიცოდი, მან – ქართული, პოლონელთა გულისწყრომა კი იმან გამოიწვია, რომ "სუფთა" პოლონურ ბარში ისმოდა რუსული – პოლონელები ერთნაირად მწყრალად უყურებდნენ რუსებსა და გერმანელებს: ორივეს დამპყრობლებად თვლიდნენ.

"აბა, შეხედეთ" – ეუბნებოდა შარისთავებს იოზეფი – "ჰგავს ეს კაცი რუსს? სხვა ენა ამან არ იცის და სულ გავჩუმდეთ?"

პოლონელები დაშოშმინდნენ, როცა გაიგეს, რომ ქართველი ვიყავი და რუსულად ჩვენი საუბარი გარდაუვალი იყო, მალე კი ერთმანეთს ქართულის ცოდნაშიც ეჯიბრებოდნენ: "ნახვამდის, კაცო!"

საერთოდ, პოლონელები მეტად კეთილად უყურებენ ქართველებს. კიდეც ხუმრობენ: ევროპაში შემთხვევით ვართ, სუფთა კავკასიური ხასიათი გვაქვსო.

ბევრი კარგი მოგონება წამოგვყვა იქედან, მაგრამ მათგანაც არასოდეს დამავიწყდება ჭაღარა, სიმპათიური მოხუცი, რომელიც ყოველდღე ჩვენი სასტუმროს წინ დაასეირნებდა შვილიშვილსა თუ შვილთაშვილს.

ჩვენი ბიჭების ერთი ჯგუფი ხშირად იდგა სასტუმროს წინ, ის მოხუცი კი მათთან მიდიოდა და წმინდა, უაქცენტო ქართულით, შეუცდომლად უსრულებდა ხალხურ სიმღერებს, რომლებიც ვარშავის უნივერსიტეტში მეგობრისგან ესწავლა.

31 დამშვიდობება მწვრთნელობასთან

მემუარების დასაწყისში აღვნიშნე, რომ ქართულ რაგბში ალბათ ვიყავი ერთ-ერთი იშვიათი ეგზემპლარი, რომელიც ერთდროულად თამაშობდა, მწვრთნელობდა, მსაჯობდა და მენეჯერობდა.

ბოლო როლი ყველაზე მეტ დროს მართმევდა, რადგან შეჯიბრების ორგანიზაცია შრომატევადი საქმეა. თანაც, სხვა სახეობებისგან განსხვავებით, ჩვენს რაგბში ორგანიზატორი პასუხს აგებდა მსაჯებით მომსახურებაზე და მოედნების, ინვენტარისა და საყოფაცხოვრებო პირობების უზრუნველყოფაზეც.

არც მსაჯობა იყო იოლი – თუნდაც გუნდების მუდმივი წუწუნის გამო. ხშირი იყო შემთხვევა, როდესაც მსაჯი მოვალეობის შესრულებაზე უარს ამბობდა თავდასხმის შიშით.

ადგილობრივ ტურნირები იქეთ იყოს და გავიხსენებ 1976 წლის საკავშირო ჩემპიონატის კალენდარულ შეხვედრას: საკავშირო კოლეგიამ 10 მსაჯს რიგ-რიგობით შესთავაზა თბილისის გუნდების – "ივერიისა" და "ლოკომოტივის" მატჩის გაძღოლა, მაგრამ ყველამ უარი თქვა. ბოლოს მოსკოვიდან დეპეშით გამაფრთხილეს, თუ საკუთარი ძალებით ვერ უზრუნველჰყოფთ მსაჯობას და თამაში ჩაიშლება, ორივე გუნდს 0:30 ნაგება მიესჯებაო.

მიუხედავად იმისა, რომ ფედერაციის თავმჯდომარე ვიყავი, "ივერიისა" და "ლოკომოტივის" მწვრთნელების – დათო დავითაიასა და თემურ ბენდიაშვილის თხოვნით, თავად ვიმსაჯე. მატჩს თან ახლდა უსიამო პერიპეტიები, მაგრამ ბოლოს ყველაფერი მაინც მეტ-ნაკლებად მშვიდობიანად დასრულდა.

ამსიგრძე შესავალი იმიტომ გავაკეთე, რომ არც ერთი საქმიანობა, რაც კი დაკავშირებულია სპორტთან – ხელწამოსაკრავი არაა: ოღონდ სულ სხვაა მწვრთნელობა!

ტყუილად კი არაა, რომ აშშ-ში ჩატარებულ გამოკითხვაში მწვრთნელობა მეტალურგისა და მეშახტის პროფესიაზე უფრო მძიმე საქმედ ჩათვალეს. ამ მიზეზით და იმის გამოც, რომ მეტად ემოციურად განვიცდიდი ჩემი გუნდის მარცხს – თავიდანვე გადაწყვეტილი მქონდა, რომ თუ რაგბს მთლად არ შევეშვებოდი, მწვრთნელობაზე კი ნაღდად უნდა ამეღო ხელი.

ახლაც მაკვირვებს ჩვენი მწვრთნელების კარიერის ხანგრძლივობა. მაოცებს ბენდიაშვილის მართლაც რომ ფანტასტიკური, "გინესის წიგნში" შესატანი სტაჟი. და საერთოდაც, ჩვენი რაგბი ალბათ რეკორდსმენია იმათი სიმრავლით, ვინაც ნებაყოფლობით გაჰყო თავი იმ ყულფში, რასაც მწვრთნელობა ჰქვია.

შეიძლება არც ღირდეს იმაზე ლაპარაკი, რომ რაგბში ჩემი დარჩენის მთავარი წინააღმდეგი ჩემივე და – მუნიკო იყო. იგი მუდმივად ჩამჩიჩინებდა, თავი დამენებებინა რაგბისთვის, ხოლო მას შემდეგ, რაც თამაში დავასრულე, მუნიკო უფრო გააქტიურდა, რადგან თვლიდა, რომ სპორტში ყოფნას აზრი მაშინღა აქვს, თუ თამაშობ, წინააღმდეგ შემთხვევაში კი რიგითი ჩინოვნიკი ხარ და მეტი არაფერი.

გადავწყვიტე, 1968 წლის ბოლოს "დინამოს" მწვრთნელობიდან გადავმდგარიყავი, მაგრამ მოვლენები ისე განვითარდა, რომ პოსტიდან შუა წელში წამოვედი.

სსრკ-ის მორიგი "პირველი* ჩემპიონატის" დებულებით, საქართველოს მხოლოდ ერთი ადგილი გამოუყვეს და იგი რესპუბლიკის ჩემპიონს ერგებოდა.

---

* ეს თავსატეხი გაირჩა 1973 წლის "სპორტულ კალენდარში" – 50 წელიც მალე გავა!

РЕГБИ

Лет через 50 историки советского спорта, наверное, будут спорить, с какого времени вести отсчет чемпионатам страны по регби. По одним источникам, регбисты провели свой первый турнир еще в 30-х годах. Первенство 1966 г. тоже нередко называли в прессе первым. Наконец, в 1968 г., был разыгран опять же «первый» чемпионат СССР. Кто же прав?

1-й чемпионат СССР по регби был разыгран в 1938 г. (победили московские динамовцы). Дата 2-го чемпионата — год 1939-й (победитель тот же). 3-й (или первый послевоенный) чемпионат был разыгран в 1968 г. (победителями его стали регбисты МВТУ). Турнир же 1966 г. в ранг чемпионата официально возведен не был.

მიუხედავად იმისა, რომ ჩემი "დინამო" 1967 წლის ჩემპიონი იყო, "ლოკომოტივი" მეტად მომძლავრებულიყო და ტოლს აღარ გვიდებდა. საქართველოს პირველობაზე 5 მაისის მატჩი ფრედ 3:3 რომ დამთავრდა, გადათამაშება, მიზეზთა გამო, 6 ივნისსღა მოეწყო ვაკეში.

ფიცხი ზაურ მგელაძე

პირველი ტაიმი ჯარიმით 3:0 მოვიგეთ, 47-ე წუთზე კი მოხდა ინციდენტი, რამაც საბოლოოდ კიდეც გადაწყვიტა მატჩის ბედი: აწ უკვე რკინიგზელმა მიკა კვინიხიძემ ჯარიმა ძელს გაარტყა და ბურთი ოფსაიდში – 20 მეტრით წინ მდგომ სხვა ექსდინამოელს – ზაურ მგელაძეს მიუვიდა.

გაჩერდა ყველა, რადგან სასტვენს ელოდა, ზაურმა კი, ნახევრად ხუმრობით, ბურთი "დინამოს" ლელოში დადო და მოსკოველმა მსაჯმაც ჩაუთვალა!

ჯარიმით კიდევ დავწინაურდით, მაგრამ 68-ე წუთზე გადამწყვეტი ლელო გავუშვით. "ლოკომოტივმა" ისტორიაში პირველად – 8:6 მოგვიგო ოფიციალური მატჩი და საკავშირო ჩემპიონატის საგზური მოიპოვა – როგორც "ლელომ" დაწერა, რკინიგზელებს მწვანე შუქნიშანი აენთოთ.

თამაშის შემდეგ მსაჯი გერმან "გერა" ფორმინი კარგად შევამკე, მაგრამ მაშინ რა ვიცოდი? – ორი თვის შემდეგღა შევიტყვე, რომ მისთვის თამაშამდე ძვირად ღირებული საათი უჩუქებიათ, მერე და მერე კი მას ამ ფაქტს, სხვათა თანდასწრებითაც, ხშირად ვახსენებდი.

ისიც უნდა აღვნიშნო, რომ "ლოკომოტივი" ფინალურ ტურნირში ღირსეულად გამოვიდა, III ადგილი დაიკავა და ამისთვის ჩვენი ფედერაცია, რომლის "დე ფაქტო" ხელმძღვანელიც ვიყავი, სპორტის კომიტეტის სიგელით დაჯილდოვდა.

რაც შეეხება მწვრთნელობას, გათავისუფლებაზე განცხადება შევიტანე "დინამოში" და როცა იქიდან გამოვედი, ჩემზე ბედნიერი კაცი დუნიაზე არავინ მეგონა.

წლის ბოლოს უფრო საინტერესო რამეც მოხდა: ზაურ მგელაძემ "ლოკომოტივში" სიმბოლური** ბრინჯაო კი აიღო, მაგრამ დამირეკა და მთხოვა, რეკომენდაცია გამეწია "დინამოს" მწვრთნელობაზე!

ჩემს მემკვიდრედ მოაზრებული მყავდა ირაკლი კიზირია, მაგრამ ზაურმა რომ მითხრა, თავად არა სურსო – დავეთანხმე.

ჩვენი საუბარი ზაურმა მოსწრებული პასუხით დაამთავრა: როცა ყვედრებით გავახსენე ოფსაიდიდან გატანილი ლელო, მომიგო – სულ იმას არ გვიჩიჩინებდი, რაც უნდა მოხდეს, თამაში მსაჯის სასტვენამდე არ შეწყვიტოო?

ამ თავს ზაურის დახასიათებით დავასრულებ. ერთხელაც მან სახელოვან რუს მწვრთნელთან – ჟენია ანტონოვთან ერთად მიმიწვია სუფრაზე და ჩემი კარგა გრძელი სადღეგრძელო შესვა. ამაზე სიტყვა ითხოვა ანტონოვმა და გამოსვლა ააგო იმ სხვაობაზე, რომელიც არსებობს რუსულსა და ქართულ რაგბებს შორის.

მან მაგალითად მოიყვანა ზაურის მიერ ჩემდამი თქმული ფრაზები და მომმართა: აი, ამდენი წელია რაგბს ვემსახურები; ბევრჯერ ჩემპიონიც გამიხდია გუნდი, მაგრამ იმისი მეათედი თბილი სიტყვაც არ მღირსებია, რაც შენ ზაურმა გითხრაო.

სამწუხაროდ, შემდგომ წლებში [1969-71] ზაურის შედეგებმა დაამტკიცეს ჩემი მოსაზრება მწვრთნელის პროფესიაზე.

მას სხვაზე ნაკლები არც ნიჭი ჰქონია და არც ენერგია; ბიჭებთან ურთიერთობაც ეხერხებოდა და შეჯიბრს მეტწილად გამარჯვებით იწყებდა, მაგრამ მას შემდეგ, რაც იმატებდა დაძაბულობა და ყოველი ქულა სისხლის ფასად მიდიოდა – მგელაძე ემოციებს ვეღარ იოკებდა.

მით უმეტეს, რომ მსაჯები ხშირად თავსაც იშვებდნენ და პროვოკაციაზე მიდიოდნენ, ზაური კი – ფიცხი ხასიათიდან გამომდინარე – ანკესზე წამოეგებოდა ხოლმე.

** მედლების დამზადება ვერ მოესწრო!

32 რაში მიცვლიდა სკამს სიხარულიძე

თურმე სადა ხარ: მე რომ "ყოფნა-არყოფნის" ფიქრში ღამეებს თეთრად ვათევდი, მწვრთნელობას ვინ ჩივის? – რესპუბლიკის სპორტის ქურუმს, სიხარულიძეს ჩემი მარტო რაგბიდან კი არა, სულ ჩამოშორებაც ნდომებია – ეგებ დახვრეტაც.

"ა მრელაშვილი ვაბშე ზაპრეწიც რაბოტუ ვ სპორწე" – იმათ, ვისაც რუსული ვერ ეხერხება, ვუთარგმნი, რომ ეს ნიშნავს – "მრელაშვილს საერთოდ აეკრძალოს სპორტში მუშაობაო".

გვარის წინ დასმული "ა" კავშირი აზრს ამძაფრებდა, ესაო და ვინც კი "გიორგი ვასილიჩს" აქამდე დაუსჯია გადაცდომისთვის – "ა" აპოგეას ნიშნავსო, ანუ განაჩენი ზედმიწევნით ასე გადმოქართულდებოდა: "ხოლო მრელაშვილს საერთოდ აეკრძალოს სპორტში მუშაობაო".

გიორგი "კროშკა" შარაშიძისა და სხვათათვის თქმული მკაცრი სიტყვების მიუხედავად, შეფის მიერ მათზე დაკისრებული რეალური სასჯელები მკაცრი ან ჩვეულებრივი საყვედურებიღა იყო, ჩემი "ხოლო" კი იმას უსვამდა ხაზს, რომ "ვასილიჩს" საგანგებოდ მოწვეულ სხდომაზე, გადავსებულ დარბაზში სურდა, ქვეშევრდომთათვის ეჩვენებინა, რომ დამრღვევთა მიმართ შეუვალი და ულმობელია.

მუშაობის აკრძალვას ჩვენი კონსტიტუცია არც ერთ სფეროში არ ითვალისწინებდა, მაგრამ საბჭოთა სამართალი სხვა იყო და მითუმეტეს – სიხარულიძის ხელში!

მან ქართულად გამიარ-გამომიარა, შპარგალკიდან თავი აიღო და არწივივით გადმოხედა დარბაზს: მე ხომ იმ დელეგაციის ხელმძღვანელი ვიყავი, რომლის წევრმაც – სიაში "კროშკას" თხოვნითღა ჩასმულმა, საბჭოთა ფული პოლონეთის საზღვარზე უკანონოდ გადაიტანა.

ძალიან გამიკვირდა ამ კაცის საქციელი, რადგან პოლონელებთან ჯენტლმენური შეთანხმება გვქონდა, რომ ისინი მოგვცემდნენ ზლოტებს მათთან ყოფნისას, ჩვენ კი აქეთ ჩამოსულებს შესაბამის მანეთებს მივუთვლიდით.

ქართული სპორტის ქურუმი "ვასილიჩი"

ასე მოვიქეცით წინა, 1967 წელს. გარანტორი მე ვიყავი. შეიძლება კვეხნაში ჩამეთვალოს, მაგრამ უნდა აღვნიშნო, რომ რაგბში მთელი ჩემი მოღვაწეობისას, უამრავი შანსის მიუხედავად, ერთხელაც არ დამირღვევია კანონი – არ გამიფორმებია არც "ლევი" [ზედმეტი] მოთამაშე და არც ყალბი შეკრება. არადა, ეს დაუწერელი წესი იყო საბჭოთა სპორტში.

აი, ასე მიცნობდა ყველა, ვინც კი დარბაზში იჯდა. ვიცი, რომ იგივე ინფორმაცია ჰქონდა სიხარულიძესაც. ამიტომ ყველას გაუკვირდა ჩემს მიმართ გამოტანილი ესოდენ მკაცრი ვერდიქტი.

მიხვდებოდით: პოლონეთი იყო მხოლოდ საბაბი, რეალურად კი სიხარულიძემ გამიხსენა გულში ჩარჩენილი წყენა, რაც 1967 წელს ფრანგების ჩამოსვლას უკავშირდებოდა და მკითხველისთვის ცნობილია [იხილეთ 27-ე თავი]

განსაკუთრებით ვერ დაივიწყა ვასილიჩმა შერცხვენა ინაურთან და ურთიერთობის გაფუჭება პაიჭაძესთან – ვგონებ, ბოლომდე წესიერად აღარც ელაპარაკებოდნენ ერთმანეთს.

სიხარულიძე მეტად განრისხებული იყო რუმინეთის ინციდენტის გამოც, რომელიც ვერაფრით მოენელებინა.

რუმინელებთან ხანგრძლივი მიმოწერის შედეგად მოვილაპარაკეთ ვიზიტების გაცვლაზე. ამ განხრით ზემდგომებს არაფერს ვუთანხმებდი, რადგან წინასწარ ვიცოდი, რომ უარს მეტყოდნენ.

ასეთმა პარტიზანულმა ქმედებამ პოლონეთთან რომ გაგვიმართლა, მეგონა, ამავე ხერხით რუმინელებთანაც შევძლებდით კონტაქტის დამყარებას. მჯერა, საქმეს თავს დავადგამდი ამ ჯერზეც, რომ არა უეცარი პოლიტიკური კრიზისი.

პოლონელები ჩემი მოპატიჟების საფუძველზე მოსკოვში რომ ჩამოფრინდნენ, ფაქტის წინაშე დამდგარმა გულო რცხილაძემ საყვედურებით ამიკლო, მაგრამ მაინც იძულებული გახდა, სასწრაფოდ გამოეყო თანხა, რის შემდეგაც გადავფრინდი მოსკოვში და პოლონეთის გუნდი თბილისში სრულად ჩამოვიყვანე.

იგივე სცენარი გამეორდა რუმინელების შემთხვევაშიც. როცა ისინი ჩავიდნენ მოსკოვში, ისევ დამირეკა რცხილაძემ და მკაცრი მონოლოგის ბოლოს მითხრა, რომ იძულებული ვართ, ჩამოვიყვანოთ სტუმრები თბილისში – ამიტომ სასწრაფოდ უნდა გადაფრინდე მოსკოვშიო.

რუმინეთის შემთხვევაში გაუმართლა ჩვენს ხელმძღვანელობას: ზუსტად იმ ღამეს, საბჭოთა ჯარების ჩეხოსლოვაკიაში შეჭრის გამო, მეტად დაიძაბა ურთიერთობა რუმინეთთან.

ამ ქვეყანამ მოსკოვში მყოფი დელეგაციები და წარმომადგენლები დაუყოვნებლივ გაიწვია, რის გამოც რაგბის გუნდიც იძულებული შეიქნა, მოსკოვიდან შინ გაბრუნებულიყო, ხოლო ვასილიჩი, მოარული ხმების თანახმად, საკავშირო უშიშროებამ მაგრად შეახურა.

სიხარულიძემ ასეთი მკაცრი ვერდიქტი რომ გამომიტანა, დარბაზმა ჩემსკენ გამოიხედა, მე კი, თვითონაც გამიკვირდა, ისე მშვიდად შევხვდი განაჩენს. გულში გავიფიქრე, ბოლოს და ბოლოს დავანებებ-მეთქი თავს ამ რაგბს – ავდექი და დემონსტრაციულად დავტოვე დარბაზი.

შინ მისულმა დედაჩემს ვაუწყე – აჰა, აგიხდა ოცნება, რაგბს თავს ვანებებ-მეთქი. შემდეგ ავუხსენი, თუ რატომ და როგორ მოხდა ყველაფერი. უზომოდ გახარებულ დედას დეტალებისთვის ყურადღება აღარც მიუქცევია და ნელ-ნელა საუბარი ცოლის მოყვანის დროულობაზე გადაიტანა. ყველაფერიც ამით დამთავრდებოდა, რომ არა მამაჩემი.

მოვლენები ასე განვითარდა: იმ საღამოს პაემანი მქონდა დათქმული ერთ ლამაზ, ბალტიელ გოგოსთან, რომელსაც გადაეწყვიტა ვილნიუსის უნივერსიტეტიდან თბილისისაში გადმოსვლა. ამ საკითხზე უკვე მქონოდა შეხვედრა თსუს პროფკავშირების თავმჯდომარე გოგი სარაჯიშვილთან – იგი გავიცანი რაგბის გუნდის აქტიური მხარდაჭერის წყალობით – და შემპირებოდა ამ გოგოს დახმარებას.

მეორე დღისთვის შევთანხმდით შეხვედრაზე უნივერსიტეტის ბაღში, გოგოს თანხლებით; იმ საღამოს კი, შინ გვიან დაბრუნებულს, დედაჩემმა მითხრა, რომ დაურეკიათ კომიტეტიდან – სანაძე ვარო, და გივი ხვალ, 2 საათზე, აუცილებლად მოვიდეს სიხარულიძესთანო.

ძალიან გამიკვირდა. მეორე დილას ამ გოგოსთან ერთად მივედი უნივერსიტეტის კიბეებთან. სად იყო და სად არა, ეზოში სიხარულიძე შემოვიდა დიდი ამალით; ყველანი ჩემგან რამდენიმე მეტრზე გაჩერდნენ, ეზოს დაუწყეს თვალიერება და რაღაცაზე გამართეს ბჭობა.

ვასილიჩმა შემამჩნია და რაღაცა ჩაულაპარაკა გვერდზე მდგომს – განყოფილების უფროს შოთა ახვლედიანს. იგი მოსულებს გამოეყო და ჩემთან მოვიდა. ახვლედიანმა მკითხა, ხომ დაგირეკეს, რომ სიხარულიძესთან უნდა მიხვიდეო. თავი დავუქნიე: ვიცი, 2 საათზე-მეთქი.

ახვლედიანი მიბრუნდა სიხარულიძესთან. დაილაპარაკეს და ბატონი შოთა კვლავ ჩემსკენ წამოვიდა – რაღა 2 საათს ველოდოთ, ახლავე წამოდი, რაღაცა უნდა გითხრასო.

მეც მივედი. გარდასახვა ადამიანისა მინახავს, მაგრამ გამომეტყველებისა და სახის კუნთების ასე შეცვლა ნებისმიერ მსახიობს შეშურდებოდა:

გუშინდელი, შეჭმუხნულ სახიანი და მრისხანე გამომეტყველებიანი არწივი

დღეს მშვიდობის მტრედს, ანაც მგოსან ბულბულს წააგავდა; ვითომც არაფერი მომხდარიყოს, სიცილით შემეგება, ცალი ხელი გამოკვეთილად ძლიერად ჩამომართვა, ხოლო მეორე მეგობრულად დამკრა მხარზე: შე კაცო, რა ამბავი აგიტეხიაო.

გაკვირვებული ვუცქერდი; წარმოდგენა არა მქონდა, რაზე მელაპარაკებოდა. მეუბნებოდა, შენზე არანაირი ბრძანება არ დამიწერია და არც ვაპირებდიო; შემაქო, ძველებურად გააგრძელე საქმიანობა, და თუ რამე დახმარება დაგჭირდეს, ჩემთან მოდიო.

მისი შემხედვარე ჯერ თვალებს, ხოლო შემდეგ ყურებს ვერ ვუჯერებდი. ვუთხარი: არა, ვასილიჩ, ისედაც ვაპირებდი თავის დანებებას – ხომ იცით, ზოგი ჭირი მარგებელია, საქმეს მივხედავო.

ჩემს სიტყვებზე შეშფოთდა და თავი მოიკლა: ახლა თავი არ დაანებო! შენი წასვლა ჩემი მიზეზით გამოვაო.

შემდეგ, ბოდიშის სანაცვლოდ, რომანტიკული გარიგება შემომთავაზა – მკლავზე ხელი უფრო მომიჭირა, შორი-ახლო მდგარი ჩემი გოგოსკენ მიმაბრუნა და მითხრა:

მრელაშვილო, ერთ რამეს გთავაზობ – პაუზა გააკეთა და გააგრძელა – თუ დამთანხმდები, ჩემს ადგილს, კაბინეტ-მანქანა-ხელფასიანად და საერთოდ ყველაფრით, დაგითმობ ერთი პირობით – თუ ასაკებსაც გავცვლითო.

მამაჩემი იყო უსპეტაკესი კომუნისტი და უწესიერესი პიროვნება: მთელი ცხოვრება მუშაობდა მაღალ თანამდებობებზე; მისი რაიკომის მდივნობა ზოგან აქამდეც ლეგენდასავით ახსოვთ.

მაშინ უკვე პენსიაზე იყო გასული, მაგრამ კვლავ ნომენკლატურას წარმოადგენდა და პარტიულ წრეებში საკმაოდ ცნობადი პიროვნება გახლდათ.

იგი ჩემს სარაგბო საქმიანობაში არ ერეოდა, მაგრამ როცა დედაჩემს მოუყოლია, თუ როგორ ამიკრძალეს სპორტში მუშაობა, მაშინვე აუდენცია უთხოვნია ცეკას პირველ მდივან ვასილ მჟავანაძესთან. მასაც მაშინვე მიუღია, და ისე გამოდის, რომ მიზეზი სიხარულიძის საოცარი მეტამორფოზისა ყოფილა "პავლოვიჩის" სატელეფონო საუბარი, რომელსაც მამაც დასწრებია.

არ ვიცი, სიხარულიძე რამდენად გულწრფელი იყო, როცა მითხრა, არც ვაპირებდი ბრძანების დაწერასო, მაგრამ ის კი ნამდვილად მომეხსენება, რომ მამაჩემი ბრძანების მიუღებელი ფორმულირებით უფრო იყო აღშფოთებული, ვიდრე საკუთრივ ჩემი დათხოვნით.

მყის თეთრი შური ვიგრძენი მამისა და მთელი წინა თაობის პრინციპულობის მიმართ; ვინანე, რომ იმ დღეს, როცა სიხარულიძემ გამიარ-გამომიარა, მას საკადრისი პასუხი არ გავეცი.

ამისი მიზეზი, თუ მკითხველი დამიჯერებს, მორალური უპირატესობის გრძნობაა სკამის თაყვანისმცემლების მიმართ.

33 სპი, გია, ომარი და ორი გოგი

როგორ ზემოთ მოგახსენეთ, რაგბში მოღვაწეობის პარალელურად ყოველთვის საჯარო სამსახურშიც ვიდექი.

როცა მწვრთნელობას თავი დავანებე, ვმუშაობდი საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში [სპი]. აქ ჩემი კარიერა მოულოდნელად განვითარდა: ლამის უკითხავად მიმიღეს პარტიაში; ამირჩიეს ფაკულტეტის პარტ-ორგანიციის მდივნად; ბოლოს კი, ჩემ და გასაკვირადაც, ინსტიტუტის პარტკომის წევრიც გავხდი.

კომიტეტის წევრობა დიდ პასუხისმგებლობას ნიშნავდა. კომიტეტში შედიოდნენ სპის წამყვანი ლექტორები, ცნობილი მეცნიერები; ახალგაზრდობას წარმოვადგენდით მე და ჩემი მეგობარი ოთარ ფურცელაძე. მევალებოდა სტუდენტობასთან ურთიერთობა და შემიძლია ვთქვა, რომ ბევრი კარგი საქმე გავაკეთე – დავაარსე მოდელირების რამდენიმე წრე, ჩავატარე კონკურსები და შეჯიბრებები.

გავხსენი ავტო-სკოლაც – სრულიად ახალი სასწავლო მანქანა თვით ლეგენდარულმა გენერალმა, ვლადიმერ ჯანჯღავამ გადმომცა. გარდა ამისა, მეცნიერებაშიც ვცადე ბედი: საერთაშორისო კონკურსში მე-8 საპრიზო ადგილი დავიკავე, და რაიონის ადმინისტრაციული ხელმძღვანელობიდანაც მომივიდა მოწვევა კარგ თანამდებობაზე.

ინსტიტუტის რექტორი არჩილ ძიძიგური მეტად კეთილად იყო განწყობილი ჩემს მიმართ. მან რომ შეიტყო რაგბით ჩემი გატაცება, მთხოვა, ამომერჩია ორიდან ერთი. ამიტომ რაგბს საკმაო დროს ვეღარ ვუთმობდი. თან ძალიან ვწუხდი, რომ ვერა და ვერ გამოჩნდა პიროვნება, რომელიც ერთ-პიროვნულად და რეალურად – და არა ფორმალურად – აიღებდა ხელში რაგბის მართვის სადავეებს.

"რეგბის სახელმწიფო მწვრთნელის" შტატი ჯერ არ არსებობდა – მის დაშვებას მოსკოვიდან ველოდებოდით. ამ მიზეზით შეჯიბრებათა ჩატარებაში მონაწილეობდნენ სხვა სახეობათა "გოს-ტრენერები": ჩემი ყოფილი მწვრთნელი კალათბურთში ვახტანგ ჯაფარიძე; ხელბურთის ცნობილი მსაჯი თამაზ ჩხარტიშვილი; ჩოგბურთელი კოტე კლდიაშვილი; ფრენბურთელი ედუარდ სანთელაძე.

საქართველოს პირველობები ჩავატარეთ ბათუმში, გურჯაანში, ეშერაში, ჭიათურაში, ჩოხატაურში. ამას წინათ სიგელები რომ გადავათვალიერე, აღმოვაჩინე

გია ჩეჩელაშვილი

ომარ ხიზანიშვილი

ჩოხატაურის სპორტის თავკაცის, დორმინდო ჩხიკვაძის ხელმოწერილიც, სადაც მადლობას მიხდის საქართველოს 1978 წლის ჩემპიონატის მაღალ ორგანიზაციულსა და სპორტულ დონეზე ჩატარებისთვის – ამ წელს ექვსმა გუნდმა პირველად [!] ითამაშა ორ წრედა და ორ ტურად: გაზაფხულსა და შემოდგომაზე.

1978 წლიდან დავაწესეთ საქართველოს თასი. ვატარებდით დედაქალაქის პირველობასაც. თბილისის ფედერაციას ხელმძღვანელობდა ცნობილი ჟურნალისტი და პუბლიცისტი ლერი ჩანტლაძე. მას ეხმარებოდა ქალაქის ინსტრუქტორი ვ.აბუაშვილი. დღის წესრიგში მუდმივად იდგა ბურთების, გუნდის ჩაცმა-დახურვისა და ამგვარი საკითხების მოგვარება.

აქტიურად დავიწყეთ სკოლებში რაგბის სექციების გახსნა, რაშიც პირველი ვიოლინოს როლს სპორტსკოლის დირექტორი, მიხეილ იმედაშვილი ასრულებდა. ამ დროს მუშაობაში მუდმივად გვერდზე მედგნენ გია წურწუმია, სანდრო მელითაური, გოგი ყუფარაძე, დათო თაქთაქიშვილი, გოგი გუდაძე, ნოდარ კაჭარავა.

ცალკეა გამოსაყოფი გია ჩეჩელაშვილისა და ომარ ხიზანიშვილის მოღვაწეობა, რომლებიც დამთანხმდნენ, გამხდარიყვნენ ფედერაციის თავმჯდომარეები: გია 1973, ხოლო ომარი – 1977 წელს.

გია ადრეც აქტიურად მონაწილეობდა სხვადასხვა ღონისძიებაში, რომლებიც თუმც ისტორიაში არ შესულან, მაგრამ გადამწყვეტი როლი კი შეასრულეს იმის მიღწევაში, რომ ჯერ მოგვეპოვებინა, ხოლო შემდეგ შეგვენარჩუნებინა მოწინავე პოზიციები მნიშვნელოვან ღონისძიებათა მასპინძლობაში. ამაზე სხვა ქალაქები – ხან დაფარულად და ხანაც ღიად – პროტესტს აცხადებდნენ.

ჩეჩელაშვილი იყო უცხოელი სტუმრებისა და მოსკოვიდან ჩამოსული მაღალჩინოსნების ელიტარულ დონეზე მიღების დიდოსტატი. შემდეგ წლებში, როდესაც კვლავ მომიხდა რაგბში მოღვაწეობა, გიამ კი სახელწიფო სამსახურში იერარქიის მაღალ საფეხურს მიაღწია, მოსკოველებისგან ხშირად მსმენია მოგონებები იმ პერიოდზე, როდესაც გია მათ კახეთში – ალაზნის პირას ან წინანდალში, ჭავჭავაძეთა სასახლის მარანში მასპინძლობდა.

ომარ ხიზანიშვილს თავიდან არ ვიცნობდი, მაგრამ მისი არა-ჩვეულებრივი პიროვნული თვისებებიდან გამომდინარე, პირველივე დღიდან ისეთი ურთიერთობა დავამყარეთ, რომ ყველას ეგონა – ძველი, სტაჟიანი მეგობრები ვიყავით. იგი თითქმის 24 საათი გარეთ იყო გასული და სრულად დამითმო კაბინეტი. მართალია, გადატვირთულობის გამო ჩვენს ღონისძიებებში ვერ მონაწილეობდა, მაგრამ ყველანაირად კი ცდილობდა, რაგბისთვის ხელი შეეწყო.

საქართველოში რაგბის გავრცელებისთვის ცოტას თუ გაუკეთებია იმდენი, რამდენიც გოგი ყუფარაძემ მოახერხა – მისი პირადი დამსახურებაა ქუთაისში, "ლოკომოტივსა" და არმიაში რაგბის დაფუძნება.

მეტად აქტიური იყო გია წურწუმიაც, ვინაც უცხოელი სტუმრების მისაღებად ხშირად შინ აწყობდა პიკნიკს ძმასთან ერთად. მას ცივილიზებულ აკომპანიმენტს ურთავდა გოგი გუდაძე, რომელმაც შინ საგანგებოდ მოიწყო ევროპული სტილის ბარი – კოქტეილისა და სხვა სასმელების უამრავი სახეობით:

ჯერ კიდევ მაშინ, სწორედ რომ გოგის სახლში მოგვითხრო გენერალმა ილიუშინმა დღესდღეობით ინტერნეთში მოარული სენსაციური ისტორია, რომ გაგარინზე ადრე ის გაუშვიათ კოსმოსში, მაგრამ ცდა წარუმატებლად დამთავრებულა!

ერთი სიტყვით, კვლავაც საკმაოდ დატვირთული ვიყავი, მაგრამ ეს რა მოსატანი იყო მწვრთნელობასთან, რომელიც კოშმარივით მახსენდებოდა.

არც ბიჭებთან გამიწყვეტია კავშირი: თბილისში ხომ მუდმივად ვესწრებოდი თამაშებს და სხვა ქალაქშიც ხშირად გავყოლივარ გუნდს.

თუ იმასაც გავიხსენებ, რომ სამსაჯოდ მიწვევდნენ სხვადასხვა ტურნირსა და სსრკ-ის პირველობაზე, შეიძლება ითქვას, რომ ჩემთვის, როგორც მოგზაურობის დიდი მოყვარულისთვის, მწვრთნელობიდან წასვლის შემდგომი პირველი სამი წელი [1969-71] მეტად შინაარსიანი და საამოდ მოსაგონარი გამოვიდა.

34 თავმჯდომარის პოსტზე – იძულებით

მალე თავისუფალი ცხოვრების იდილია ქარმა წაიღო. 1976 წლის ერთ მშვენიერ დღეს დამირეკა ომარ ხიზანიშვილმა და თავისთან მისვლა მთხოვა. მე ისედაც ისე ხშირად დავდიოდი ქალაქის აღმასკომში, რომ თანამშრომლები, ლამის იყო, კოლეგად მთვლიდნენ.

ომარმა მითხრა, რომ ესაუბრა შოთა ქველიაშვილს, რომელიც ახალი დანიშნული იყო სპორტის თავკაცის მოადგილედ. მისივე თქმით, სახელმწიფო სტრუქტურას გადაეწყვიტა, რომ ფედერაციათა მართვის სტილი შესაცვლელი იყო, და საკითხის გასარკვევად ორივენი ქველიაშვილთან წავედით.

შოთა რომ ღირსეული პიროვნება იყო, მთელმა საზოგადოებამ იცოდა. მას სალმითღა ვიცნობდი, მაგრამ ისე შემეგება, თითქოს ძველი მეგობრები ვყოფილიყავით. მის დაძახილზე შემოვიდნენ სპორტთამაშების განყოფილების ახალივე უფროსი გურამ მეგრელიძე, რომელთანაც სკოლიდან მქონდა კარგი ურთიერთობა, და სახელმწიფო მწვრთნელი ჯემალ აბაიშვილი, ვისთანაც ასევე ვმეგობრობდი.

მათი საუბრიდან მივხვდი, რომ ადრევე იყვნენ მოლაპარაკებულნი, და ახლა დასკვნაღა უნდა გაეცნოთ ჩემთვის.

შოთამ თქვა, რომ გადავდივართ ცივილიზებული სამყაროს მოდელზე: ამიერიდან ფედერაციათა უფლებები მკვეთრად იზრდება, რის გამოც გადაწყდა, რომ მათ სათავეში ჩაუყენონ ფაქტიური და არა – ფორმალური მმართველები. სხვა შეკრებილებმაც იგივე გაიმეორეს და ისე, რომ ჩემთვის არც არაფერი უკითხავთ, მითხრეს – შენ უნდა გახდე თავმჯდომარეო.

მათი გადაწყვეტილება მაშინვე გავაპროტესტე და ახლაც გულახდილად ვაღიარებ, რომ თავმჯდომარეობა არაფრით აღარ მინდოდა, რაკი ჩემს მიერვე შემუშავებული სტრატეგიით, შეფის ავტორიტეტს ამოფარებული უფრო კომფორტულად ვგრძნობდი თავს – მაგრამ, ხათრითა თუ უნებისყოფობით, მაინც დავთანხმდი.

მოსკოვის "ფილის" ლეგენდა ბორის გავრილოვი მოედანსა და ფედერაციის ტრიბუნაზე

არ შემიძლია ორი სიტყვით არ შევჩერდე ქველიაშვილზე. იმ დროს ქართულ სპორტში მეტად ღირსეული ხალხი მოღვაწეობდა, მაგრამ მათშიც იყვნენ აურით გამორჩეულნი. შოთაც, თხემიდან ტერფამდე, ვაჟკაცისა და ჯენტლმენის განსახიერება იყო.

ერთხელაც მე და აბაიშვილი შევთანხმდით გურჯაანში წასვლაზე, რათა შეჯიბრს დავსწრებოდით. ისე მოხდა, რომ იგივე მოისურვეს ჩემმა მეუღლემა და ქველიაშვილმაც. ასე რომ, ჯემალი და შოთა შინ მომადგნენ სამსახურის "ვოლგით".

მე და მეუღლე გავემართეთ უკანა კარისკენ, მაგრამ ქალბატონის დანახვაზე შოთა სწრაფად გადმოხტა წინა სავარძლიდან, ჩემი მეუღლეს დაუთმო ადგილი, თვითონ კი უკანა რიგში ჩაგვიჯდა. აბა, აქ რა არის გასაკვირი? – თითქოს და არც არაფერი, მაგრამ გეკითხებით, იმ ხანის ბობოლებიდან ასე რამდენი მოიქცეოდა?

***

მოსკოვში, სადაც ხშირად ჩავდიოდი, როგორც ფედერაციის პრეზიდიუმის წევრი – დიდი ცვლილებები მოხდა. მორიგ საკავშირო ყრილობაზე პრეზიდიუმი თითქმის 80 პროცენტით განახლდა: სოროკინი და ძველი გვარდია გაუშვეს, მე კი ისევ ამირჩიეს.

ახლებიდან გამორჩეული იყო ბორის გავრილოვი. ამ კაცმა გადატრიალება მოახდინა სარაგბო იერარქიაში – კოსმოსური თანამგზავრების ქარხანაში გააკეთა მძლეთამძლე გუნდი, რომელიც მუშათა კლასის წარმომადგენლებით დააკომპლექტა, და ამგვარად გააცამტვერა საბჭოთა რაგბის განვითარებაში სტუდენტობის ექსკლუზიური ღვაწლის მითი.

მისმა "ფილიმ" ერთი მეორის მიყოლებით ამარცხა სახელოვანი გუნდები. თვით ბორის "პეტროვიჩი", ლამის იყო, ლეგენდად იქცა: მეტად თავისებური ტიპი იყო; მსაჯთა მტარვალის იმიჯიც ჰქონდა; ბოლოს, საბჭოთა კავშირის 5-გზის ჩემპიონს [1970, 1972-75], გუნდური მუშტი-კრივის ატეხვისთვის, სულ აუკრძალეს მწვრთნელობა. რაღაც ვერ მახსენდება, რომ სხვა დიდ რუს მორაგბეს ასე მოპყრობოდნენ.

პრობლემა იყო "პეტროვიჩის" მონაწილეობაც პრეზიდიუმის სხდომებში, სადაც იგი კრიტიკის კორიანტელს აყენებდა. მეც ასეთივე გამოსვლებით გამოვირჩეოდი. ამიტომ არ გამკვირვებია, რომ ახლად დანიშნულმა რაგბის მნემ – ყოფილმა კალათბურთელმა, ტოკიოს ოლიმპიადის [1964] ვერცხლის მედალოსანმა ვიაჩესლავ ხრინინმა შინ მიგვიპატიჟა მე და ბორია, გულახდილად, ვიწრო წრეში გავარჩიოთ რაგბის პრობლემებიო.

მიწვევაცაა და მიწვევაც! სლავას ცოლშვილი გაშვებული რომ ჰყავდა დასასვენებლად, საღამოს 9 საათიდან გათენებამდე სამნი ვისხედით მის ბინაში.

მართალია, ხრინინი ბევრს დადიოდა საზღვარგარეთ და სულ უცხოური დელიკატესებითა და ვისკით გვიმასპინძლდებოდა, მაგრამ იმდენად დაინტერესებულიყო ახალი თანამდებობით და იმდენ მტკივნეულ საკითხს შევეხეთ, რომ სასმელმა ვერაფერი დაგვაკლო.

ეგებ ვისკის ბრალიც იყო, რომ მან რამდენჯერმე აუგად მოიხსენია გურამ მინაშვილი. ამას ყოველ ჯერზე მოჰყვა ჩემი აღშფოთება და რომ არა გავრილოვი, კამათი შეიძლება ჩხუბშიც გადაზრდილიყო.

ერთხელაც, როცა ხრინინი სამზარეულოში გავიდა, გავრილოვმა მომქაჩა, დაწყნარდიო და ჩურჩულით მითხრა: რა მოგდის? კაცურად უნდა გაუგო – მაგ თქვენი გურამის გამო კარგა ხანს ვერ ეღირსა ნაკრების ძირითადში თამაშს და ამიტომაა ასე გამწარებულიო.

35 საბჭოთა ნაკრების თბილისური ტესტი

მას შემდეგ, რაც საბჭოთა კავშირმა მეტ-ნაკლებად შეასრულა მაშინდელი საერთაშორისო ფედერაციის [FIRA | ფირა] მოთხოვნები: ჩაატარა ქვეყნის პირველობა, დააფუძნა ფედერაცია, აირჩია მისი პრეზიდიუმი – ფირამ იგი წევრად მიიღო.

სსრკ ჩაება ფირას "ერთა თასში". ეს ტურნირი ფირასთვის კი იყო უმთავრესი, თორემ მასში მონაწილეობას არ კადრულობდა არცერთი ავტორიტეტული ქვეყანა – გარდა დამფუძნებელი საფრანგეთსა.

მიუხედავად ამისა, ევროპაში სსრკ-ის გასვლა მაინც დიდი, წინ გადადგმული ნაბიჯი იყო ქართული რაგბისთვისაც. ჩვენგან თითო-ოროლა მოთამაშე თითქმის ყოველ ჯერზე აჰყავდათ ნაკრებში. მათგან ლოკომოტიველ დათო კილასონიას პირველს ერგო ბრინჯაო 1979 წლის გაზაფხულზე.

ეს მოხდა მესამე სეზონში, 1976 წლის შემოდგომაზე კი, როცა საბჭოთა ნაკრების პირველი საშინაო მატჩის გამართვა თბილისში, "ლოკომოტივზე" გადაწყდა, ვევეას მოთამაშეთა – თამაზ მგელაძისა და მიშა თუშიშვილის გარდა, ნაკრების სიაში შეიყვანეს მხოლოდ ივერიელი ნუკრი აბაშიძე, მეტსახელად "ბაბულია".

საერთოდ, რაგბის საერთაშორისო ფედერაცია ალბათ რეკორდსმენია წესებში ცვლილებათა მუდმივად შეტანით. ზოგი სიახლე ეგებ მართლაც დროულია, მაგრამ სხვა, რბილად რომ ვთქვათ, გონიერების ზღვარს სცილდება.

მკითხველს ვთხოვ, მყისიერად ჩვენს დროში გადმოინაცვლოს და გაიხსენოს, მატჩში რამდენი მოთამაშის შეცვლა შეიძლება? რამდენისა და რვის!

ახლა დავუბრუნდეთ იმ, 1976 წლის მატჩს სსრკ-სა და შვედეთს შორის: შეცვლა შეიძლებოდა მხოლოდ ორი [!] კაცის – თანაც იმ შემთხვევაშიღა, თუ მსაჯი დაადგენდა, რომ შესაცვლელი ისე იყო დაშავებული, რომ თამაში ვეღარ შეეძლო.

უტევს სსრ კავშირის ნაკრებიო – ასე ტრაფარეტულად წააწერა ამ ფოტოს "ლელომ"

ამას ასე დაწვრილებით იმიტომ ვყვები, რომ აბაშიძე სათადარიგოთა შორის იყო და ეძლეოდა შანსი, ფირას ეგიდით გამართულ პირველ, საშინაო, ისტორიულ შეხვედრაში მიეღო მონაწილეობა.

თითქმის მთელი თამაში მოედნის კიდეზე აქეთ-იქით დავყვებოდი ჩვენს მწვრთნელებს – ვევეელ ევგენი ანტონოვსა და ლენინგრადელ ბორის ვარაკინს, რათა ნუკრი შეეყვანათ.

კიდეც ვაბრიყვებდი, რუმინელი მსაჯი, გვარად უდრეა, ჩემი მეგობარია და სიმულაციის გამო არანაირ სანქციას არ გამოიყენებს-მეთქი, მაგრამ საქმეში ხარ? – რუსები გაჯიქდნენ, მსაჯს ვერ ვენდობითო.

ისე დამთავრდა თამაში, რომ აბაშიძე არ ათამაშეს. კიდევ უფრო გახალისდება მკითხველი, როცა შეიტყობს ანგარიშს – 13 ლელო და 72:0 სსრკ-ის სასარგებლოდ.

თამაშის შემდეგ კიდევ უფრო საინტერესო რამ მოხდა ბანკეტზე, სასტუმრო "აჭარის" შესანიშნავ რესტორანში.

რაგბის დაუწერელი კანონით, თამაშის შემდეგ იმართება "მესამე ტაიმი", რომელზეც მეტოქე გუნდები ერთმანეთს სუფრასთან ხვდებიან.

ეს რიტუალი მეტად მნიშვნელოვანია, რადგან სპორტის სხვა სახეობათაგან განსხვავებით, სადაც მოწინააღმდეგე მთლად მტრად თუ არა, ხელის შემშლელად კი ნამდვილად აღიქმება – მორაგბისთვის მეტოქე მხოლოდ პარტნიორია. ჩვენი დევიზია: ითამაშე მეტოქესთან ერთად, და არა – მის წინააღმდეგ!

სუფრას როცა გადავხედე, ადგილების რაოდენობა მეცოტავა. ეს ვუთხარი შოთა ქველიაშვილს, რომელიც იქვე იყო. იგი დამეთანხმა და ჩემი ეჭვები გაანდო საკავშირო სპორტკომიტეტის წარმომადგენელს, რომელიც პასუხს აგებდა ღონისძიების ჩატარებაზე. იმან თავი იმართლა, ხარჯთაღრიცხვაში რაღაც შეგვეშალაო, და გვანუგეშა, ჩვენმა ბიჭებმა გაგვიგეს და ბანკეტზე აღარ მოვლენო.

1976-77 | ფირას "ერთა თასი"			
მეორე ჯგუფი			
17/10	ჩეხოსლოვაკია	9: 6	საბჭოეთი
30/10	საბჭოეთი	72: 0	შვედეთი
17/04	გერმანია	16:22	საბჭოეთი
30/04	საბჭოეთი	X: 0	ჰოლანდია*

#	ერთ წრედ	მ-წ*ფ	გატ:გაშ
1	ჩეხოსლოვაკია	4-0	90: 31
2	საბჭოეთი	3-1	100: 25
3	გერმანია	1-2*1	67: 66
4	შვედეთი	0-4	24:186
=	ჰოლანდია	1-2*1	52: 25

* ჰოლანდია გამოუცხადებლობისათვის მოიხსნა

გუნება გამომიკეთდა, როცა ხმაურითა და სიმღერ-სიმღერით დარბაზში შემოვიდნენ 72 ქულით დამარცხებული შვედები. ზოგს თბილისური ბუკლეს, ხინკალა კეპი დაეხურა და ზოგსაც – თუშური ქუდი. რა წაგება, რის წაგება? – ყველანი შენაძენით ხალისობდნენ და სიმღერაში ხან "სულიკოს" და ხანაც "თბილისოს" ეჩალიჩებოდნენ.

იკითხეს, სადაა ჩვენი მჯობნი გუნდიო. მათი არყოფნა ძაანაც არ განუცდიათ. ვერ გეტყვით, დამიჯერეს თუ არა, რომ ყველას ორ დღეში, კლუბში ელოდა გადამწყვეტი თამაში. ვიცი მხოლოდ ის, რომ საღამო შესანიშნავად გაატარეს.

შვედების ქცევა იყო გამოკვეთილი მაგალითი სამოყვარულო სპორტისა, სადაც მთავარია თამაში, მოგება-წაგება კი მეორე ხარისხოვანია.

"დინამოს" შველა უნდოდა

მას შემდეგ, რაც "დინამომ" 1971 წელს I ჯგუფი* დატოვა, ზაურ მგელაძემ მწვრთნელობიდან გათავისუფლება ითხოვა; ირაკლი კიზირიამ კვლავ უარი განაცხადა დაწინაურებაზე, "დინამო" კი უფსკრულის პირას აღმოჩნდა – ყველას გვეგონა, რომ საზოგადოების ხელმძღვანელობა უარს იტყოდა რაგბის შენარჩუნებაზე.

ერთ დღესაც, სპი-ში, ჩემთან, კათედრაზე მოვიდა ნუგზარ ბუგიანიშვილი – "დინამოს" კაპიტანი. იგი წლების განმავლობაში წამყვანი მოთამაშე იყო; მის სათამაშო ამპლუას – შემკვრელს [8 ნომერს], ყველამ იცის, რარიგ გადამწყვეტი როლი ენიჭება როგორც შერკინების, ასევე მთლიანად გუნდის თამაშში.

ნუგზარი ყოველმხრივ ესადაგებოდა ამპლუას – ერთდროულად იყო აგრესიულიცა და საზრიანიც. იგი მერე [1972] საბჭოთა კავშირის საუკეთესო 30-ეულშიც მოხვდა, უშუალობის გამო კი ავტორიტეტითა და სიყვარულით სარგებლობდა.

ნუგზარი ადრეც რამდენჯერმე ჩვეულებრივ ამოსულიყო ჩემთან – სალაპარაკოდ. ვსაუბრობდით სხვადასხვა თემაზე. არც იმ დღეს გამკვირვებია მისი მოსვლა: ვიცოდი, "დინამოში" საქმე ცუდად იყო და მზად ვიყავი, მესაუბრა პრობლემებზე.

და აი, ეს მოხდენილი და ტანადი მამაკაცი, რომელზედაც გოგოები ჭკუას კარგავდნენ – ისე, რომ ყურადღება არ მიუქცევია კათედრაზე მყოფი ხალხისთვის – უეცრად შემეხვეწა, გუნდში დაბრუნდიო. მისგან ყველაფერს მოველოდი, ოღონდ ამას კი – არა.

ვუთხარი, ძლივს კალაპოტში ჩავდექი, და რაც მთავარია, მწვრთნელობა ისევე შეუძლებელია მუზის გარეშე, როგორც პოეტისთვის ლექსის წერა-მეთქი. ერთი სიტყვით, ძალიან რომ არ გავაგრძელო, "დიახ" არ მითქვამს, რაკი ყოველთვის მიჭირდა უარის თქმა, მაგრამ ნუგზარი მაინც დაიმედებული წავიდა, რადგან დავთანხმდი, გავყოლოდი დიდიძესთან, ვისაც ჩემთან შეხვედრის სურვილი გამოეთქვა.

"დინამოს" შეფი – ვახტანგ "გუგული" დიდიძე

გუგული დიდიძე, ისევე როგორც მისი მოადგილე ამნიაშვილი და მთელი კოლექტივიც, გულმხურვალედ შემხვდა.

ისტორიას უხდება მოვლენის გაანალიზება გარკვეული დროის გასვლის შემდეგ. მაშინ ამ ფილოსოფიაზე არც მიფიქრია, დღევანდელი გადასახედიდან კი ნათლად ჩანს, რომ იმ ათწლეულში რაგბმა გადადგა გიგანტური ნაბიჯები – მართალია, პროფესიონალობაზე ჯერ ლაპარაკიც ზედმეტი იყო, მაგრამ სახელმწიფოს უკვე რადიკალურად შეეცვალა თამაშისადმი დამოკიდებულება:

სპორტის კომიტეტი დასთანხმებოდა რაგბის ფედერაციის პრეზიდიუმს, რომ ქვეყნის პირველობა ჩატარებულიყო არა ტურნირად, როგორც ეს მანამდე ხდებოდა, არამედ მიმოსვლით, ორ წრედ – ისე, როგორც ფეხბურთში.

I ჯგუფს შესამჩნევად გაუზარდეს ბიუჯეტი. ეტყობა, დიდიძემ ალღო აუღო შექმნილ ვითარებას – მიხვდა, რომ საბჭოთა რაგბი, და მათ შორის ქართულიც, უკვე გამოსულიყო სიყმაწვილის პერიოდიდან, და რომ თვით-შემოქმედება და დილეტანტობა ნელ-ნელა უკანა პლანზე გადადიოდა.

* "უმაღლესი ლიგა" გვიანდელი ტერმინია.

ეს გამოჩნდა დიდიძესთან საუბრის დროსაც. იგი მანამდეც ინტელიგენტის განსახიერება იყო – როდესაც სახვეწნად ვაკითხავდი, უარით გამოსტუმრების მიუხედავად, ყოველთვის იჩენდა კეთილმოსურნეობას.

ამჯერადაც ღიმილით შემხვდა, მაგრამ შემდეგ რომ გავაანალიზე, მივხვდი, რომ ბუგიანიშვილს გაეფრთხილებინა, დაბრუნების წინააღმდეგიაო. ამიტომაც საუბარი სულ სხვა მხრიდან დამიწყო.

ნელ-ნელა, დიპლომატიურად წამომიკიდა – ჯერ ზოგადად გამიბა საუბარი, თუ რა სჭირდებოდა გუნდს; შემდეგ განზრახვა გამანდო, რომ გაცილებით მეტი ფინანსების გამოყოფას აპირებს რაგბისთვის, და რომ "დინამოს" ყველა სავარჯიშო ბაზა – დაწყებული აუზით და დამთავრებული ძალოსნობის დარბაზით, გუნდის განკარგულებაში იქნება.

საუბრის ბოლოს, რომელიც ისედაც გაიწელა, გადავიდა გუნდის პოტენციალზე – ცალკეული რგოლებიც კი გაარჩია. მეც აზარტში შევედი და ავყევი საუბარში, რომ "დინამოში" ძალზედ კარგი მოთამაშეები არიან და დიდი შანსიც აქვთ, უკან – "უმაღლესში" დაბრუნდნენ-მეთქი.

აქ მან სიტყვა გამაწყვეტინა და მითხრა: ხომ ხედავ, როგორ გეწვის გული – "დინამოს" შველა უნდა და კაცურად, ერთი სეზონი კიდევ დაგვეხმარეო.

ამ სიტყვებზე – ანუ დიდიძე რომ გეტყვის, კაცურად დაგვეხმარეო, დიდი უხერხულობა ვიგრძენი. ამასობაში დიდიძემ წინ დამიდო ქაღალდი, კალამი და მითხრა:

დაწერე განცხადება გუნდის მწვრთნელად მიღების შესახებ; გადავწყვიტეთ, ხელფასად 150 მანეთი დაგინიშნოთო – ეს მაშინ რიგიანი ანაზღაურება იყო!

შემდეგ აიღო მეორე ფურცელიც, ისიც წინ დამიდო და დააყოლა: ამაზე კი ჩამომიწერე, რა პირობები უნდა შევუქმნათ გუნდს, რომ უმაღლესში დაბრუნდესო.

დავთანხმდი. ამის შემდეგ დიდიძემ ჩაატარა დიდი თათბირი, რომელშიც მონაწილეობდნენ "დინამოს" რესპუბლიკური საბჭოს პასუხისმგებელი პირები და გუნდის აქტივისტები.

თათბირზე თემაც ორ ნაწილად გავყავით: [ა] მომავალი, 1972 წლის კალენდრის დეტალური განხილვა; [ბ] გუნდის იმ საჭირბოროტო საკითხების განხილვა, რომელთა გადაწყვეტაც აუცილებელი იყო.

"დინამოს" ელოდა იმ დროისთვის არნახულად სისხლ-სავსე კალენდარი: 5 ჯგუფური თამაში და წარმატების შემთხვევაში – კიდევ სამი მატჩი ფინალში; ცენტრალური საბჭოს 6-გუნდა ტურნირი; პლუს შეკრებები და სპარინგები.

პირველ საკითხზე დიდი ბჭობა არც ყოფილა – ყველა ხარჯზე დამეთანხმნენ. შევთავაზე, რომ ნაცვლად აქეთ-იქით ფრენისა, შეკრებები და შეჯიბრებები ისე მიგვება ერთმანეთისთვის, რომ კონცენტრაცია გაგვეკეთებინა ერთ, საბოლოო მიზანზე – უმაღლესში დაბრუნებაზე.

***

ვიდრე გადავალ "დინამოს" შემდგომ თავგადასავალზე, მინდა, ერთ გარემოებას გავუსვა ხაზი:

რაგბის ერთ-ერთი ისტორიკოსი, ჰყვება რა 1972 წლის ამბავს, "დინამოში" ჩემს მოღვაწეობას მეტად პოზიტიურად ეხმაურება, მაგრამ ცდება, როცა წერს, მრელაშვილი რაგბს ამ წელს დაუბრუნდაო.

ავხსნი, რომ 1968 წლის შემდეგ თავი მხოლოდ მწვრთნელობას დავანებე. საერთოდ რაგბიდანაც მინდოდა წასვლა, მაგრამ ეგ ვერც მაშინ შევძელი, როცა პაიჭაძის ნაცვლად ფედერაციის თავკაცობა ჯერ ჩეჩელაშვილს ვთხოვე [1973], ხოლო შემდეგ – ხიზანიშვილს [1977]

თავმჯდომარის ფუნქციებს ყოველთვის მე ვასრულებდი. თავის დანებება კი მინდოდა, მაგრამ ვერ ვახერხებდი – ვატარებდი სხდომებს, ვხელმძღვანელობდი ღონისძიებების, მათ შორის – ჩემპიონატების ჩატარებასაც, და ამაში აქტიურად მეხმარებოდნენ ძველებიცა და ახლებიც.

ბერ-მონაზვნები საქართველოდან

ბიჭებს თავიდანვე განვუცხადე, რომ საქმეს სერიოზულად ვკიდებ ხელს; რომ გვექნება მეტად დატვირთული ვარჯიშები, რათა აუცილებლად მივაღწიოთ ერთადერთ მიზანს – "უმაღლესში" დაბრუნებას. შეგირდები გავაფრთხილე, რომ ვიქნები ძალზედ მკაცრი სავარჯიშო დისციპლინის დამრღვევთა მიმართ.

უნდა ითქვას, რომ ბიჭებმა, რომლებიც არანაირ გასამრჯელოს [!] არ იღებდნენ, საოცარი ერთსულოვნება გამოიჩინეს და მოსამზადებელ პერიოდში არათუ უკმაყოფილო იყვნენ, დღითიდღე უკეთეს გუნებაზე დგებოდნენ.

არადა, თბილისში საერთო ფიზიკურ მომზადებას მოწვეული სპეციალისტი ხელმძღვანელობდა და კვირაში 4-ჯერ, ვარჯიშისთვის მოსათელად, მცხეთაში წინ და უკან დაარბენინებდა გუნდს.

ამას მოჰყვა ბაკურიანი, შემდეგ კი – ზღვაზე ხანგრძლივი შეკრება. მიუხედავად დიდი დატვირთვისა, ბიჭები თავს უკეთ გრძნობდნენ – ნამდვილი პროფესიონალებივით, და მომავალ წარმატებაშიც დარწმუნებული იყვნენ. ვარჯიშისადმი ასეთი მიდგომა ჩემთვის მოულოდნელი იყო და ამან მეტად წამახალისა.

დიდიძე სიტყვის კაცი გამოდგა: საკავშირო კალენდარი ისე შეედგინათ, რომ ჯერ ტარდებოდა ჯგუფური ტურნირი; დიდი პაუზის შემდეგ – ფინალური ტურნირი, შუალედში კი "დინამოს" ჩემპიონატი ჩაესვათ.

დიდიძეს ვთხოვე, რომ ტურნირებს შორის არსებული ინტერვალები შეგვევსო შეკრებებით იმ ქალაქებში, სადაც შემდეგი შეჯიბრება ტარდებოდა. იგი არათუ დამეთანხმა, ამ ქალაქებში საუკეთესო ბაზების დაქირავების, ყველაზე პრესტიჟულ სასტუმროებში განთავსებისა და საუკეთესო რესტორნებში კვების ორგანიზების ნებაც კი დამრთო.

გროდნო [ბელარუსი] | ჯგუფური ეტაპის პირველი დღე | 1972 წლის 15 ივლისი

[უკან] გივი მრელაშვილი, გივი ფაჯიშვილი, რეზო კეთილაძე, ვიტალი თოფურია, დათო დავითაია, აჩიკო კიკალიშვილი, სერგო რამიშვილი, ალე მამულაშვილი, ნუგზარ ბუგიანიშვილი, მიშა თუშიშვილი, ალბერტ ნაცვლიშვილი; [წინ] მიშა ბენიაშვილი, სპარტაკ ეკალაძე, ჯუმბერ ცუხიშვილი, სერგო კეშელავა, ირაკლი კიზირია, ევგენი შუანდერი, გოჩა აბაშიძე, იუზა ნაცვლიშვილი, თამაზ ძამაშვილი

1972 | "დინამო" II ჯგუფში			
ჯგუფი			
	გროდნო [ბელარუსი]		
1	დინამო [თბ]		
2	ლოკომოტივი [მ]	15:6	23/07
3	ვეფ [რიგა]	29:3	17/07
4	როძინა [ხიმკი]	25:4	21/07
5	კიშინიოვი	46:0	19/07
6	დინამო [ბაქო]	42:9	15/07
ფინალი			
	ვილნიუსი [ლიტვა]		
1	დინამო [თბ]		
2	ლოკომოტივი [მ]	*	ჯგუფში
3	ვეფ [რიგა]	*	ჯგუფში
4	ნალჩიკი	26:10	19/08
5	ალმათა	41:10	17/08
6	კაუნასი	9:3	15/08

გამომიწერეს მივლინება: მოვიარე ყველა ქალაქი და სამივეგან – გროდნოში, ლვოვსა და ვილნიუსში, გავაფორმე ხელშეკრულებები. ჩემი გეგმით შეკრებები და შეჯიბრებები ერთმანეთზე რომ იყო გადაბმული, გუნდის წევრებს ოჯახის მიტოვება თითქმის ორი თვით უწევდათ.

ბელარუსის ულამაზეს ქალაქ გროდნოში ჩავედით ჯგუფური ტურნირის დაწყებამდე ორი კვირით ადრე. რომ განვთავსდით "ინტურისტის" ყველაზე პრესტიჟულ სასტუმროში; დღეში სამჯერ რომ ვიკვებებოდით ჩემს მიერ წინასწარ შედგენილი მსუყე მენიუთი, რომელიც მზადდებოდა რესტორნის დირექტორის მეთვალყურეობით; რომ ვივარჯიშეთ შესანიშნავ სტადიონზე, რომელიც ინგლისელებსაც კი შეშურდებოდათ – აი, მაშინ ვიგრძენით, თუ რაა სპორტული ცხოვრების ხიბლი.

ბიჭები ხუმრობდნენ, ფეხბურთის "მანჩესტერ იუნაიტედსაც" ვერ დაესიზმრება ასეთი პირობებიო. წინდაწინ ვიტყვი, რომ მას შემდეგ, რაც წარმატებით დავძლიეთ გროდნოს ბარიერი, ხოლო შემდეგ გავემგზავრეთ ლვოვში, "დინამოს" პირველობაზე – იმის გამო, რომ ფინალამდე დიდი დრო რჩებოდა, 10-დღიანი შეკრება, წინასწარი შეთანხმებით, ისევ გროდნოში გავაგრძელეთ.

ამას იმიტომ ვწერ, რომ გროდნოში ხანგრძლივი ყოფნისას ადგილობრივი მედიის ყურადღების ცენტრში მოვხვდით: სამჯერ [!] გამოვედი ტელევიზიით; ადგილობრივი გაზეთების კორესპონდენტებიც ჩვენი ხშირი სტუმრები იყვნენ და მეტად თბილი სტატიები მოგვიძღვნეს.

განსაკუთრებით გაამხიარულა ბიჭები ნარკვევმა, რომელიც გამოაქვეყნა "ვეჩერნი [ანუ საღამოს] გროდნომ" სათაურით "24 ბერ-მონაზონი რეგბისტი საქართველოდან".

ავტორი გაკვირვებას ვერ მალავდა იმის გამო, რომ გროდნოს საუკეთესო რესტორანში ვახშმის შემდეგ ჩვენი მორაგბეები ყურადღებას არ აქცევდნენ იქვე მყოფ ლამაზმანებს და გაყინული თვალებით ტოვებდნენ დარბაზს. კორესპონდენტი ხუმრობით ასკვნიდა: არა, ეს ბიჭები ნაღდი ქართველები არ არიანო.

შესარჩევი ტურნირი წარმატებით ჩავატარეთ – ყოველგვარი გართულების გარეშე დავამარცხეთ ხუთივე მეტოქე და გავემგზავრეთ ლვოვში, "დინამოს" ცენტრალური საბჭოს პირველობაზე, სადაც კონკურენტებად გვესახებოდნენ "უმაღლესის" წევრი კიევი [გავარდება შემოდგომაზე!] და ელიტიდან 1970 წელს დაქვეითებული მოსკოვი.

38 პრიზი თუ ფული?

ამასობაში ერთი თვე გავიდა. ბიჭები მიუჩვეველი იყვნენ ოჯახთან ამდენი ხნით განშორებას და ზოგიერთს თავისიანები მოენატრა. შეგირდებთან ყოველთვის ვმეგობრობდი, მაგრამ როგორც არ შეიძლება ჰობიდან ფულის კეთება – ასევე დაუშვებელია გუნდის შემადგენლობაში მოთამაშის იმის და მიხედვით შეყვანა, თუ როგორი ურთიერთობა გაქვს მასთან.

ლვოვში წასვლის წინ ჩემს ნომერში შემოვიდნენ ნოდარ ქაჯაია და ლევან ქავთარაძე. ვეტერან ნოდარს ეგებ ყველაზე მეტ პატივსაც ვცემდი, მაგრამ მის პოზიციაზე [9 ნომრად] უკეთესი შემსრულებლები მყავდა და ვერც ერთ თამაშში ვერ გავრისკე მისი დაყენება. ამიტომ ქაჯაიამ მთხოვა, შინ გამიშვიო; მეც დავეთანხმე და საკითხი მარტივად გადაწყდა.

უფრო რთული აღმოჩნდა საუბარი ლევანთან. მან კატეგორიულად მომთხოვა ძირითადში დაყენება. მაშინვე დავუძახე მიშა ბენიაშვილს, რომელიც მეხმარებოდა ადმინისტრაციულ საკითხებში, და ვუთხარი, ლევანს დაეხმარე თბილისში გამგზავრებაში-მეთქი.

ლევანმა მეორე დღესვე დატოვა გუნდი და ამ საკითხს აღარც შევეხებოდი, რომ არა მისი გაგრძელება რამდენიმე თვის შემდეგ.

თბილისში მეგობრებთან ერთად ვიჯექი რესტორან "ფიჭვებში". შუა სუფრაზე ოფიციანტმა მოგვიტანა რამდენიმე ბოთლი შამპანური – სხვა სუფრამ გამოგიგზავნათო, ხოლო როცა ანგარიშის სწორებაზე მივიდა საქმე, ოფიციანტმა გვითხრა, გადახდილიაო.

ვიდრე მასთან ვარკვევდი გადამხდელის ვინაობას, იგი – ლევან ქავთარაძე თვითონ გამომეცხადა. რა თქმა უნდა, ქეიფი გავაგრძელეთ. დღემდე მახსოვს მისი კაცური და თბილი მონოლოგი, რომელშიც მონანიების სიტყვაც არ ერია – მაგრამ ორივე კი გაგვათავისუფლა იმ ხინჯისგან, რომელიც ბოლო შეხვედრის შემდეგ გულებში გვქონდა ჩარჩენილი.

ლევანი მერე და მერე, აწ უკვე დიდი ხნის წინ, გადასახლდა ახალ ზელანდიაში და დათო თაქთაქიშვილისგან ვიცი, რომ უკან დაბრუნებაზე ოცნებობს.

გუნდის სხვა წევრები საბრძოლველად იყვნენ განწყობილი. ორმა რეჟიმი კი დაარღვია, მაგრამ გამახსენდა ჩემი ერთი პედაგოგის რჩევა, რომ ზოგჯერ სჯობს თავი მოიკატუნო – ვითომ არ დაგინახავს ის, რაც შენიშნეო.

ასეც მოვიქეცი; მით უმეტეს, რომ კარგ გუნებაზე დავდექი მოსკოვიდან ლვოვში ჩამოსული იმ ჩინოვნიკის ინფორმაციით, რომელსაც დახურვის ცერემონიალი უნდა ჩაეტარებინა. მან მობოდიშებით აგვიხსნა, რომ პირველ ადგილზე გასული გუნდისთვის პრიზის ყიდვა ვერ მოესწრო და ჩემპიონს სანაცვლოდ ფულადი პრემია გადაეცემოდა – კაცზე 50 მანეთი!

აქ უნდა ვაღიარო, რომ თუმც ყოველმხრივ ვიყავით უზრუნველყოფილი, ბიჭებს მაინც შემოაკლდათ ჯიბის ფული.

გუნდი ამ სასიხარულო სიახლეს შეძახილით შეხვდა – მთავარ კონკურენტთან, კიევთან მატჩი ფრედ გვქონდა დამთავრებული და პირველობა, წინა ოთხი [!] გათამაშების მსგავსად, ამჯერადაც ბურთების სხვაობით გადაწყდებოდა.

აქ უპირატესობა ჩვენ გვქონდა, რადგან ბოლო მატჩში ვხვდებოდით აუტსაიდერ ბაქოს, კიეველები კი ეთამაშებოდნენ მასპინძელ ლვოვს და უკრაინის ეს გუნდები ერთმანეთზე დანა-სისხლად იყვნენ გადაკიდებული.

ბევრი რომ აღარ გავაგრძელო, კიევმა ბევრით კი მოუგო ლვოვს, მაგრამ ჩვენი ანგარიში ბაქოსთან უმაგალითოდ ასტრონომიული გამოვიდა – 157:3. კიზირიამ წვიმასა და ლაფში, თუ არ ვცდები, 80 ქულა მოაგროვა, რაც ალბათ რეკორდია საბჭოთა რაგბის ისტორიაში.

"დინამოს" ჩემპიონატზე თხრობას დავამთავრებ იმით, რასაც სინდისის ქენჯნა ჰქვია. საქმე ისაა, რომ ბაქოს მწვრთნელი, რომელთანაც ვმეგობრობდი, და ვისი გუნდიც ფაქტიურად არ გვეწინააღმდეგებოდა, რესტორანში დავპატიჟე. ტურნირის სხვა მონაწილეებს – მეტადრე კი კიეველებს – რომ არ გადავყროდით, გარეუბანში გადავწყვიტეთ წასვლა.

ფათერაკს კი მაინც ვერ ავცდით: გახურებულ სუფრაზე, როცა მე და ბაქოელი დოსტი ერთმანეთს სიყვარულს ვეფიცებოდით, დარბაზში შემოვიდა ოფიციანტი და გვერდითა მაგიდისკენ წამოუძღვა კიევის გუნდის მწვრთნელ ვლადიმირ ბორისკინსა და ამალას.

მე მათ ჩვენთან დაჯდომა შევთავაზე, მაგრამ ნაწყენმა ბორისკინმა არ ისურვა – ქოქოლა მოგვაყარა და წავიდა.

1968-73 | თბილისის "დინამო"

ცენტრალური საბჭოს პირველობაზე

1968

	25-28/07	თბილისი	
1	თბილისი		
2	მოსკოვი	3: 3	
3	კიევი	28: 9	
4	ერევანი	20: 0	

1969

	24-??/07	ლვოვი	
1	თბილისი		
2	მოსკოვი	6: 6	
3	ერევანი	11: 3	
4	კიევი	20: 0	
5	ლვოვი	35: 0	

1970

	11-15/08	ქუთაისი	
1	კიევი	8: 8	
2	თბილისი		
3	მოსკოვი	V: 0	[ანგარიში?]
4	ქუთაისი	27: 8	

1971

	03-11/08	კიევი	
1	კიევი	11:11	
2	თბილისი		
3	მოსკოვი	11: 0	
4	ერევანი	6: 0	
5	ბაქო	47: 0	

1972

	27/07-03/08	ლვოვი	
1	თბილისი		
2	კიევი	6: 6	
3	მოსკოვი	15: 3	
4	ერევანი	72: 0	
5	ლვოვი	99: 0	
6	ბაქო	157: 3	

1973

	16-24/05	ქუთაისი	
1	მოსკოვი		
2	თბილისი		[შედეგები?]
3	კიევი		
4	ქუთაისი		

39 მუხის ფოთლის გვირგვინები

ლიტველები მაინც და მაინც დიდ ინტერესს არ იჩენდნენ რაგბის მიმართ, მაგრამ ჩვენ და გასაკვირად, ვილნიუსის ცენტრალური სტადიონი გადამწყვეტ თამაშზე თითქმის სანახევროდ გაივსო.

როგორც შემდეგ გავიგეთ, განათლების სამინისტროს ინიციატივით, რაგბის საყურებლად პიონერთა ბანაკებში დასასვენებლად მყოფი სკოლის მოსწავლეები მოეყვანათ. ჩვენი მოწინააღმდეგე იყო იმ პერიოდში მეტად გაძლიერებული ნალჩიკის გუნდი, რომელმაც შემდგომ საკმაო წარმატება მოიპოვა. მას წვრთნიდა საშკა ლობჟანიძე – რაგბის დიდი ენთუზიასტი, ბრწყინვალე პიროვნება, ჩემი მეგობარი.

მასზე ისევე, როგორც სხვა გამორჩეულ მოღვაწეებზე, ვეცდები, ცალკე თავში ვისაუბრო, აქ კი აღვნიშნავ, რომ ლობჟანიძეს დიდი ღვაწლი მიუძღვის ქართული რაგბის განვითარებაში, განსაკუთრებით 1990-იან წლებში – რუსთავში რაგბის დანერგვითა და აყვავებით.

ქართველებს გვჩვევია ადამიანის ამაგის არ-დაფასება მისი ამ ქვეყნიდან წასვლის შემდეგ. ასე მოსდით რუსთაველებს, რომლებიც კი აპირებდნენ რაღაცის გაკეთებას საშას სახელის უკვდავსაყოფად, მაგრამ აქამდე პასიურობენ. მე და საშკამ თამაშის წინ ხელი მაგრად ჩამოვართვით და მეგობრული, ირონიული ღიმილით, ერთმანეთს წარმატებაც კი ვუსურვეთ.

თამაში თავიდან ისე წარიმართა, რომ ნერვები დამაწყდა. ასე არ მინერვიულია 1968 წლის შემდეგ, როცა მსაჯმა ცხადი ოფსაიდი ვერ დაინახა და მოწინააღმდეგემ გადამწყვეტი ლელო დაგვიდო. ამჯერად მსაჯი არაფერ შუაში იყო – ბიჭები რაღაც ბრინჯივით დაბნეულები იყვნენ და ისეთ შეცდომებს უშვებდნენ, თმები ყალყზე მიდგებოდა. პირველი ტაიმს 10 ქულით ვაგებდით და ბოლო წუთზეღა ჯარიმით შევამცირეთ სხვაობა – 3:10.

არ ვიცი, დასვენებისთვის განკუთვნილ 5 წუთში რა მოხდა – მიუხედავად იმისა, რომ ლამისაა პანიკაში ვიყავი ჩავარდნილი, მაინც მოვახერხე, მშვიდად მიმეთითებინა შეცდომებზე და დავარწმუნე გუნდი, რომ გავიმარჯვებდით.

ღმერთმა ასე აგიხდინოს ოცნებაო, ამაზე იტყვიან. მეორე ტაიმში ნალჩიკი ჩვენს ნახევარზე ვეღარ გადმოვიდა – მოვიგეთ 26:10 და გავხდით II ჯგუფის ჩემპიონები – "დინამო" დაუბრუნდა I ჯგუფს!

გამარჯვება პირველმა საშკამ მომილოცა. ბიჭებმა, ნუგზარ ბუგიანიშვილის მოწოდებაზე, ხელით მაბურთავეს – რაც გინდა თქვი, მაინც კარგი შეგრძნებაა!

ჯილდოებიც გადმოგვცეს, ყველაზე გულის ამაჩუყებელი კი ის იყო, რომ მოსწავლეებმა ყველა მოთამაშესა და მეც, სათუთად და სიყვარულით დაწნული მუხის ფოთლის გვირგვინები დაგვადგეს თავზე – როგორც ელინურ სამყაროში აჯილდოვებდნენ სპორტსა და პოეზიაში გამარჯვებულებს.

იმ საღამოს მეტად აღმატებული და სასიამოვნო დრო გავატარეთ. დილას, როცა აეროპორტში წასასვლელად ვემზადებოდით, მივიღეთ მოსალოცი ელვა დეპეშა, რომელიც "დინამოს" ხელმძღვანელობას გამოეგზავნა.

წარმატებით დასრულებული სეზონი ღირდა იმად, რომ ამდენი სიძნელე და გაჭირვება გადაგვეტანა, "ბერ მონაზონთა გუნდის" შემადგენლობაში კი იყვნენ:

ხაზი: სერგო კეშელავა, ევგენი შუანდერი, ვიტალი თოფურია [კაპიტანი], სპარტაკ ეკალაძე, თამაზ შარაშენიძე, მერაბ ნიჟარაძე, თემო ცინცაძე, ირაკლი კიზირია, გოჩა აბაშიძე, იუზა ნაცვლიშვილი

შერკინება: ალბერტ ნაცვლიშვილი, მიშა თუშიშვილი, თამაზ ძამაშვილი, ზაურ ცერცვაძე, რეზო კეთილაძე, დათო დავითაია, გივი ფაჯიშვილი, ალე მამულაშვილი, სერგო რამიშვილი, ჯუმბერ ცუხიშვილი, ნუგზარ ბუგიანიშვილი, აჩიკო კიკალიშვილი, მიშა ბენიაშვილი, მურად თოფურიძე

კალათბურთელებს მოგაშველებთო

თბილისში დაბრუნებისთანავე დაიწყო დიდიძესთან მოლაპარაკების მთელი სერია მწვრთნელად დარჩენა-არდარჩენაზე. ერთ-ერთი საუბრისას ვუთხარი, რომ ამ გუნდით "უმაღლესში" ბევრს ვერაფერს მივაღწევდით, რადგან სრულფასოვანი მეორე ხაზი და მით უმეტეს, მაღალი ბიჭები არა გვყავდა.

დიდიძემ ამ საკითხის მოგვარების ორიგინალური გზა დასახა. აქ ცოტას გადავუხვევ და გავიხსენებ ქუთაისის ლეგენდარული გუნდის წევრის – ალიკა გრიგალავას მოგონებას, თუ როგორ მოხვდა 1977 წელს თბილისის "ელვის" ძირითად შემადგენლობაში, რაც მკითხველს წარმოდგენას შეუქმნის რაგბში, და კერძოდ შერკინებაში, არსებულ პრობლემაზე.

გრიგალავა იხსენებს: ერთხელ, როცა შემოხვედით გასახდელში, ბუცების გამო დიდი ჩხუბი ჰქონდათ გაჩაღებული მეორე ხაზის მოთამაშეებს – რეზო კეთილაძესა და ზურაბ რეხვიაშვილს: არა ჩემია და არა ჩემიაო! თქვენ გაბრაზდით, მათ ბუცები გამოართვით, მომეცით და მითხარით – "ეს ბუცები შენიაო" და "სასტავშიც" მათ ნაცვლად დამაყენეთო.

დიახ, გარეგნულად ვითომ პროფესიონალები ვიყავით, მაგრამ ძველებურად პროლეტარებს უფრო წავაგავდით; დიდიძემ კი, როცა მაღლების არ-ყოლაზე ვწუწუნებდი, ასეთი რამ შემომთავაზა:

ლევან მოსეშვილი და სერგო მაღალაშვილი გაისად "ძირითადში" ველარ მოხვდებიან; შემიძლია ისინი ფიქტიურად დავტოვო კალათბურთის გუნდში ძველი ანაზღაურებით, თუ შენ გამოგადგებიან და რაგბს ითამაშებენო. ამაზეცა და მწვრთნელობაზეც უარის თქმა უხერხულად ჩავთვალე და ვთხოვე, მოსეშვილი და მაღალაშვილი დამკავშირებოდნენ.

ორივეს შევხვდი და გასასინჯად წავიყვანე "ისანზე" – ახლანდელ "შევარდენზე"; ავუხსენი ელემენტარული წესები და ბიჭებთან ერთად დერეფანში ავაგდეთ ბურთი.

თავიდან, როცა ბურთის მოსაგებად ხტებოდნენ, თითქოს არა უშავდათ რა და კიდეც გახალისდნენ, მაგრამ საქმე შერკინებაში მიწოლასა და ბოჭვებზე რომ მიდგა, კატეგორიული უარი მითხრეს:

"რეგბი" ჩვენი საქმე არ ყოფილაო!



ლევან მოსეშვილი



სერგო მაღალაშვილი

41 საკავშირო საგანგებო შემთხვევა

1973 წელს "დინამოს" პირველად უწევდა ახლებურად – მიმოსვლით, მთელი სეზონის განმავლობაში ასპარეზობა. მკაცრად გაიწერა გუნდის ვალდებულებები, რომელთა შესრულებას დიდი დრო ჭირდებოდა. ამიტომ დაუშვეს ახალი შტატი – ადმინისტრატორისა.

დიდიძემ მირჩია, კანდიდატურა კარგად მომეფიქრებინა. დავუჯერე და არჩევანი შევაჩერე მიშა ბენიაშვილზე, ვისაც თამაშისთვის თავი ახალი მინებებული ჰქონდა. ვიდრე ადმინისტრატორობას შევეხები, სიტყვამ მოიტანა და გავიხსენებ ისრაელში მისი გაცილების კურიოზულ ამბავს.

მიშა აქედან წასვლას სულაც არ აპირებდა, მაგრამ მას შემდეგ, რაც ქალაქის ცენტრში – კლორთაღში*, სიძველის გამო დაუნგრიეს სახლი და სანაცვლოდ გლდანიღა შესთავაზეს, ფუჭად ბევრი იბრძოლა, ცხოვრება თბილისში მინდაო.

ისე გამოვიდა, რომ რაგბიდან მისი წასვლა ქვეყნიდან წასვლას დაემთხვა, გაცილების კურიოზი კი შემდეგია:

სუფრის თამადად მე ამირჩიეს. 40-მდე მორაგბე შეიკრიბა. მიშამ მითხრა, რომ მოლაპარაკებულია რომელიღაც ფირმასთან, რომელიც გაცილებას გადაიღებს და სახსოვრად გაატანს ისრაელში.

შესაბამისად მოვამზადეთ ყველაფერი: თავი მოვუყარეთ გადასაცემად გამზადებულ, მის მიერ ადრევე მიღებულ სიგელებს; ბიჭების მიერ მოტანილ საჩუქრებს – მათ შორის, სპეციალურად ჩამოსხმულ მშვენიერ მედალიონს. დავაწყვეთ მთელი ეს ნობათი ცალკე მაგიდაზე და დავუწყეთ ლოდინი გადამღებ ჯგუფს.

გავიდა 15 წუთი, 30 წუთი, ერთი საათი, კიდევ მეტი, მაგრამ ჯგუფი არ მოვიდა. ბოლოს მიშამ მთხოვა, რომ გამეხსნა სუფრა. მეც დავიწყე; დიდხანს ვლაპარაკობდი, რომ დრო გამეწელა, მაგრამ გადამღები ჯგუფი მაინც არსად ჩანდა. მესამე თუ მეოთხე ჭიქის შემდეგ დავასკვენით, რომ ჯგუფმა დაგვაღალატა – აღარ მოვიდოდა, და ბიჭების ტაშის გრიალში ჩავატარეთ დაჯილდოების ცერემონიალი.

მიშა ბენიაშვილი [მარჯვნივ]

მიშას გადავეცი მედალიონი, სამახსოვრო ადრესი, სიგელები. ბიჭებმაც მიართვეს საჩუქრები და გავაგრძელეთ ნადიმი. წვეულება მთავრდებოდა და ყველანი უკვე კარგად შეზარხოშებული ვიყავით, როცა გამოგვეცხადნენ კინო ოპერატორები, ბოდიში მოგვიხადეს და მზაობა გამოთქვეს მოვალეობის შესრულებაზე.

რა უნდა გვექნა? საკითხი სუფრამ ერთობლივად გადაწყვიტა – ყველაფერი თა-

* სომხურად: კლორ [მრგვალი] თაღ [უბანი] – დადიანის ქუჩიდან პურის მოედნამდე.

ვიდან დავიწყოთო. ქალებმა დარბაზი ჯეროვნად მიალაგ-მოალაგეს; კინოს ხალხმაც მოალამაზა ინტერიერი; მიშამ დააბრუნა საჩუქრები და თავიდან დავიწყეთ.

განმეორებითი ბენეფისი იმაზე უფრო ლამაზი და მოხდენილი გამოვიდა, ვიდრე პირველი დუბლი ცოტა ხნით ადრე. ყველამ – მეც, ბიჭებმაც, თვითონ მიშამაც ისე ვიმხიარულეთ ჯილდოებისა და საჩუქრების ხელმეორედ გადაცემით, რომ სუფრის ბოლოს ოპერატორებს მადლობა გადავუხადეთ დაგვიანებისთვის და მათი სადღეგრძელოც კი შევსვით.

დავუბრუნდეთ მიშას ადმინისტრატორობაზე თხრობას. მან დიდი სიხარულით მიიღო ჩემი შეთავაზება და წამომყვა დიდიძესთან, ვინაც წარმატებები უსურვა საქმიანობაში. როდესაც კაბინეტიდან გამოვდიოდით, განგებ შევყოვნდი, უკან მივბრუნდი და დიდიძეს თითქმის ჩურჩულით ვუთხარი: თანაც ებრაელია, ჭკვიანი ბიჭია-მეთქი. ამაზე დიდიძეს გაეცინა.

მიშა მაშინვე ჩართეს საქმეში. მოსკოვში სასწრაფოდ იყო წასაღები განაცხადი ჩემპიონატში მონაწილეობაზე, უამრავი მონაცემით. დებულება ითხოვდა მთელი შემადგენლობის – 35 მოთამაშის პასპორტების წარდგენასაც. მიშამ ოპერატიულად შეაგროვა საბუთები და გაფრინდა.

მეორე დილას "დინამოდან" მირეკავენ – დიდიძეს უბრძანებია, სასწრაფოდ ჩემთან მოვიდესო. მეც მაშინვე მივედი. უფროსის კაბინეტში თითქმის ყველა თანამშრომელი ბოლთას სცემდა; დიდიძე, მოადგილეები და იურისტები რაღაცაზე ცხარედ ბჭობდნენ და იყო ერთი გნიასი.

გამიკვირდა, როცა ჩემს შესვლაზე ყველამ ერთხმად შესძახა, აი, მრელაშვილიც მოვიდაო. დიდიძემ შორიდან დაიწყო: უფ, რა მაგარი და ჭკვიანი ყოფილა ეგ შენი ებრაელიო – გვარს ვერ იხსენებდა და შევაშველე, ბენიაშვილი-მეთქი; თან დავაყოლე, რომ მართლაც ასეა.

იცი, რა ჰქნა მაგ ჭკვიანმა ებრაელმა? – შემეკითხა დიდიძე. მიშასთან მრავალი წლის ურთიერთობა მაკავშირებდა; რამდენჯერმე მის ოჯახშიც ვიყავი ნამყოფი – შესანიშნავი მშობლები, მეუღლე, შვილები, თანაც თვითონაც მუდმივად მისდევდა ცხოვრების ჯანსაღ წესს. ამიტომაც თვალი თამამად გავუსწორე დიდიძეს და შევეკითხე: რამე ცუდი ხომ არ შეემთხვამეთქი.

დიდიძემ დამამშვიდა, არაფერი მის ჯანმრთელობას არ ემუქრება, მაგრამ ახლა იმაზე ვფიქრობ, როგორ გამოვძვრეთ მდგომარეობიდან, რომელშიც მან ჩაგვაგდოო.

თურმე მიშასთვის, მოსკოვში ჩასვლისთანავე, ვიღაც ქურდს აუწაპნია ჩანთა, რომელშიც ეწყო საბუთები, მათ შორის – 35 პასპორტი, და ახლა მიშა იჯდა მილიციის განყოფილებაში, ახსნა-განმარტებას წერდა და ეგებ სასჯელიც ელოდა.

თავისუფლად ამოვისუნთქე, რადგან არც ისე ცუდად ყოფილიყო საქმე, როგორც მეგონა, მაგრამ იქ მსხდომმა იურისტებმა უცებ მომიკლეს გული:

პასპორტის "დიდი რაოდენობით" დაკარგვის შეტყობის-თანავე მილიციის განყოფილება ვალდებულია აცნობოს საკავშირო მინისტრს, რომელიც დაუყოვნებლივ ანიჭებს მას "საკავშირო საგანგებო შემთხვევის" სტატუსს და ყველა უწყებას ავალებს, ზომები მიიღოს საპოვნელადო.

პასპორტებს ვერ მიაგნეს, მაგრამ კი დაასკვნეს, რომ "ადგილი ჰქონდა" უბრალო ქურდობას. ჩვენ, მართალია, თავიდან მოგვიხდა ყველაფრის აღდგენა და ბევრიც ვიწვალეთ, მაგრამ მიშა არ დაუჭერიათ და ეგ იყო მთავარი.

დიდიძეს ეშინოდა, საყვედურს გამომიცხადებენო, მაგრამ რომ აპატიეს, კარგ გუნებაზე დამდგარმა მიშას საყვედური აკმარა – "ჭკვიანი ებრაელი ბიჭი" თანამდებობაზე დატოვა.

1973 | საკავშირო პირველობა

#	ორ წრედ, მიმოსვლით	ქ	მ-წ*ფ	გატ:გაშ
1	ფილი [მოს]	24	12-2	172: 70
2	ბურევესტ [ლენ]	18	9-5	158:122
3	ვევეა [მონინო]	17	8-5*1	165:104
4	კიიგა [კიევი]	13	6-7*1	138:138
5	ავტომობილ [მოს]	12	5-7*2	81:120
6	ლოკომოტივი [თბ]	10	4-8*2	93:147
7	დინამო [თბ] ^	9	4-9*1	87:140
8	მაი [მოს]	9	4-9*1	76:129

მინდიაშვილის ვენდეტა

დიმიტრი მინდიაშვილი ციმბირში – კრასნოიარსკში მოღვაწეობდა. მისი ჭიდაობის სკოლა იმ მხარეში დიდი პოპულარობით სარგებლობდა, რადგან ჩემპიონთა კერად ითვლებოდა და მასში მოხვედრაც ჭირდა. დიმიტრი მთავრობასთან დაახლოვებული პირი იყო – ქალაქის საბჭოს დეპუტატი; მისი პორტრეტი კრასნოიარსკში ბევრგან გაეკრათ სტენდზე.

1977 წლის უმაღლესი ლიგის კალენდრით, კრასნოიარსკში მეოთხე თამაში გვქონდა 4 ივნისს, და იმის გამო, რომ ჩვენ, ანუ "ელვამ" კარგი სტარტი ავიღეთ [2-1], ხოლო ახალბედა კრასნოიარსკმა ცუდი [1-3] – ზედმეტად თავდაჯერებულები ვიყავით.

თამაშის მსვლელობისას ყოველ წუთს ველოდი, რომ აი, ახლა ათამაშდება შერკინება: სერგო რამიშვილი, ალე მამულაშვილი, გიზო ურუშაძე; რომ ნუკრი აბაშიძე თავის სიტყვას იტყვის და ასე შემდეგ, მაგრამ ნურას უკაცრავად: კრასნოიარსკი თავიდანვე დაეუფლა უპირატესობას და 25:13 მოგვიგო.

ბოლო წუთებში მოგვეცა შანსი, როცა აბაშიძემ გაარღვია დაცვის ხაზი და 10 მეტრით მაინც გაუსწრო მდევარს, მაგრამ მერე უკან ყურება დაიწყო, ფეხები აებლანდა და დაეცა; მეტოქემაც სულის მოთქმა აღარ აცალა და ბურთი უცებ აართვა.

რა გაეწყობა, თამაში თამაშია, მაგრამ იმ მატჩს სრულიად განსხვავებულად და ჩვენზე უფრო მძაფრად განიცდიდა სამთავრობო ტრიბუნაზე მჯდომი ციმბირელი ლეგენდა – მინდიაშვილი.

საქმე ის იყო, რომ მატჩი დაემთხვა საბჭოთა კონსტიტუციის ახალი პროექტის გამოქვეყნებას. ძველ თაობას ეხსომება, რომ ასეთ დროს სტადიონზე მასობრივი წარმოდგენა ეწყობოდა. იგი, როგორც წესი, ფეხბურთით სრულდებოდა, აქ კი, ციმბრის რაგბის გუნდის წარმატებიდან გამომდინარე, დღესასწაული ოვალური ბურთაობით უნდა დაგვირგვინებულიყო.

ციმბირელი ლეგენდა დიმიტრი მინდიაშვილი

მასპინძლები მიზანს ეწივნენ, ჩვენი გუნდი კი რომ შეიკრიბა თამაშის გასარჩევად, ბიჭები ნაღდად ელოდნენ, რომ დასასჯელად საღამოს ქალაქში აღარ გავუშვებდი. არადა, ისე ვიყავი გაოგნებული და იმედ-გაცრუებული, რომ ვუთხარი, სადაც გინდათ, იქ წადით-მეთქი.

გოჩა აბაშიძე, ვინაც მწვრთნელობაში მეხმარებოდა, კარგა ხანი ყველანაირი ეპითეტით ამკობდა გუნდს, ვიდრე მე არ გავაჩერე. შემდეგ მე და იგი შევედით ჩემს ნომერში, დავსხედით და ისე, რომ ერთმანეთისთვის ხმა არ გაგვიცია, ჩუმად, გულში ვგლოვობდით მარცხს. სხვა დროსაც წაგვიგია, მაგრამ ამ წარუმატებლობამ მეტად გვატკინა გული – მოგებით ხომ მოწინავე სამეულს ვუახლოვდებოდით.

უცბათ კარზე მოგვიკაკუნეს და შემოვიდა უცნობი. წარმოგვიდგა: მეგრული გვარი ჰქონდა, ავთო ერქვა და გვითხრა – მინდიაშვილმა გამომგზავნა, თქვენთან

შეხვედრა სურსო. ჩვენ, რა თქმა უნდა, დავეთანხმეთ. იგი გავიდა და ცოტა ხანში დაბრუნდა ხორაგითა და შამპანურით დატვირთული; ვიდრე ავთო სუფრას შლიდა, მინდიაშვილიც გვეახლა.

არა-ჩვეულებრივად მომხიბლავი პიროვნება აღმოჩნდა. იუმორითა და უშუალობით მალევე აგვიყოლია და რამდენიმე სადღეგრძელოს შემდეგღა გაგვიმხილა სტუმრობის მიზეზი – თურმე ჩვენი გუნდის დამარცხებით ჩვენზე მეტად ყოფილა გამწარებული.

"ბიჭებო, არ იფიქროთ, რომ ადგილობრივ ხელისუფლებასთან რაიმე პრობლემა მაქვს. ბევრი მათგანი, დაწყებული პირველი პირით – ჩემი მეგობარია; მაგრამ საკვირველი ხალხია – დღეს კრასნოიარსკს, ვთქვათ და ვევეასთან ან "სლავასთან" რომ მოეგო, ისე არ გაეხარდებოდათ, როგორც ქართველზე გამარჯვება.

ეს თქვენს ავტორიტეტზე მეტყველებს, მაგრამ ძალიან გამიკვირდა, როცა "ჩემი ციმბირელები" ყოველი ლელოს შემდეგ ბავშვებივით ერთმანეთს ეხვეოდნენ და, ჩემდა გასაკვირად, მზერით მანიშნებდნენ – აი, აქ ხომ გიგებთო."

ერთი სიტყვით, ისე იყო გამწარებული, რომ იქეთ ვამშვიდებდით. კარგა ხანს ვიმუსაიფეთ. ღამის 3 საათი იქნებოდა, როცა მისი მეგრელი მეგობარი შემოვიდა და ყურში რაღაც ჩასჩურჩულა. დროა დავიშალოთო – თქვა და ორივენი გავოგნდით იმით, რაც წასვლის წინ გვითხრა:

"დღეს ჩემი დაბადების დღეა – 44 წლის გავხდი. თითქმის ყველა, ვინც მთავრობის ტრიბუნაზე იყო, შინ პურ-მარილზე დავპატიჟე. მე რომ აქ, თქვენთან ვიყავი, ისინი ჩემს ბინაში ქეიფობდნენ. ავთოს დავაბარე, გადაეცი, მალე მოვა და უმისოდ გააგრძელეთ ლხინი-თქო. გამწარებულმა მაგათ სამაგიერო ასეთი ბავშვური ჟესტით გადავუხადე, ახლა კი ავთო მეუბნება, უკვე დაიშალნენო. ჰოდა, მეც წავალ."

ვუთხარით, თუ ასეა საქმე, თქვენც ადექით და საქართველოში დაბრუნდითო. გვიპასუხა: კარგად ვიცი, რა ხდება საქართველოში; ჭიდაობაში დიდი ინტრიგებია, აქ კი მაგისგან დაზღვეული ვარო.

არ ვიცი, ამ ვიზიტის დამსახურება იყო თუ საგანგებო ზომებისა, როცა შემდეგ თამაშზე, ლენინგრადში, ბიჭები სამი დღით ნომრებში დავამწყვდიეთ – გარეთ მხოლოდ სავარჯიშოდ და საჭმელად ვუშვებდით.

სიმკაცრემ შედეგი მოიტანა – მოვიგეთ და სამეულს დავუმეზობლდით, კრასნოიარსკი კი სეზონის ბოლოს მაინც გავარდა.



სსრ კავშირის ჩემპიონატი

კვირას გაიმართა მორიგი ტურის შეხვედრები. გთავაზობთ შედეგებს: „პრიმორეცი“ (ლენინგრადი) — ი. გაგარინის სახელობის სამხედრო-საჰაერო აკადემია (მოსკოვის ოლქი) — 6:28, „ლოკომოტივი“ (მოსკოვი) — „ფილი“ (მოსკოვი) — 6:11, „პოლიტეხნიკი“ (კრასნოიარსკი) — „ელვა“ (თბილისი) — 25:13

გაიმართა მორიგი ტურის შეხვედრები. თბილისის გუნდებს გასვლითი მატჩები ჰქონდათ. „ელვამ“ ჯერ ლენინგრადში ითამაშა ადგილობრივ „პრიმორეცთან“ და დაამარცხა იგი (9:6), ხოლო კვირას მოსკოვში, „სლავასთან“ წააგო (3:25). თბილისის „ლოკომოტივი“ კრასნოიარსკის „პოლიტეხნიკთან“ დამარცხდა — 9:10.

გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 14 ივნისისთვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
სსა	6	6	0	0	112—25	12
„სლავა“	6	5	0	1	170—50	10
„ფილი“	6	4	0	2	82—44	8
„ელვა“	6	3	0	3	51—75	6
„პოლიტეხნიკი“	6	3	0	3	67—147	6
„ლოკომ.“ (მ.)	6	2	1	3	72—43	5
„ლოკ.“ (თბ.)	6	2	1	3	45—57	5
„სპარტაკი“	6	1	1	4	52—67	3
„პრიმორეცი“	6	1	1	4	63—117	3
„უნივერსიტ.“	6	1	0	5	41—130	2

"ლელო" გასვლებს ამ ყაიდაზე არჩევდა

ეპილოგის მაგიერ

მკითხველს შეიძლება უცნაურად ეჩვენოს, რომ "მოგონებებს" ასე მოულოდნელად ვამთავრებ, მაგრამ მე მასთან დათქმული პირობა არ დამირღვევია – ქვესათაურშივე შევპირდი, რომ მეტწილად შევეხებოდი მხოლოდ იმ მოვლენებს, რომლებსაც მსაზღვრელად "პირველი" უზით.

ჩემი აზრით, სწორედ ეს მაგიური სიტყვა განაპირობებს ამ მოვლენათა პრიმატს* ქართულ რაგბში მერე და მერე მომხდარ, ეგებ უფრო მნიშვნელოვან ამბებთან შედარებითაც.

მას აქეთ ჩვენი რაგბი დაადგა იმ გზას, რასაც პროფესიული ან მასთან მიახლოებული ეწოდება: ჩვილი ბავშვიდან ძლიერ მამაკაცად იქცა და ბიოგრაფია გაიმდიდრა უჩვეულო წარმატებებით – მოგეხსენებათ, რომ დიდ რაგბში შემთხვევითობა გამორიცხულია და მიღწევები ყოველთვის მყარ ფუნდამენტზეა დაფუძნებული.

აი, სწორედ ამ საძირკვლის გამჭრელი გახლავთ XX საუკუნის 60-იანელთა თაობა, და დღეს რაც უნდა პრიმიტიულად გვეჩვენოს მათი პირველი ნაბიჯები – პირველი მაინც ყოველთვის პირველია და ამდენად, ისტორიულიც.

ერთი რამ მგვრის მხოლოდ სინანულს, მაგრამ ვთვლი, რომ სწორად მოვიქეცი – "მოგონებების" თავდაპირველი ვარიანტიდან ამოვიღე თავი, რომელიც იმ ქვეყნად წასულთა გახსენებას ეძღვნებოდა.

სამწუხაროდ, წასული უკვე იმდენია, რომ ყველას ვერც გავიხსენებდი. დავწერე მხოლოდ რამდენიმეს შესახებ, შემდეგ კი ჩავთვალე, რომ ან სულ ყველა უნდა გამეხსენებინა, და ანაც – არცერთი.

ასე არავინ დამრჩება ნაწყენი. ბარემ ორასი [!] წასული იყო ჩემთან ახლო, მეგობრულ ურთიერთობაში, ან მათთან მაკავშირებდა ჩვეულებრივი – მოთამაშისა და მწვრთნელის დამოკიდებულება. ყოველ მათგანს პატივს ტოლად მივაგებდი

თამარ ჩხეიძე და გივი მრელაშვილი თოქ-შოუში

და მივაგებ; თანაც, დარწმუნებული ვარ, რომ მოვა დრო და მემატიანე ყველას ღირსეულად მოიხსენიებს.

***

სამწვრთნელო ნუსხაში მიწერია, რომ 1973 წლის ბოლოს მეორედაც წავედი გუნდიდან – საზოგადოება "დინამომ" მთელს კავშირში დახურა "რეგბი", ჩემი შეგირდები კი, დათო დავითაიას წინამძღოლობით, ისევ "განთიადმა" შეიფარა.

1977 წელს ჩემი მესამედ გამწვრთნელება დაკავშირებულია ამავე ორგანიზაციის შეფთან, სპორტის კოლორიტ ავთო "აბიბოვიჩ" გიორგობიანთან, ვინაც უწინ "ლოკომოტივის" მამოძრავებელი ძალა იყო და "დინამოს" დაუნდობლად ებრძოდა.

ძალიან გამიკვირდა, როდესაც მოთამაშეებმა მითხრეს, გიორგობიანი ერთადერთ შემთხვევაში დასთანხმდება გუნდის შენარჩუნებას – თუ მწვრთნელად შენ დაბრუნდებიო. ბიჭებს ხათრი ვერ გავუტეხე, კვლავ მივედი გუნდში და იძულებული გავხდი, შეკრებაზე ფეხმძიმე მეუღლესთან ერთად წავსულიყავი.

როგორც მოთამაშისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს, თუ მას ვინ წვრთნის, ასევე მწვრთნელს ის ახალისებს, რომ გუნდში ახალი, პერსპექტიული თაობა მოდის.

ასე იყო მაშინაც. ძალიან მომწონდნენ ახალგაზრდები: ალიკა გრიგალავა, მამუკა ვაზაგაშვილი, ვანო ბახტაძე, დათო

* უპირატეს მდგომარეობას [მიხეილ ჭაბაშვილი – "უცხო სიტყვათა ლექსიკონი" | 1989]

შავდია, კაკო ჭანკოტაძე, რამაზ ბერაძე და სხვები, მაგრამ იმ ხანაში რაგბით "პურს ვერ ჭამდი" და 1977 წლის მერე საბოლოოდ დავანებე თავი მწვრთნელობას.

რაც შეეხება მენეჯერობას, ზუსტად აღარ მახსოვს, მაგრამ როგორც საკავშირო ცნობარი იუწყება – 1979 წელსაც ავურჩევივარ პრეზიდიუმის წევრად, ყრილობა კი 4-წლიანი ციკლით ტარდებოდა.

მანამდე – 1976 წელს – ერთი კარგი საქმეც გავაკეთე. რაგბზე მწერალ ოთარ გელაშვილთან ერთად შევედი "ლელოს" რედაქტორ მიხეილ კაკაბაძესთან და დავითანხმე, მიეწერა გენერალ ილიუშინისთვის, რათა საკავშირო ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირისთვის "ლელოს" პრიზი დაწესებულიყო. მოსკოვთან წინასწარ რომ ვიყავი შეთანხებული, პრეზიდიუმმა წინადადება ერთხმად მოიწონა.

მინდა გავიხსენო სხვა, მეტად მნიშვნელოვანი ნაბიჯიც, რაც კადრებთან იყო დაკავშირებული. ქუთაისური რაგბის მამასა და "ლოკომოტივის" დამაარსებელს – გოგი ყუფარაძეს თავში მორიგი იდეა რომ მოუვიდა, ერთად მივაკითხეთ ფიზკულტურის ინსტიტუტს და შევთავაზეთ, გაეხსნათ რაგბის სპეციალობა, რაზედაც დაგვთანხმდნენ. სპეცკურსი მე წავიყვანე და 1979 წელს პირველი "დიპლომიანი მწვრთნელები" გამოვუშვით.

როცა გადავედი ვეტერანებში, ევროპის "ოქროს ბებრების" კომიტეტის წევრად ამირჩიეს. ახლა მანდ ალბათ უკვე აღარა ვარ, რადგან საქართველო საწევროს გადაუხდელობის გამო გარიცხეს. ეს ფაქტიც მიუთითებს ვეტერანების დაუფასებლობაზე, რაც ძალიან ცუდია.

დასტურად გავიხსენებ ერთ ნეგატიურ ფაქტსაც – თბილისში, შეროზიას ქუჩაზე მოქმედი რაგბის კლუბის დახურვას, რომელიც დათო დავითაიას სახელობისა იყო და დიდი წვალებით გახსნეს გენა ღადუამ და რამაზ სანებლიძემ.

იქ კარგ დროს ვატარებდით. საერთოდაც, კლუბური კულტურის არქონა ჩვენი აქილევსის ქუსლია, უამისოდ კი რაგბი "მშრალ" სპორტად იქცევა და ოდინდელ, უნიკალურ პეწს დაკარგავს.

რაგბის კლუბის გახსნა შეროზიას 11-ში: ნოდარ კაჭარავა, გიგა დვალი [წინ], ნუკრი აბაშიძე, დათო თაქთაქიშვილი, გივი მრელაშვილი, მურიკო თოფურიძე, გელა ტატიშვილი, გურამ კუციავა, გოგი გუდაძე, ირაკლი კიზირია, თემურ ცინცაძე, მერაბ ნიჟარაძე | 1987 წლის 18 მარტი

ქუთაისელებს ჩემი მოღვაწეობის პერიოდში დიდი მიღწევები არა ჰქონიათ, მაგრამ შემდეგ რაც გააკეთეს – ყველას კარგად მოგეხსენებათ.

მინდა ეს თავი დავასრულო მათი წარმატების გახსენებით, რომელიც გავაჟღერე სტუმრის რანგში, "ლელოსთვის" მიცემულ პასუხში – 1987 წელს ხომ სწორედ ქუთათურები გახდნენ ქართველ მორაგბეთაგან პირველი "საბჭოთა კავშირის ჩემპიონები".

>> ქუთაისელებმა ხომ თბილისელთა მაგივრად აიღეს რევანში?

მახსოვს, გახარებულმა ქუთაისელებს მოსკოვში გავუგზავნე დეპეშა, რომელიც ზომით ერთი კარგი მოთხრობა გამოვიდოდა. შემდეგ ჩემპიონებს თბილისში, "აჭარაში" გავუმართეთ დიდი ბანკეტი, რომელიც ღამის 2 საათამდე გაგრძელდა.

ბანკეტის შემდეგ, როდესაც ქუთაისელები გასამგზავრებლად ავტობუსში სხდებოდნენ, მათ, რაგბული ტრადიციის თანახმად, ცოცხალი დერეფანი გავუკეთეთ და ისეთი ხმამაღალი შეძახილებითა და აპლოდისმენტებით გავაცილეთ, რომ სად იყო და სად არა, მილიციაც გამოგვეცხადა.

ერთი რამ ვიცი დანამდვილებით, რომ მოსკოველებმა მეტად განიცადეს ჩემპიონობის დაკარგვა – თვლიდნენ, რომ ამ მოქეიფე და დროის გამტარებელმა ქუთაისელებმა შემთხვევით აიღეს პირველი ადგილი. შემდგომ ორ წელშიც ისევ ქუთაისელები რომ გახდნენ ჩემპიონები, რუს მწვრთნელებს ავუხსენი მათი წარმატების მიზეზი: ქუთაისში ჩამოდის მდინარე რიონი; ბიჭები უბრალოდ ჩავიდნენ მის პირას და ფიცი დასდეს, მუდმივად ჩემპიონები ვიქნებითო. ეგ არის და ეგ მეთქი.

>> საქართველოს ნაკრებზე რაღას გვეტყვით?

რახან ქუთაისელებისთვის გაგზავნილი დეპეშა ვახსენე, სხვა შემთხვევასაც გავიხსენებ. წელი* ზუსტად არ მახსოვს – ჩვენებმა რუსეთს გასვლაზე გადამწყვეტი თამაში რომ მოუგეს, ბიძინა გეგიძეს გულის ამაჩუყებელი ფაქსი გავუგზავნე. ეს დოკუმენტი მერე მთელი თვე რაგბის კავშირის ფოიეში იყო გაკრული.

საქართველოს პრეზიდენტის
ბრძანებულება No 752

23 დეკემბერი, 1997

საქართველოს სპორტსმენებისა და მწვრთნელების საქართველოს "ღირსების ორდენით" დაჯილდოვების შესახებ

დაჯილდოვდნენ:

გიორგი კანდელაკი – მსოფლიოს ჩემპიონი კრივში

ელდარ კურტანიძე – ოლიმპიური თამაშებისა და მსოფლიო ჩემპიონატების პრიზიორი, ევროპის ორგზის ჩემპიონი თავისუფალ ჭიდაობაში

გივი მრელაშვილი – საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი რაგბში

შოთა ქველიაშვილი – ოლიმპიური თამაშების პრიზიორი ტყვიის სროლაში

შოთა ხაბარელი – ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი ძიუდოში

პრეზიდენტი ე.შევარდნაძე

რაც შეეხება ნაკრების თამაშს, მე მისი საქებარი დიდი სტატია დავწერე "ლელოში". აღარ გავიმეორებ – გაიარა უცხოელთა ეიფორიამ, რომელიც რაგბის რუკაზე საქართველოს მოულოდნელმა გამოჩენამ გამოიწვია; ახლა ისინი ჩვენს ნაკრებს აღიქვამენ გუნდად, რომელსაც ნებისმიერი მეტოქის ჯობნა ხელეწიფება:

საქართველომ გადალახა მიზიდულობის კრიტიკული ზღვარი, მოსცილდა რაგბის სამყაროს ქვედა ფენას და მყარად დამკვიდრდა ტოპ-გუნდების სივრცეში.

დანარჩენი დროის ამბავია!

* 2001 წლის 4 მარტს, კრასნოდარში – 25:23

გზა ჯოჯოხეთიდან სამოთხეში

ახლა მიკვირს, რა ძალა მადგა, ანაც ჩემს თანამოაზრეებს რა რჯიდათ?

ნეტავ საიდან მოვიდა ის უზარმაზარი სურვილი და ენერგია, რომელმაც გვაიძულა ახალგაზრდული ასაკისთვის შესაფერი, მყუდრო, უხიფათო და გაკვალული გზის – კარიერის ნაცვლად თავდაყირა გადავშვებულიყავით ქაოსურ, აბდაუბდა და ამორფულ პროცესებში, რომელსაც ახლის, ჩვენ შემთხვევაში კი – რაგბის, შემოტანა ერქვა.

მოზარდ ასაკში მოჭარბებულ ენერგიას ალბათ ისე ხარჯავ, რომ შედეგზე არ ფიქრობ, მით უმეტეს – თუ გზამკვლევი ხარ.

მართალია, რაგბის ისტორიკოსები ამ პერიოდს "რომანტიულს" უწოდებენ, მაგრამ დღევანდელი გადასახედიდან მას უფრო შეეფერება საპირისპირო მსაზღვრელის – "ჯოჯოხეთურის" ხმარება.

ჩემს თანამოაზრე ბიჭებს უხდებოდათ, ერთი მხრივ, ყოფილიყვნენ სპორტულ ფორმაში; ევარჯიშათ, სადაც მოუწევდათ; ბურთებიც ხომ არ ჰქონდათ და ხშირად ოვალურ მრგვალით ანაცვლებდნენ.

მეორე მხრივ, ხელჩართულ ბრძოლაში იყვნენ ჩაბმული სპორტის სხვადასხვა უწყებასთან, რათა ამათ ჯეროვანი ყურადღება მიექციათ ახალი თამაშისთვის. იმ დროს კულტივირებული სხვა სახეობებისგან განსხვავებით, ჩვენთან არ არსებობდა დაყოფა ფედერაციის თავმჯდომარედ, წევრად, მწვრთნელად, მსაჯად და მოთამაშედ – ყველანი ერთად ვიდექით ფრონტის წინა ხაზზე.

მიზნის მისაღწევად ამ თაობას, მართლაც რომ, ჯოჯოხეთში გავლა მოუხდა; და რაც მთავარია, ჯოჯოხეთის ბოლო კარი, ანუ ტარტაროზი, იყო შიდა პრობლემა – ერთმანეთში თამაშის ჩატარება.

დღეს ვინც ტელევიზიით უყურებს მსოფლიოს საუკეთესო გუნდებს, დამეთანხმება, რომ რაგბი სამსაჯოდ მეტად რთულია. თანამედროვე რეფერი მოთამაშეებს თუმც უხსნის ყველა გადაწყვეტილებას და ეს სტადიონსა და ტელე-აუდიტორიას ესმით, გაუგებრობა მაინც ხდება.

ახლა წარმოიდგინეთ, რა იქნებოდა მაშინ: არც წესები იცოდნენ ხეირიანად; არც ტექნიკა ჰქონდათ; ტაქტიკასა და სტრატეგიაზე ლაპარაკი ხომ ზედმეტიც იყო – ამოძრავებდათ მხოლოდ სურვილი გამარჯვებისა და მიდიოდა მსაჯზე მორალური და ფიზიკური ზეწოლა და ძალდატანება.

ერთხელ მსაჯს სათვალეებიც კი ჩაუმტვრიეს, გია ჩეჩელაშვილმა კი, ვისაც მკლავი ამოუვარდა, ველარ თამაშობდა და მსაჯობა დაიწყო – გამოსავალი იმაში ნახა, რომ მატჩის წინ პისტოლეტს [!] იღებდა და გუნდებს აფრთხილებდა, ვინც კამათს დამიწყებს, ამით გავუსწორდებიო.

ერთი სიტყვით, დიდი აურზაური იყო – საქმის გარჩევა, რაც ხშირად ჩხუბით მთავრდებოდა. რაგბს ამიტომ თავი რამდენჯერმე დავანებე, მაგრამ იმდენჯერვე ჩემით ან მოწაფეთა დაჟინებული თხოვნით – შერიგებული შეყვარებულივით დავუბრუნდი. ბოლოსღა, როცა აქტიური რაგბიდან ვეტერანებში გადავინაცვლე,

Спорт

საფინალო სასტვენი — 20 წუთით ადრე

1964

გუნდებს ამოძრავებდათ მხოლოდ სურვილი გამარჯვებისა და მიდიოდა მსაჯზე ზეწოლა

საქართველო სამოას რომ ეთამაშებოდა, რუსთაველის გამზირიც კი დაცარიელდა

ვიგრძენი "კენწეროში გატკბილდების" და სამოთხის კარიც გამეღო.

ბოლო პერიოდში, მართალია, აქტიურად აღარ ვიღვწოდი, მაგრამ ვეტერანების პირველი პრეზიდენტის – თენგიზ რუხაძის; ცნობილი კომენტატორის – თემურ ჯაფარიძის; ბრიტანულად მონათლული "რაგბის კავშირის" პრეზიდენტის – ბიძინა გეგიძის; პირველი მორაგბე "გოს-ტრენერის" – დათო კილასონიას თხოვნით რეგულარულად ვმონაწილეობდი ძველებური ჯოჯოხეთისგან ძაან განსხვავებულ – სამოთხის ღონისძიებებში.

ვმოგზაურობდი სხვადასხვა ქვეყანაში იქაურ ვეტერანებთან შესახვედრად; ვმონაწილეობდი ეროვნული ნაკრების თამაშების რეპორტაჟებში, და რა თქმა უნდა, ჩვენი უშესანიშნავესი გუნდის სავალდებულო "მესამე ტაიმებშიც" – ხშირად თამადის რანგშიც.

ყველა წოდება მომანიჭეს. მორაგბეთა შორის პირველი* დამაჯილდოვეს "ღირსების ორდენით"; რამდენიმე ენციკლოპედიაშიც მომიხსენიეს. რაგბი ახალგაზრდობის საყვარელ გასართობად იქცა – თამაში გოგოებმაც კი დაიწყეს.

ერთხელაც – იმ დღეს საქართველო სამოას მასპიძლობდა, მივიჩქაროდი სტადიონისკენ და უნებლიეთ მოვკარი ყური შეყვარებული წყვილის საუბარს. ახალგაზრდა კაცი სთავაზობდა მეგობარ გოგოს, წამო, რუსთაველზე გავისეირნოთო. გოგომ უპასუხა, არა, იქ ბევრი ხალხიაო.

კაცმა კი, იცით, რა უთხრა? დღეს რაგბია და რუსთაველი კი არა, მთელი ქალაქი ცარიელია: ყველა ან სტადიონზეა, ანაც ტელევიზორთანო.

ამიტომ გასაკვირი იქნება, ადამიანმა, ვინაც ცხოვრების საუკეთესო წლები მიუძღვნა საქმეს, რომელიც მის სამშობლოში ასე წარმატებით ვითარდება – თავი სამოთხეში არ იგრძნოს.

---

* ბრძანებულება იხილეთ წინა თავში.

დამხმარე ლიტერატურა

1. გაბრიელ ბარჯაძე – "ფუძემდებელი" | საქართველოს რესპუბლიკა: ოქტომბერი, 1997
2. გაბრიელ ბარჯაძე – "რეგბი, რეგბი" | 1988; "მარაო თოვლზე" | 1994
3. ლალი გვასალია – "ქართული რაგბის სათავეებთან", I ნაწილი | 2000
4. დავით თაქთაქიშვილი –" ქართული რაგბის სათავეებთან", II ნაწილი | 2003
5. დავით თაქთაქიშვილი – "რაგბი: ცხოვრების წესი და ღირსება" | 2006
6. ზაალ, ლუკა, ნიკო გიგინეიშვილები – "ქართული რაგბის მატიანე" | 2009
   "უცნობი წარსული" | 2011
7. ალექსანდრე ქურდობაძე – "მოედანზე არიან ბორჯღალოსნები" | 2016
8. თენგიზ თავაძე – "ქართული რაგბი ", I ნაწილი | 2017
9. ელგუჯა ბერიშვილი – "ქართული სპორტის ოქროს წიგნი" | 2013
10. ბესიკ ჯანგავაძე – "ხიდი წარსულსა და მომავალს შორის" | 2012
11. Арсен Еремян [არსენ ერემიანი] – "Гром победы" | 2001
12. Арсен Еремян – "Рыцары овального мяча" | Русский Клуб: ოქტომბერი, 2007
13. "Друзья овального мяча" | Советский Спорт: იანვარი, 1960
14. "Не пора ли снять вето?" | Комсомольская Правда: 6 აგვისტო, 1960
15. Дж.Бетанели – "Энтузиаст" | Вечерний Тбилиси: 1968
16. Арсен Еремян –"Он создал эпоху регби" | Вечерний Тбилиси: 2001
17. Арсен Еремян –"Через годы и расстояния" | Вечерний Тбилиси: 2001
18. ნელი ბუაძე – "რაც ცხოვლად ერთხელ სულს დააჩნდების" | პლეხანოველი: აგვისტო, 1997
19. ლევან ლეონიძე – "რაგბის ქურუმს გადაეცა კვართი ბორჯღალოსანი"
    | სარბიელი: 24 ნოემბერი, 1997
20. ზაქარია შერაზადიშვილი – "ქართული ხალხური თამაშობანი" | 1980
21. [რაგბის] საინფორმაციო ბიულეტენი | 1977
22. Информационный Бюллетень [Регби] | 1977, 1979
23. ვიკიპედია – ქართული | Русский
24. Большая Советская Энциклопедия [დიდი საბჭოთა ენციკლოპედია]
25. გივი მრელაშვილი – სტატიები | დროშა: ნოემბერი, 1963
    | ლელო: 2 დეკემბერი, 1961; 5 მაისი, 4 აგვისტო, 30 ოქტომბერი, 21 ნოემბერი – 1962;
    14 თებერვალი, 1965; 20 აგვისტო, 19 ნოემბერი, 1966; 29 ნოემბერი, 1967; 5 მაისი, 2009
26. Альманах [Регби] | 2009
27. Гиорги Купарадзе [გიორგი ყუფარაძე] – "Регби" | 2001
28. Юрий Лобанов [იური ლობანოვი] – "Нам нужен регби" | 2014 და 2019

სარჩევი

1 ერთხელ რომ რაგბს ითამაშებ 4

2 რაგბი ჩვენი ლელობურთია 7

3 როგორ მოვხვდი რაგბში 9

4 მეგობრობა სოროკინთან 14

5 პირველი საკავშირო სემინარი 20

6 შინ მოულოდნელი დაბრუნება 25

7 ვითარება თბილისში 27

8 აქაც ხალხში სიარული 30

9 დღეს-ხვალეობაში გასული 20 წელი 34

10 ოფიციალური ორგანოს დაფუძნება 37

11 ქალაქის პირველი ჩემპიონატი 41

12 პირველი საქალაქთაშორისო 43

13 მოგზაურობა მოსკოვსა და ბალტიაში 45

14 სპორტ-კავშირის შემძვრელი დეპეშა 47

15 სემინარი ჩვენი მონაწილეობით 49

16 რიგაში, "ოქროს ხარის" თასზე 51

17 პროფკავშირების ჩემპიონატი 54

18 ჯეიმს ბონდი 58

19 დებულება თუ ძმაკაცობა? 61

20 მაინც მნიშვნელოვანი 1964 62

21 დირექტორ კურმანის ლამაზმანები 64

22 ო, შიაულიაი, შიაულიაი! 71

23 რაგბი და ქალბატონები 73

24 ახალი სტრატეგია და ორი ბორისი 80

25 სევეროდონეცკის ეპოპეა 85

26 პირველი "ომის შემდგომი" ჩემპიონატი 88

27 "დინამოს" ნაცვლად გურჯაანში 95

28 "ეს რეგბია" – პირველი ფილმი 99

29 საქართველოს პირველი ჩემპიონატი 101
30 პირველი გასვლა საზღვარგარეთ 102
31 დამშვიდობება მწვრთნელობასთან 106
32 რაში მიცვლიდა სკამს სიხარულიძე 108
33 სპი, გია, ომარი და ორი გოგი 111
34 თავმჯდომარის პოსტზე – იძულებით 113
35 საბჭოთა ნაკრების თბილისური ტესტი 115
36 "დინამოს" შველა უნდოდა 117
37 ბერ-მონაზვნები საქართველოდან 119
38 პრიზი თუ ფული? 121
39 მუხის ფოთლის გვირგვინები 123
40 კალათბურთელებს მოგაშველებთო 124
41 საკავშირო საგანგებო შემთხვევა 125
42 მინდიაშვილის ვენდეტა 127
43 ეპილოგის მაგიერ 129
44 გზა ჯოჯოხეთიდან სამოთხეში 132
დამხმარე ლიტერატურა 134

ავტორი წიგნის მომზადება-დაბეჭდვისთვის მადლობას უხდის თორნიკე გოგებაშვილს, მიხეილ ხარატს, ალექსანდრე ქურდობაძეს და განსაკუთრებით, ზაალ გიგინეიშვილს



გივი მრელაშვილი

ერთხელ რომ რაგბს ითამაშებ

თბილისი | 2020





"ქართული სპორტის ოქროს წიგნიდან"

გივი მრელაშვილი – საბჭოთა რაგბის ერთ-ერთი მესაძირკვლე, ქართული რაგბის დამაარსებელი, საკავშირო კატეგორიის მსაჯი, რესპუბლიკის დამსახურებული მწვრთნელი, მორაგბეებში ღირსების ორდენის პირველი მფლობელი, საბჭოთა კავშირის პირველობის II ადგილოსანი.

1961 წლის 1 დეკემბერს საბჭოთა კავშირში პირველად ჩვენთან, სწორედ მისი თაოსნობით შეიქმნა საქართველოს რაგბის კავშირის წინამორბედი – "რეგბის საქალაქო სექცია".

ელგუჯა ბერიშვილი

საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის
პირველი ვიცე-პრეზიდენტი

გივი მრელაშვილი გამორჩეული პიროვნებაა ქართული რაგბის ისტორიაში. მან შექმნა მთელი ეპოქა. საქართველოში სპორტის ამ სახეობის დანერგვა დაიწყო გასული საუკუნის 60-იან წლებში და მის სათავესთან იდგა ეს უაღრესად ინიციატივიანი, განათლებული, ენერგიული ადამიანი – პატრიოტი, რომელიც ჩემს თაობას უნერგავდა ამ ვაჟკაცური სპორტისადმი სიყვარულს. იყო რა ჩვენზე ასაკით ოდნავ უფროსი, მან გამოიჩინა აღმზრდელის არაჩვეულებრივი ტალანტი, რამაც დიდი როლი ითამაშა პიროვნებებად ჩვენს ჩამოყალიბებაში. მან მოგვამზადა არა მხოლოდ როგორც მორაგბეები, არამედ ჩვენი სახით აღზარდა ქვეყნისთვის სასარგებლო და მოქმედ პატრიოტთა რამდენიმე პლეადა.

ირაკლი კიზირია

XX საუკუნის საუკეთესო ქართველი მორაგბე
საქართველოს ვეტერან მორაგბეთა კავშირის პრეზიდენტი